კვირის პალიტრა

ფეხი

№40

ფასი 60 თ.

1168
2006

ქართველი სიძე, რომელიც საკუთარ სიდედრს ძეგლს უდგამს

ნანულისა და გურამის დუეტი დაიშალა

ვანო ჯავახიშვილი მიშა ანდღულაძესთან დაშორებას განიცდის

მასწავლებლის მიერ „გაფუჭებული" გოგონა და „მგლის ბილეთი"

რა ჩაიფიქრა რუსეთმა

რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?

სოსო ჯაჭვლიანმა სვანეთის „კანონიერ ქურდს" ნიღაბი ჩამოხსნა

მგლის ქონისა და სასქესო ორგანოსგან დამზადებული ჯადო...

ჩემი ოჯახი
და მეგობრები

მაგთის ახალი სატარიფო გეგმა

ესაუბრეთ უახლოეს ადამიანებს განსხვავებული, დაბალი ტარიფით!

მაგთის საშუალებით აჩუქეთ მათ სალაპარაკო დრო მაშინ, როცა დაურეკავთ!

როგორ?
ააქტიურებთ სატარიფო გეგმას, ირჩევთ ერთი, ორი ან სამი უახლოესი ადამიანის ნომერს (მაგთის ან ბალის აბონენტებს) და სატარიფო გეგმის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში მათთან საუბრობთ დაბალი ტარიფით: წუთში 24 თეთრად.

30 დღე იწურება?
ხელახლა აკრიფეთ აქტივაციის კოდი და ისარგებლეთ იგივე პირობით.

„ჩემი ოჯახი და მეგობრები" საჩუქრის გაკეთების საშუალებასაც გაძლევთ!

— ელაპარაკეთ თქვენს მიერ არჩეულ უახლოეს ადამიანებს და ყოველი წუთიდან ისინი საჩუქრად 10 წამს მიიღებენ, თქვენგან და მაგთისგან! 31 დეკემბრამდე!

— ასე დაგროვილ დროს ისინი გამოიყენებენ მაგთის და ბალის აბონენტებთან სასაუბროდ.

სატარიფო გეგმის გააქტიურება
აკრიფეთ 44300191 და OK.
აქტივაციის ღირებულებაა 3 ლარი

ნომრის არჩევა ჯგუფის შექმნის მიზნით
აკრიფეთ 44300192, მაგთის ან ბალის 9-ნიშნა ნომერი (899XXXXXX, 895XXXXXX ან 898XXXXXX) და OK.

— ჯგუფში ჩაწერილი ნომერი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ 30 დღის შემდეგ.

— ჯგუფში ნომრის შეცვლა ხდება ერთ-ერთი ნომრის ამოშლით და მის ნაცვლად სხვა ნომრის არჩევით.

ნომრის ამოშლა ჯგუფიდან
აკრიფეთ 44300190, 9-ნიშნა ნომერი და OK.

სატარიფო გეგმის სტატუსის შემოწმება
აკრიფეთ 44300199 და OK.

გთხოვთ გაითვალისწინოთ:
სატარიფო გეგმით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ მაგთის წინასწარი გადახდის აბონენტებს.

მაგთიკომი იტოვებს უფლებას შეცვალოს აქციის პირობები, რის შესახებაც 30 დღით ადრე აცნობებს მომხმარებლებს

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

ᲥᲘᲠᲘᲚᲘ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ

№40 (330)
5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.
2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲘᲠᲘ

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ

„ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ-2“
ᲐᲜᲣ ᲠᲣᲡᲘ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲝᲜᲓᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 3

■ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ
ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲡ 4

■ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ „ᲙᲣᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐ“ ᲒᲐᲩᲐᲚᲓᲐ 5

■ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 7

■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲘ ᲢᲐᲑᲘᲚ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲓ
ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲐᲜᲣ ᲠᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲐ „ᲦᲐᲛᲘᲡ ᲨᲝᲣᲨᲘ“ 8

■ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ „ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ M“ 10

■ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲑᲣᲢᲔ-ᲑᲣᲢᲔ ᲒᲐᲒᲔᲑᲣᲢᲔ, ᲛᲐᲘᲜᲪ „ᲒᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ“... 12

■ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ

✓ ᲛᲣᲡᲐᲜᲐᲗᲣᲠᲘᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡᲓᲦᲔᲖᲔ 14

✓ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲐ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲨᲘ 16

■ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ-ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲕᲘᲠᲩᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ
ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ 17

■ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐᲖᲔ ᲩᲐᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ
ᲓᲐ „ᲡᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲝ“ ᲡᲐᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝ ᲤᲣᲠᲜᲔ 20

■ ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚᲘ

ᲛᲒᲔᲚᲘ — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲘᲡᲒᲐᲜ
ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ 22

■ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲚᲔᲑ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲮᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲠᲩᲔᲕᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲮᲐᲢᲖᲔ? 24

■ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲕᲘᲧᲝ 26

■ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲓᲣᲮᲝᲑᲝᲠᲔᲑᲘ ᲒᲝᲠᲚᲝᲕᲙᲐᲨᲘ 30

■ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲔᲕᲐ... 33

■ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲛᲝᲓᲠᲘᲙᲐ... 34

■ ᲢᲐᲘᲐᲛ-ᲐᲣᲢᲘ 36

■ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲖᲐᲖᲐ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ.
ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲑᲚᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 38

■ ᲠᲔᲞᲔᲠᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲔᲞᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ — ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲑᲔ 42

ᲨᲔᲐᲑᲘ.ge ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲑᲣᲠᲐ: შენ ახლა შარზე ხარ... წავედი, მეძინება, კარგად. გკოცნი ძალიან ბევრს. *)*)*)*)*)*)*)*)*)

ᲞᲐᲜᲓᲝᲠᲐ: ეგ შენი კოცნა „ოჩენ ნუჟნო“, რა...

ᲞᲐᲜᲓᲝᲠᲐ: წახვედი? დამტოვე? დღეს რაღაც უცნაურად იქცევი... ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩემზე ადრე წახვედი და დამტოვე. კარგი, ვნახოთ, ვინ — ვის!..

17

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ

„ᲛᲒᲚᲘᲡ ᲢᲧᲐᲕᲡ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲗᲣ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ ᲕᲘᲜᲛᲔ, ᲨᲔᲜ ᲗᲣ ᲫᲣ ᲛᲒᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲥᲔᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲛᲝᲛᲘᲢᲐᲜ, ᲮᲣᲗᲯᲔᲠ ᲛᲔᲒᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲜᲓᲘᲝ. ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲒᲚᲘᲡ ᲔᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲕᲐᲭᲐᲠᲡ ᲨᲐᲕᲑᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ“

22

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲘ ᲢᲐᲑᲘᲚ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲐᲜᲣ ᲠᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲐ „ᲦᲐᲛᲘᲡ ᲨᲝᲣᲨᲘ“

— ᲕᲐᲜᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, „ᲦᲐᲛᲘᲡ ᲨᲝᲣᲡ“ წამყვანი გახდით, „გაქაჩავთ“?

— ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲥᲐᲩᲐᲕᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲛᲔ ᲣᲨᲕᲜᲝᲓ ᲠᲐ ᲛᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ. ᲕᲜᲐᲮᲝᲗ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ.

8

ᲥᲛᲔᲑᲘ ᲯᲐᲭᲕᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲕᲐᲜᲣᲠᲘ ᲐᲓᲐᲗ-ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„ᲛᲐᲮᲕᲨᲘ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ „ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲣᲠᲓᲘᲐ“, ᲝᲚᲝᲜᲓ — ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲗ. ᲘᲒᲘ ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. ᲛᲐᲮᲕᲨᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲠᲪᲮᲣᲚᲨᲘ ᲥᲐᲚᲡ ᲓᲐᲯᲓᲝᲛᲐ ᲔᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ. ᲥᲐᲚᲘ ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲮᲕᲨᲘ“.

24

■ ჯანმრთელობა
იოდი — აუცილებელი ელემენტი ორგანიზმისთვის 44
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ როგორ მოვუაროთ გაუხეშებულ ხელის კანს? 45
✓ მასიური აქსესუარები
და კაპიუშონიანი ტანისამოსი 46
✓ ბრილიანტის ყიდვა აღვილი არ არის 47
■ ასპარეზი
კოკაი — „შავი ზღვა“ სოხუმიდან 48
■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50
■ ვარსკვლავები
ვუდი ალენი:
„ისევ ღალატში მადანაშაულებენ!..“ 54
■ თინეიჯერული პონტები
მასნავლებლის მიერ „გაფუჭებული“
გოგონა და „მგლის ბილეთი“... 57
■ ტაძარი
„...მყინვარის კალთასა ზედა მონასტერი სამებისა“ 62
■ ობიექტივი 63
■ ბომონდური მოზაიკა 64
■ პოროსკოპი
კვირის (5-11 ოქტომბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 66
■ ავტო 67
■ მინდვრებს მიღმა 68
■ ტესტი 70
■ სკანვორდი 71
■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

მე რომ ქალაქის მერი ვიყო

„აი, ასეთი სიდედრი მყავს, ხალხი კი უამრავ ანეკდოტს იგონებს მათზე. მე რომ ქალაქის მერი ვიყო, სიდედრს ძეგლს დავუდგამდი თბილისის ცენტრში... ლალი დედიკო, შენ ამას იმსახურებ!“

26

კაცი, რომელმაც ნიჭიერებით სტალინი მოდრიკა...

„სტალინს უკითხავს — დაპატიმრებამდე ნუცუბიძე რას საქმიანობდაო? — და როცა გაუგია, „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა, უბრძანებია — შეუქმენით პირობები, რომ მალე დაამთავროსო“.

34

ვუდი ალენი: „ისევ ღალატში მადანაშაულებენ!..“

„ისევ ღალატში მადანაშაულებენ, იმედი მაქვს, სასამართლომდე საქმე ახლა მაინც არ მივა, რადგან ამ შემთხვევაში მე კი არა, თავად ამერიკა შეიცვალა“.

54

თეთრი სიკვდილი

გონიერი ადამიანი კი, წამლის გაყიდვამდე, სისხლის სამართლის კოდექსს გადაშლიდა და ნახავდა, თუ რა „სროკი“ მოელოდა. შენი ბინიდან ამოღებული წამალი ძალიან დიდი ხნით გაგისტუმრებს „ნარზე“. და მართლაც, არა მგონია, რომ ასეთ „სროკს“ გადაიტანო... იცი, ვინ არის „ბარიგა“ პატიმრებისთვის?.. — „ბარიგა“ კოლონიაში ჰომოსექსუალისტზე დაბალ დონეზე დგას...

50

„ჭირვეული მეზობლები-2"

ანუ რუსი ჯეიმს ბონდები საქართველოში

მეზობელი როგორი შეგხვდება, იღბალზე ყოფილა დამოკიდებული; მაგალითად, ამერიკას, ამ მხრივ, ნამეტანი გაუმართლა: შეიძლება ითქვას, ერთსადარბაზოიან ცხრიანში ცხოვრობს მერვეზე და ორად ორი მეზობელი ჰყავს: ზევით — კანადა, ქვევით — მექსიკა. ისიც ისეთი ხათრიანია, სულ რომ ჩაურეცხო ახალი რემონტი წყლით, ხმის ამომღები არაა. არც კარის მეზობელი ჰყავს ნერვების მომშლელად და ფანჯრებიც ორივე მხარეს წყნარ და ატლანტის ოკეანეებს გადაჰყურებს...

ჩვენ კი — ?! მაინც, ისეთი გეოპოლიტური პროექტის „იტალიურ ეზოში" მოვხვდით, ფანჯარას თუ გააღებ, მეზობლის გარეცხილი ნიფხავი რომ აგეფარება თვალებზე; ტუალეტი და სამზარეულო რომ საერთო გაქვთ და ყველა ცხვირს გიყოფს ქვაბში, რა გაქვს დღეს სადილად და რამდენ კოვზ შაქარს იყრი ჩაიში... ერთადერთი, „საძინებელი" გვაქვს დამოუკიდებელი და ლამფის, იქაც მოძვრებიან. თან, ასეთ ცნობისმოყვარობას ეთილგანწყობილებით ხსნიან, მინდა ვიცოდე, ხომ არაფერი გიჭირთო... მოკლედ, აუტანელ დღეში ვართ, მაგრამ იმ ანეკდოტისა არ იყოს, იტყვი რამეს და არ ვარგიხარ, არ იტყვი და — გაივსო ლოგინი ფეხებით...

ასეთი მეზობელი შეგვხვდა რუსეთის სახით. თათბირს თათბირზე ატარებს ჩვენი პრეზიდენტი, მაგრამ მთლად ზუსტად მგონი ჯერ არც მან იცის როგორ მოვიქცეთ. ჯერ ხომ ეკონომიკურად ამოგვაძრო სული: აღარც ხილი და ციტრუსი შეგვატანინა, აღარც ღვინო და აღარც — „ბორჯომი". ის კი არადა, მატარებელი „თბილისი-მოსკოვი" ბორჯომის ვაგზლიდან გავიდა და შეუშვებენ თუ არა, კაცმა არ იცის. კარგი, ბატონო, ამაზე გავჩუმდით, მაგრამ იმ რუს ჯეიმს ბონდებს რა ვუყოთ, რომ დათარეშობენ ქვეყანაში და ვის რა უდევს ჯიბეში, თავში თუ გულში, არავინ იცის.

დავაკავეთ ჯაშუშები, ფაქტებიც დავუდეთ, მოწმეებიც დავაყენეთ თავზე და ვიდეომასალაც წარვადგინეთ, მაგრამ გაუკვირდათ, ეგო ფარული კამერით გადაღებულია და ალბათ ღადაობთო... რა დროს „ფარული კამერა" და ციყვი და კვერნაა, ხალხო, ბნელა?!

ოფიციალურმა მოსკოვმა კიდევ ერთხელ გაგვიცხა და შეგვარცხვინა, ეგ ჯაშუშები პატიოსანი ჯაშუშები არიან, სახელმწიფო დავალებას ასრულებდნენ საქართველოში და რა უფლებით დააკავეთო?.. თქვეკაი დედმამიშვილებო, ბოლო-ბოლო, ჯაშუში მეზობლის ბაღში გადავარდნილი ბურთი ხომ არაა, სულ რომ დაგიბრუნოს. ერთხელაც იქნება, იმ მებაღესაც ამოუვა ყელში და დაგიჭრის იმ ბურთს.

ამ ჯაშუშებს კი მივუსაჯეთ ორთვიანი პატიმრობა, მაგრამ მერე გადავეცით რუსეთს, აბა, ჩვენ რა ჯანდაბად გვინდა, თან ჭკუა ვასწავლეთ — რომ მომავალში უფრო ძლიერი და მოუხელთებელი ჯაშუშები გამოგვიგზავნონ.

საპასუხოდ, ჩვენმა ჩრდილომეზობელმა საკონსულოს და საელჩოს თანამშრომლები ხომ გაიწვია, ახლა ამბობს პუშკინის და ლერმონტოვის ძეგლებიც უნდა გავიყვანო საქართველოდანო... ვიზების გაცემაც შეწყვიტა და საჰაერო სივრცეც ჩაგვიკეტა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ოქტომბერში ვეღარც რუსეთიდან მოფრენილ მწყერზე ვინადირებთ და ყოველ საახალწლო არდადეგებზე მთელი საქართველო კრასნოიარსკსა და ჩიტაში რომ მიდიოდა და იაფად ქურქებს იძენდა, წელს ისევ ბაკურიანის, ბორჯომისა და გუდაურის ხედებით უნდა „გამოვიღამოთ თვალები" — ამის მოთმენა შეიძლება?!

თუმცა მთლად მართლები არც ჩვენ ვართ და უნდა ვაღიაროთ, რომ მოსკოვში დაკავებული ქართველი მოქალაქეებიც საქართველოს დაზვერვის სპეცაგენტები არიან. კურსკის ვაგზლის ბაზრობაზე სუნელებს რომ ყიდის შაქრო და ზეპირად იცის, რამდენ არაყს სვამს დღეში გადამდგარი მაიორი და ამჟამად „ნასილშჩიკი" სენია მოროზოვი, არ არის ჩვენ ინფორმატორი?! ვინ იცის კიდევ, რამდენი ასეთი „ჯაშუში" გვყავს რუსეთში?! ბატონო ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინ, დააპატიმრეთ სულყველა, თორემ გაივსო რუსული კერძები ქართული სუნელებით, რაც ფაქტობრივი სახელმწიფო გადატრიალებაა.

P.S. *საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების სატელეფონო საუბარი.*

— ბატონო სააკაშვილო, რა უფლებით დააკავეთ რუსული დაზვერვის ოფიცრები თბილისში?!

— მათ დივერსიული აქტების მოწყობა უნდოდათ.

— უნდოდათ, მაგრამ ხომ არ მოუწყვიათ? სურვილის გამო ადამიანები დაიჭირეთ, ესაა ქართული დემოკრატია?!

— თქვენ რატომღა დააკავეთ საქართველოს მოქალაქეები?

— იმიტომ, რომ მათ კი არ უნდოდათ მწვანილის გაყიდვა, უკვე გაყიდეს — ანუ ჩაიდინეს დანაშაული...

ПРОВОКАТОРИ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სადაზვერვო სამსახურების მიერ რუსეთის „გრუს“ თანამშრომლების აყვანის გამო, მოსკოვში ატეხილი ანტიქართული ისტერია გრძელდება. ჩრდილოელი მეზობლისგან აკრძალვებისა და მუქარის უწყვეტი ნიაღვარი მოედინება. ჩვენი ხელისუფლება შემოტევას არ ეპუება და აცხადებს, რომ ის დრო, როდესაც პატარა საქართველოს თითის ქნევით ელაპარაკებოდნენ, წარსულს ჩაბარდა.

რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის პოზიცია ყოველმხრივ ნათელი, მიზნები კი, სრულიად გაშიშვლებულია. ამასვე ადასტურებს ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის — მიხაილ ევტიხინის კომენტარიც, რომელიც ტელეფონით ჩავიწერეთ.

რუსეთი აკრძალული თამაშების გამოყენებას აპირებს

ლალი პაპასკირი

— თავისი ქმედებებით საქართველომ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებისთვის ჯერაც მოუმწიფებელია. აქვე გეტყვით, რომ 1-ელ ოქტომბერს შეიქმნა საქართველოსთან ურთიერთობის საგანგებო კომისია, რომლის ფუნქციასაც სულ მალე შეიტყობთ... სასაცილოა, რომ საქართველოში მომხდარს დიდი სიამაყით აღნიშნავენ. „საქართველომ რუსეთს სილა გააწნა“ — ასეთი შეფასება მისცეს ადგილობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა ამ ფაქტს, თუმცა აზრადაც არავის მოსდის, თუ რა შეიძლება რუსეთმა მათ პასუხად დაუბრუნოს...

— რას გულისხმობთ?

— ქვეყანა, რომელიც ეკონომიკურად და გეოპოლიტიკურად ჩვენზეა დამოკიდებული, გაურკვეველია, ასე თავხედურად რის საფუძველზე მოქმედებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 2 მილიონამდე ქართველი ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს და აქედან არჩენს ოჯახს. მათ დეპორტაციაში ვერავინ შეგვიშლის ხელს. უფრო მეტსაც გეტყვით — შესაძლოა, მათი უმეტესობა რუსეთში სამუდამოდ დარჩეს... მაშინ, როდესაც შიდა კონფლიქტები ვერ მოგიგვარებიათ, სააკაშვილის მთავრობა რუსეთის წინააღმდეგ აუღარუნებს იარაღს...

— უფრო მართებული იქნებოდა, კონფლიქტების მოუგვარებლობაში რუსეთის ლომის წილსაც თუ აღნიშნავდით. რაც შეეხება საქართველოს მხრიდან იარაღის ულარუნს, როგორც ჩანს, რუსულ საინფორმაციო საშუალებებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ...

— საინფორმაციო საშუალებები არაფერ შუაშია... უკანასკნელი ცნობებით, კოჯრის ბატალიონი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. საქართველოს შესახებ ჩვენ გაცილებით მეტი ვიცით, ვიდრე ამერიკამ, რომელსაც საკუთარი პრობლემები ვერ მოუგვარებია. მისგან წაქეზებულმა საქართველომ კი ბევრი გაფრთხილება მიიღო მეზობლისგან და საკმარისია.

ზოგიერთი ქართველი პოლიტოლოგის აზრით, რუსეთის აგენტების აყვანით, ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო საზოგადოების თვალში არასერიოზული სახელმწიფოს სახელი დაიმსახურა. არაოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს წარმომადგენელი ნატოში გამოიძახეს და „ყველასთვის მისაღები წესებით თამაში“ მოსთხოვეს.

გია ხუციშვილი, *პოლიტოლოგი:*

— ნატოში, სადაც რუსეთის დელეგაციაც იყო მიწვეული, უკვე დააყენეს ეს საკითხი და ბუნებრივია, რომ ნატო შეშფოთებულიც უნდა იყოს მოვლენათა ასეთი ესკალაციით. ჩვენ თუ ნატოში გაწევრება გვინდა, მსგავსი ტიპის პრობლემებს უფრო წყნარად და გააზრებულად უნდა ვაგვარებდეთ. ვიღაცას, პირიქით, ჰგონია — რაც უფრო მეტი ხმაურით ვიმოქმედებთ, მით უკეთესი იქნება და ეს უფრო დაგვაახლოებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან. სინამდვილეში, უფრო დაგვაშორებს. მართალია, ნატო სამხედრო ორგანიზაციაა, მაგრამ ასეთი ტიპის კონფლიქტურ სიტუაციებს ისიც ერიდება.

— რამდენად მილებულია უცხო ქვეყნის იმ თანამდებობის პირების ასეთი ფორმით დაკავება, რომლებიც სხვა ქვეყანაში ოფიციალური სტატუსით იმყოფებიან?

— ბუნებრივია, ჯაშუში თუ დაიჭირე, უნდა დააპატიმრო, მაგრამ ცალკე საკითხია — რამდენად გამართლებულია მათი დაკავება ახლა, ვინაიდან მათი რეზიდენტურა გაცილებით ღრმად „ზის“... სამწუხაროდ, მათი თანამოზრეები საქართველოს ხელისუფლებაში მრავლად არიან. თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ოთხი ადამიანის დაკავებით პრობლემა გადაჭრილია, მხოლოდ თავს მოვიტყუებთ. თანაც, ამ საკითხის საკმაოდ უცნაური პოლიტიზება მოხდა და მე ვფიქრობ, ამ კონტექსტში სულ სხვა გეგმა იკითხება, როგორც რუსეთის, ასევე — საქართველოს მხრიდან.

— მაინც, რა იმალება ამის მიღმა?

— შესაძლებელია, რამდენიმე ვარიანტზე ვისაუბროთ. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ რუსეთმა ამ ადამიანების მეშვეობით პროვოკაცია მოახდინა და გაწირა ის ხალხი, რომლებიც საკმაოდ არქაული მეთოდებით მოქმედებდნენ. გამორიცხულია, რომ დღევანდელი დაზვერვის სამსახურები ასეთი პრინციპით მუშაობდნენ, რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზე რაღაცას ინიშნავდნენ. ეს ცოტა არ იყოს არასერიოზულია. მიმაჩნია, რომ რუსეთმა ძალზე დიდი თამაში წამოიწყო და მოგვიანებით, ყველაფერს გამოააშკარავებს.

— „გრუს“ თანამშრომლების დაკავების განხორციელება სხვაგვარი ფორმითაც ხომ იყო შესაძლებელი?

— რა თქმა უნდა. შეიძლებოდა, ვთქვათ, რუსეთისთვის შეეთავაზებინათ, დაკავებული ხალხის იგორ გიორგაძეზე გადაცვლა... მახსოვს, საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში დაზვერვის თვითმფრინავით შემოფრინდა ამერიკელი პაუერსი, რომელიც მოგვიანებით, ძალიან წყნარად გაცვალეს საბჭოთა მზვერავზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში ასეთი მოვლენების აფიშირება არ ხდება. როდესაც მსგავსი სიტუაციები იქმნება, აუცილებლად გაცვლას ახორციელებენ და ამით, დიპლომატიური დივიდენდების მოპოვება ხდება.

რუსეთი ჩვენი სერიოზული ოპონენტია, ზოგიერთ შემთხვევაში, მგერიც არის

გაგრძელება იხ. გვ. 6

მოსკოვში „კუღიანებზე ნაღირობა“ გაჩაღდა

დაკეტილი კაზინო, გაძევებული მოსწავლეები და იდუმალი მგზავრები თბილისის აეროპორტში

ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო მრავალგვარი აქციის შემოღების შემდეგ, რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებსა და ქართველ იმიგრანტებზე მიიტანა იერიში. თავდაპირველად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური უსაფრთხოების დეპარტამენტმა მოსკოვის კაზინო „კრისტალში“ ჩაატარა ოპერაცია. მათი თქმით, კაზინოს შენობაში მილიციელებმა დიდი რაოდენობით ხიზილალა აღმოაჩინეს, რომელსაც ბრ ახლდა კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. გარდა ამისა, სამართალდამცველების თქმით, კაზინოში ფუნქციონირებდა 84 სათამაშო მაგიდა და 259 ავტომატი, რომლებსაც ასევე არ ახლდა საჭირო საბუთები, კერძოდ, „კრისტალის“ მეპატრონეებს ისინი არ დაურეგისტრირებიათ საგადასახადო სამსახურში და ამდენად, არც კანონით დადგენილ გადასახადებს იხდიდნენ. რაც მთავარია, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა თქმით, კაზინო „კრისტალს“ „საქართველოს მკვიდრნი — კრიმინალური ავტორიტეტები აკონტროლებენ“...

რუსეთის სამართალდამცავებმა მეორე იერიში სასტუმრო სახლ „თბილისზე“ მიიტანეს. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ქვედანაყოფის თანამშრომლებმა შენობაში ჩხრეკასა და მის ბინადართა შემოწმებას მიჰყვეს ხელი. სასტუმრო სახლს სამოქალაქო სამოსში ჩაცმული 30-მდე სამართალდამცველი მიადგა, გარდა ამისა, მის შესასვლელთან, კერძო დაცვის სამსახურის — „ალფა-ციტადელის“ ფორმიანი რამდენიმე კაციც განლაგდა. სამართალდამცავი ორგანოს ინკოგნიტოდ დარჩენილმა თანამშრომლებმა ინტერნეტ-გამოცემა „სტრანა.რუს“ კორესპონდენტს აცნობა, რომ აღნიშნული სასტუმრო სახლის შენობას „ქართული მხარე წლების მანძილზე უკანონოდ იყენებდა კომერციული მიზნებით, ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რადგან არც მესაკუთრის და არც დამგირავებლის უფლებით არ სარგებლობს“...



კაზინო „კრისტალი“

სრულიად უჩვეულო იერიში რუსული მხრიდან, არა მოსკოვში, არამედ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გველოდა. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია იმის გამო, რომ შეტევა ამჯერად, მოზარდების საწინააღმდეგოდ არის მიმართული: თბილისში მდებარე, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების შტაბთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში, რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს არ ექვემდებარება, მოსკოვიდან მოსული ბრძანებით, ქართველი მოსწავლეები და მასწავლებლები არ შეუშვეს.

სასტუმრო სახლი „თბილისი“

ამ ფაქტთან დაკავშირებით, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის — ნიკა რურუას თქმით, რუსეთში ყოველთვის შეინიშნებოდა ქსენოფობიის კონტურები, მაგრამ დღეს ამგვარი ფაქტები საშიშ ფორმას იღებს. „ის, რომ მოსწავლეები ეთნიკური ნიშნით სკოლაში არ შეეშვათ, არ მომხდარა არც ფაშისტური გერმანიის დამარცხების, არც მონობის გაუქმების შემდეგ, — განაცხადა რურუამ და დასძინა: — ეს არის საშიში და აღმაშფოთებელი, უგუნური პოლიტიკა, რომლის ავტორები ისეთ ლაქას სცხებენ საკუთარ ერს, რომელსაც მომავალი თაობებიც ვერ ჩამოირეცხავენ“.

უკანასკნელი დღეების კონფლიქტის საფუძველზე უსიამოვნო ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით, მაგრამ პირველი ნამდვილად ტრაგიკული ცნობა მოსკოვიდან 4 ოქტომბერს დილით მოვიდა:

რუსეთის დედაქალაქში ქართველი სპორტსმენი, მკლავჭიდის საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი გია გვიჩიანი მოკლეს. მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ჯაჭვლიანი აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია მოკლულის ნათესავებმა აცნობეს. მოსკოვიდან გიას დეიდა დამიკავშირდა და ქართულ საინფორმაციო საშუალებებში ამ ცნობის გავრცელება მთხოვა; გიას ნათესავები დარწმუნებულები არიან, რომ მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდაო, — განაცხადა სოსო ჯაჭვლიანმა. მისი თქმით, გიას სწორედ ბოლო დროს გამწვავებულ რუსულ-ქართულ ურთიერთობებთან დაკავშირებით მოუხდა შელაპარაკება, რასაც საბედისწერო შედეგი მოჰყვა. შესაძლოა, გვიჩიანის მკვლელობა მოსკოვში მოქმედ ნაცისტურ დაჯგუფებას — „სკინჰედებსაც“ უკავშირდებოდეს.

საინტერესო ცნობა გაავრცელა საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტი-გრუზიამ“: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო ტრანსპორტის მიმოსვლა შეწყვეტილია, 4 ოქტომბერს თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდა თვითმფრინავი „იაკ-40“, რომელიც კერძო პირების მიერ იყო ნაქირავები. „რეისი ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაეშვა თბილისის აეროპორტში და მას დადგენილი პროცედურის მიხედვით მოვემსახურეთ“, — აღნიშნა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრისას აეროპორტის თანამშრომელმა. სააგენტო „როსბალტის“ ცნობით, „იაკის“ ბორტზე 5 მგზავრი იმყოფებოდა, რომლებმაც ყოველგვარი კომენტარის გარეშე დატოვეს აეროპორტი. ■

რუსეთი აკრძალული თამაშების გამოყენებას აპირებს

დასაწყისი იხ. გვ. 4

— მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლებამ ეს საკითხი წინასაარჩევნოდ გამოიყენა?

— დიახ და მართალი გითხრათ, არ შეიძლება, ყველა საკითხის პოლიტიზება და წინასაარჩევნო კამპანიის კონტექსტში განხილვა. ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ამ საკითხის აუიტირება ამ ეტაპზე მისთვის მომგებიანი იქნებოდა. არადა, რუსეთთან ურთიერთობა არ არის ხელწამოსაკრავი საკითხი, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს პოლიტიკა ექსტრემალური სპორტი ჰგონიათ და მიაჩნიათ, რომ ვინც უფრო მაგრად, ასე ვთქვათ, „უკბენს" რუსეთს, უფრო მაგარი ტიპია.

მოსალოდნელია დივერსიული აქტები, რომლებსაც 15 წელია, რუსეთის დაზვერვა და სპეცსამსახურები ახორციელებენ

— გამოდის, საქართველო იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ რუსეთთან ულტიმატუმის ენით ლაპარაკს არ ერიდება.

— რა თქმა უნდა. მართალია, რუსეთი ჩვენი სერიოზული ოპონენტია, ზოგიერთ შემთხვევაში, მტერიც არის, მაგრამ ქვეყნებს შორის ურთიერთობას აქვს თავისი დიპლომატიური ჩარჩოები და მათი დარღვევა, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნისთვის იქნება საზიანო. ვიღაცა დაინტერესებულია, საქართველო მუდმივად საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყოს, მაგრამ მისთვის არა აქვს მნიშვნელობა — ნეგატიურად თუ პოზიტიურად... გამორიცხულია, საქართველო იყოს მსოფლიო პოლიტიკის ჭიპი, ეს არის ილუზია, რომელსაც კარგი შედეგი არ მოჰყვება.

— ბოლო დროს, რუსი პოლიტიკოსები ხშირად ლაპარაკობენ შეიარაღებულ დაპირისპირებაზე...

— პირდაპირი საომარი მოქმედებების დაწყება გამორიცხულია, მაგრამ რუსეთს აქვს ძალზე დიდი რესურსები — იგივე აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ყოფილი „უფროსი ძმის" მხრიდან სერიოზულ საფრთხეს, აგრეთვე შეიძლება წარმოადგენდეს ჩრდილოეთ-კავკასიელთა გადმოსროლის პერსპექტივა... ერთი სიტყვით, მას შეიარაღებული კონფლიქტის დასაწყებად, თავისი რეგულარული სამხედრო ძალების ჩართვა არც დასჭირდება.

— რუსული მხარის მტკიცებით, ეს ოპერაცია ამერიკის მიერ იყო დაგეგმილი...

— ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლებას ამერიკის დახმარების გადაჭარბებული იმედი აქვს. ამერიკელები ასეთ რჩევას ჩვენს მთავრობას არ მისცემდნენ, უბრალოდ, ჩვენებს ჰგონიათ, რომ ამერიკის მხარდაჭერა ნებისმიერ სიტუაციაში ექნებათ. თუმცა, პოსტსაბჭოთა სივრცეში, ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომლის მეშვეობითაც მას რუსეთთან ლაპარაკი შეუძლია.

ბესო ალადაშვილი, *გადამდგარი პოლკოვნიკი, ექსპერტი სპეცსამსახურების საკითხში:*

— როგორც ცნობილია, რუსი ოფიცრები სამხედრო დაზვერვის ოპერატიული თანამშრომლები იყვნენ, რამდენიმე რგოლს ხელმძღვანელობდნენ, რომლებშიც მათ მიერ გადაბირებული ქართველი მოქალაქეებიც შედიოდნენ. სპეცსამსახურებში არსებული წესების მიხედვით, აგენტობაში ეჭვმიტანილ 12 ქართველ მოქალაქეს ისე უნდა ემოქმედა, რომ ერთმანეთი არც სცნობოდა... რუსეთის მზვერავები პირველად აზერბაიჯანში დააკავეს. თუმცა, მაშინ მათი რეაქცია ასეთი ისტერიკული არ ყოფილა. საბჭოთა კავშირის და რუსეთის დაზვერვა აგენტურას, რომელიც სხვა ქვეყანაში მუშაობს, ყოველთვის აღმატებულად — მზვერავებად მოიხსენიებს, ხოლო უცხო ქვეყნის აგენტებს, რომლებიც რუსეთში მუშაობენ, — ჯაშუშებსა და აგენტებს უწოდებს... ზოგადად, დაზვერვა დღევანელ მსოფლიოში ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი და წყალი. აბსოლუტურად ყველა ქვეყანას აქვს შესაბამისი სტრუქტურები, რომლის ამოცანაც, საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებაა. თუმცა, თუ კარგად ვიმუშავებთ და ძლიერი ანალიტიკოსები გვეყოლება, მათი შეჩერება შეიძლება. XX საუკუნეში ყველაზე გახმაურებული შემთხვევა 1971 წელს მოხდა, როდესაც ინგლისიდან 105 საბჭოთა მზვერავი გამოაძევეს, მათ შორის — „კაგებეს" და „გრუს" თანამშრომლები. მეორედ, 1983 წელს, საფრანგეთში 140-მდე საბჭოთა აგენტი გამოააშკარავეს... სხვა შემთხვევებში, საზოგადოება უმეტესად ვერც იგებს — რატომ დატოვეს ამ ადამიანებმა ქვეყანა. ეს ყველაფერი წლების შემდეგ ხდება ცნობილი. ამით სახელმწიფოები ერთმანეთის პრესტიჟსაც უფრთხილდებიან: ბოლოს და ბოლოს, ყოფილა შემთხვევები, როდესაც იგივე ინგლისელები ან ფრანგები რუსეთში დაუკავებიათ და უკან დაუბრუნებიათ. ჩვენს შემთხვევაში, რუსეთის რეაქცია პოლიტიკურია. ისინი საქართველოს ისე არ ელაპარაკებიან, როგორც თანასწორ სახელმწიფოს. საგულისხმოა პუტინის კომენტარი და მუქარანარევი სიტყვები, როდესაც უშიშროების საბჭოს წევრებს უთხრა: ახლა მოვისმინოთ სამოქალაქო და სამხედრო უწყებების ხელმძღვანელთა აზრიო.

— რას გულისხმობთ?

— ვფიქრობ, მოსალოდნელია დივერსიული აქტები, რომლებსაც 15 წელია, რუსეთის დაზვერვა და სპეცსამსახურები ახორციელებენ და კვლავაც გააგრძელებენ. როცა რუსი ოფიცრები დააკავეს, ის ადამიანები წარმომიდგა თვალწინ, ვინც არ ჩანს და გაცილებით მაღალ დონეზე მუშაობს... უთუოა — მათ ხელშემწყობი ჩვენს ხელისუფლებაშიც ეყოლებათ, რადგან როდესაც სპეცსამსახური ცდილობს, რომ პოზიციები განიმტკიცოს, ხალხის გადაბირებას ათწლეულების განმავლობაში ახორციელებს. ასე რომ, ამ კუთხით, საქართველოს კონტრდაზვერვის სამსახურებს სამუშაო საკმაოდ აქვთ... ■

სარეპეტიტორო სკოლა

ს ტ ს

მოამზადებს აბიტურიენტებს
უმაღლეს სასწავლებლებში
ჩასაბარებელი ტესტებისათვის:

ქართული, მათემატიკა,
უცხო ენა, ზოგადი
უნარ-ჩვევები, ისტორია

☎ 22 69 15; 91 31 62

„რუსეთთან დათმობაზე არ უნდა წავიდეთ“

— მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ამას უარყოფენ, რუსეთის მიერ დაწესებული სანქციები (თუნდაც, ენერგეტიკის სფეროში) ჩვენი მოსახლეობის ყოფაზე აისახება. რა რესურსი აქვს ქვეყანას რუსეთის ეკონომიკური აგრესიის მოსაგერიებლად?

გია თორთლაძე, *„დემოკრატიული ფრონტის“ ერთ-ერთი ლიდერი:*

— საქართველოს ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა რუსეთს ჩაუგდო ხელში. არ შეიძლება, ენერგეტიკა, პორტები ისეთ ქვეყანას მიჰყიდო, რომელიც ულტიმატუმებით, როგორც საკუთარ გუბერნიას, ისე გელაპარაკება. ისე, რუსეთი რაც უფრო ადრე შეგვიწყვეტს გაზისა და დენის მოწოდებას, მით უკეთესი, რადგან უფრო ადრე მოხდება ალტერნატიული გზების მოძიება. რუსეთს 15 წლის წინ რომ მიეღო გადაწყვეტილება, გაბრაზებულიყო და ენერგომატარებლების შემოტანა სამუდამოდ შეეწყვიტა, ჩვენ დღეს ბლოკადით ვეღარ შეგვაშინებდა. ამ თემით რუსეთი მანიპულირებს, გვეთამაშება, რომ მუდმივად წნეხის ქვეშ გვამყოფოს. მოსკოვი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავარწმუნოთ, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელთანაც შანტაჟის ენით ლაპარაკი არ შეიძლება. გამოგვიცხადონ ბლოკადა, მერე რა?! არც ერთი ქვეყანა, რომელსაც საკუთარი ენერგეტიკული რესურსები არა აქვს, ბუნებრივი აირისა და დენის გარეშე არ დარჩენილა. არც ჩვენ დავიღუპებით და ენერგომატარებლებს სხვა ქვეყნებიდან შემოვიტანთ. რუსეთთან რაც მალე გაირკვევა სიტუაცია, მით უკეთესი იქნება. ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას. საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტებთან დაკავშირებითაც არ უნდა წავიდეს დათმობაზე. ჩვენ სასწრაფოდ უნდა მოვახდინოთ დაგომისის ხელშეკრულების დენონსაცია, რაც სამართლებრივ საფუძველს გამოაცლის რუსეთის შენაერთების აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ყოფნას. ე.წ. სამშვიდობო ძალები ჩვენს ტერიტორიას დატოვებენ. რუსეთი ღია შეიარაღებულ დაპირისპირებაზე ვერ გადავა. ჟირინოვსკის გაფრენებს ან მიტროფანოვის მუქარას კი მსოფლიო სხვა თვალით უყურებს. ■

„ყველა ძლიერ სახელმწიფოს საქართველოში ჯაშუშები ჰყავს“

— რუსეთის ჯაშუშების დაპატიმრების შემდეგ, კვლავ აქტუალური გახდა ლუსტრაციის კანონის მიღების საკითხი. ოპოზიცია ხელისუფლებაში მყოფ აგენტებზე ლაპარაკობს, სახელისუფლებო პარტია კი, ოპოზიციას ჯაშუშების პოვნას საკუთარ რიგებში ურჩევს...

ვალერი გელბახიანი, *პარლამენტის წევრი:*

— წლების წინ, ყველა პოსტსოციალისტურმა ქვეყანამ, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ლუსტრაციასთან დაკავშირებით გარკვეული ნაბიჯები გადადგა: აღმოსავლეთ გერმანიამ, ბალტიის ქვეყნებმა, პოლონეთმა, ჩეხეთმა მიიღეს სათანადო საკანონმდებლო აქტები და საზოგადოების სერიოზული ფილტრაცია დაიწყეს. საქართველოში თავის დროზე, ამის გაკეთება მართებულად არ მიიჩნიეს. საბჭოთა კავშირში ვინც დაიბადა, თვითონ, მისი მამა, ბაბუა ან ახლო ნათესავი შეუძლებელია, არ ყოფილიყო რომელიმე საბჭოთა სტრუქტურასთან ურთიერთობაში. მათ შორის იყვნენ მეცნიერებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამიტომ ვერ გაბედა ვერც ერთმა ხელისუფლებამ ჩვენში, ლუსტრაციის დაწყება, რადგან სახელისუფლებო პარტიაც ხომ ადამიანებისგან შედგება, ამ ადამიანებს კი, თავის წარსული აქვთ. დღეს რა კანონპროექტიც არსებობს, მისი დამტკიცება შედეგს არც კი გამოიღებს: ეს კანონპროექტი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სამსახურებთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს გამოააშკარავებს. ლუსტრაცია კი, იმას ნიშნავს, რომ მოხდეს ყველა ადამიანის გაშიფვრა, ვინც რომელიმე უცხოურ სპეცსამსახურთან თანამშრომლობს. საქართველოთი მხოლოდ რუსეთი არ არის დაინტერესებული. ჩვენ გეოპოლიტიკურად ვიმყოფებით კავკასიის ისეთ რეგიონში, რომ გამორიცხულია, ძლიერ სახელმწიფოებს აქ ინფორმატორები არ ჰყავდეს. აშშ, გერმანია, თურქეთი, საფრანგეთი, ირანი, ისრაელი — ამ ქვეყნებს ყველაზე დიდი აგენტურული ქსელი აქვთ. მათი თანამშრომლები იმაზე უკეთ მუშაობენ, ვიდრე რუსეთის ჯაშუშები, რომლებსაც ისე უსმენენ და უთვალთვალებენ, რომ აზრზე ვერ მოდიან... ლუსტრაცია თუ მოხდება, ყველა ქვეყნის ჯაშუში უნდა გამოაშკარავდეს. მხოლოდ წარსულში ქექვითა და პოპულისტური განცხადებებით საქმე ვერ გაკეთდება. ■

„საქართველოს ხორბლის 3 თვის მარაგი აქვს“

— 1 ტონა ხორბლის ფასი 40 დოლარით გაძვირდა. რუსეთის მიერ დაწესებულ ბლოკადაში ხორბლის იმპორტიც მოხვდა. შეიქმნება თუ არა პურზე დეფიციტი და გაიზრდება თუ არა მისი ფასი?

ნიკოლოზ გუგუშვილი, *სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი:*

— რუსეთის ბაზარზე ხორბალი გაძვირდა. საქართველოში ამ ქვეყნიდან დაახლოებით 378,9 ათასი ტონა ხორბლის იმპორტი ხორციელდებოდა, თუმცა ჩვენი მეწარმეები, ფასის ზრდისა და რუსეთთან გართულებული ურთიერთობის გამო, ყაზახეთის, უკრაინისა და თურქეთის ბაზრებზე უკვე გადაერთვნენ. ამასთან ერთად, პირველი სექტემბრიდან საბაჟო ტარიფიც შემცირდა. წლეულს საქართველოში ხორბლის მოსავალიც კარგი იყო. ამ ფონზე, ცხადია, პურის გაძვირების საფუძველი არ არსებობს. ყაზახეთი, უკრაინა და თურქეთი მზად არიან, საქართველოში ნებისმიერი რაოდენობის ხორბლის იმპორტი განახორციელონ. ქვეყანაში 3 თვის მარაგი ისედაც არსებობს და მიუხედავად რუსეთის მხრიდან ხელოვნურად შექმნილი პრობლემებისა, საქართველოში ყოველდღიურად, საკმარისი რაოდენობის ხორბალი შემოდის. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამერიკიდან 30-40 ათასი ტონა ჰუმანიტარული ხორბლის შემოტანასთან დაკავშირებითაც. უახლოეს პერიოდში, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. საქართველოს მოსახლეობა წელიწადში დაახლოებით 800 ათას ტონა ფქვილსა და ხორბალს მოიხმარს. ნაწილს ადგილობრივი მოსავალი დაფარავს და როგორც უკვე ვთქვი, ნაწილი უცხოეთიდან უპრობლემოდ შემოვა. მოსახლეობას და მეწარმეებს შეშფოთების საფუძველი არა აქვთ. კრიზისზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. გამორიცხულია მასზე ფასის მომატებაც. ჩვენი ქვეყანა ასეთ მოულოდნელ პრობლემებს ყოველთვის მომზადებული შეხვდება. ■

ნაწილი და გურამი

ტკბილ მოგონებად დარჩება ანუ რა ცვლილებებია „ლამის შოუში“

ლალი ფაცია

რატომღაც ისე მოხდა, რომ ჩვენში ბოლო წლებია, იუმორისტულ ტელეპროდუქციაზე საზოგადოებას დიდი მოთხოვნილება გაუჩნდა. ეს ჩემი დაკვირვებით მას მერე შეიმჩნევა, რაც შოუბიზნესმა „მიიძინა“. მაყურებელმა გულით შეიყვარა „შაბათის შოუს“ პერსონაჟები. ამათგან ყველაზე რეიტინგულები მაინც ვანო ჯავახიშვილი და მიშა ანდღულაძე აღმოჩნდნენ. ახალ სატელევიზიო წელს „ლამის შოუ“ და მისი ხელმძღვანელი — დათო გოგიჩაიშვილი ცვლილებებით შეხვდნენ. დათომ უარი თქვა წამყვანობაზე და ესტაფეტა ვანო ჯავახიშვილს გადასცა.

3 ოქტომბერს ვანო უკვე ახალ ამპლუაში წარდგა მაყურებლის წინაშე. გადაცემის ჩაწერის წინ, საშუალება მომეცა, „ლამის შოუს“ კულისებში ვყოფილიყავი და მათ „სამზარეულოშიც“ შემეჭყიტა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გუნდი ღელავდა, რაც ბუნებრივად მივიჩნიე — „ლამის შოუს“ რიგით მეორე წამყვანი უნდა წარედგინა საზოგადოებისთვის. თავად ვანო წამყვანის ტექსტს გულმოდგინედ ჩასჩერებოდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ირგვლივ მყოფების დარიგებებს მშვიდად ისმენდა. გამოცხადდა თუ არა — „ლამის შოუს“ ვანო ჯავახიშვილი გაუძღვებაო, დარბაზმა ტაში დასცხო. ვანომაც ყველას გაულიმა და წამყვანის სკამი მორიდებით დაიკავა...

როგორც გაირკვა, დავით ილურიძის ბენდმაც ცვლილებები განიცადა: გადაცემიდან წავიდა თავად დავით ილურიძე, რომელიც თამუნა ლეკვეიშვილმა შეცვალა. გუნდმა ასე გადაწყვიტა: რახან ახალი წამყვანი — მაშინ ბენდის ახალი ხელმძღვანელიცო. ასე რომ, იმ დღეს აღნიშნულ ამპლუაში თამუნას დებიუტიც შედგა.

ვანო ჯავახიშვილს პირველ სტუმრად მისი განუყრელი პარტნიორი და მეგობარი, გასულ ზაფხულს დაოჯახებული მიშა ანდღულაძე ჰყავდა მიწვეული. პირველი გადაცემა ვანომ ოსტატურად „ჩაარიხნა“, მერე ჩემთვისაც მოიცალა და, მიშა ანდღულაძესთან ერთად, ჩვენს რუბრიკაშიც აღმოჩნდა.

ჟურნალისტი – მიშა ანდღულაძე
რესპონდენტი – ვანო ჯავახიშვილი

— ვანო, როგორც ვიცით, „ლამის შოუს“ წამყვანი გახდით, „გაქაჩავთ“?

— არ ვიცი, მიშა, გავქაჩავ თუ არა, მე უშენოდ რა მეშველება, არ ვიცი. ვნახოთ. იმედი მაქვს, ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ გადაცემას კარგი რეიტინგი ჰქონდეს.

— მართალია, „ლამის შოუს“ წამყვანი გახდით, მაგრამ „შაბათის შოუში“ ჯერ არავინ ჩაგნაცვლებიათ. მოხდება თუ არა ეს ცვლილება?

— სხვათა შორის, ძალიან კარგი კადრები არსებობენ. ახლო მომავალში მათი „ჩანაცვლება“ მოხდება. პირობას ვაძლევ ტელემაყურებელს, მკითხველს, რომ თქვენ — „შაბათის შოუს“ ჯგუფი შეძლებთ ძველებურად მუშაობას და რეიტინგს ისევ შეინარჩუნებთ. ისე, როგორც ვხედავ, უჩემოდაც უკვე კარგად უძღვებით საქმეს.

— მთლად მასეც არ არის, ჩემო ვანო... ახლა მინდა, დიდი სიყვარულით, დაოჯახება მოგილოცო.

— არა, მიშიკო, პირიქით უნდა ყოფილიყო. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და შენ მოგილოცო დაოჯახება.

— ესე იგი, მე ვულოცავ ჩემს თავს?

— დიახ.

— ისე, ასე უფრო სწორი იქნება, რადგან მე დავოჯახდი. მართალია, მაშინ — მალე მომელოცოს. სტუმრების მიმართ მკაცრი წამყვანი იქნებით?

— ძალიან მკაცრი, მომთხოვნი. მათგან განსაკუთრებით, გაკვეთილის ჩაბარებას ვითხოვ, თავიდან ბოლომდე. ბავშვებს უფრო მეტად, ნორმატივების ჩაბარებას მოვთხოვ.

— „ლამის შოუში“ მილებულ გასამრჯელოს რაში დახარჯავთ?

— კანფეტებში.

— ალბათ, კანფეტებში იგულისხმება ისეთი რამ, რაც ჩვენს სულში დევს და კიდევ დიდხანს იარსებებს, ხომ?...

— ჰო, კანფეტები.

— ფეთქებადი თუ ხართ?

— არა, ფეთქებადები ბუმბერაზი პიროვნებები არიან, მიშა, მე ბუმბერაზი არა ვარ.

— უნდა გავხდეთ ბუმბერაზები...

— არა, კორიფე არა ვარ...

— ოდესღაც ხომ შეიძლება, კორიფეების რიგს თქვენი სახელიც მიემატოს?!

— თუ ღატაკი კორიფეების რიგს მივეკუთვნებით, მიშა, მაშინ...

— ესე იგი, წუწუნებთ...

— ვწუწუნებთ.

— კარგია, საუკეთესო თავდაცვაა წუწუნი. სხვათა შორის, ასე წუწუნებდა ბადრიც.

— რომელი ბადრი?

— ლუდის ბადრი... ერთ დღესაც დანაზოგებით ბევრს მიაღწია... რა ზომის ფეხი გაქვთ?

— ძალიან პატარა.

— მაინც?

— 40-41. ორივე ზომა კარგად მაქვს.

— იმდენად ვარ თქვენ მიმართ სიყვარულით განმსჭვალული, რომ მე მაინც 43 ზომაზე ნაკლებს არ მოგცემდით.

— მეც ასე ვფიქრობ და ყველა ჩემი ნათესავი ასე მეუბნება — 43-ზე ნაკლებ ფეხის ზომას არ მოგცემდითო, — მაგრამ 40 მაქვს.

— გაზრდის პერსპექტივა არ არსებობს?

— არა, რადგან შაბათს (7 ოქტომბერს) უკვე 25 წლის ვხდები.

— იცით, ფეხსაცმელზე რატომ ჩამოვაგდე ლაპარაკი? სახლში მაქვს ისეთი ფეხსაცმელი, რომელსაც აღარ ვიცვამ. სხვათა შორის, ძალიან კარგი ნახმარია. საერთოდ, გემრიელი ხმარება ვიცი. დიდი-დიდი, გაცვდეს ისა...

— *(პასუხს არ აცლის)* „პადოში“?

— არა, რეზინა. „პადოში“ რჩება.

— რას ამბობ?!

— ჰო, „პაკრიშკებს“ რომ პროტექტორები აქვს, რეზინის პატარა „ხიჭვები“, დიდი-დიდი, ისინი გაცვდეს... ვანო, როდის აპირებთ დაოჯახებას?

— ჯერ არ ვაპირებ.

— ეს „ჯერ“ რამდენ ხანში იქნება?

— არ ვიცი, მიშა, არ ვიცი...

— რომ დაოჯახდებით, ისევ თემქაზე აპირებთ ცხოვრებას?

— რომ დავოჯახდები, ალბათ, ცოლს მოვიყვან.

— ასე გაქვთ გადაწყვეტილი?

— დიახ.

— ძალიან კარგი. ამ ბოლო დროს ეკონომიკური და ასე ბევრი აკეთებს.

— იცით, რა? ახლა ასეთი მოდა შემოვიდა: ვისაც ოჯახის შექმნა უნდა, აუცილებლად ცოლი უნდა მოიყვანოს.

— თან, ცოლი რატომღაც, მდედრობითი სქესის არის ხოლმე. თუმცა, გამონაკლისებიც არის, როცა მდედრობითი სქესის არ არის. მაგრამ გეტყობათ, რომ თქვენ მოდას მიჰყვებით.

— დიახ.

— გასაგებია... რამდენი ხანია, ბაზრობაზე არ ყოფილხართ?

— 5 დღეა.

— ესე იგი, ელიტისგან მაინც ჯერ შორს ხართ, ხომ?

— მართალია. მე ელიტას ვუახლოვდები, მაგრამ ჯერ არა ვარ ელიტის წარმომადგენელი, რადგან ბაზრობას მაინც გვერდს ვერ ავუვლით.

— შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო ჯამში, ყველანი ბაზრობის შვილები ვართ, არა? ძალიან სასიამოვნოა. შეგიძლიათ, ამოისუნთქოთ?

— აუჰ *(ამოისუნთქა)*.

— ისე, გოგიჩას სკამზე რომ დაჯექი, რა იგრძენი?

— თავი უხერხულად ვიგრძენი: მაინც, მაგ სკამზე ადრე გოგიჩა იჯდა და... ამიტომ, ცოტა მორიდებულად ვიყავი. დავიძაბე კიდეც. მერე ცოტა გავიხსენი და თავისუფლად ავმოქმედდი. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ფიქრისგან უსასრულობაში გადავვარდებოდი, მიშა!

— ნამდვილად. როგორ ატყობთ, სტუმრებთან უშუალო კონტაქტი გიადვილდებათ?

— სტუმარსაც გააჩნია...

— დავუშვათ, სტუმრად 87 წლის გამოჩენილი მოხუცი გყავთ, გაგიადვილდებათ?

— გამიადვილდება. გავიხსენებთ ჩვენს წარსულს — მეც და მასაც ხომ გამოვლილი გვაქვს კომუნისტების პერიოდი!..

— იმის შიში არა გაქვთ, რომ თქვენ მოხუცი სტუმარი უეცრად თქვენს გადაცემაში დაბერდეს?

— არა, რადგან გადაცემა 45 წუთი გრძელდება. მაგრამ თუ 50 წუთამდე გავაგრძელებთ, შეიძლება, დაბერდეს.

— მე რომ შემოვედი სტუდიაში და შენი გადაცემის პირველი სტუმარი ვიყავი, რა გრძნობა დაგეუფლა?

— რომ დაგინახე, რაღაც ნოსტალგიური განცდა გამიჩნდა, გამახსენდა ის პერიოდი... ერთად რამდენი დრო გვაქვს გატარებული და გამოვლილი: „კავკენიდან“ ერთად მოვდივართ, რუსეთში დავდიოდით... მეტი ისეთი რა გვქონდა?

— დღეში ერთი ლარი გვქონდა.

— ჰო, ჰო. ძალიან განვიცადე, რომ ამ გადაცემის გამო განვშორდით ერთმანეთს.

— მეც, რომ დავფიქრდები ხოლმე, შიგნიდან ცრემლი მერევა, რაც გარედან არ მეტყობა.

— მე მენატრება „პადზემკის“ ფენოვანი ხაჭაპური...

— მეც მენატრება, ჩემო ვანო...

ჟურნალისტი – ვანო ჯავახიშვილი
რესპონდენტი – მიშა ანდღულაძე

— მიშიკო, თავს როგორ გრძნობ „შაბათის შოუში“ ჩემ გარეშე?

— ძალიან მიჭირს. ხანდახან ვგრძნობ, რომ რაღაც დიდი ნაწილი ჩემს სხეულს აკლია და ეს დიდი ნაწილი შენ ხარ.

— ჩვენს დუეტებს რამე ახალი ჩაენაცვლება?

— არა მგონია, რომ ისეთი ბუმბერაზული და კოლოსალური ისტორია და ლეგენდა, რაც ჩვენს დროს არსებობდა, განმეორდეს... თუმცა, როგორც ვიცი და ჩვენი მეზობლები გვეუბნებიან ხოლმე, ისტორია მეორდება, და ალბათ, განმეორდება.

— როგორ ფიქრობ, „შაბათის შოუს“ დიდი ძალა აქვს?

— ალბათ, კი. ხალხში მაინც დადებით ემოციებს აღვძრავთ. ხალხი ამით სუნთქავს, რითიც იგრძნობა, რომ ისინი ცოცხლები არიან, მათ გადაადგილება შეუძლიათ, უხარიათ... მგონი, ან ჩვენ, ან — სააკაშვილი, ასეთია არჩევანი...

— მანქანაზე ამორტიზატორები კარგი გაქვს?

— ერთი თვის წინ გამოვცვალე.

— ძვირი დაგიჯდა?

— არა. ისე, ამორტიზატორებში რას გულისხმობ? ალბათ, ისევ ამორტიზატორებს, არა?

— კი.

— ჰოდა, სულ 100 ლარი დამიჯდა, დაშლილი მანქანის ნაწილებში, „ებრაელებში ავაგდე“ და, სხვათა შორის, გამოდგა, კარგია. შენ რა ქენი?

— ახლა და აქ მე ვსვამ შეკითხვებს!

— უკვე ასეა?.. უეცრად გავერთე...

— რას ფიქრობ, როგორი ადამიანია ვასილ ფხაკაძე?

— შლაკები აქვს ბევრი, რის გამოდევნასაც რაღაც დიდი შინაგანი ძალა უნდა, რომ ეს დასძლიოს. არა მგონია, მას ამის დაძლევის სურვილი არ ჰქონდეს, რადგან ძალიან კარგი ადამიანია, იუმორით სავსე. როგორც მსახიობს, ძალიან ვაფასებ და მინდა, რომ ერთ დღესაც, რომელიმე ავღანური თეატრის სცენაზე ვიხილო. ამის ძალიან დიდი სურვილი მაქვს.

— მეც მინდა, რომ მან ამას მიაღწიოს და ალბათ მიაღწევს, რადგან ვასო ისეთი ადამიანია...

— მოგეხსენებათ, დღევანდელი ქართველი მსახიობის პიკი და ზენიტი — ავღანური თეატრის სცენაა.

— რა თქმა უნდა, უდავოდ. მიშა, თქვენთვის რა არის მთავარი?

— კარგი კითხვაა.

— ამიტომაც დავსვი. რა არის მთავარი — ადამიანებთან ურთიერთობა თუ სამსახური?

— მგონი, ერთი მეორეს არ გამორიცხავს, იცით?

— მადლობა ამომწურავი პასუხისთვის... ქურდული სამყაროდან რატომ წამოხვედით?

— იცით, რა არის? სამსახური და ქურდული სამყარო ერთმანეთს ვეღარ ეწყობოდა; საბოლოოდ, სამუშაო გამოჩნდა და ვეღარ ვახერხებდი „ტუსოვკებზე“ წასვლას. მერე მცემეს, ერთი-ორჯერ მოვიდნენ მთავრობიდან და მცემეს. „ქურდო-ფართები “ გვქონდა ხოლმე, რაც ძალიან სასიამოვნო იყო...

— როგორ ადამიანებთან გიჭირს ურთიერთობა?

— გვერდი რომ აქვთ ხოლმე მონგრეული და ცოტათი ჩამოვარდნილი..

— ცოტა შელანძღული სახე რომ აქვთ, არა?

— ფქვილში მოსვრილი ხელები რომ აქვთ, მათთან მიჭირს ურთიერთობა.

— შეიძლება, ფქვილიანი ხელები რომ აქვთ, ხელის ჩამორთმევა გიჭირს, მაგრამ ურთიერთობა არ გიჭირს შელანძღულსახიანთან?

— კი, კი, გარდამავალ პერიოდში რომ არიან ხოლმე, მათთან განსაკუთრებულად მიჭირს ურთიერთობა.

— და თან, გაუგებარი გა-



7 ოქტომბერს 25 წლის ქორწილი



ან ჩვენ, ან — სააკაშვილი

მომეტყველება რომ აქვთ?

— ჰო, არაფრის მთქმელი თვალები, ტუჩები და ყურები რომ აქვთ.

— თაბახის ფურცელზე დაწერილი ცხოვრება რომ აქვთ...

— რა თქმა უნდა. მხოლოდ და მხოლოდ „მაიკით“ რომ შემოიფარგლებიან და მეტი არაფრით...

— შენთვის კარგი ადამიანი რით არის გამორჩეული?

— მგონი, შესაბამისი ორგანოები უნდა ჰქონდეს: ფეხები, ხელები, თავიც...

— ტანს არ გამორიცხავ?

— შეიძლება, ტანი გამოვრიცხოთ, მაგრამ თავისა და ფეხების გამორიცხვა შეუძლებელია. ადამიანმა ადამიანად ხომ უნდა აღგიქვას. მგონი, ჩვენი სულის სიღრმეში უნდა ჩავიძიროთ, იქ რაღაც არაჰორაციუსისეულია და ვფიქრობ, ეს არც არისტოტელეს დააკმაყოფილებდა თავის დროზე, რაც მგონი, შენ არ გეშლება.

— კატლეტი გიყვარს თუ ხარჩო?

— უფრო — კანტი. ისე, კანტი და კატლეტი რაღაცით ჰგავს ერთმანეთს და განუყოფელია.

— კი, უერთმანეთოდ ისინი არ შეიძლება... ახლა ის მითხარი, დათო გოგიჩაიშვილი როგორი უფროსია?

— ძალიან კარგი ბიჭია. ყველას რომ ასეთი უფროსი ჰყავდეს, მე მგონი, საქართველოში ეკონომიკა, ბიზნესი წინ წავიდოდა. დათო... რაღაც მინდოდა, კიდევ მეთქვა... ის არაჩვეულებრივი ადამიანია, ღირსეული პიროვნება. სადაც მივალ, ყველგან ვაქებ.

— შენი პერსონაჟი — ქალბატონი ნანული სად წავიდა, როგორ არის? ჩვენს გულებს როგორ ახარებდა ხოლმე! ახლა რას იზამს?

— ქალბატონი ნანული, მგონი, ყველა თბილისელისა თუ ზესტაფონელის გულში დარჩება, როგორც ტკბილი მოგონება. მაგრამ გამორიცხული არაფერია, უკეთესს უკეთესი უნდა სდევდეს.

— და ტანმაღალს — ტანმაღალი.

— რა ოქმა უნდა. გრიბოედოვს ყოველთვის — თაქთაქიშვილი...

— კარგი, გისურვებ წარმატებას!

— მადლობა!

ძალიან განვიცადე, რომ ამ გადაცემის გამო განვშორდით ერთმანეთს

ჟურნალისტური „სპეციფერაცია“

ორიოდე კვირის წინ, „კვირის პალიტრის“ ტრადიციულ სარედაქციო თათბირზე მთავარმა რედაქტორმა გიორგი თევდორაშვილმა საინტერესო სიახლე გვამცნო: ვაპირებთ 10 ტონა ყურძნის შესყიდვას და „კვირის პალიტრის“ ეტიკეტიან ბოთლებში ღვინის ჩამოსხმას, რთველში მონაწილეობის მსურველთ კახეთში გეპატიჟებითო. აბა, რომელი ყურძნის მკრეფავები ჩვენ ვიყავით, თანაც — ამ რაოდენობის მოსავლის ასაღებად ჩვენისთანა მკრეფავებს სულ მცირე, ერთი კვირა მაინც დასჭირდებოდათ, ეს კი, უთუოდ ჩაშლიდა სამუშაო პროცესს რედაქციაში, რასაც არავინ დაუშვებდა... მოკლედ, იმთავითვე ცხადი იყო, რომ კახეთში ჩვენი მოგზაურობა ექსკურსიას დაემსგავსებოდა. სასიამოვნო აღმოჩნდა იმის გააზრებაც, რომ მომავალ ახალ წელს „კვირის პალიტრა“ საკუთარი ღვინით აღავლენს ღვთის სადიდებელს, შესვამს სრულიად საქართველოს და მშვიდობის სადღეგრძელოებს და, რაღა თქმა უნდა, დავლოცავთ ძვირფას და ერთგულ მკითხველს, რომლის დიდ არმიაში ის ხალხიც შედის, ვისაც ამ გაზეთის ახალი ნომრებით პირდაპირ ვენახში ვესტუმრეთ...

ეკა ლომიძე

ჟურნალისტური „სპეციფერაცია“ სახელწოდებით — „რთველი“, 27 სექტემბერს დილაადრიან დაიწყო. თუმცა, „კვირის პალიტრის“ ბრიგადამ რთველში გასვლა მაინც დააგვიანა. აბა, კახელ გლეხს რას შევედრებოდით? — ის ხომ დილით, მზეს ასწრებს ვენახში გასვლას და შრომაში გართულს უღამდება!..

გზაში გაირკვა, რომ ჩვენი რაზმი გრემში ერთ-ერთი ადგილობრივი გლეხის — ლევან ბარძიმაშვილის ვენახში უნდა „დაბანაკებულიყო“.

ზვრებში ისე აცხუნებდა, თითქოს მზეც საგანგებოდ ჩამდგარიყო ვაზის რიგებში ყურძნის დასაკრეფად, სხივები კი ქარვისფერ მტევნებში მადისაღმძვრელად ჩაწურულიყო და გულს ახარებდა. ყველა და ყველაფერი უზომოდ თბილი იყო — ხალხიც, გარემოც, ყურძენიც... ზვრებს ცისკენ ლოცვად ხელაღპყრობილივით გადმოსდგომოდა თავზე გრემის დიდებული ტაძარი. „ამის მადლით ვართ ძლიერნი. ყოველ ცისმარეს ვენახში გამოსვლისას გრემს ავხედავთ, ღმერთს შენდობას ვთხოვთ და მადლობას აღვავლენთ მისგან ნაბოძები კიდევ ერთი დღის გამო, მერე ვიწყებთ შრომას. ჰოდა, გვწყალობს უფალი, სარჩო-საბადებელს გვაძლევს, — მითხრა გოგია პაპამ, პირდაპირ ვენახში მიტანილი ჩვენი გაზეთის ახალი ნომერი ღიმილით გადაფურცლა და დასძინა: — ე რა ფოსტალიონები მოგვივლია

ღმერთმა! ამ ჩვენი გაზეთის საყიდლად, ყვარელში უნდა ჩავსულიყავი, თქვენ გაგახარათ ღმერთმა!..“

ცოტა ხნით გლეხები დავასვენეთ, ვედროები, დანები და მაკრატლები ჩამოვართვით და ვენახის რიგებს შევესიეთ. ატყდა მხიარული ჟრიამული. ზოგმა სიმღერაც შემოსძახა, „ნაზო ქალწულო, დალალდაწნულო, ვაზო, შენ გამო არ ვართ მოცლილი...“; „ღვინოვ კახურო, ვარ შენი მსმელი...“ ვიხუმრეთ კიდეც: რომ არა რუსების მთავარი სანიტრის ონიშჩენკოს ხუშტურები, ამ შემოდგომაზე რთველში ტურისტულ გასეირნებაზეც არ ვიფიქრებდით-თქო.

ჩვენმა სამხედრო ექსპერტმა ირაკლი აღადაშვილმა კინაღამ რთვლის „გენერლობა“ მოინდომა, ისე გაუტია ვენახში, ვედროს ხელიდან ვეღარ ვაგდებინებდით. ე რა გამრჯე კაცი გყოლიათ, რათ აცდენთ ქალაქში, აქ დაგვიტოვეთო, — გვითხრეს კახელებმა. ირაკლიმაც შეიფერა ქება და აღნიშნა — ღვინო თუ გიყვარს, ყურძნის კრეფაც უნდა გიყვარდესო!..

გაგახაროთ ღმერთმა, გაგვახალისეთო! — ილოცებოდნენ ჟურნალისტების ცელქობით გამხიარულებული გლეხები.

წყალი მოგვწყურდა. აღმოჩნდა, რომ იქვე, ტყის პირას მიწიდან ამოდიოდა გემრიელი წყარო, რომელსაც გრემელები რატომღაც, „ციურას წყაროს“ ეძახიან. კახეთში ღვინო უფრო მეტია, ვიდრე სასმელი წყალი, ამიტომაც იქაურებისთვის წყალსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და წყლით დალოცვაც ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. „ციურას წყაროზე“ ღვთის შეწევნა და წყლის ძალა ვუსურვეთ ერთმანეთს და ისევ ვენახს მივუბრუნდით.

გლეხებს რთველში თანადგომა ახარებთ, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ მევენახის პრობლემები მხოლოდ ყურძნის რეალიზაციით არ ამოიწურება. გოგია პაპამ, რომელსაც მთელი ცხოვრება ვაზის მოვლასა და ფერებაში გაულევია, ალალად გაგვიმხილა კახელი გლეხის სატკივარი: „ძნელია, ზუსტად იმის თქმა, თუ როდის და სად იწყება მევენახის პრობლემა, მაგრამ ის კი ზუსტად შეგვიძლია გითხრათ, რომ ეს პრობლემები კარგა ხანია, საერთოდ არ მთავრდება. თითქოს სულ განსაცდელში ვართ, ვენახის დამუშავების პირველი დღიდანვე. ყველაზე მძიმე კი, მაინც, შეწამვლაზე ფიქრია. ყოველწლიურად ძვირდება წამალი, ყურძნის სარეალიზაციო ფასი კი იმდენად მცირეა, რომ არც ჩვენს შრომას შეეფერება და ერთბაშად, არც იმისთვის გვყოფნის, რომ ოჯახიც ვარჩინოთ და ვაზსაც მივხედოთ. კრედიტის გამოტანის გარეშე წამალს ვერ ვყიდულობთ. კრედიტი კიდევ, პროცენტიანია და ვალდებული ხარ, უმოკლეს ხანში გაისტუმრო, აპრილში გამოტანილი ფული ნოემბერში უნდა დააბრუნო. ზოგჯერ ისე ხდება, რომ კრედიტს ვისტუმრებთ და ზამთრის გადასაგორებლად „კაპიკი“ აღარ გვრჩება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მოსავალმა არ გაამართლოს! შავ დღეში ჩავცვივდებით, ბანკის ვალსაც ვეღარ გავისტუმრებთ. კარგი იქნება, კრედიტი ორწლიანი რომ იყოს. თუ წელს არ გაგვიმართლებს, საგაისოდ ივარგებს ვენახი და ვალში ჩავარდნის შიშით, მუდმივ გულისხმიერებაში აღარ ვიქნებით. წელს გაზაფხულზე ცუდი ამინდების გამო, ბევრ გლეხს გაუფუჭდა ვენახი. ზოგან ისეა, გაივლი და მტევანს ვერ ნახავ ვაზზე. ვისაც მარტო ვენახი არა აქვს, ის კიდევ, გაიტანს თავს, მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც ნოემბერი კარზე მოსდგომია და ცარიელა ვენახის შემხედვარეს, ბანკის ვალი გულზე ლოდად აწევს?..“ ასეთ მდგომარეობაში ძნელია გლეხის ნუგეში, თუმცა, ნუგეშს არც ითხოვს არავინ. მხოლოდ ის უნდათ, რომ ხელისუფლებამ ერთ დღესაც, მევენახეთა. რჩევების საფუძველზე, შეიმუშაოს სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც ერთხელ და სამუდამოდ მოუღებენ ბოლოს ვაზის აჩეხის საშიშროებას. ამასთან, იმასაც ამბობენ, რომ კახეთში თუ ვინმესგან ვაზის აჩეხის მუქარას გაიგონებთ, არ დაიჯეროთ, გაბრაზებულ გულზე ნათქვამია, თორემ,

გლეხი ვაზს ნაჯახს აღარ მიაკარებსო.

პრობლემებზე ლაპარაკით დამძიმებული განწყობილება ერთმა ძველმა ტრადიციამ გამოგვიკეთა: კახეთში სცოდნიათ — ვენახს ხვავი და ბარაქა რომ ჰქონდეს, რთველზე ვინმე მსუქანი უნდა გადააგორონ ვაზის რიგებშიო. კახელმა გლეხებმა ფერხორციან ნინო ბურჭულაძეს დაადგეს თვალი და იმის არ იყოს — ჩიტი ხელის აქშევას ელოდაო, — მისცვივდნენ ნინოს იზო რიკაძე, ნათია გორდელაძე და თვით მთავარი რედაქტორი ბატონი გიორგიც და მოხდენილად გადააგორეს ვენახის პირას...

ხუმრობა იქით იყოს და, გვინდა ვისურვოთ — გაისად, როგორც ბარძიმაშვილების, ასევე ყველა მევენახის ვაზები წელში იდრიკებოდნენ სავსე მტევნების სიმძიმით! ღმერთი შეეწიოთ შრომასა და ლხინში, სადაც უშურველად გვეპატიჟებოდნენ ყველა ოჯახიდან: მაიცათ, სად მიდიხართ, ხალხნო? ციკანი შაიწვება, მწვადი აშიშხინდება, ძველ ქვევრებს მოვხდით თავსა და ერთმანეთი დავლოცოთო!.. ღმერთმა დალოცოს კახეთი და სრულიად საქართველო! ■

„მერი პოლიტიკური ამბიციებისგან შორს უნდა იდგეს“

— წინასაარჩევნო მარათონი დასრულებულია, რა შეფასებას მისცემდით ხელისუფლებისა და ოპოზიციის ბრძოლას გამარჯვებისთვის?

სოსო ცინცაძე, *პოლიტოლოგი:*

— არჩევნების საბოლოო ბედს გადაწყვეტს, ერთი მხრივ, საარჩევნო კანონი, რომელიც არცთუ ისე სახარბიელოა, და მეორე მხრივ, ოპოზიციის ინფანტილიზმი. თუ ოპოზიცია ძლიერია და სწორ მიმართულებას აძლევს საპროტესტო ტალღაზე განწყობილ ელექტორატს, მაშინ ნებისმიერ პირობებში შეუძლია, წარმატებას მიაღწიოს. აქამდე არც ერთ ადგილობრივ არჩევნებს არ მოჰყოლია ისეთი ვნებათაღელვა, როგორიც 5 ოქტომბრის არჩევნებს ახლავს. მიზეზი მარტივია: გამარჯვებულს მერის სავარძელი ერგება. ამ მიზნის მისაღწევად, პოლიტიკურ პარტიებს უფრო მეტი გამჭრიახობა უნდა გამოეჩინათ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამის შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს. დღევანდელი ოპოზიცია ვერც ბოიკოტში გაერთიანდა და ვერც არჩევნებში მონაწილეობაში. ამ გარემოებას კარგი ფონი შეუქმნა სახელისუფლებო პარტიამ. ჩემი სურვილია, ახალმა მერმა მეურვის როლი იტვირთოს, ისე, როგორც თავის დროზე, მოსკოვში იური ლუჟკოვმა გააკეთა. შადრევნები, სპორტული მოედნები, სკვერები — სასიამოვნო სანახავია, მაგრამ თბილისის ქრონიკული პრობლემები?.. ვინ იფიქრებს იმაზე, რომ ქალაქში უკანონო მშენებლობები გრძელდება და როგორც ამბობენ, ქალაქის არქიტექტურულ სამსახურში ერთიათად გაიზარდა პროექტის დამტკიცების საფასური?!. ძველ უბნებში, ყოველი მეორე სახლი ავარიულია, ქალაქს ერთი შემოვლითი მაგისტრალი არა აქვს და გამუდმებით საცობებია; სად ნახავთ ცენტრალურ ქუჩებზე ბეტონმზიდებს?.. ამ პრობლემების მოგვარებას კონცერტები და ფეიერვერკები ვერ უშველის. მერი პოლიტიკური ამბიციებისგან შორს უნდა იდგეს და ქალაქის პრობლემა უფრო სიღრმისეულად გაიაზროს. არჩევნების შემდეგ, ხელისუფლების აქტიურობის ტემპი დაეცემა და ზამთარიც დადგება. ვნახოთ, როგორ გაართმევენ თავს პრობლემებს მმართველი პარტიის რჩეული კანდიდატები, რომელთაც გამარჯვება გარანტირებული აქვთ. ■

„ლომაიას ყოვლისშემძლეობის სინდრომი გაუჩნდა“

— ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, ე.წ. „მეამბოხე პროფესორები“ ბრძოლის განახლებას აპირებთ. კვლავ საპროტესტო აქციები იგეგმება?

ჯემალ მეგონია, *პროფესორი:*

— ერთი რამ ყველამ უნდა იცოდეს: ჩვენ მხოლოდ დღევანდელობით არ უნდა ვიცხოვროთ. არავინ იცის, ხვალ და ზეგ რა იქნება. ხომ შეიძლება, ხელისუფლება მიხვდეს, რომ უნივერსიტეტის გაპარტახება და ქვეყნის განათლების სისტემის დანგრევა არ შეიძლება?! მაშინ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, პირველ პირებს ალტერნატიული გზა შევთავაზოთ. სწორედ ამიტომ ვმუშაობთ კონცეფციაზე, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტი. ამის პარალელურად, გავაგრძელებ ჩემს კოლეგებთან ერთად, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას. საპროტესტო აქციები განახლდება. ლომაიას არ უნდა ეკავოს განათლების მინისტრის სავარძელი. მე ის პიროვნულად არაფერს მიშავებს, მაგრამ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს. ის მატყუარაა: განაცხადა — უპროცენტო სესხებს ვაძლევ სტუდენტებსო და ბოლოს, საზოგადოებამ საკუთარი თვალით ნახა, რომ მინისტრმა იცრუა. ის მაშინაც იტყუებოდა, როცა პრეზიდენტს წარმატებულ რეფორმაზე ელაპარაკებოდა. მიმართულებები, რომლებიც ნიკო მუსხელიშვილმა, ილია ვეკუამ, ევგენი ხარაძემ შექმნეს, უნივერსიტეტში აღარ იარსებებს, მათ შორის — დრეკადობის თეორია, მექანიკა, ასტრონომია. უნივერსიტეტის პროფესორები, მისი დავალებით, ხულიგნებად გამოგვიყვანეს და 100-ლარიანი ჯარიმა დაგვიწესეს!.. მაშფოთებს ის, რომ ლომაიას გაუჩნდა ყოვლისშემძლეობის სინდრომი. ალბათ გახსოვთ — განათლების მინისტრი კოდორში მიმდინარე პროცესების დროს, მთავრობის წევრებს შორის პირველი გამოვიდა და დაიქადნა — დამნაშავეები სამაგალითოდ დაისჯებიანო. განათლების მინისტრის საქმე ადამიანების დასჯაა?! ის „კაგებეს“ ხელმძღვანელია თუ სამინისტროსი, რომელიც თავისი ჰუმანურობით უნდა გამოირჩეოდეს?.. ■

პუტე-პუტე გაგეგუტე, მაინც „ბეთალაშვილი“...

ამ დღეებში ქართველებს, იქნებ, ყველაზე ნაკლებად გვაქვს საქმე სახუმაროდ, მაგრამ ორ ქვეყანას შორის უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობის ფონზე ჩვენი დიდი მეზობლის ზოგიერთი საქციელის შეფასებისას, პირველ რიგში, მაინც სათაურში გამოტანილი სიტყვები მახსენდება. ისე, ცოდვა ბოლომდე გამხელილი სჯობს და ამ ყველაფერზე საინფორმაციო საშუალებებიც „გემრიელად ითბობენ ხელს“. თუმცა, რადგანაც რუსული პრესა, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, კრემლის მრისხანე განცხადებებისა და გადაწყვეტილების „ხატოვანი“ გაფორმებითაა დაკავებული, ამჯერად ორ ქვეყანას შორის შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, ძირითადად, დასავლური საინფორმაციო გამოცემების შეხედულებების გაცნობა მოგვიწევს.

რუსუდან ლებანიძე

„საქართველო ცეცხლს ეთამაშება“

ამერიკული The Washington Post:

პუტინი და საქართველოს წარმომადგენლები რიტორიკას ამკაცრებენ. იმავდროულად, ქართული მხარე ირწმუნება, რომ პუტინი გასულ კვირაში სეპარატისტული რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მეთაურებს შეხვდა. შავი ზღვის კურორტ სოჭში შემდგარი ამ შეხვედრის შესახებ გავრცელებული განცხადება კრემლს არ დაუდასტურებია, თუმცა — არც უარუყვია.

ფრანგული Le Figaro:

შაბათს, სოჭში პუტინი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელებს შეხვდა. სერგეი ბაღაფში და ედუარდ კოკოითი სოჭში გამართული ინვეს-

ტიციების პრობლემებისადმი მიძღვნილი ფორუმის — „უცხოელი სტუმრების“ სიაში ირიცხებოდნენ... ფორუმზე სიტყვით გამოსული პუტინის მწვავე ტონი და აუღიარებელი რესპუბლიკების ლიდერებთან მისი შეხვედრა (თუ, რა თქმა უნდა, აღნიშნული ფაქტი დადასტურდება) საქართველოსა და რუსეთს შორის უდიდესი განხეთქილების მომასწავებელია...

ამერიკული The Wall Street Journal:

საქართველოში რამდენიმე რუსი ოფიცრის დაპატიმრება, საქმის არსში ჩახედული დიპლომატების აზრით, ამ გზით რეგიონში მღელვარების ხელშემწყობ რუსეთს, რომელსაც საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის აღიარება არაფრით სურს, დაჭრილი მხეცის ისეთი ისტერიკული ხავილი აღმოხ-



რუსეთის ზესახელმწიფოსთვის, რომელმაც თავისი ძველი „ნიშნადობა“ დაიბრუნა და ახლა საკუთარი ღირსების შეგრძნებით ტკბება, ანტიქართული ისტერია საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა

ისეთი თავგამოდებით ცდილობენ, თითქოს მათ სამშობლოს მართლა საფრთხე ემუქრებოდეს... რუსეთის ზესახელმწიფოსთვის, რომელმაც თავისი ძველი „ნიშნადობა“ დაიბრუნა და ახლა საკუთარი ღირსების შეგრძნებით ტკბება, ანტიქართული ისტერია საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა. რა თქმა უნდა, ვერც საქართველოს პრეზიდენტს უწოდებ გამოჩენილ დიპლომატს. რუსეთთან დაძაბულობას ისიც პოლიტიკის ინსტრუმენტად იყენებს.

გაგრძელება 61-ე გვერდზე

უბრალოდ, ჯაშუშობის ბრალდება როდია. ეს იმავდროულად, უცხოური ჩარევის პროვოცირების ცდაც იყო, რომელიც საქართველოს სეპარტისტულ რეგიონებზე მოსკოვის გავლენას მოუღებდა ბოლოს... მაგრამ ასეთი სვლის გაკეთება ძალზე სახიფათოცაა. ამ რეგიონში ხომ, ნატოს გადაწყვეტილებების, ნავთობსადენებისა და დემოკრატიული გარდაქმნების გამო, რუსეთისა და დასავლეთის ინტერესების შეჯახება ხდება. რუსეთის პროვოცირებით, საქართველო, რომელსაც სადავო რეგიონების დაკარგვის ეშინია, ალბათ, გარკვეული წარმატების მიღწევას — კი, მაგრამ დასავლეთის მხარდაჭერის მიღებას მაინც ვერ მოახერხებს. ევროპული კავშირი ნაკლებადაა დაინტერესებული რუსეთის „უკანა ეზოში“ კონფლიქტით. რუსეთი ხომ ნავთობისა და ბუნებრივი აირის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმწოდებელია.

გერმანული Die Welt:

საქართველო ცეცხლს ეთამაშება... ჯაშუშობაში ბრალის დადება მოწინააღმდეგის „გაშავების“ საიმედო საშუალებაა, რადგან როგორც წესი, საწინააღმდეგოს დამტკიცება ძალზე ძნელია, მით უფრო მაშინ, თუ ბრალდებულები, რუსეთის გენერალური შტაბის პროფესიონალ მზვერავებს წარმოადგენენ. მიხეილ სააკაშვილს, როცა ის რუსეთს „საყვარელ ბებერაზე“ აბიჯებდა, ეს კარგად მოეხსენებოდა... ის მოსკოვის რეაქციაში დარწმუნებული უნდა ყოფილიყო. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმების მხარდამჭერ და და, თითქოს კბილებამდე შეიარაღებული მტერი უკვე ქვეყნის საზღვრებს იყო მიმდგარი... სახელმწიფო სათათბიროს ნაციონალისტურად განწყობილი დეპუტატები კი, უკვე სამხედრო აქციებზეც კი ფიქრობენ. ყოველივე ამის შემხედვარეს, გახსენდება სპილო, რომელიც ირწმუნება — თაგვების არ მეშინიაო... სააკაშვილი კი, პირიქით, კრიზისით ტკბება. ბოლო დროს ის წარმატებებით განებივრებული ნამდვილად არ ყოფილა. ამიტომაც ახლა, ადგილობრივ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, გაწაფული პოლიტიკოსის რანგში გაბრწყინება სურს...

გერმანული Tageszeitung:

ანტიქართული ისტერია რუსეთში გარკვეული ფუნქციის მატარებელია. სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებები რუსულ საზოგადოებაში სიტუაციის დაძაბვას

ფიგურინი

- მსენაჩეული და ეფექტური საშუალება ჭარბი წონის პოჩექსიისთვის

~ სწრაფად და უსაფრთხოდ ახდენს სხეულის პოჩექსიას

~ აკვეითებს მადას და არ საჭიროებს მკაცრ დიეტას

~ შლის სხიმებს, ზედმეტი ფიზიკური დატვირთვის გარეშე

სრულყოფილი სხეულის ფორმულა!

დოზირება:
წონის გათვალისწინებით მიიღება 1 კაფსულა ორჯერ დღეში ან 2 კაფსულა ორჯერ დღეში, (კურსი 1 თვიდან 6 თვის ჩათვლით). პრეპარატი არ გამოიყენება ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. სიფრთხილით ინიშნება ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების დროს. გთხოვთ მითითებულ დოზას ნუ გადაჭარბებთ.

გვერდითი მოვლენები:
მომატებული მგრძნობელობა პრეპარატში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.

უკუჩვენება:
ორსულობა და ლაქტაცია.
18 წლამდე ასაკი.

ყოველი კაფსულა შეიცავს:
პარკოსანი გუარას თესლები-30მგ.
ლოხა ბასმა (ნატურალური რკინის წყარო)-50მგ.
მრგვალფოთლიანი მრავალძარღვა-30მგ.
მაჯაკ ემბელიას ნაყოფი-20მგ.
დარფილფილის ნაყოფის მშრალი ექსტრაქტი-20მგ.
კოჭა-20მგ.
სამყე-250მგ.
ინდური ტყეიბალახა-25მგ.
აკაცია კატეხუს მშრალი ექსტრაქტი-15მგ.
ტრიპალა (ემბელია, ტერმინალია ბელერიკა, ტერმინალია ჩებულა)-100მგ.

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

PSP ჭსპ
ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის 148/III

100% NATURAL
აჯანტა ფარმა ლიმიტედი ინდოეთი

მუხანათური მკვლელობა დაბადების დღეზე

24 წლის ახალგაზრდა მეზობელმა ავტომატით ჩაცხრილა, მანამდე ჯი თანასოლელის გაუპატიურება სცადა

შს სამინისტროს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა ორი ძებნილის, პოლიციისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის კარგად ცნობილი კრიმინალების, ბიძაშვილების — გრიგოლიების (ყველა მოქმედი პირის გვარ-სახელი შეცვლილია) ადგილსამყოფლის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მიიღეს. პოლიციაში ერთ-ერთი ძებნილის მეზობელმა დარეკა და სამართალდამცველებს ამცნო, რომ კრიმინალი, რომელსაც ისინი თვეების მანძილზე ამაოდ ეძებდნენ, თავის ორ თანამზრახველთან ერთად, ახლომდებარე ტყეში იმალებოდა. მეზობელი, კრიმინალების აყვანით პირველ რიგში იყო დაინტერესებული — ის დაზარალებული გახლდათ: 24 წლის ერთადერთი ვაჟიშვილი, მეგობრის დაბადების დღის წვეულებაზე, ავტომატით ჩაუცხრილეს. მუხანათური მკვლელობა სწორედ ზემოთ ხსენებულ ბიძაშვილებთან — გრიგოლიებთან შელაპარაკებას მოჰყვა...

იმ ავბედითი დღიდან მოყოლებული, მოკლულის ოჯახის წევრები მკვლელისა და დანაშაულში მონაწილე დანარჩენი პირების დაუყოვნებლივ დაკავებასა და მათ უმკაცრესად დასჯას მოითხოვდნენ. იმის გამო, რომ პოლიცია მიმალული ბოროტმოქმედების კვალს ვერა და ვერ აგნებდა (ყოველი შემთხვევისთვის, სამართალდამცველები ასე ამბობდნენ), დაზარალებული და მისი ახლობლები დამოუკიდებლად, თავიანთი საშუალებებითა და სახსრებით შეუდგნენ დამნაშავეების ადგილსამყოფლის დადგენას. ამბობდნენ, რომ გრიგოლიებს ნაცნობი და ახლობელი არა მარტო „შავ სამყაროში“, არამედ სამართალდამცავ სტრუქტურებშიც მრავლად ჰყავდათ. ისინი სწორედ ამას უკავშირებდნენ თვეების მანძილზე ძებნილების თავისუფლად პარპაშს, პოლიციას კი, ძებნის განგებ გაჭიანურებასა და ინერტულობაში ადანაშაულებდნენ...

ინფორმაცია ზუსტი აღმოჩნდა. დაზარალებული ოჯახის წევრებმა თავისას მიაღწიეს. ტყეში დაბანაკებულ ძებნილებს პოლიციამ ალყა შემოარტყა. ბოროტმოქმედებს მოსთხოვეს, დაეყარათ იარაღი და დანებებულიყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, კრიმინალებს დანებება აზრადაც არ მოსვლიათ. კბილებამდე შეიარაღებულებმა მაშინვე ცეცხლი გახსნეს. საპასუხო სროლებისას, პოლიციელებმა 32 წლის გოგი გრიგოლიას ლიკვიდაცია მოახდინეს. დანარჩენი ორი — უმცროსი ბიძაშვილი, 27 წლის შოთა გრიგოლია და მისი მეგობარი და საქმის მასალების მიხედვით, თანამზრახველი — 28 წლის მაიზერ ბობოხიძე, სამართალდამცველთა მხრიდან ნასროლი ტყვიებით დაიჭრნენ. ამის გამო, მათ გაქცევა ვეღარ მოახერხეს. პოლიციელებმა ორივე მათგანი დროულად განაიარაღეს...

მძიმედ დაჭრილები უძლურები იყვნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ, თუმცა, როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, შოთა გრიგოლია მაინც ეცადა ავტომატიდან გასროლას, მაგრამ ამის საშუალება მას აღარ მისცეს. შემთხვევის ადგილიდან სამართალდამცველებმა სამი ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარები, დანები, სამი ნიღაბი და ქუდები ამოიღეს. საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ კრიმინალებს დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალებაც ჰქონდათ თან; აღმოაჩნდათ წინა დღეებში ნაქურდალი და ნაძარცვი ნივთებიც... გამოძიების ინფორმაციით, საშინელი მკვლელობის შემდეგ, ზემოთ ხსენებულმა პირებმა ზედიზედ რამდენიმე ყაჩაღობა და ძარცვა ჩაიდინეს.

გაჩხრიკეს დაკავებულების საცხოვრებელი ბინები და მიმდებარე ტერიტორიები. ყველა მათგანის ბინიდან ამოიღეს საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერებები, ბობოხიძის საცხოვრებელი სახლის უკან, რამდენიმე მეტრის მოშორებით კი, სამართალდამცველებმა მიწაში ჩაფლული „კალაშნიკოვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიც იპოვეს. ყოველივე ამის მიუხედავად, დაკავებულებმა — შოთა გრიგოლიამ და მაიზერ ბობოხიძემ წარდგენილ ბრალდებებში თავი დამნაშავედ მაინც არ ცნეს და ისიც უარყვეს, რომ იარაღსა და საბრძოლო მასალას ინახავდნენ და ატარებდნენ...

მკვლელობა შუაღამისას მოხდა. მანამდე, საღამოს დიაკონიძეების ოჯახში დაბადების დღის წვეულება იყო გამართული. 12-ის ნახევრისთვის სტუმრები აიშალნენ და სუფრას მხოლოდ იუბილარი და მისი რამდენიმე უახლოესი მეგობარი აღა შემორჩნენ. გელა დიაკონიძის მეზობელი და უბნელი — შოთა გრიგოლია წვეულებაზე არ დაუპატიჟებიათ. იმ დროს ის რესტორანში თავის ძმაკაცებთან ერთად სვამდა. ცოტა ხანში, შეზარხოშებულმა, საქეიფო ადგილის შეცვლა გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ დიაკონიძეებს ის არ მიუწვევიათ, იქ წასვლა მაინც მოისურვა. ის ნასვამ მდგომარეობაში მყოფი აპირებდა მანქანის მართვას. რესტორანში მოქეიფე თანამეინახეებმა გრიგოლიას წინააღმდეგობა გაუწიეს და სთხოვეს, მათთან დარჩენილიყო. უბნელები ამბობენ, რომ შოთა ხშირად უნახავთ მთვრალი საჭესთან, მაგრამ ახლა, სიმთვრალესთან ერთად, ის განაწყენებული და აგრესიული იყო...

გაჯიუტებულ ბიძაშვილს რესტორნიდან გოგი გრიგოლიაც გაჰყვა. დიაკონიძეების საცხოვრებელ სახლთან მისულმა შოთამ მანქანიდან ავტომატი გადაიტანა და ასე, შეიარაღებული, მოულოდნელად მიადგა მათ. შემცბარმა მასპინძლებმა დაუპატიჟებელი სტუმარი სუფრასთან მიიწვიეს...

„შოთა თავიდანვე აგრესიულად იქცეოდა. ოთახში რომ შემოვიდა, მარჯვენა ხელში ავტომატი ეკავა. მწვანე კამუფლაჟის ჟილეტი ეცვა, რომლის ჯიბეებიც სავსე ჰქონდა მჭიდებით. ერთი ჯიბიდან დანის ტარიც მოუჩანდა. უკან მისი ბიძაშვილი მოჰყვებოდა. მის ხელში იარაღი მე არ შემინიშნავს. ორივეს კარგად ვიცნობდი. შოთა ჩემი უბნელი, ამას გარდა, ჩემი სკოლელი იყო, თანაც გელას მეზობლად, გვერდით ცხოვრობდა, ამიტომაც მის შესახებ ბევრი რამ ვიცოდი. მისი ბიძაშვილი რაიონში ცხოვრობდა, მაგრამ თუკი შოთას სადმე თვალს მოვკრავდი, გოგიც ყოველთვის მასთან ერთად იყო... ოთახში რომ შემოვიდნენ, ყველანი დავიზაფრეთ, აშკარად არ მოველოდით მათ სტუმრობას და არც გვესიამოვნა ეს ფაქტი. როგორც ვიცი, გელა არც ერთ მათგანთან არ ახლობლობდა, ამიტომაც მათი დაპატიჟება აზრადაც არ მოუვიდოდა. მას სულ სხვა სამეგობრო წრე ჰყავს, დაბადების დღეზე უნივერსიტეტელი თანაკურსელები დაპატიჟა. თავადაც ძალიან დინჯი და თავშეკავებული ადამიანია და შოთა გრიგოლიას ძმაკაცი ის ვერასდროს იქნებოდა. გრიგოლია ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, როცა მას ყველა იცნობდა, როგორც ავარდნილს და თავზე ხელაღებულ ახალგაზრდას. აგრესიული და კონფლიქტური იყო და უბანშიც ხშირად მოსდიოდა ჩხუბი. შემდეგ ცუდ ხალხში გაერია, ამბობდნენ, ნარკომანია და ნარკოტიკებისთვის ყველაფერზე წავაო. ბოლო დროს უბანში იშვიათად ვხედავდით. ის უმცროს ძმასთან და დედასთან ერთად ცხოვრობდა. დედამისი ჩიოდა ხოლმე, რომ შვილს სახლში თითქმის ვეღარ ხედავდა...

ამიტომაც ყველას გაგვიკვირდა, დიაკონიძეების ოჯახში მისი ასე მოულოდნელად მოსვლა. სუფრასთან დაჯდა. ჩემ გვერდით მოხვდა. თქვა, რომ ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა და ხელი გადამხვია. რა თქმა უნდა, შევცბი, არ მესიამოვნა მისი ასეთი საქციელი, მაგრამ რომ არ გამეღიზიანებინა და სიტუაცია კიდევ უფრო არ დაძაბულიყო, შევეცადე მოხერხებულად გამეთავისუფლებინა მისგან თავი. წყალი მწყურია-მეთქი, მოვიმიზეზე და წამოვდექი. სამზარეულოში გავედი და მას შემდეგ, სასტუმრო ოთახში გასვლას არც ვაპირებდი. ყველამ შევატყვეთ, რომ ორივე ბიძაშვილი საკმაოდ ნასვამი იყო. მათ გელა ღვინით ადღეგრძელეს, შემდეგ გელას დედა შემოვიდა სამზარეულოში და თქვა, შოთამ არაყი მოითხოვაო... რამდენიმე წუთში მითხრეს, შენ გეძახისო...“ — წერს ჩვენებაში

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად ცნობილი **ეკა მახარაძე**.

დიაკონიძეების ოჯახში შემდგომ განვითარებული მოვლენები საბრალდებო დასკვნაში დეტალურადაა აღწერილი. მოგვიანებით სასამართლომ ყველაფერი დაადასტურა. გამოძიების ინფორმაციით, მახარაძის სუფრასთან მისვლიდან რამდენიმე წუთში, შოთა გრიგოლია და სტუმრებს შორის მყოფი ზაზა დიაკონიძე (იუბილარის ბიძაშვილი) შეკამათდნენ. შელაპარაკება ხანმოკლე აღმოჩნდა. მასპინძლებმა, ისევე, როგორც იუბილარმა და მაგიდასთან მსხდომმა ქალებმა — მახარაძემ და ვარდიაშვილმა, სიტუაციის განმუხტვა და მოჩხუბრების დაშოშმინება შეძლეს. მიუხედავად ამისა, შოთა გრიგოლია, როგორც მოწმეები ამბობენ, ცინიკურად და აგდებულად იქცეოდა, თან სვამდა და თან თავისი ავტომატის დემონსტრირებას ახდენდა. უკვე ძალიან მთვრალმა გრიგოლიამ, მახარაძე გვერდით ოთახში სალაპარაკოდ გაიხმო. სწორედ ამ მომენტიდან დიაკონიძესა და გრიგოლიას შორის დაპირისპირება განახლდა. კამათში ჩართულმა გოგი გრიგოლიამ დიაკონიძეს გინება დაუწყო. ზაზა დიაკონიძემ, რომელიც ასევე ნასვამი გახლდათ, თავი ვერ შეიკავა და გინებას გინებითვე უპასუხა, თან გოგი გრიგოლიასკენ საცემრად გაიწია. ამ მომენტს შოთა გრიგოლია არ შესწრებია. ის მახარაძესთან ერთად გვერდით ოთახში იყო გასული. ზაზა დიაკონიძე ნათესავებმა დააკავეს, გრიგოლიამ კი, რომელსაც ასევე არ აძლევდნენ მასთან მიახლოების საშუალებას, დიაკონიძისთვის წიხლის მუცელში ჩარტყმა მაინც მოასწრო. ოთახიდან ხმაურზე გამოსულმა შოთა გრიგოლიამ ავტომატიდან სროლა დაიწყო. გაბრაზებულმა, ზაზა დიაკონიძეს ჯერ ფეხებში დაახალა ტყვიები, შემდეგ კი ჯერით ესროლა და სხეულის სხვადასხვა ადგილზე მიაყენა მრავალი ცეცხლნასროლი ჭრილობა. 24 წლის ზაზა დიაკონიძე ადგილზევე გარდაიცვალა... მკვლელი და მისი ბიძაშვილი მაშინვე გაეცალნენ იქურობას. შოკში ჩაცვენილი ოჯახის წევრები და იქვე მყოფი სტუმრები დაცხრილულ, იატაკზე უკვე უსულოდ დაცემულ დიაკონიძეს მისცივდნენ... მოწმეებისა და დაზარალებულის ჩვენებების მიხედვით, ამ სადისტურ მკვლელობას კიდევ ერთი საშინელი დანაშაული — გაუპატიურების მცდელობაც უძღოდა წინ...

ეკა მახარაძის ჩვენებიდან:

„...შოთა არყით სავსე ჭიქებს ზედიზედ ცლიდა და თან ავტომატს გვიტრიალებდა ცხვირწინ. ძალიან გამომწვევად და აგრესიულად იქცეოდა. არ ვიცი, რამ გამოიწვია მისი ასეთი გაღიზიანება, ალბათ, არ მოეწონა ის, რომ გელამ არ დაპატიჟა და განაწყენდა, სხვა მიზეზს ვერ ვპოულობთ. გელას და ზაზას თვალით ვანიშნებდი, თავი შეეკავებინათ და არ აჰყოლოდნენ მის გამომწვევ ქცევას, მაგრამ სიტუაციის გაკონტროლება შეუძლებელი აღმოჩნდა. მოულოდნელად შოთამ მკლავში წამავლო ხელი და გვერდით ოთახში გამიყვანა. ისე ძლიერად და უხეშად ჩამავლო ხელი, რომ ტკივილისა და სიმწრისგან შევკივლე კიდეც. არაადამიანური, რაღაც მხეცური გამომეტყველება ჰქონდა. მითხრა — ახლა, თავი არ გამოიშტერო, მშვენივრად იცი, რაც მინდა და უარი არ მითხრაო. შიშისგან სულ ერთიანად ვკანკალებდი, ცრემლები წამსკდა, ვთხოვდი — თავი დამანებე, გამოფიზლდები და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. ჩემი უნდა გახდეო — გამიმეორა. მერე მოულოდნელად თმაში წამავლო ხელი და საწოლისკენ წამათრია...“

მოწმე **ირინა ვარდიაშვილის** ჩვენებიდან:

„შოთამ ეკა რომ გაიყვანა, მეც უკან გავყევი ორივეს და კართან ავიტუზე შეშინებული. არ მომწონდა ეს ყველაფერი და ვგრძნობდი, რა საშიშროების წინაშეც იყო ეკა. სასტუმრო ოთახშიც ჩხუბი იყო და ხმაურში შოთას სიტყვებს ვერ ვარჩევდი, არ მესმოდა, რას ეუბნებოდა ეკას. უცებ ეკას ყვირილი მომესმა, გიჟივით შევვარდი ოთახში, დავინახე, რომ შოთას თმაში ჩაევლო მისთვის ხელი და საწოლისკენ მიათრევდა. რომ დამინახა, ეკას მუშტი ჩაანათა სახეში და იქვე მიაგდო, მერე მე მომიბრუნდა, მაგრამ ოთახიდან გაქცევა მოვასწარი. კივილით გავიქეცი სასტუმრო ოთახისკენ. ის უკან მომყვებოდა. იარაღი ხელში ეჭირა. იმ მომენტში ზაზას და გოგის აშველებდნენ. რა ხდებაო? — დაიყვირა შოთამ და არც დაფიქრებულა ისე, ზაზას მიმართულებით სროლა დაიწყო. იქ ისეთი სიტუაცია იყო, თავისუფლად შეიძლებოდა, ტყვიები სხვებსაც მოხვედროდა. ყველანი პანიკაში ჩავცვივდით, აქეთ-იქით გავრბოდით...“

დაზარალებული **თამარ გვენეტაძე**, მოკლულის დედა:

„იმ დღეს გელას სახლში მე არ ვყოფილვარ. ზაზა ისეთი გახარებული იყო, დილიდან გელასთან მიუწევდა გული, ვიქეიფებ, ვიმხიარულებო... გრიგოლიების შესახებ ადრეც მსმენოდა, ჩემი მაზლის გვერდით ცხოვრობდნენ. შოთას ბავშვობაში უფრო ხშირად ვხედავდი, როცა მაზლთან სტუმრად მივიდოდი ხოლმე, ბოლო წლებში კი — იშვიათად. ჩემს შვილს მასთან საერთო არასდროს არაფერი ჰქონია. რამდენადაც ვიცი, არც გელა მეგობრობდა მასთან... უკვე შუაღამე იყო, როცა ტელეფონზე დამირეკეს. ვიცოდი, რომ ზაზა დააგვიანებდა შინ მოსვლას, იმასაც ვფიქრობდი, შეიძლება საერთოდ დარჩეს კიდევაც გელასთან-მეთქი. ამიტომაც არ ვნერვიულობდი, შინაურებთან მეგულებოდა და არ ვღელავდი. ზაზა ფიცხი ხასიათის გახლდათ, მაგრამ უმიზეზოდ არავის აუხირდებოდა. კონფლიქტს თავად არ გამოიწვევდა, მაგრამ შეურაცხყოფას არავის აპატიებდა. სიმთვრალეც ნორმალური ჰქონდა, ხალისიანი და მხიარული ადამიანი იყო... ტელეფონით გელას კლასელმა — ვარდიაშვილმა დამირეკა, მითხრა, ზაზა საავადმყოფოშია და იქნებ იქ მოხვიდეთო. მეტი არაფერი უთქვამს. შევატყვე, რომ ძალიან ღელავდა და შიშისგან გული ლამის გამიჩერდა. ცოცხალმკვდარმა ვუთხარი ჩემს მეუღლეს — ზაზა დაუჭრიათ, საავადმყოფოში წამიყვანე-მეთქი. იქ მისულებს ერთადერთი შვილი მკვდარი დაგვხვდა... მერე ისიც გავიგეთ, რომ ის ადგილზევე გარდაცვლილა... მთელი სხეული დაცხრილული და ავტომატის ტყვიებით დაფლეთილი ჰქონდა. არაადამიანურად იყო მოკლული. ასეთი სისასტიკის ჩადენა მხოლოდ გამხეცებულს და სატანით შეპყრობილს შეეძლო...“

გაუბედურებული მშობლები მკვლელის უმკაცრესად დასჯას მოითხოვდნენ. მართალია, მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გრიგოლიებზე ძებნაც გამოცხადდა, მაგრამ ეს განადგურებულ ოჯახს ვერაფრით ანუგეშებდა. ისინი ვერაფრით ეგუებოდნენ იმ ფაქტს, რომ თვეები გადიოდა, დამნაშავე კი კვლავ თავისუფლებით ტკბებოდა...

თამარ გვენეტაძე:

„ამის ატანა შეუძლებელი იყო. ერთადერთი შვილი ვერაგულად, სადისტურად მომიკლეს, სამუდამოდ გამანადგურეს. ამ ქვეყანაზე მე და ჩემს მეუღლეს უკვე ვერავინ და ვერაფერი გვანუგეშებს, მაგრამ იმასთან შეგუება, რომ შვილის მკვლელი თავისუფლად დადის აქეთ-იქით და მის დასჯაზეც არავინ ფიქრობს, წარმოუდგენელი და ძალიან მტკივნეული იყო. გამომძიებელს ყოველდღე ვურეკავდით, პროკურატურის კართან ვათენებდი და ვაღამებდი. ამბები მომდიოდა, რომ გრიგოლიებს ხან ერთ უბანში ხედავდნენ მანქანით, ხან მეორეში... ერთხანს ისე გათავხედდნენ, რომ ქალაქიდან გასვლაზეც აღარ ფიქრობდნენ... ამ ინფორმაციებს დაუყოვნებლივ ვაწვდიდით სამართალდამცველებს, მაგრამ უშედეგოდ. აშკარა იყო, რომ მათ ვიღაც მფარველობდა და დროს და საშუალებას ეძლებდა, როგორმე დაეძვრინა პასუხისგებისგან. შემდეგ შევიტყვეთ, ლანჩხუთთან ახლოს, ერთ-ერთ სოფელს აფარებენ თავსო. გავემგზავრეთ, გავიკითხეთ და სარწმუნო წყაროებით შევიტყვეთ, რომ ახლომდებარე ტყეში იმალებოდნენ. წინა დღეებში თურმე, იქვე, სოფელში ოჯახი დაუყაჩაღებიათ. ყაჩაღობაში მონაწილე მესამე კრიმინალის — ბობოხიძის ბაბუა თურმე იმ სოფელში ცხოვრობდა. ბობოხიძე დაზარალებულს უცნია, ნიღბის მიუხედავად. მეზობელმა ბიჭმა კი თქვა, რომ სამი დღის წინ ბაბუამისის სახლში ვიღაც შოთა გრიგოლიასთან ერთად ქეიფობდაო. ლანჩხუთში ბევრი ახლობელი გვყავს. ხმა რომ გავრცელდა, მაშინვე დაგვირეკეს. ჩვენ პოლიცია ჩავაყენეთ საქმის კურსში და თავადაც გავემგზავრეთ...“

საქმეში არსებული უამრავი მტკიცებულებისა და მოწმეთა მამხილებელი ჩვენებების მიუხედავად, შოთა გრიგოლიამ და მაიზერ ბობოხიძემ ყველა ბრალდება კატეგორიულად უარყვეს. წინასწარი გამოძიების ეტაპზე ორივე მათგანმა დუმილის უფლება გამოიყენა და ჩვენებების მიცემაზე უარი განაცხადა. სასამართლო პროცესზე კი მხოლოდ ის თქვეს, რომ არც ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონიათ ოდესმე, არც ნარკოტიკები და არც ვინმე გაუქურდავთ

M K

ან დაუყაჩაღებიათ. რაც შეეხება მკვლელობას, შოთა გრიგოლიამ საერთოდ უარყო დიაკონიძეების ოჯახში, დაბადების დღის წვეულებაზე ყოფნის ფაქტი. განსასჯელმა კატეგორიულად უარყო ეკა მახარაძის გაუპატიურების მცდელობისა და მისი ცემის ფაქტიც. მან და მისმა ადვოკატმა მოსამართლეს განუცხადეს, რომ ყველა ჩვენება შეთხზული და შეთითხნილი იყო. გრიგოლიას ასეთმა ჩვენებამ და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის არგუმენტებმა, რომ ჩვენებები დაზარალებული მხარის ზეწოლის შედეგად იყო მოპოვებული, მოკლულის ოჯახის წევრების, ისევე, როგორც დაზარალებული მახარაძის გაღიზიანება და აღშფოთება გამოიწვია. ამის გამო, სასამართლო პროცესი საკმაოდ ხმაურიანად და დაძაბულად წარიმართა.

ბრალდების მხარემ მტკიცებულების სახით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებზეც მიუთითა. ექსპერტიზის დასკვნები ცხადყოფდა, რომ დიაკონიძის სხეულში მოხვედრილი ტყვიები სწორედ იმ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან იყო გასროლილი, რომელიც შოთა გრიგოლიას სპეცოპერაციის დროს, დაკავებისას ჩამოართვეს. ცემისა და ძალადობის კვალი დაფიქსირდა ეკა მახარაძის სხეულზეც, როგორც იდაყვისა და მენჯის, ასევე სახის არეში, ნაჭდევებისა და სისხლჩაქცევების სახით. ამ მტკიცებულებების საფუძველზე, გრიგოლიას წარდგენილი ბრალდებები დაუმტკიცდა. დადასტურდა ქურდობებსა და ყაჩაღობებში მისი მონაწილეობაც. რაც შეეხება ბობოხიძეს, სასამართლომ ის მხოლოდ ბრალდების ერთ ნაწილში გაამართლა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართალდამცველებმა მისი საცხოვრებელი სახლიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, მიწაში ჩაფლული „კალაშნიკოვი“ აღმოაჩინეს. ბრალდების თანახმად, აღნიშნული იარაღი ბობოხიძემ უკანონოდ შეიძინა და ასევე, მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა მას. სასამართლომ კი მიიჩნია, რომ საქმის მასალებში იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ იარაღი ნამდვილად ბობოხიძეს ეკუთვნოდა და არა სხვა ვინმეს, არ მოიპოვებოდა. სწორედ ამის გამო, მას ამ ნაწილში ბრალდება მოუხსნეს. სამაგიეროდ, წარსულში ერთხელ ქურდობისთვის ნასამართლევი, ცოლშვილიანი ბობოხიძე ყაჩაღობაში, ქურდობასა და სხვა ავტომატური იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებასა და გადაზიდვაში ცნეს დამნაშავედ. სასამართლომ მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რაც შეეხება გრიგოლიას, რომელიც წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა, 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. დაზარალებულმა მხარემ ჩათვალა, რომ სასჯელი ლოიალური იყო. ის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისთვის, კანონით განსაზღვრულ მაქსიმალურ სასჯელს — სამუდამო პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა...

საქმის გარჩევა არასრულწლოვანთა კოლონიაში

პატიმრების ძალადობის მსხვერპლი ყონტროლიორი აღმოჩნდა

20 წლის პატიმარი — თემურ მამისაშვილი (ყველა მოქმედი პირის გვარ-სახელი შეცვლილია) სასამართლოს წინაშე მეორედ ისე წარდგა, რომ წინა დანაშაულისთვის შეფარდებული სასჯელი სრულად მოხდილი არ ჰქონდა. მორიგი დანაშაული მან კოლონიაში ჩაიდინა. მომხდარი ფაქტის გამო, მამისაშვილის გვერდით, განსასჯელის სკამზე კიდევ ხუთი ახალგაზრდა დასვეს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მათ კოლონიაში სისხლიანი საქმის გარჩევა მოაწყვეს, თავს დაესხნენ დაწესებულების თანამშრომლებს და ერთ-ერთი მათგანი დანით დაჭრეს. თავზე ხელაღებული პატიმრების დამორჩილება და განიარაღება შემთხვევის ადგილზე მყოფმა ერთადერთმა ოპერატიულმა მორიგემ ვერ შეძლო. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა კი სიტუაცია ვერ გააკონტროლა.

საქმის მასალების მიხედვით, ყველაფერი სანთებლის გამო მოხდა... საღამოს 4 საათისთვის, პატიმარი მამისაშვილი არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების სამორიგეო ოთახში შევიდა და კონტროლიორს — საშა კოხრეიძეს წინა დღეებში დაპირებული სანთებელი მოსთხოვა. კოხრეიძემ უთხრა, რომ მასზე განაწყენებული და გაბრაზებული იყო. შეახსენა, თუ როგორ მიაყენა მამისაშვილმა მას წინა მორიგეობის დროს სიტყვიერი შეურაცხყოფა და ამის გამო, დაპირებული სანთებლის მიცემაზე უარი განუცხადა. კონტროლიორის უარი პატიმარმა მამისაშვილმა პირად შეურაცხყოფად მიიღო და გაბრაზებულმა, მას სალაპარაკოდ გვერდზე გასვლა მოსთხოვა; შემდეგ, საქმის გასარჩევად, კოხრეიძეს საცხოვრებელ ბარაკში წაყვანა დაუპირა, რაზედაც ის შეეწინააღმდეგა და პატიმარს შესთავაზა, — ადმინისტრაციულ კორპუსში გადასულიყვნენ და იქ ელაპარაკათ. ამ შეთავაზებამ მამისაშვილი კიდევ უფრო გაანაწყენა და გაღიზიანებულმა, კონტროლიორს გინება დაუწყო. ამ დროს კოხრეიძე უკვე სამორიგეო ნაწილის შენობის კიბეზე ჩადიოდა. მამისაშვილი მას დაედევნა, თან ჯიბიდან დანაც ამოიღო. ამ დროს, სამორიგეო ოთახში მყოფმა ოპერატიულმა მორიგემ, მამისაშვილი შეაჩერა და მისთვის იარაღის წართმევაც სცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა...

კონტროლიორ კოხრეიძეს საცხოვრებელი კორპუსის გასასვლელში მეორე პატიმარი — კახა გოგელია შეეფეთა. გოგელია მაშინვე მიხვდა, რომ კონტროლიორსა და მამისაშვილს შორის კონფლიქტი იყო. ისიც შენიშნა, თუ როგორ მიიწევდა კოხრეიძისკენ დანამომარჯვებული მამისაშვილი და თან უყვიროდა, არ გადასულიყო ადმინისტრაციულ კორპუსში. გოგელია სიტუაციაში სწრაფად გაერკვა და კონტროლიორს წინ გადაეღობა, მისი წინააღმდეგობა რომ დაეძლია, სახეში ძლიერად ხელიც გაარტყა. პატიმრების საქციელით აღშფოთებული და განრისხებული კოხრეიძე დამორჩილებას არ აპირებდა. ადმინისტრაციულ ზონაში გადასვლა მან მაინც მოახერხა, მომხდარის შესახებ დაწესებულების ხელმძღვანელობას მოახსენა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს დახმარება სთხოვა.

საქმის მასალების მიხედვით, ადმინისტრაციაში რატომღაც მხოლოდ გოგელია დაიბარეს და გამოუცხადეს, რომ კონტროლიორის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მას სამი დღით კარცერში მოათავსებდნენ. გოგელიას კი მთელი ამ დროის კარცერში გატარება სულაც არ სურდა, ამიტომაც დირექტორს უარი განუცხადა — უთხრა, რომ მის ბრძანებას არ დაემორჩილებოდა და კარცერში არ შევიდოდა. დირექტორმა კიდევ ერთხელ, კატეგორიულად უბრძანა, კარცერში შესულიყო. გოგელიამ კვლავ უარით უპასუხა. ურჩი პატიმარი ძალის გამოყენებით დაიმორჩილეს. ამასობაში, მამისაშვილი დროს არ კარგავდა. ის ოპერატიულ მორიგეს იოლად დაუსხლტა ხელიდან და კოლონიაში დამეგობრებულ მსჯავრდებულებთან გაიქცა. ოთხ პატიმარს კონტროლიორ კოხრეიძეზე თავდასხმის შესახებ შეუთანხმდა. მოილაპარაკეს, შეიარაღდნენ (დანებითა და ფიცრის ნაჭრებით) და ადმინისტრაციულ ზონაში გადავიდნენ. ოპერატიული მორიგის გაფრთხილებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, პატიმრები ადმინისტრაციულ კორპუსში შეიჭრნენ და პირდაპირ დირექტორის კაბინეტისკენ აიღეს გეზი, რადგან იცოდნენ, რომ კოხრეიძე იქ იმყოფებოდა. პატიმრები თავს დაესხნენ კონტროლიორს, ისევე, როგორც მის დასახმარებლად მისულ ოპერატიულ მორიგეს. თავდასხმის დროს, მამისაშვილმა კოხრეიძეს დანით ჭრილობები მიაყენა, დანარჩენები კი ფიცრის ნაჭერს ურტყამდნენ მას თავში, თან წიხლებით სცემდნენ. სცემეს მორიგეც. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დაზარალებულებს თავისა და სახის არეში მრავალი დაზიანება დაუფიქსირდათ სისხლნაჟღენთების სახით. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მსჯავრდებულები თავიანთ საცხოვრებელ ზონაში დაბრუნდნენ.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ზემოთ ხსენებულმა პატიმრებმა კი თავი წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ არ ცნეს. მამისაშვილმა საბრალდებო დასკვნაში დაფიქსირებული ფაქტები უარყო, მაგრამ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სასამართლომ სავსებით საკმარისად მიიჩნია და ექვსივე, დამნაშავედ გამოაცხადა. ყველაზე მკაცრად, როგორც მოსალოდნელი იყო, მამისაშვილი დაისაჯა. წინა მოუხდელ სასჯელზე მას კიდევ 3 წლითა 8 თვით თავისუფლების აღკვეთა დაემატა...

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

M K

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ვირტუალური წყვილის რეალური ამბავი

გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. „გზა“, №35-39

„ვირტუალური რომანის“ გმირებმა — ნატალიმ (იმავე პანდორამ) და ზურამ ერთმანეთთან დასაახლოებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს: ზურა მოულოდნელად ჩავიდა ბათუმში და ქალი აიძულა, შეხვედროდა მას. მისი ჩანაფიქრი წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს — მანამდე ვირტუალურ წყვილს, ერთიმეორე ცხადშიც მოეწონა... პაემნის შემდეგ, „პრინცი“ თბილისში დაბრუნდა და მათ შორის კვლავ ინტერნეტ-დიალოგი გაგრძელდა.

„გზის“ წინა ნომერში ნატალიმ ზურასა და ჩვენს მკითხველს ამერიკაში მცხოვრები მეგობარი — მეტსახელად სონა გააცნო და მათ შორის შემდგარი ერთ-ერთი დიალოგიც წარმოგვიდგინა. შემდეგ, ზურას მოუყვა იმ ახალგაზრდა კაცის შესახებ, რომელიც, როგორც ფსიქოლოგმა, საპატიმროში ვიზიტისას გაიცნო. მისი თავგადასავლის შესახებ დღევანდელი პუბლიკაციიდანაც შეიტყობთ...

მორიგი დიალოგი 5 სექტემბერს განახლდა. ზურასთან დაკონტაქტებამდე, პანდორა კვლავ ნიუ-იორკს დაუკავშირდა და თავის დაქალს მამაკაცთან ურთიერთობის შესახებ უამბობს.

მარი ჯაფარიძე

5 სექტემბერი, სამშაბათი
02:15

სონა: ნატალიიიიი... აქ ხარ?

პანდორა: კი, ჩემო ძვირფასო, აქ ვარ.

სონა: რას აკეთებ ამ შუაღამისას? არ მითხრა, რომ შენი გულის ვარდს ელაპარაკები.

პანდორა: კი, მას ველაპარაკები. შენ როგორ ხარ? რობა ხომ არ ჩამოვიდა?

სონა: 3 დღეში ჩამოვა. დღეში 10-ჯერ მაინც მირეკავს და მეუბნება, რომ ვუყვარვარ. უცხოელი ქმრები სხვანაირები არიან, ქართველებს არ ჰგვანან.

პანდორა: მის სამშობლოში ერთად რატომ არ წახვედით?

სონა: მისი მშობლები ახლახან იყვნენ ჩვენთან სტუმრად და დამპატიჟეს, მაგრამ იქ წასვლას დარჩენა ვამჯობინე. ვიფიქრე, აქ უფრო კარგად დავისვენებმეთქი.

პანდორა: მოეწონათ ქართველი რძალი?

სონა: იმათ რა იციან, საქართველო და ქართველი რას ნიშნავს? ერთადერთი, რაც გაუხარდათ, ის იყო, რომ თურმე გარეგნულად იტალიელს ვგავარ — მეც მათსავით შავგვრემანი და ცხელსისხლიანი ვარ...

პანდორა: ეგ საიდანღა გაიგეს, რომ ცხელსისხლიანი ხარ?

სონა: მათი სტუმრობის დროს მე და რობამ ვიკამათეთ. რობა ამბობდა, რომ მისი მშობლები სასტუმროში დაბინავდებოდნენ. მე ვეუბნებოდი — ჩვენთან დარჩნენ, სამსართულიანი სახლი მაქვს და რა ჯანდაბად მინდა, თუ დედამთილ-მამამთილი სასტუმროში გავუშვი-მეთქი? მერე დედამისმა მითხრა: ჩხუბის დროს სწორედ ისე იქნევდი ხელებს და ისე ცხარობდი, როგორც იტალიელიო... უცნაური ხალხია.

პანდორა: ბოლო-ბოლო სასტუმროში დაბინავდნენ?

სონა: არა, ჩემი გავიტანე და მესამე სართული მთლიანად მათ დავუთმე. ჩემი სახელოსნო რომ ნახეს, გადაირივნენ. თურმე მამამთილი ხელოვნების მოყვარული ყოფილა. ჩემი ნახატები რომ ნახა, აღფრთოვანდა. ერთი ნახატი ვაჩუქე და მისი გული სამუდამოდ მოვინადირე. კარგი, დავანებოთ რობას და მის მშობლებს თავი. ინტერესით ვკვდები, როდის გავიგებ შენს ამბავს.

პანდორა: აბა, რა გითხრა, ჩემო კარგო. ჯერ მე თვითონაც ვერ გავრკვეულვარ, რა ხდება ჩემს თავს.

სონა: ვერ წარმოვიდგენდი, თუ ცოლიანი კაცი შეგიყვარდებოდა. თავიდან არ იცოდი?

პანდორა: ვიცოდი, არაფერი დაუმალავს, მაგრამ თავიდან ყველაფერი არასერიოზულად დაიწყო. ორივე ვერთობოდით და ჩვენ შორის უხილავი ძაფები ისე გაიბა, რომ ვერც კი მივხვდით. კაცი უნახავად შემიყვარდა. იცი, 2 თუ 3 დღის წინ ვნახე.

სონა: მერე?

პანდორა: მერე? ოოო, მერე ის, რომ ძალიან მომეწონა.

სონა: „იმას“ ჯობია?

პანდორა: სხვადასხვანაირი ტიპები არიან, მაგრამ ვერ გეტყვი, რომელი სჯობია.

სონა: ლამაზ კაცებში ყოველთვის გიმართლებდა...

პანდორა: შეიძლება ითქვას, რომ ასეა...

სონა: იმიტომ, რომ შენც კარგი ხარ. თუ მოუყევი ბაჩოს შესახებ?

პანდორა: ვუყვები.

სონა: მერე?

პანდორა: მერე ამბობს, რომ ეჭვიანობს... ჯერ მხოლოდ შესავალი მოვუყევი, მთავარი ამბავი წინ მაქვს.

სონა: ნუ გააგიჟებ, მსუბუქად მოუყევი.

პანდორა: მხოლოდ ერთი რამ ვიცი: მინდა, ყველაფერი იცოდეს. მერე თვითონ გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს.

სონა: მე კი მგონია, რომ ჯობს ჩემთან წამოხვიდე. აქ გაგათხოვებ... :)))

პანდორა: ნუ ხარ ცუღლუტი...

სონა: ისე, კარგად დაფიქრდი — რაში გაწყობს ცოლიანი კაცი? ახლა უკვე ისეთ ასაკში ხარ, რომ ოჯახი უნდა შექმნა, შვილები გააჩინო...

პანდორა: ვიდრე ზურას გავიცნობდი, მეც მასე ვფიქრობდი, მაგრამ ახლა გადავიფიქრე. ვინაიდან მას ოჯახი აქვს, მე თანახმა ვარ, მეგობრის სტატუსს დავჯერდე.

სონა: ოჰო, რა შეღავათია?! ხომ არ ფიქრობ, რომ მურმანის ეკალი ბრძანდები? შენ ის ქალი არ ხარ, რომ ამბობდა: ჩემს ცხოვრებაში კაცს არ გავაჭაჭანებო?

პანდორა: როგორც ჩანს, ერთხელ დაშვებულმა შეცდომამ ჭკუა ვერ მასწავლა. მეორედ თუ შემეშლება, მერე მართლა ჩავიქნევ ხელს.

სონა: შენ გადარეულხარ, მგონი... ჯადო ხომ არ გაგიკეთა ვინმემ? როგორც ჩანს, სიყვარულს მართლა ვერაფერს

24242

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



გაუგებ... ასე მგონია, რომ იმ ადამიანმა მოგცა ის, რაც გაკლდა და ასე გენატრებოდა. ალბათ ძალიან თბილი და ყურადღებიანია, რადგან შენი გული ასე მალე მოიგო. რომ არ გიცნობდე, ამას ჩვეულებრივ ამბად ჩავთვლიდი, მაგრამ შენგან მართლა მიკვირს. ხომ იცი, რომ მინდა, ბედნიერი გიხილო... მე რომ წამოვედი, შენ მანდ არ უნდა დამეტოვებინე — უჩემოდ ხელიდან სულ წახვედი. :))) ახლა წავალ, თორემ შენც გაგათენებინე ღამე და მეც მთელი დღე მოვცდი.

პანდორა: კარგად, ჩემო საყვარელო, ბევრს გკოცნი...

სონა: მეც გკოცნი, ჩემო კარგო. აბა, დროებით!

06:17

პანდორა: სულში მოლოდინის ალი ანთია და
გარეთ ატმებია, მთვრალი...
შენზე ოცნებებმა ღამე ათიეს და
არც მე მომიხუჭავს თვალი...
განთიადიდანვე შენზე ფიქრს ვუნდები,
შენ თუ გახსენდები, ნეტავ...
არ მოხვალ?
წავალ და არც მე დავბრუნდები,
აღარც ლექსებს გეტყვი მეტად...

11:23

ზურა: ნატალია, დილის 6 საათზე რატომ არ გეძინა? ჩემმა სიყვარულმა ხომ არ დაგიფრთხო ძილი? არ ველოდი ნამდვილად, რომ დილით შენგან თუნდაც ერთი სიტყვა დამხვდებოდა. შენ კი ულამაზესი ლექსი მოგიძღვნია ჩემთვის. მიყვარხარ, ჩემო პატარავ, შენ რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ... გელი, როდის მოხვალ?

16:36

ზურა: მთელი დღე არ გამოჩენილხარ. ალბათ გძინავს. აბა, მთელი ღამე გაგითენებია და ხომ უნდა გამოიძინო? რა საინტერესოა, რას აკეთებდი მთელი ღამე კომპიუტერთან? მე გამისტუმრე, დამაძინე და როგორც გინდოდა, ისე „გულაობდი“, არა? რომ მოხვალ, დეტალურად ამიხსნი ყველაფერს. ახლა კი წავედი, დროებით...

22:10

ზურა: როგორც იქნა, გამოჩნდი. როგორ ხარ?

პანდორა: კარგად ვარ. რას აკეთებდი მთელი დღე?

ზურა: ვმუშაობდი. სახლში 8 საათზე დავბრუნდი. თან მოვიყოლე გამზადებული ვახშამი, გეახელი და ახლა შენ გელოდი.

პანდორა: კერძის მომზადებას შენით ვერ ახერხებ?

ზურა: მეზარება, თორემ ისე მაგარი კულინარი ვარ. ყოველ საღამოს რესტორანში ხომ არ ვივლი? — მარტო ვერ წავალ, მეგობართან ერთად რომ წავიდე, უნდა დავლიო, მე კი არ მიყვარს გადაბმული ქეიფები. ამიტომ მაღაზიაში გამზადებულს ვყიდულობ. როცა ცოლ-შვილი აქ მყავს, საჭმელს ნინო დეიდა გვიმზადებს. ის ჩემს ცოლს ოჯახის საქმეებში ეხმარება. ახლა ისიც მათთან ერთად არის დასასვენებლად წასული და სულ მარტო ვარ.

პანდორა: როდის ჩამოდის შენი ოჯახი?

ზურა: ისინი 20 სექტემბრამდე არ ჩამოვლენ. შენ როდის ჩამოდიხარ?

პანდორა: 10-ში ჩამოვალ. 5 დღე მეყოფა მოსამზადებლად, რომ სამსახურში მოწესრიგებული წავიდე.

ზურა: მე რომ გთხოვო, ჩამოდი-მეთქი? ძალიან რომ გთხოვო?

პანდორა: რაღა დარჩა? დღეს უკვე 5 სექტემბერია. 5 დღეში ჩამოვალ.

ზურა: ეს მთელი საუკუნეა. არ გენატრები?

პანდორა: კი, ცოტა...

ზურა: მე კი ძალიან მენატრები. შენთან მინდა...

პანდორა: მეც, მაგრამ როგორც ჩანს, მე გაცილებით დიდი ნებისყოფა მაქვს, ვიდრე შენ.

ზურა: ნებისყოფა? შეყვარებულ ადამიანს ნებისყოფა ყოველთვის ღალატობს. შეყვარებული ადამიანი გონებით ვერ მოქმედებს. შენ არ გიყვარვარ, ნატალი...

პანდორა: არც არასდროს მითქვამს: მიყვარხარ-მეთქი. ამას შენ მიმეორებ ყოველ წუთს. ასე არ შეიძლება. არ უნდა გააუფერულო ასეთი ლამაზი სიტყვები. თანაც, ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ 2 კვირას ითვლის და ასე მალე ადამიანის შეყვარება არ შეიძლება.

ზურა: ნატალი, მე იმას ვამბობ, რასაც ვგრძნობ და ვფიქრობ. რაც შეეხება დროს, როგორც ჩანს, შენ არაფერი გსმენია ერთი ნახვით შეყვარების შესახებ. ჩემო ნატო, მე და შენ მოკლე დროში, ძალიან დიდი ცხოვრება გავიარეთ. ის, რაც ჩვენ შორის 2 კვირის განმავლობაში მიმდინარეობს, ერთი ცხოვრებისთვის სრულიად საკმარისია. ინტერნეტმა დააჩქარა მოვლენები. ისე, ჩვეულებრივი ურთიერთობისას ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ალბათ თვეები დასჭირდებოდა. ახლა კი ყველაფერი თავბრუდამხვევი სიჩქარით განვითარდა. უშენოდ ცხოვრება ვეღარ წარმომიდგენია...

პანდორა: მეც ხშირად ვფიქრობ შენზე, ჩვენს ურთიერთობაზე... ვირტუალურ სამყაროში გაცილებით უკეთ ჩანს ადამიანის სული, ხასიათი და პიროვნული თვისებები. თუ ორმა ადამიანმა ერთმანეთის დადებითი თვისებები დაინახა და ერთმანეთი მოეწონათ, მერე იწყება გარეგნული შეფასება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თუ შეხვედრის ან სურათების გაცვლის შემდეგ აღმოაჩენენ, რომ ერთმანეთის გემოვნებას ვერ აკმაყოფილებენ, ყველა პიროვნული ღირსება უკანა პლანზე გადადის და ისინი ერთმანეთს შორდებიან.

ზურა: მაგრამ ჩვენ ხომ ერთმანეთი გარეგნულადაც მოგვეწონა?

პანდორა: დიახ და ახლა იწყება მეორე ეტაპი, როცა უკვე შესაძლებელია, სერიოზული გრძნობა ჩამოყალიბდეს. თუმცა, სტატისტიკის მიხედვით, ასეთი ურთიერთობების 95% კრახს განიცდის, მხოლოდ 5% ამართლებს.

ზურა: კარგი, დავანებოთ თავი ფილოსოფიას და ახლა ის მითხარი, დილის 6 საათზე ინტერნეტში რას აკეთებდი?

პანდორა: დავიკარგე და ძლივს მოვახერხე გზის გამოგნება. :)))

ზურა: არ ვხუმრობ, სერიოზულად გეკითხები.

პანდორა: შენმა სიყვარულმა დამიფრთხო ძილი და მოსვენებაც დამაკარგვინა...

ზურა: ნატალია, მე კითხვა დავსვი და პასუხს ველი.

პანდორა: სონას ველაპარაკებოდი...

ზურა: ხომ გამაცნობ სონას?

პანდორა: კი, გაგაცნობ, მაგრამ ის ხომ ამერიკაშია და ეს როგორ მოვახერხო?

ზურა: მე და შენ ჩავალთ მასთან და გავიცნობ. ძალიან მაინტერესებს — რაზე ლაპარაკობდით?

პანდორა: ყველაფერზე.

ზურა: ჩემზეც?

პანდორა: არა, შენზე — არა. შენ შესახებ ჯერ არაფერი მითქვამს.

ზურა: გასაგებია... სონა ნამდვილი სახელია?

პანდორა: არა, სონა მე შევარქვი. ძალიან მხიარული და ალალი გოგოა, ცოტათი დაბნეულიც. ამის გამო, თავიდან „ბატი ტასიკო“ შევარქვი, შემოკლებით — ტასო, რადგან ხშირად ხვდებოდა ისეთ სიტუაციაში, როგორშიც იმ „მულტიკის“ პერსონაჟი. ერთ დღეს რამდენიმე მეგობარი ერთად შევიკრიბეთ და მაშინ თქვა: ნატალი სონას მეძახისო (ტასო ვერ გაიხსენა) და მას შემდეგ ნამდვილ სახელს აღარავინ ეძახის... სეხნიები განუყრელად ერთად ვიყავით და თუ ვინმე საუბრისას გვახსენებდა, აუცილებლად უნდა ეთქვა — რომელ ნატოზე ლაპარაკობდა. ახლა კი ის — სონაა, მე — ნატო.

ზურა: მშვენივრად გადაგიჭრიათ პრობლემა. ასე მგონია, რომ სონა ძალიან

კარგი გოგო უნდა იყოს...

პანდორა: ძალიან საყვარელი ადამიანია. 2 წელია, რაც წასულია და მის გარეშე ძალიან მიჭირს. ასე მგონია, რომ მე აქ ვარ, ხოლო ჩემი სული ნიუ-იორკში დაბორიალებს...

ზურა: შენი გულიც, სულიც და შენც მე მეკუთვნი და ძალიან გთხოვ, ჩამობრძანდი ნიუ-იორკიდან... :)))

პანდორა: 5 დღეში ჩამოვბრძანდები...

ზურა: 5 დღე ბევრია... მინდა, რომ მოგეფერო, ჩაგიხუტო და ჩემი მოფერებით ისე დაგატკბო, რომ ვეღარ მომშორდე...

პანდორა: თრიალეთო, თრიალეთო,
მანდ რომ ერთი ტრიალებსო...
თუ ის კაცი არ დაკოდეთ,
ქალებს გაგიტიალებთო...

ზურა: ამას ჩემზე ამბობ? მიმეტებ? არ გეცოდები?

პანდორა: არა, არ მეცოდები...

ზურა: ნუ მაბრაზებ, სიცოცხლევ,
რაღას მეკამათები?
იცი, ბოლოს ჩაგიხვევს
ჩემი მძლავრი მკლავები...
რომ არ ავყვე ამ ფიქრებს,
მოდი, ერთი დავთვრები,
ჩემს მკვლელსა და მწვალებელს,
აგირიო დავთრები...

როგორ გგონია, შენზე ნაკლები პოეტი ვარ? ახლა კი წადი და დაიძინე, რომ გამიმართე აქ პოეზიის საღამო. „ვოტ“!

პანდორა: როგორ მოხდა, რომ მეუბნები: დაიძინეო? აღარ გინდა ჩემთან ლაპარაკი?

ზურა: მინდა თუ არა, ეს შენი საქმე არ არის. გეუბნები: დაიძინე-მეთქი და უნდა დაიძინო! ასე მინდა მე!

პანდორა: და კვლავ პირველი სურვილით სავსე,
ვით ციხე — მტრებით გარემოცული,
თუმცა თვალები დაბერდნენ გზაზე
და ვერ გიხილეს ჩემთან მოსული...
რა დამაძინებს, რა დამაძინებს,
უკვე მეძინა მე ჩემი წილი,
მაგრამ ამ მიწას ვიდრე ვამძიმებ,
არ გეღირსება შენც მშვიდი ძილი...

ზურა: ეგ ვიცი, რომ მშვიდი ძილი აღარ მეღირსება. შენ ახალი მითხარი რამე. მიყვარხარ...

პანდორა: ა, კიდო, ა... აბა, დაიფიცე!

ზურა: დედას გეფიცები, მართლა ძალიან მიყვარხარ. რატომ არ გჯერა?

პანდორა: ფიცი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ადამიანმა ტყუილი ისწავლა...

ზურა: შენ ახლა შარზე ხარ... წავედი, მეძინება, კარგად. გკოცნი ძალიან ბევრს. *)*)*)*)*)*)*)*)*)

პანდორა: ეგ შენი კოცნა „ოჩენ ნუჟნო“ რა...

პანდორა: წახვედი? დამტოვე? დღეს რაღაც უცნაურად იქცევი... ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩემზე ადრე წახვედი და დამტოვე. კარგი, ვნახოთ, ვინ — ვის!..

პანდორა: ვერ ვიძინებ. ვიდრე შენ ტკბილად გძინავს, მე ბაჩოს ამბავს მოგიყვები. როგორც მახსოვს, იქ გავჩერდი, როცა თავანის ჩასაბარებლად მამის საწერი მაგიდის უჯრიდან ფულის მოპარვა გადაწყვიტა და იქვე პისტოლეტი აღმოაჩინა. მისთვის ეს შოკის მომგვრელი აღმოჩნდა: მართალია, მე ფულის აღებას ვაპირებდი, მაგრამ როგორც კი იარაღს მოვკარი თვალი, მაშინვე სხვა აზრმა გამიელვა. ხელში ავიღე პისტოლეტი და რაღაც სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა. ძალის მოზღვავება ვიგრძენი და მივხვდი, რომ კაცს თუ იარაღი გაქვს, ვერავინ მოგერევა. პისტოლეტი ქამარში გავირჭვე, უჯრიდან საჭირო თანხა ამოვიღე და დათქმულ დროს იმავე სარდაფისკენ გავემართე, სადაც ფული წავაგე. განგებ დავაგვიანე. რომ დამინახეს, ახმაურდნენ. ერთმა, რომელსაც „ხარაშოს“ ეძახდნენ და რომელიც, როგორც ეტყობოდა, ამ „შაიკის“ შეფი იყო, მკითხა: რატომ დააგვიანე? ფული მოიტანე, ბიჭო?.. ვდუმდი და თვალებში ჯიქურ ვუყურებდი. „ხარაშო“ მომიახლოვდა და კბილებში გამოცრა: მოიტანე ფული? იარაღი ამოვიღე და შუბლზე მივადე. მეორე ხელით ჯიბიდან ფულის დასტა ამოვიღე და ფეხებთან დავუგდე. ფულის ასაღებად რომ დაიხარა, სახეში წიხლი ამოვარტყი და ძირს გაიშხლართა. ძმაკაცებმა წამოაყენეს. ისევ იარაღი მივუშვირე და ვუთხარი: მეორედ აღარ გაბედოთ ჩემთან მოახლოება, თორემ თქვენს სისხლს დავლევ და პასუხსაც არავინ მომთხოვს, ხომ იცით, მამაჩემი სადაც მუშაობს-მეთქი... ყველა ბანდაშია ერთი ჩამშვები და მოღალატე. ჰოდა, ეს ამბავიც ვიღაცამ გარეთ გამოიტანა და ელვის სისწრაფით მოედო უბანს. ყველა მოწიწებით მექცეოდა. მე კი ისე ვიქცეოდი, ვითომ ვერაფერს ვხვდებოდიო — ეს ამბავი ბაჩომ ჩვენი შეხვედრის მეორე დღეს მიამბო. ამ ადამიანზე მთელი ღამე ვფიქრობდი. ის ისეთი დახვწილი და ელეგანტური იყო, რომ მისი სახე, მანერები და ხმა ჩემი გონებიდან არ ამოდიოდა. მესამე დღეს შეხვედრაზე რომ მივედი, სიურპრიზი დამხვდა. რა იყო ეს სიურპრიზი, ამას სხვა დროს გეტყვი. ახლა კი მეც დავიძინებ. კარგად!

6 სექტემბერი, ოთხშაბათი.

12:31

ზურა: ეტყობა, გამიბრაზდი და გაგულისებულმა წერე და წერე წუხელ, არა? გინდა, რომ ვიეჭვიანო, ხომ? არაფერსაც არ ვიეჭვიანებ. შენი წარსული სულ არ მაინტერესებს. მთავარია, ვიცი, რომ ახლა ჩემზე გიყდები. 32 წლის ქალს წარსულში ვიღაც რომ გეყვარებოდა, ეგ ისედაც „იასნია“. ასე რომ, „ზრია სტარაეშსა, მილაია“... დროებით, დღეს ბევრი საქმე მაქვს და საღამოს შევხვდებით.

14:22

პანდორა: რა დიდი წარმოდგენა გაქვს შენს თავზე! გგონია, რომ შენი სიყვარულით ვკვდები? არც იფიქრო... წავედი...

23:10

ზურა: მოვედი. რატომ არ ხარ საიტზე? სად წახვედი? გო-გო-ნიიი...

00:03

პანდორა: მოვედი! საღამო მშვიდობისა...

ზურა: სად ბრძანდებოდი?

პანდორა: სასეირნოდ ვიყავი. შენ რას აკეთებდი?

ზურა: ასე გვიან რატომ მოხვედი? ხომ იცი, რომ გელოდი?

პანდორა: აღარ მახსოვდა, რომ მელოდი...

ზურა: როგორც ვატყობ, დღეს საუბარს ვერ ავაწყობთ. ამიტომ ჯობია, ისევ ის ამბავი მომიყვე.

პანდორა: რომელი? ჩემი და ჩემი პაციენტის შესახებ?

ზურა: არა, შენი პაციენტი დედა-შვილის შესახებ. შენი თავგადასავალი უკვე აღარ მაინტერესებს.

პანდორა: კარგი... ჰოდა, იმას ვყვებოდი, რომ მაიამ ძალიან განიცადა, როდესაც თავისი საყვარლის დედისგან ზიზღით სავსე მზერა მიიღო. მხოლოდ მაშინ განიცადა სინდისის ქენჯნა. ნათია ვერ მიხვდა დედის ნერვიულობის მიზეზს. კარგა ხანს იჯდა ოთახში მარტო და მერე მამუკას დაურეკა. დაწვრილებით მოუყვა დედის მდგომარეობა და რჩევაც სთხოვა. მამუკამ უგულოდ მოუსმინა, საქმე მოიმიზეზა და დაემშვიდობა. მეორე დილით, როდესაც ნათია ინსტიტუტში წავი-

„აბიტურიენტი 2005“ გთავაზობთ მომზადებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.



15 ოქტომბერს 13.00 საათზე ლია ქარის დღეს ატარებს თეიმურაზ ტორონჯაძე

სასწავლო პროცესის ხელმძღვანელ-კონსულტანტი (ფიზ-მათემატიკის მეცნ. დოქტორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი).

მის: პეკინის ქ. №6 II სად, IV სართ.

ტელ: 33-18-65; 899-34-13-03

და, მაიამ გადაწყვიტა, სახლი ძირფესვიანად დაელაგებინა. დალაგება კი ნათიას ოთახიდან დაიწყო, თან თავის ცხოვრებაზე ფიქრობდა. ხელში სურათების ალბომი მოჰყვა და მის თვალიერებას შეუდგა. ერთ სურათს დააკვირდა და უცებ, ელდანაკრავივით მოისროლა ალბომი. კარგა ხანს შორიდან ისე უყურებდა, თითქოს მის წინ შხამიანი გველი იწვა. შემდეგ დაიხარა და გაფანტული სურათები მოაგროვა. გულდასმით დაათვალიერა თითოეული მათგანი და თანდათან სახე აუჭარხლდა. ერთ სურათში ნათია და მამუკა ერთად, ხელიხელგადახვეული იდგნენ, მეორეში მეგობრებთან ერთად ნაყინს მიირთმევდნენ, მესამე სურათზე კი ერთმანეთისკენ ტუჩებმიშვერილი იყვნენ გადაღებული. ყველა მათგანს კუთხეში თარიღი ჰქონდა დასმული, საიდანაც ჩანდა, რომ სურათები ერთსა და იმავე დღეს და სულ რაღაც ერთი კვირის წინ იყო გადაღებული. მაიას კარგა ხანი დასჭირდა საიმისოდ, რომ გონზე მოსულიყო. ის დარწმუნებული იყო იმაში, რომ მამუკა და ნათია ერთმანეთს აღარ ხვდებოდნენ, მაგრამ ფოტოები სრულიად საპირისპიროზე მეტყველებდა. მაშინვე მობილურს დასწვდა და მამუკას ნომერი აკრიბა, თუმცა მალევე გადაიფიქრა და ტელეფონი საწოლზე მოისროლა. იფიქრა: ნათიას დაველოდებიო... შვილის მოსვლამდე ადგილს ვერ პოულობდა. სააბაზანოში შევიდა, ონკანი მოუშვა და თავი ცივ წყალს შეუშვირა. ერთ საათში ნათიაც დაბრუნდა. მაიამ დაიცადა, რომ ესადილა და შემდეგ გვერდით მიუჯდა. — ნათი, სალაპარაკო მაქვს. — გისმენ, დედა. — გულახდილად მითხარი, რამდენი ხანია, რაც მამუკა არ გინახავს? ნათია აიწურა, ერთიანად გაფითრდა და ქვედა ტუჩი აუკანკალდა... ზურა, შეიძლება, ხვალ გავაგრძელოთ?

ზურა: რა თქმა უნდა, თუმცა ვგრძნობ რომ საოცარი ამბავია და განაბული ვკითხულობდი. გეძინება?

პანდორა: კი, მეძინება.

ზურა: ნატა, შაბათს მე თვითონ ჩამოვალ შენს წამოსაყვანად, კარგი?

პანდორა: როგორც გინდა, მაგრამ შაბათი 9 რიცხვია, მე კი წამოსვლას 10-ში ვაპირებ.

ზურა: ღმერთო, რა ჯიუტი ხარ. რა გიშველო? ერთი დღე რას წყვეტს? შაბათს, 9 სექტემბერს ჩამოვალ, ხოლო უკან კვირას, 10-ში დავბრუნდეთ.

პანდორა: კარგი, მანამდე რამდენიმე დღეა და მოვიფიქრებ.

ზურა: ნატალი, იცი, რაღაც მინდა გითხრა.

პანდორა: შენ კარგს არაფერს მეტყვი, ამიტომ არ მინდა, არ მითხრა.

ზურა: არა, მაინც უნდა გითხრა....

პანდორა: ახლა მე დავიძინებ და შენ მომწერე — ხვალ დილით წავიკითხავ.

ზურა: მაინც არ იშლი შენსას, არა? კარგი, მოგწერ. შენ კი მშვიდად დაიძინე. გკოცნი, ჩემო პატარავ. ერთი სული მაქვს, როდის ჩაგიხუტებ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ეკა მინდაძე

— თავდაპირველად, მინდა, მოგილოცოთ ოჯახის შექმნა!

დათო:

— დიდი მადლობა.

— ერთმანეთი სად და როდის გაიცანით?

— 4 წლის წინ, თელავში. ორივეს გასტროლი გვქონდა იქ.

— გაიხსენეთ თქვენი პირველი პაემანი...

სოფო:

— ჩვენი პირველი პაემანი რეპეტიციაზე შედგა. საერთოდ, „ოფიციალური“ პაემანი არასოდეს გვქონია. ერთმანეთს ყოველთვის რეპეტიციებზე ვხვდებოდით.

დათო:

— ისე უცებ მოხდა ყველაფერი, რომ კინოსა და თეატრში წასვლა ვერც კი მოვასწარით. პირველ ხანებში, დაახლოებით 3 თვე, არც ერთს წესიერად არ გვიძინია, იმდენად აფორიაქებულები და ბედნიერები ვიყავით. ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებდით და ამიტომ, როცა ერთად ყოფნას ვერ ვახერხებდით, ტელეფონის წყალობით ვურთიერთობდით. თითი გვტკიოდა ორივეს, იმდენს ვურეკავდით ერთმანეთს.

— როგორ გამოუტყდით ერთმანეთს სიყვარულში?

— მართალი გითხრა, სიტყვით არაფერი მითქვამს, ეს ისედაც ნათელი იყო სოფოსთვის. რომ არა ჩემი ახლობელი ადამიანი, ალბათ, ცოტა ხანს ისევ ისე გავაგრძელებდით ყოფნას. სად გვეჩქარებოდა? ორივეს ერთმანეთი გვერდით გვყავდა და ვიცოდით, რომ ჩვენი ურთიერთობა ნამდვილად წრფელი იყო.

სოფო:

— უბრალოდ, დაგვასწრეს გამხელა.

დათო:

— ერთ-ერთ სუფრაზე ნესტან ჭელიძემ გაამჟღავნა ჩვენი ურთიერთობა და საგანგებოდ გამოაცხადა: მინდა, დავლოცო წყვილი, რომელიც ძალიან მალე შეუღლდებაო.

უნივერსიტეტის ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრმა დათო არჩვაძემ და მომღერალმა სოფო კუჭავამ ერთმანეთი თელავში გაიცნეს. 4 წლის შემდეგ კი, ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს. ბედნიერებაა, როცა სიყვარულით იქმნება ოჯახი. ისინი უკვე ერთად არიან და ალბათ, სულ ცოტა ხანში ოფიციალურად დაქორწინდებიან.

რეპეტიციაზე ჩასახული სიყვარული და „საქორწინო“ საგასტროლო ტურნე

სოფო:

— ახლო მომავლში, ეს ისედაც მოხდებოდა, მაგრამ ნესტანმა მოვლენებს წინ გაუსწრო *(იცინის)*.

დათო:

— გამოდის, რომ ჩვენი სათქმელი მან თქვა *(იცინის)*.

— თქვენი შეუღლების ამბავი მშობლებს როგორ აცნობეთ?

სოფო:

— ერთ დღეს დათომ მითხრა — მოდი, მშობლები ერთმანეთს გავაცნოთო.

დათო:

— ორივე მხარემ ჩვენი ურთიერთობის შესახებ ყველაფერი იცოდა, ამიტომაც ვიფიქრე, რომ აუცილებელი იყო, ერთმანეთს გავცნობოდით. ჩვენი ურთიერთობით გახარებულმა ჩემმა მშობლებმა საგანგებოდ გაშალეს სუფრა. მე ავდექი და თითქმის ყველა ჩემი მეგობარი დავპატიჟე. იმ ღამეს ისე განვითარდა მოვლენები, რომ დავინიშნეთ კიდეც. ჩვენი ნიშნობა ექსპრომტად მოხდა, წინასწარ მართლა არაფერი დაგვიგეგმავს. ჩემი მშობლები გიჟდებოდნენ სოფოზე, ისე მოსწონდათ. როცა გაიგეს, რომ სოფოს ვხვდებოდი, ძალიან გაუხარდათ. უბედნიერესი ადამიანები იყვნენ, რომ ჩემ გვერდით ასეთი ლამაზი გოგონა იყო. იმ ღამეს, როცა ნესტანმა ჩვენი სიყვარული გაამჟღავნა, მეგობრებმა მაშინვე დარეკეს და ჩემს მშობლებს მოულოცეს. ამის გამო ჩემს ოჯახში თურმე დიდი ზეიმი გამართულა. სოფოს მშობლებიც გახარებულები იყვნენ ჩვენი ურთიერთობით, მაგრამ ისე ჩქარა განვითარდა მოვლენები, რომ ისინი ცოტათი დაიბნენ კიდეც. აბა, რას წარმოიდგენდნენ, რომ იმ დღესვე დანიშნავდნენ მათ ქალიშვილს?! ძალიან ძნელია, მამისთვის ქალიშვილის გათხოვებასთან შეგუება და ამის გამო სოფოს მამამ ერთდროულად, სიხარულისა და სინანულის კურცხალიც კი გადმოაგდო. მისი მდგომარეობა მეც გავიზიარე და მეც ცრემლები მომერია.

— საინტერესოა, ერთი ნახვით შეყვარების გჯერათ?

დათო:

— რა თქმა უნდა. სოფო პირველად რომ დავინახე, ჩემდა უნებურად, გავიფიქრე — ეს გოგო ჩემი ოცნების ქალიამეთქი. პირველსავე დღიდან მომეცა საშუალება, რომ სოფოს კარგად დავკვირვებოდი. მოგზაურობა მართლაც რომ საუკეთესო საშუალებაა ადამიანის გასაცნობად, რაც არ უნდა ახლო და ხანმოკლე გასტროლი იყოს. სწორედ იმ დღიდან ჩაინერგა ჩემში სიყვარულის მარცვალი.

— თაფლობის თვე სად გაატარეთ?

— საქართველოში. კონცერტებით მთელი საქართველო შემოვიარეთ მე, სოფომ და თეატრალური ინსტიტუტის კვარტეტმა. სხვათა შორის, ჩვენმა გასვლითმა კონცერტებმა საკმაოდ წარმატებით ჩაიარა.

— ერთმანეთის რა თვისებებმა მოგხიბლათ?

სოფო:

— ყველაზე მეტად მე დათოს გულწრფელობამ და ადამიანობამ მომხიბლა. ის იმდენად ალალია, რომ არ შეიძლება, მისდამი გულგრილი დარჩეს ვინმე.

დათო:

— ვფიქრობ, ქალი უნდა იყოს სისუფთავით, სიკეთითა და კდემამოსილებით შემკული. სწორედ რომ ასეთია სოფოც და ალბათ, ამიტომ მიიქცია ჩემი ყურადღება.

— სოფო, თუ გახსოვს, პირველად დათომ რა გაჩუქა?

— კი, როგორ არ მახსოვს?! პატარა ზარდახშა. ეს ზარდახშა თავის სახლში ერთ-ერთი რეპეტიციის დღეს მაჩვენა და იმდენად მომეწონა, რომ მთელი დღის განმავლობაში ხელით დავატარებდი. წასვლის წინ კი, დათოს დედას მივეცი, რომ შეენახა. დათომ ხელმეორედ გამომიტანა და მითხრა: ეს ჩემგან სახსოვრადო. ეტყობა შეამჩნია, რომ ძალიან მომეწონა და მითხრა: მინდა, რომ ჩემთვის ძვირფასი ნივთი ჩემს საყვარელ ადამიანს ჰქონდესო.

დათო:

— ვიცოდი, რომ ეს ნივთი დამიბრუნდებოდა!

— დათო, სოფოს მიერ მორთმეული საჩუქრებიდან რომელი გახსენდება?

— სითბო და სიყვარული...

სოფო:

— სამწუხაროდ, მე საჩუქრებით არ გამინებივრებია დათო. მხოლოდ ერთხელ ვაჩუქე ღვთისმშობლის ხატი.

— თაიგულს ხშირად გჩუქნის?

— კი. ერთხელ იმხელა თაიგული მომართვა, კარი რომ გავაღე, თვითონ საერთოდ არ ჩანდა *(იცინის)*...

— სოფო, როგორ აფასებ დათოს შემოქმედებას?

— დადებითად. სხვათა შორის, სანამ პირადად გავიცნობდი, მანამდე უკეთ ვიცნობდი მის შემოქმედებას. უფრო მეტსაც გეტყვი — მისი თაყვანისმცემელი ვიყავი.

დათო:

— ყველა ადამიანს სიამოვნებს შექება, მაგრამ თავი უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი, როცა სოფომ შემაქო.

— მომავალში დუეტის ჩაწერას ხომ არ აპირებთ?

— რა თქმა უნდა. მომავლისთვის დაგეგმილი გვაქვს სამი დუეტი. გარდა ამისა, სხვა სიმღერებზეც ვმუშაობთ.

— ეჭვიანები თუ ხართ ერთმანეთის მიმართ?

— არა. სოფოს იმის საბაბს არ ვაძლევ, რომ იეჭვიანოს.

სოფო:

— იმდენად ვენდობით ერთმანეთს, რომ ეჭვიანობა უსაფუძვლოა.

— ოჯახში საქმე როგორ გაქვთ განაწილებული? ბაზარში რომელი დადის?

— იმის გამო, რომ დათოს მშობლებთან ერთად ვცხოვრობთ, საოჯახო საქმეებს ძირითადად ისინი აგვარებენ.

დათო:

— ბაზარში მშობლების წყალობით ჯერჯერობით არ დავდივარ, მაგრამ მაღაზიიდან ბევრჯერ მოვსულვარ სახლში პროდუქტებით დატვირთული. მეზობლები როგორც კი ტვირთით ხელში დამინახავენ, მაშინვე დამიძახებენ — როგორ დაგეტყო ცოლის მოყვანაო! ზოგი იმასაც გაიძახის: ნახე, რა ოჯახის ბიჭიაო!

— სოფო, როგორი დამოკიდებულება გაქვს დედამთილ-მამამთილთან?

— ძალიან კარგი. ისინი ჩვენი მშობლები, ჩვენ კი — მათი შვილები ვართ.

— როგორი დიასახლისი ხარ?

— რა ვიცი, ჩვეულებრივი. ბუნებრივია, რაღაც წვლილი მეც შემაქვს საოჯახო საქმიანობაში, მაგრამ საერთო ჯამში, დედა ცდილობს, რომ არ დამტვირთოს. სულ გვეუბნება — ოღონდ თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ და მე თქვენი დახმარება არ მინდაო.

დათო:

— სახლში მხოლოდ ამაზეა კამათი: არა, მე გავაკეთებ და არა — მეო. ამის გამო სულ ხელებში ურტყამენ ერთმანეთს *(იცინის)*...

— დათო, მეულლე თუ ამზადებს კერძებს და ყველაზე გემრიელი რა გამოსდის?!

— რა თქმა უნდა. სოფო ძალიან გემრიელ აჯაფსანდალს და ბორშჩს ამზადებს. განსაკუთრებით მიყვარს მის მიერ გაკეთებული, ნიორწყალში ჩადებული ქათამი.

— მოდი ახლა, ერთმანეთზე მეჭორავეთ და მითხარით, რა უარყოფით თვისებებს ხედავთ ერთმანეთში?

დათო:

— ა, სოფო, ხომ არ გავიდე *(იცინის)*?

სოფო:

— არა. უარყოფითი თვისება ჩემი და დათოსი ალბათ ის არის, რომ სულ ვაგვიანებთ ყველგან. რაც არ უნდა ადრე დავიწყოთ მომზადება, მაინც გვაგვიანდება. ჯერ დათოს დავდევ ხოლმე და ვახსენებ — დროზე მოემზადე, ვაგვიანებთ-მეთქი, მერე ის დამდევს. სხვა უარყოფითი თვისება მას არ აქვს.

დათო:

— ფერი ფერსაო — ჩვენზეა ნათქვამი ზუსტად იგივე შემიძლია ვთქვა მეც.

— ამბობენ, სიყვარული დროთა განმავლობაში ხუნდება და ქრებაო. რას იტყვით ამის შესახებ?

სოფო:

— ამ აზრს არ ვეთანხმები. თუ ოჯახი სიყვარულით შეიქმნა, იქ სიყვარულის განელება წარმოუდგენელია. ვფიქრობ, დღითი დღე უფრო ღვივდება და ღრმავდება ასეთი სიყვარული. ჩვენს ოჯახს ასეთი რამ არასოდეს დაემუქრება. პირიქით, რაც დრო გავა, მით უფრო გვეყვარება ერთმანეთი.

დათო:

— ვეთანხმები სოფოს: რაც უფრო ახლოს ხარ, მით უფრო ძლიერდება სიყვარულიც.

— რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?

— ძალიან მინდა, მინიმუმ 5 შვილის მამა ვიყო, მრავალშვილიანი ოჯახი მქონდეს.

სოფო:

— მეც ამის მომხრე ვარ. მინდა, ღმერთის წყალობით ბევრი შვილი ვიყოლიო.

— დაბოლოს, რას ურჩევთ ახალშეუღლებულებს?

დათო:

— იყავით ყურადღებიანები ერთმანეთის მიმართ, გიყვარდეთ ერთმანეთი და ეცადეთ, არავის ნათქვამს არ მიაქციოთ ყურადღება — იმიტომ, რომ შეიძლება, ერთმა სიტყვამ შეცდომაში შეგიყვანოთ და თქვენ შორის უთანხმოებაც ჩამოვარდეს.

სოფო:

— ეცადეთ, ერთმანეთის მიმართ პატივისცემა გამოიჩინოთ. გარდა ამისა, გირჩევთ, ყველას აზრი არ გაითვალისწინოთ, თორემ ამით შეიძლება, თქვენს სიყვარულს საფრთხე შეექმნას. ■

სოფო პირველად რომ დავინახე, ჩემდა უნებურად, გავიფიქრე — ეს გოგო ჩემი ოცნების ქალია-მეთქი...

„ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, — ასეთია ძველი რომაული ანდაზა, რომლის თანახმად, ადამიანს ზოგჯერ არაადამიანური, მტაცებელი მხეცის შესაფერისი საქციელის ჩადენაც კი შეუძლია. სწორედ ეს ანდაზა გამახსენდა, როდესაც ერთ ახალბედა მონადირეს ველაპარაკებოდი. მაგრამ ვიდრე ჩემი რესპონდენტის ნაამბობს გადმოგცემთ, მინდა, უფრო ახლოს წარმოგიდგინოთ ის მტაცებელი, რომლის ორგანოებსაც ადამიანები თურმე, წარმატების მისაღწევად და ბედნიერების მოსაპოვებლადაც იყენებენ ხოლმე...

მგელი

უველა მტაცებლისგან გამორჩეული და ადამიანისთვის საშიში

ემა ტუხიაშვილი
ნათია ქივიძე

ჭკვიანი და მოხერხებული, ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი და „ქარიზმატული“ მტაცებელი — ასე ახასიათებენ თანამედროვე მეცნიერები მგელს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ მხეცის „ადამიანური“ თვისებების შესწავლას ცდილობენ... კლასი — ძუძუმწოვრები; რიგი — მტაცებლები; ოჯახი — ძაღლისებრთა; გვარი — მგელი. მისი სიმაღლე 60-80 სანტიმეტრია. ძუ მგლის წონა 18-55 კილოგრამია, ხვადის — 20-80. მგლების შეფერილობა სხვადასხვაგვარია: თეთრი, შავი, რუხი, ჩალისფერი, მურა. გავრცელებულია ევრაზიისა და ამერიკის კონტინენტებზე. ახასიათებს შეგუების ფართო დიაპაზონი: ბინადრობს უდაბნოში, დაბლობზეც და მაღალმთიან რეგიონებშიც, ტყის გავრცელების ყველა ზონაში, სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში. მგლების მძუვნობა იწყება ადრე გაზაფხულზე, ზოგჯერ, ზამთრის დამლევსაც კი. მაკობის ხანგრძლივობა 63 დღემდე გრძელდება, შობს 3-10 ლეკვს, რომლებიც 9-10 დღის ასაკში ახელენ თვალებს. მგლის ლეკვებზე არა მხოლოდ მშობლები, არამედ ოჯახის სხვა წევრებიც ზრუნავენ: „დეიდები“, „ბიძები“ და უფროსი „და-ძმები“.

მგლის ძირითად საკვებს მსხვილი და წვრილი ძუძუმწოვრების ხორცი წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მგლის ოჯახი შედგება რეპროდუქციული წყვილისგან — მათ ეწოდებათ დომინანტი ძუ და დომინანტი ხვადი — და სხვა ზრდასრული ახალგაზრდა ინდივიდებისგან, რომლებიც იერარქიულ კიბეზე რანგის მიხედვით არიან განთავსებული. ჯგუფის წევრთა უმეტესობა ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში იმყოფება, მაგრამ ოჯახში მხოლოდ დომინანტი წყვილი მრავლდება, დანარჩენები კი მათ აღზრდაში მონაწილეობენ.

მგლის ოჯახში იერარქიულ სტრუქტურას დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში — ჯგუფის შიგნით სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მაგრამ დროდადრო, ოჯახში რანგების გადანაწილება აუცილებელი ხდება, რასაც დაბალი რანგის წევრების გაძევება მოჰყვება ხოლმე. გაძევებული წევრები უმეტესად, ბებერი ინდივიდები არიან. საინტერესოა, რომ კონფლიქტის მოტივაცია შესაძლოა, გამრავლების ინსტინქტი იყოს, მაგრამ ინდივიდი ვერ მიიღებს გამრავლებაში მონაწილეობას, თუ სასურველ მდგომარეობას არ დაიკავებს. საგულისხმოა, რომ სულაც არ არის აუცილებელი, დომინანტი მგელი ფიზიკურად ყველაზე ძლიერი იყოს, ინდივიდის რანგს მისი გამოცდილება და გონებრივი შესაძლებლობები განსაზღვრავს. თანამედროვე სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ მგელი მტაცებლად არ იბადება. მგლის ლეკვები ჯერ მშობლების მიერ მოტანილი წვრილი ცხოველების ჭამას სწავლობენ, მოგვიანებით კი იმას, თუ რომელია მათი პოტენციური მსხვერპლი. მგელში ეტაპობრივად ვითარდება მტაცებლური და მონადირული ქცევები: უფროსებისგან ნასწავლისა და საკუთარი გამოცდილების წყალობით, მგელი წარმატებულ მტაცებლად და მონადირედ ყალიბდება. სანადიროდ გასვლამდე, ხროვის წევრები ერთმანეთს ყმუილით, ყეფით უხმობენ, მისალმებისა და დომინანტისათვის მორჩილების გამომხატველ რიტუალებს ატარებენ. აღსანიშნავია მგლის კიდევ ერთი საინტერესო თვისება (რომელიც სხვა მტაცებლებში გამოვლენილი არ არის), რომელსაც მეცნიერებმა სივრცობრივი განაწილება უწოდეს: მგლის ოჯახის დომინანტები თავიანთი ტერიტორიის საზღვრებს შარდითა და ექსკრემენტებით მონიშნავენ; თუ ვინმე გაბედავს და სხვის ტერიტორიაზე შეიჭრება, კონფლიქტი გარდაუვალია.

მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენშიც, მგელთან ბრძოლა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხად მიიჩნეოდა. მაგალითად, შოტლანდიაში უკანასკნელი მგელი 1745 წელს მოკლეს. ბევრი ევროპული ქვეყნის მსგავსად, ამ მტაცებლის წინააღმდეგ ბრიტანეთშიც აქტიური ბრძოლა იყო გაჩაღებული. იყო პერიოდი, როდესაც მეფის ბრძანებით, ყველა ზრდასრულ მამაკაცს მგელზე ნადირობა ევალებოდა და ვინც ამ საქმეში თავს გამოიჩენდა, კარგ გასამრჯელოს მიიღებდა. მეცნიერთა გამოთვლით, დღეს მგლების რაოდენობა (მსოფლიო მასშტაბით) საგრძნობლადაა შემცირებული და სადაც გადარჩა, ამას მხოლოდ საკუთარი გონებრივი შესაძლებლობებისა და ჯერ კიდევ შემორჩენილი თავშესაფრის წყალობით მიაღწია...

გიზო ჩქარეული, *მონადირე:*

— წელიწადზე მეტია, რაც თბილისის მახლობლად, ერთ-ერთ სოფელში აგარაკი შევიძინე. საუცხოო ბუნებაა, სოფელს ყველა მხრიდან ტყე ესაზღვრება და როდესაც თბილისში პაპანაქება სიცხეში სუნთქვა ჭირს, ჩემს აგარაკზე გრილი სიო უბერავს. ერთი კია — ამ სოფლისკენ მიმავალი გზა შუაგულ ტყეში გადის, ამიტომ თუ ორხიდიანი მანქანა არა გყავს, ასვლა გაგიჭირდება. როგორც იქაურებმა ამიხსნეს, თავდაპირველად სოფელი მხოლოდ სააგარაკო დანიშნულებით აშენდა, ამიტომ იქ არც სკოლაა და არც რაიმე სხვა დაწესებულება. სოფლის მკვიდრი მოსახლეობა მხოლოდ რამდენიმე ოჯახისგან შედგება, დანარჩენები კი, ზაფხულობით ჩავდივართ... როდესაც ახალნაყიდ აგარაკზე ოჯახთან ერთად ჩავედი, ღამით ძილბურანში, მგლების ყმუილი ჩამესმა, თავიდან ვიფიქრე, ხომ არ მეჩვენება-მეთქი, მაგრამ ყმუილი ისე ახლოს ისმოდა, რომ ფანჯრიდან გახედვასაც კი მოვერიდე. მეორე დღეს მეზობლებისგან შევიტყვე, რომ ღამღამობით სოფელში მგლების სტუმრობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მითხრეს: ტყეში ნადირი აღარ არის, ამიტომ, ვის — ცხვარს ჰპარავენ, ვის — ღორს და ა.შ. წუხელ ღამით კი, მეზობლის ძაღლი დაგლიჯესო. თან მირჩიეს, უსაფრთხოებისთვის სანადირო თოფი მეყიდა. ხელში იარაღი არასდროს მჭერია, მაგრამ მალე სროლაც ვისწავლე და იქაურ მონადირეებსაც დავუმეგობრდი. მწყერსა და ქედანზე სანადიროდ, სოფლიდან მოშორებით, გაშლილ ფერდობზე გვიხდებოდა გასვლა, ხოლო მგლის მონადირება კარგ მსროლელს საკუთარი სახლის ფანჯრიდანაც შეეძლო, თუ მე თოფს მხოლოდ მგლების დასაფრთხობად ვისვრი, იქაურ მონადირეებს საკუთარი სახლის ეზოში მგელი ბარითაც კი ჰყავთ მოკლული. მათ*

მიერ მონადირებული მოზრდილი მურა მგლის ტყავი მეც მაჩუქეს და როგორც ნამდვილ მონადირეს შეეფერება, ის აგარაკზე, ბუხართან დავკიდე. ეს რომ ჩემმა ცოლმა დაინახა, კინაღამ გული წაუვიდა, ბავშვებმა ტირილი დაიწყეს, სიდედრმა კი შეიცხადა: ოჯახში მგელს რა უნდაო?!. ცოტა ხნის წინ ე.წ. მშრალ ხიდზე (ძველმანების ბაზრობაზე) გავიარე, სადაც შევნიშნე, რომ კაცი მგლის, მელიისა და კურდღლის ტყავებს ყიდდა. ბევრი არც მიფიქრია, მასთან მივედი და ჩემი მგლის ტყავის შეძენა შევთავაზე. ვაჭარმა ირიბად გადმომხედა და თითქოს ჩემი ნათქვამი არ გაუგონიაო, ზურგი შემაქცია. ასეთმა დამოკიდებულებამ გამაღიზიანა და ლამის ჩხუბით შევეცადე, მისთვის ამეხსნა, რომ ნაქურდალი მგლის ტყავს კი არა, მეგობრების ნანადირევს ყიდდი. ვაჭარმა ხელით მანიშნა — ახლოს მოდიო და გამომიტყდა, რომ „ძაღლების“ მიგზავნილი ვეგონე. ამის შემდეგ მიამბო, რომ მგლის ტყავს სვანი მონადირეებისგან იბარებს და თითოს 300-400 დოლარად ყიდის. თან, დასძინა: მგლის ტყავს იშვიათად თუ ყიდულობს ვინმე, შენ თუ ძუ მგლის სასქესო ორგანოს მომიტან, ხუთჯერ მეტს გადაგიხდიო. მივხვდი, რომ მგლის ეს ორგანო ვაჭარს შავბნელი საქმისთვის სჭირდებოდა, ამიტომ გადავწყვიტე, მისგან უფრო მეტი ინფორმაცია მიმეღო და რა თქმა უნდა, შევპირდი, რომ აუცილებლად მივუტანდი იმას, რაც შემიკვეთა. ვაჭარი მგლის უნიკალურ თვისებებზე ალაპარაკდა. მიამბო, რომ ამ მტაცებელს შეუძლია, ადამიანზე მეტად ერთგული იყოს. მაშინ გავიგე პირველად, რომ დაქვრივებული ძუ მგელი სიცოცხლის ბოლომდე თავისი ხვადის ერთგული რჩება. გავიგე ისიც, რომ მგელს უსაზღვრო სიძულვილიც შეუძლია. მაგალითად, თუ დაინახავს, რომ მისი რომელიმე ლეკვი წყალს ძაღლივით სვამს, მას თავადვე დაახრჩობს. სწორედ ამ და სხვა მრავალი საინტერესო თვისების გამო, ძუ მგლის სასქესო ორგანოსგან თურმე, ყველაზე ძლიერმოქმედი ჯადო მზადდება. განსაკუთრებული ძალა აქვს მგლის კბილებს, ბეწვს და ქონს. ვაჭარმა არც ის დამიმალა,

რომ მისი მუდმივი კლიენტები, ცნობილი ბიზნესმენები და პოლიტიკოსები არიან, მათი წარმატება კი, თურმე, მგლის დამსახურებაა... მეტი დამაჯერებლობისთვის, ჩემმა ნაცნობმა ვაჭარმა სოლიკო ხაბეიშვილის დაპატიმრების ფაქტიც გაიხსენა, როდესაც სამართალდამცველებმა მისი ფეხსაცმლის ქუსლში მგლის ბეწვს მიაგნეს. ამ ადამიანის მონათხრობმა სრულიად შემძრა და კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მგელზე მეტად, მგლად ქცეული ადამიანების უნდა გვეშინოდეს...

როგორც ჩვენმა რესპონდენტმა აღნიშნა, მგლის ქონი და სასქესო ორგანო მეტისმეტად საშიშია. მათი გამოყენებით, ზოგიერთი ადამიანი, რომელსაც ბოროტების ჩადენა შეუძლია, ე.წ. ნათელმხილველის, მკითხავ-მჩხიბავისა და სხვა მსგავსი „პროფესიის“ ადამიანთა დახმარებით, მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის და ადამიანებს ჯადოს უკეთებს. ვინ და რატომ აკეთებს ამას? — ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, მკითხავ შუშანას შევხვდით.

— მინდა გითხრათ, რომ მე ნათელმხილველი არ გახლავართ და არც ჯადოს ვაკეთებ. უბრალოდ, ზოგიერთებს მათ მოხსნაში ვეხმარები. რაც შეეხება ჯადოს, — ის ბევრნაირი არსებობს და მის დასამზადებლად, როგორც მგლის ქონი, ასევე მისი სასქესო ორგანო გამოიყენება. ჯადო შეიძლება გახდეს ვიღაცის ოჯახის დანგრევის, ვიღაცის უბედურების, წარუმატებლობისა და თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანის სიკვდილის მიზეზიც კი. მაგალითად, ვიცი შემთხვევა, როცა ოჯახის წევრებს მკითხავმა უთხრა, რომ მათ სასიკვდილო ჯადო ჰქონდათ გაკეთებული, მაგრამ არ დაუჯერეს. ოჯახს 8 შვილი ჰყავდა. უფროსი 21 წლის იყო, ხოლო უმცროსი — 5-ის. ცოტა ხანში, ერთი თვის მანძილზე, გარკვეული ინტერვალებით, რვავე დაიღუპა... სამწუხაროდ, მგლის ქონითა და სასქესო ორგანოთი გაკეთებული ჯადო საკმაოდ ეფექტურია და მისი მომხმარებელი დასახულ მიზანს თითქმის ყოველთვის აღწევს.

— ქართველები ყველაზე ხშირად რისთვის ან ვის უკეთებენ ჯადოს?

— ყველაზე ხშირად ქალები ქმრებს ან საყვარლებს უკეთებენ ჯადოს: ქმრებს უფრო მეტად აყვარებენ თავს, საყვარლებს კი — ოჯახს უნგრევენ. როგორი ბოროტი უნდა იყოს ადამიანი, რომ ვიღაცას სასიკვდილო ჯადო გაუკეთოს!.. ასეთი შემთხვევა იშვიათია, მაგრამ მაინც ხდება. ამას წინათ, ჩემმა მეზობელმა საიდუმლოდ მთხოვა — ჩემი საყვარელი ყურადღებას აღარ მაქცევს, ისევ ცოლისკენ შებრუნდა და ხანდახან ჩემს სატელეფონო ზარსაც კი აღარ პასუხობს; მისი დაკარგვის მეშინია და მინდა, ჯადო გავუკეთოო. მივასწავლე, ვისთანაც უნდა მისულიყო. მან აღუთქვა, რომ საყვარელს 3 თვეში დაუბრუნებდა, მაგრამ ამისთვის ჩემს მეზობელს მკითხავისთვის საყვარლის რაიმე პირადი ნივთი უნდა მიეტანა, რომელსაც ის კაცი ხშირად იყენებდა. იმ ქალმა საყვარელს ცხვირსახოცი მოჰპარა და მკითხავს მიუტანა. იმანაც შეულოცა, მგლის ქონი წაუსვა და უკან გაატანა. მერე ჩემი მეზობელი იმ კაცს თავად ეწვია სამსახურში და ის ცხვირსახოცი დაუბრუნა. ერთი თვეც არ იყო გასული, რომ იმ კაცმა მასთან სიარული ისევ დაიწყო, ხელებს უკოცნიდა და ეხვეწებოდა: მაპატიე, რომ მიგატოვეო. მან მალე ცოლ-შვილი მიატოვა და საცხოვრებლად ჩემს მეზობელთან გადმობარგდა. ალბათ, ეს ყოველივე ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ მსგავსი შემთხვევა საქართველოში საკმაოდ ხშირია. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ზოგიერთი ადამიანი ჯადოს საკუთარ თავსაც უკეთებს. მაგალითად, ვიცნობდი ქალბატონს, რომელსაც მკითხავმა შეულოცა და ურჩია, რომ მგლის სასქესო ორგანო ყოველთვის საკუთარი ხელჩანთით ეტარებინა. ის ქალი ასეც მოიქცა და მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატებული კარიერა ჰქონდა, შესაბამისად, არც ფული აკლდა, მაგრამ პირადი ცხოვრება ვერა და ვერ აიწყო და მარტოობაში დალია სული.

— ამგვარი ჯადოს გაკეთება ძვირი არ ჯდება?

— რა თქმა უნდა. მგლის ქონსა და სასქესო ორგანოს, იცით, რა ფასი აქვს? მკითხავები საჭირო რაღაცების ყიდვას კლიენტს ავალებენ. მაგრამ მისი შოვნა ძნელია, რადგან ვაჭართან უცნობი რომ მიდის, მას არ მიჰყიდიან, ყველა, პოლიციის მიგზავნილი ჰგონიათ. ამიტომ, ვინმე ნაცნობი უნდა „გამოჩხრიკო“ და ისე იყიდო.

— რა უნდა ქნას ადამიანმა, რომელსაც ჯადო აქვს გაკეთებული?

— პირველ რიგში, მან ამის შესახებ უნდა შეიტყოს. ბევრ ადამიანს ჯადოსა და მსგავსი რაღაცების არ სჯერა. ჯადოს მოხსნას სპეციალური შელოცვების კურსი სჭირდება, ამასთანავე, ის ნივთიც უნდა დაიწვას და განადგურდეს, რომელზეც ჯადოა გაკეთებული. თუ ვერ გავიგეთ — რომელი ნივთია დაწყევლილი, მაშინ, თეთრი მაგის ლოცვით ჩვეულებრივი წყალი უნდა შეილოცოს და იმ ადამიანებმა ის მთელ სახლში, განსაკუთრებით კი, იმ ადგილებში მოასხურონ, სადაც ბევრი მინაა. იმ ადგილას, სადაც ჯადოა გაკეთებული, წყლის მისხმის შემდეგ, რაღაც აუცილებლად გატყდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯადო მოხსნილია.

ბუნებრივია, როცა მგელხა და მის თვისებებზე საუბრისას, მკითხველისთვის უკვე საკმაოდ პოპულარული რომანის — „მგლების“ ავტორის, გოჩა მანველიძის კომენტარითაც დავინტერესდით. აი, რა გვითხრა მან:

— ჩემი რომანისთვის სახელწოდება „მგლები“ იმიტომ შევარჩიე, რომ მისი გმირები ამ ცხოველს ძალიან ჰგვანან — დაუმორჩილებლობით, შეუპოვრობით, დაუნდობლობით. საერთოდ, მე მგლებს ძალიან კარგად ვიცნობ, რადგან ისინი ძაღლისებრთა ოჯახს მიეკუთვნებიან, ამ ოჯახისადმი ინტერესი კი, ჩემი ერთ-ერთი ჰობია. მგელი ძალიან მომწონს თავისი ხასიათის გამო.

— როგორც ცნობილია, კანონიერ ქურდებს მკერდზე მგლის თავი აქვთ ამოსვირინგებული. თუ შეგიძლიათ ამ სვირინგის გაშიფვრა?

— რა თქმა უნდა. ადრე, ორი მოდავე მხარე საქმის გასარჩევად კანონიერ ქურდთან რომ მიდიოდა, ის მოუსმენდა მათ და

მტყუანსა და მართალს გაარჩევდა, ოღონდ, იქ სისხლი არასოდეს იღვრებოდა და ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდებოდა. თუ ადამიანები საქმის გასარჩევად, იმ კანონიერ ქურდთან მივლენ, რომელსაც მგლის თავი აქვს ამოსვირინგებული, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ სისხლი აუცილებლად უნდა დაიღვაროს, რადგან ის ადამიანები, ვინც თავს მგელს უწოდებენ, ასე ფიქრობენ: მე ხარკს სისხლით მიხდიანო...

— რაკი მგელი ძალიან მოგწონთ, საინტერესოა — თქვენი აზრით, აუცილებელია, მამაკაცს მისი ხასიათის თვისებები ჰქონდეს?

— ჩემი აზრით, მამაკაცს აუცილებლად უნდა ახასიათებდეს „მსუბუქი“ სისასტიკე, შეუპოვარი ხომ, ნამდვილად უნდა იყოს. არ ვიცი, ჩემს თავს მგელთან ნამდვილად ვერ გავიგივებ...

— ამბობენ, მგლის ქონითა და მისი სასქესო ორგანოთი ჯადოს აკეთებენ. ამის შესახებ თუ გსმენიათ რაიმე?

— რა თქმა უნდა, მსმენია, მაგრამ საკმაოდ სკეპტიკურად ვარ განწყობილი — მსგავსი რაღაცეების არ მჯერა, ამიტომ მაგის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი.

*მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მკითხავი რესპონდენტის თქმით, ის ადამიანებისთვის მხოლოდ კეთილ საქმეს აკეთებს, ჩვენთვის მასთან სტუმრობა და ინტერვიუს ჩაწერა საკმაოდ დამთრგუნველი აღმოჩნდა და იქიდან პირდაპირ ეკლესიაში, მოძღვართან გავეშურეთ. იმ ადამიანებსაც, ვისაც ჯადო აქვთ გაკეთებული, ვურჩევთ, რომ დახმარებისთვის ეკლესიას მიმართონ. როგორ უნდა მოიქცნენ ჯადოს გამკეთებლები და ჯადოს მსხვერპლნი, — ამის შესახებ საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი და ლურჯი მონასტრის წინამძღვარი, **მამა დავითი (შარაშენიძე)** გვესაუბრება:*

— ჯადოს არსებობას, მის მოქმედებასა და დამანგრეველ ძალას ეკლესია აღიარებს. ერთადერთი ძალა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია, რომ ადამიანი ბოროტებას დაუპირისპირდეს, ეს ღვთის ძალა და ენერგიაა, ეს ენერგია კი, მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიაშია. ეკლესიაში სიარულით, მის საიდუმლოებებში მონაწილეობით, აღსარებით, წმინდა ზიარების მიღებით, შესაძლებელია, რომ ადამიანმა ამ ბოროტი ზემოქმედებისგან თავი დაიცვას. თუ ადამიანი, რომელიც ჯადოს მოსახსნელად ეკლესიის ნაცვლად, სხვა მკითხავთან წავა და მისი შელოცვებით გადაწყვეტს ამ პრობლემის მოგვარებას, ეს მის მდგომარეობას გააუარესებს, რადგან ბოროტება ბოროტებით არ იკურნება. ეკლესიას ამასთან დაკავშირებით მკაფიო და გამოკვეთილი პოზიცია აქვს: ის კატეგორიულად უარყოფს თეთრი და შავი მაგიის არსებობას. ორივე მათგანი — ბოროტი ძალის მსახურად არის მიჩნეული. ასე რომ, როცა ადამიანი ჯადოქართან ჯადოს მოსახსნელად მიდის, ამას მაინც არანაირი შედეგი არ მოჰყვება. ხოლო იმ ადამიანს, რომელიც ამ საქმეს აკეთებს, თუ სინანული არ ექნება, ღვთისგან დაშორება და ჯოჯოხეთი ელის. თუ თავის ცოდვას მოინანიებს, შევუნდობთ, მაგრამ ეს უმძიმესი ცოდვაა და ამისთვის ძალიან ხანგრძლივი სინანულია საჭირო. ■

ზაფხულის ცხელი დღეები სოსო და ბადრი ჯაჭვლიანებმა მესტიის რაიონის სოფელ ლატალში გაატარეს. ისინი ფილმის — „სვანი“ (ეს სავარაუდო სახელია) გადაღებაზე რუს და ქართველ მსახიობებთან ერთად მუშაობდნენ. ახალი ფილმის შესახებ ძმები ჯერ-ჯერობით ნაკლებად ლაპარაკობენ, რადგან მიაჩნიათ, რომ მის ავკარგზე მაყურებელმა უნდა იმსჯელოს და არა რეჟისორმა. მანამდე კი, სანამ საზოგადოებას „სვანის“ ნახვის საშუალება მიეცემა, გეტყვით, რომ ფილმი ქართულ ტრადიციებზეა აგებული. მთავარ როლებს ბადრი ჯაჭვლიანი და გუჯა ბურდული ასრულებენ.

–ვინ არის მახვში? რა თვისებები უნდა ახასიათებდეს მას? როგორი იყო გადაღების პროცესი? რა ხდებოდა გადასაღებ მოედანს მიღმა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემასთან ერთად, ფილმის შემქმნელები ზოგადად ქართული ხასიათის ავ-კარგზეც გვესაუბრებიან. ინტერვიუდან იმასაც შეიტყობთ, თუ ვინ არის ძმების მიერ აღმოჩენილი ქართული კინოს ვარსკვლავი–

ვინ არის მახვში და როგორ ირჩევა საქმე ხატზე?

ძმები ჯაჭვლიანები ახალი ფილმისა და სვანური აღათ-წესების შესახებ

თამუნა კვინიკაძე

სოსო:

— ფილმი არა მარტო სვანურ, არამედ საერთო ქართულ ტრადიციებზეა — იმ წეს-ჩვეულებებზე, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს. ჩვენ კი, რატომღაც, ვივიწყებთ. გადაღებები მესტიის რაიონის სოფელ ლატალში მიმდინარეობდა. რამდენიმე ეპიზოდი გადაღებულია უშგულშიც. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო იქ მცხოვრებთ მხარდაჭერისთვის. მოგეხსენებათ, რომ სვანეთში მახვში ოდითგანვე დიდი ძალაუფლებით სარგებლობდა. როდესაც მთავრობამ ვერ შეძლო, ქვეყანაში წესრიგი დაემყარებინა, თვითონ ხალხმა აირჩია „მთავრობა“ — ანუ მახვში. რათა უფრო დიდ უბედურებაში არ გადავვარდნილიყავით... ჩვენს ფილმში მოქმედი ორი გვარი, რომელიც ერთმანეთს გადაეკიდა, იმაში შეცდა, რომ არ მივიდა მახვშთან და რჩევა არ ჰკითხა. მახვში ყველაფერს მშვიდობიანად მოაგვარებდა. მათ ყველაფერი თავად გადაწყვიტეს და დიდი უბედურებაც სწორედ ამიტომ მოხდა.

— როგორ ხდება მახვშის არჩევა?

— მახვში პატიოსანი, მართალი, ჭკუასაკითხავი კაცი უნდა იყოს. მას საზოგადოება ირჩევს. მან ყველაფერი უნდა იცოდეს და ცხოვრებაში არასდროს მრუდე ნაბიჯი არ უნდა ჰქონდეს გადადგმული. მახვში სვანეთში „კანონიერი ქურდია“, ოღონდ — კარგი გაგებით. იგი მოსახლეობაში მედიატორის როლს ასრულებს. მახვშის საკარცხულში ქალს დაჯდომა ეკრძალება. ქალი ვერასოდეს გახდება მახვში. ქალმა ქალის საქმე უნდა აკეთოს, მამაკაცმა — მამაკაცის. სვანეთში ქათმებს რომ გაუშვებენ და დედალი მამალივით წამოიყივლებს, ეგრეევ თავს აჭრიან... არ მინდა, ვინმემ ჩემი ნათქვამი ცუდად გაიგოს — ქალს სვანეთში დიდ პატივს სცემენ. ფილმში მთავარი გმირი ქალია — მართა. იგი ისეთ გმირობას სჩადის, რომ ყველაზე სახელგანთქმული და ძლიერი ვაუკაციც კი ინატრებდა.

— ვინ ასრულებს ფილმში მახვშის როლს?

— გუჯა ბურდული. ფილმში რუსი მსახიობებიც მონაწილეობენ. ერთ-ერთ როლს სალომე გასვიანი ასრულებს. მასთან მუშაობის პროცესში დავრწმუნდი, რომ მსახიობობა არ ისწავლება — მსახიობებად იბადებიან. სალომეს გმირს ერთ-ერთ ეპიზოდში მამა კლავს. სალომე, ცრემლს „გაგიკეთებ“-მეთქი, — ვუთხარი. არა, არ მინდა ცრემლი, როცა საჭირო იქნება, 1 წუთით ადრე მითხარი და ვიტირებო. ორჯერ იტირა. საოცრად ბუნებრივად, უკვე პროფესიონალის დონეზე თამაშობს.

ბადრი:

— მიუხედავად იმისა, რომ სალომესთვის ეს მესამე როლი იყო კინოში, მიმაჩნია, რომ თავისი პროფესიონალიზმით, ის უკვე ვარსკვლავია.

— როგორც ვიცი, საკმაოდ დატვირთული სამუშაო რეჟიმი გქონდათ.

— დილის 6 საათზე ვდგებოდით და ღამის 12 საათამდე ვმუშაობდით. გვქონ-

და ულტრათანამედროვე, ე.წ. „თეთრი განათება“. ფილმი „კოდაკის“ ფირზე გადავიღეთ, რუსეთიდან ჩამოტანილი უახლესი აპარატურით.

— რა ხდებოდა გადასაღებ მოედანს მიღმა?

— მე და სოსომ „მშრალი კანონი“ შემოვიღეთ: ალკოჰოლის მიღება აკრძალული გვქონდა. კურიოზები თითქმის არ მომხდარა. ასეთი რთული ფილმის გადაღებას 4-5 წელს ანდომებენ, ჩვენ ეს 27 დღეში შევძელით. თუ მოინდომებ, თურმე, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. მობილურად ვმუშაობდით და პირველ ადგილზე საქმეს ვაყენებდით. ყველა საორგანიზაციო საკითხი მომზადებული გვქონდა. არავის იმედი, გარდა საკუთარი თავისა, არ გვქონდა. რუსი მსახიობები გაგიჟდნენ, იმდენად მოეწონათ სვანეთი. ახლაც სულ მირეკავენ და მეკითხებიან — როდის წავიყვანთ მათ მესტიაში. ამ მსახიობების ჩამოყვანის გადაწყვეტილება მე და სოსომ ერთობლივად მივიღეთ. ფილმისთვის მათი ტიპაჟები იყო საჭირო.

— ბადრი, რას გვეტყოდი შენი ოჯახის შესახებ? ისიც გვითხარით — ექიმობის შემდეგ, რამ გადაგაწყვეტინათ სარეჟისოროზე ჩაბარება?

— ვფიქრობ, ყველა ექიმი — რეჟისორია და არა — პირიქით. სარეჟისოროზე ამ საქმისადმი სიყვარულმა და ინტერესმა მიმიყვანა. ერთი წელია, ექიმად აღარ ვმუშაობ. მყავს მეუღლე და სამი ვაჟი. ამ ფილმის გადასაღებად ჩამოვედი. როდესაც მონტაჟს დავასრულებთ, მოსკოვში დავბრუნდები, კიდევ ბევრი გეგმა მაქვს განსახორციელებელი.

სოსო:

— დღეს მავანნი და მავანნი კუთხურობის შუღლს აღვივებენ. „სვანი“ და „ქართველი“ — ეს გამოთქმა ხშირად მსმენია. „სვანი“ რა, ქართველი არ არის?! სვანებში სისხლის აღებაზე რომ ლაპარაკობენ, თბილისში დღემდე არ ხდება „აბაროტების“ აღება?! ჩვენთან, როცა ოჯახს ან სიწმინდეს შეეხება ვინმე ცუდად, ასეთი რამ მაშინ თუ მოხდება, თბილისში კი, უმნიშვნელო დეტალებზეც ხოცავენ ერთმანეთს — ეს სისხლის აღებაზე უარესი არ არის?! დავით აღმაშენებელი ქვეყნის მტრებს, ერის მოღალატეებს უმკაცრესად უსწორდებოდა, მან ძელზე გასმა შემოიღო, რომელიც შემდეგ, თამარმა გააუქმა. თამარის მეფობის დროს, ადამიანისთვის ყველაზე დიდი სასჯელი — ქვეყნიდან გაძევება იყო. ისეთი ქვეყანა გვქონდა, რომ აქედან წასვლა სიკვდილის ტოლფასი იყო. რა ხდება დღეს? ათასობით დოლარებს ვიხდით, ოღონდ ამ ქვეყნიდან წავიდეთ და ვინმეს შევეხიზნოთ. თანდათან ვკარგავთ ტრადიციებს და გვავიწყდება, რომ იმ ქვეყანას, რომელიც წარსულს ივიწყებს, მომავალი არ უწერია. სვანეთში, როდესაც რაიმე გაუგებრობას აქვს ადგილი, საქმე ხატზე ირჩევა. იქ ტყუილის თქმა გამორიცხულია.

— როგორ ხდება გარჩევა?

— როდესაც ორი ან სამი ადამიანიდან ერთ-ერთი — დამნაშავეა, მაგრამ დანაშაულს არ აღიარებს, სამივეს სთავაზობენ, რომ ხატზე დაიფიცოს. შეუძლიათ, მითხრან: შენ რომ ხატს გვთავაზობ, ჯერ შენ დაიფიცე, რომ ერთ-ერთი ჩვენგანია ამის გამკეთებელიო. მე ვიფიცებ, რომ იმ სამიდან ერთ-ერთია, მაგრამ — არ ვიცი, რომელი. შემდეგ, მათი ჯერია. შეიძლება, სამივე მივიდეს ხატთან დასაფიცებლად, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამაა... ვფიქრობ, რომ საქართველომ ამ წესით უნდა იცხოვროს. სამივე მათგანს ჩამოვუწერ პატიოსან ვაჟკაცთა სიას მათი გვარიდან, რომლებიც მათთან ერთად იზრდებოდნენ და კარგად იცნობენ. ხატზე ესენიც უნდა გაჰყვნენ და დაიფიცონ. თუ ერთმა მაინც თქვა უარი, ყველაფერს ნათელი ეფინება. თავისიანი არ ენდობა — ე.ი. ის არის დამნაშავე... პროცენტულად მკვლელობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სვანეთზე მოდის. იქ ყველამ ყველაფერი იცის და ყველას სამართლიანად მიეზღვება. საქართველოში კანონი არ კანონობს — ეს არის ყველა უბედურების სათავე. ჩვენ გენეტიკურად კულტურული ერი ვართ. რომ ამბობენ, — ფრანგები და გერმანელები ცოტას ჭამენო, — არ არის ამის მთქმელი მართალი. ცოტას კი არა, თუ მუქთაა, იმდენს ჭამენ, 5 ქართველი ვერ შეჭამს, თუ თავიანთი ჯიბიდან იხდიან, მაშინ კი არიან მომჭირნეები. როდესაც მკლავჭიდში შეჯიბრებაზე უცხოეთში ვიმყოფები, შვედური სუფრით გვიმასპინძლდებიან, იღება კარი და ფრანგები, ესპანელები, იტალიელები, ამერიკელები სუფრისკენ გარბიან, იღებენ ჩქარჩქარა, მოსწრებაზე არიან, — ეს ყველაფერი ამაზრზენია სანახავად...

— როგორ იქცევიან ამ დროს ქართველები?

საეკრანო პარტნიორები: ბადრი ჯაჭვლიანი და გუჯა ბურდული



სოსო ჯაჭვლიანი გუჯა ბურდულთან ერთად

— ყველაზე უზრდელიც კი, უაღრესად თავაზიანია, — მობრძანდით, მობრძანდით, მიირთვითო, — და თვითონ მშივრები რჩებიან. იქ ჩანს, რომ ეს სხვა ჯიშის ხალხია. სხვასთან თავაზიანია, სამაგიეროდ შეუძლია, თავის ახლობელს დედა უტიროს...

ბადრი:

— თავის ძმასთან და თავის ქვეყანაში ასე იმიტომ იქცევა, რომ დაუსჯელობის სინდრომია. იცის, რომ შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს და არ დაისაჯოს...

სოსო:

— იცით, რატომ არის საქართველოში ყველაფერი ასე უკუღმართად? იმიტომ, რომ ერთმანეთს სიმართლეს არ ვეუბნებით. ღვინის სმის დიდი კულტურა გვაქვს, 3-4 ათასი წელია, რაც ამ სასმელს ვსვამთ (ზურაბ ქაფიანიძე ამტკიცებს — 7 ათასი წელიაო), სადღეგრძელოებით ვეფერებით ერთმანეთს, ვაქებთ, ვადიდებთ და თუ დაჰკვირვებიხართ, სწორედ ქართულ სუფრაზე ვამბობთ ყველაზე მეტ ტყუილს?! წესიაო, თანამეინახის დღეგრძელობა — და რაც არ უნდა ცუდი იყოს, მაინც ლამაზი სიტყვებით ვამკობთ. ამას ბავშვებიც ისმენენ, მათში ჩვენგან გენეტიკურად გადადის ფარისევლობა და მლიქვნელობა. ეს რომ ასე აღარ გაგრძელდეს, გამოვდივარ ახალი ინიციატივით და საზოგადოებას პირველად ამ სიახლეს თქვენი ჟურნალის საშუალებით შევატყობინებ: ჩემი საახლობლოდან ვიწყებ და ვაყალიბებ ახალ კლუბს, რომლის წევრებიც ვალდებულნი იქნებიან, სუფრაზე (და არა მარტო სუფრაზე) ერთმანეთს სიმართლე უთხრან; პიროვნების დღეგრძელობის დროს, კარგთან ერთად, გაუხსენონ ის, რაც ცუდი ჩაუდენია. დაფარული არაფერი უნდა იყოს. ამის შემდეგ, ყველა შეეცდება, რომ კარგი საქმე აკეთოს და ცუდი დაივიწყოს, რათა ის ცუდი ქართულ სუფრაზე არ გაუხსენონ. მაქვს მეორე ვარიანტიც: დღემდე, თუ რაიმე ცუდი ჩაუდენია, მივუტევოთ, აღარ გავუხსენოთ, მაგრამ დღეის შემდეგ რასაც გააკეთებს, ის არ დავივიწყოთ. შეიძლება აქ არის ცოტა იუმორიც, მაგრამ მერწმუნეთ — ეს გეგმა შედეგს გამოიღებს.

■

მე რომ ქალაქის მერი ვიყო

ანტიკვარი მერები და რიგი საიქიოში ანუ ჯერ დავჭეჭყავდი, მერე დავკუჭავდი

„მარი, არჩევნების ხიბლი შენც გადმოგედო?“ — მკითხა ერთმა მკითხველმა, როდესაც თემის სათაურად ზემოთ აღნიშნული ფრაზა იხილა. ასეთი კითხვა ბევრ მკითხველს გაუჩნდა და უმეტესობამ გაოცებაც კი გამოხატა. თქვენი ასეთი რეაქცია არ გამკვირვებია, რადგან უკვე მივეჩვიეთ, რომ პოლიტიკა და „გზავნილები“ ისეა, როგორც ზაფხული და თოვლი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ წელს, გაგანია აგვისტოში, აფრიკაშიც მოთოვა და ერთხელ ჩვენც რომ გამოვურიოთ პოლიტიკური თემა, არაფერი დაშავდება. ზოგიერთი მკითხველი არც ასეთმა სერიოზულმა თემამ შეაშინა, მუზაც კი ეწვია და თავისი აზრი ლექსად გამოხატა. ერთი თქვენგანი კი მწერს: „მარი, ალბათ სულ მოკლე მესიჯები მოგივა ახალ თემასთან დაკავშირებით. ისე, გული არ მოუთმენს „გზავნილების“ მკითხველს და ალბათ ასეთ პოლიტიზებულ თემაშიც გამოურევენ სიყვარულისა და ღალატის, ცრემლების ღვარღვარისა და ქორწინება-„ჰეფიენდების“ ამბებს. პატივისცემით, გვადი ბიგვა“. და მართალიც არის, რადგან „გზავნილები“, როგორც ყოველთვის, ჩვენი ცხოვრებისეული ელემენტებისგან შედგება. პოლიტიკაც ჩვენი მუდმივი განსჯის საგნად და ცხოვრების ნაწილადაა ქცეული და ჩვენი რუბრიკა არც ამჯერად გახლავთ ინტერესს მოკლებული. მით უმეტეს, რომ „გზის“ ამ ნომრის გამოსვლა საკრებულოს არჩევნების დღეს ემთხვევა და იქნებ, მომავალმა მერმა და საკრებულომ ჩვენი მკითხველების რჩევებიც გაითვალისწინონ.

პირველი მესიჯი კი, მიუხედავად პოლიტიკური თემისა, სიძე-სიდედრის ურთიერთობას ეხება. ნურავინ შემეკამათება, თუ ვიტყვი, რომ ამ 2 ადამიანის ურთიერთობას არანაკლები პოლიტიკა და სტრატეგია სჭირდება, რომ ერთი გუნდი გახდეს (როგორც, დავუშვათ, ხიდაშელი, ბერძენიშვილი, დავითაშვილი).

მარი ჯაფარიძე

ძეგლი სიდედრს

„ეს ამბავი 12 წლის წინ მოხდა, მაგრამ დღემდე არ მავიწყდება. მაშინ მე და ჩემი ახლანდელი მეუღლე ჯერ კიდევ შეყვარებულები ვიყავით. ქორწილამდე 1 წლით ადრე, უკვე ერთად ვიყავით, რაც იმას ნიშნავს, რომ სექსი გვქონდა. თავიდანვე სერიოზული ურთიერთობა გვქონდა და არ გეგონოთ, რომ ვინმემ დამაძალა მისი ცოლად შერთვა. უბრალოდ, რაღაც გარემოებების გამო, ვერა და ვერ ვახერხებდით დაქორწინებას, მაგრამ ნამდვილი ევროპული წესით ვცხოვრობდით. მადონას ოჯახი, რა თქმა უნდა, მიცნობდა და სასიძოდ მივაჩნდი, მაგრამ ჩვენ გულმოდგინედ ვუმალავდით ჩვენს ურთიერთობას. ერთ მშვენიერ დღეს, მე და მადონა ჩემს სახლში შევხვდით ერთმანეთს და კარგად ვისიყვარულეთ. მოგვიანებით, როდესაც ჩავიცვით და წასასვლელად მოვემზადეთ, სარკეში ჩავიხედე და შევნიშნე, რომ თურმე მეტისმეტი მონდომებისგან მადონას ჩემთვის კისერზე კოცნის კვალი (ე.წ. „ზასოსი“) დაუტოვებია. თუმცა, ამისთვის ყურადღება არც ერთს არ მიგვიქცევია და ხუმრობის გუნებაზეც დავდექით. მადონა შინ მივაცილე და მეც ავყევი. მომავალმა სიდედრმა ყავაზე დამპატიჟა. სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან, ვიდრე ის სამზარეულოში იფუსფუსებდა, 1-2 კოცნას კიდევ გამოვტყუებდი ჩემს შეყვარებულს. მადონას მეგობარმა ტელეფონზე დაურეკა და მასთან საჭორაოდ ჩამოჯდა. მე კი სასიდედრომ თვალით მანიშნა, რომ სამზარეულოში გავყოლოდი. კარგი აგენტივით იყურებოდა უკან და როცა დარწმუნდა, „ხვოსტი“ არ მოგვყვებოდა, კარი მჭიდროდ მიხურა და თანაგრძნობით მკითხა: — ეს რა არის? ქალებში იყავი? — და კისერზე მიმანიშნა. — გავწითლდი, — კი-მეთქი, ვუთხარი და უხერხულად შევიშმუშნე. ხალათის საყელო ბოლომდე შემიკრა და მითხრა: — ფრთხილად იყავი, მადონამ არ შენიშნოს, ხომ იცი, იეჭვიანებს და ჩხუბი მოგივათო. ამის შემდეგ მე და ჩემი სასიდედრო დავძმაკაცდით და იმ 12 წლის მანძილზე, რაც მე მისი სიძე ვარ, ბევრჯერ დამხმარებია რთულ სიტუაციებში. თუ ქალებში გავძვრები, შემიძლია, მისი იმედი მქონდეს. აი, ასეთი სიდედრი მყავს, ხალხი კი უამრავ ანეკდოტს იგონებს მათზე. მე რომ ქალაქის მერი ვიყო, სიდედრს ძეგლს დავუდგამდი თბილისის ცენტრში... ღალი დედიკო, შენ ამას იმსახურებ!“

ჯინოლოგი

„მე და ჩემმა ძმაკაცმა მთელი ზაფხული თბილისში გავატარეთ. ხომ იცით, როგორ ცხელოდა და ქალაქში დარჩენილი ადამიანები უწყლოდ დარჩენილი თევზებივით ვაფჩენდით პირს, რომ ცხელი ჰაერი, რაც შეიძლება ღრმად

ჩაგვესუნთქა. ერთ ასეთ დღეს, მე და ჩემმა ძმაკაცმა გადავწყვიტეთ, რომ „უპონტოდ“ ყოფნას სჯობდა, რაიმე გასართობი გამოგვენახა და მისი მანქანით თბილისის ზღვისკენ ავიღეთ გეზი. თემქაზე, ზღვის გადასახვევთან 2 გოგო ფეხით მიუყვებოდა აღმართს. ორივე კარგი გოგონა ჩანდა და შევთავაზეთ, რომ თუ ისინიც ზღვაზე მიდიოდნენ, ბარემ ერთად წავსულიყავით და სიცხეში ფეხით სიარულიც არ მოუწევდათ. სიხარულით მიიღეს ჩვენი წინადადება და მანქანის სალონში მერცხლებივით შემოფრთხიალდნენ. მე და დათომ ერთმანეთს კმაყოფილებმა გადავხედეთ და დარწმუნებული ვარ, რომ ორივეს ერთმა აზრმა გაგვიელვა თავში: „ამ საღამოს აზრიანად გავატარებთ! მოკლედ, კარგად ვიბანავეთ და როცა მოსაღამოვდა, დათო ქალაქში წამოვიდა — საზამთროს, დასალევსა და რამერუმეებს მოვიტანო. მერე იქვე, წყლის პირას ჩამოვსხედით და დავიწყეთ სადღეგრძელოების თქმა და იმის გარკვევა, ვინ ვინ არის. გოგონები სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები აღმოჩნდნენ. მე ვუთხარი, სტომატოლოგი ვარ-მეთქი. როცა ჯერი დათოზე მიდგა, უთხრა: კინოლოგი ვარო... ამის თქმა იყო და გოგონები ახარხარდნენ. ჩვენ გაოცებულები შევყურებდით. ბოლოს, როცა სული მოითქვეს, როგორც იქნა, ამოღერღეს: — თქვენ გგონიათ, ამით დაგვაბამთ? ვიცით მამაკაცის ხრიკები... ზოგი ამბობს, რომ მენეჯერია, ზოგი — მხატვარი და ჩვენი დახატვა უნდა... ზოგი პროდიუსერია და შოუბიზნესში დიდ მომავალს გვპირდება, ეს კიდევ კინოლოგია.. რომელი კინოს გადამღები შენ ხარ? ახლა არ გვითხრა, რომ მთავარი როლისთვის ჩვენნაირი გოგონები გჭირდებათ. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, სურვილიც კი დამეკარგა მათთან ურთიერთობის. მე რომ ქალაქის მერი ვიყო, აუცილებლად დავხურავდი ყველა სასწავლებელს და მხოლოდ იმ ადამიანებს მივცემდი სწავლის უფლებას, ვინც კინოლოგსა და რეჟისორს ერთმანეთისგან არჩევს“.

დათომ „ინეტი“ უნდა გააჟეთოს

„პროფესიით პროგრამისტი ვარ და ერთ დაწესებულებაში სისტემურ ადმინისტრატორად ვმუშაობ. თუ ჩემს ახლობლებს კომპიუტერი უფუჭდებათ ან რაიმე პრობლემა შეექმნებათ ხოლმე, მაშინვე მე მიკავშირდებიან. მეც უარს ვერ ვეუბნები და რა თქმა უნდა, ვეხმარები. ერთ დღეს ჩემმა მეჯვარემ და ბავშვობის მეგობარმა, დათომ სამსახურში დამირეკა და მთხოვა, საღამოს მასთან მივსულიყავი, რადგან თურმე ინტერნეტი (ჩვენს ენაზე „ინეტი“) შემოჰყავდა სახლში და სურდა, რომ მისი „კომპი“ მომეწესრიგებინა. თანაც გამაფრთხილა, რომ შინ მხოლოდ 10 საათის შემდეგ იქნებოდა. სამსახურიდან სახლში წავედი, აბა, ღამის 10 საათამდე იქ ხომ არ ვიქნებოდი? ვივახშმე, ტელევიზორს მივუჯექი და წასვლა რომ დავაპირე, მეუღლეს ვუთხარი, დათოსთან მივდივარ და მალე დავბრუნდები-მეთქი. — „ამ შუაღამისას დათოსთან რა გინდა?“ — ეჭვით მოწკურა თვალები ცოლმა. — დამირეკა და მთხოვა, რომ მივსულიყავი...“ — „ვინ დაგირეკა? რა უნდოდა?“ — დამაყარა კითხვები. — ვინ და დათომ „ინეტი“ უნდა გააკეთოს



და მე უნდა დავეხმარო-მეთქი, — ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული ტონით ვუპასუხე. საეჭვო დუმილი ჩამოვარდა. მოვიხედე და ჩემი ცოლის გაფართოებულ თვალებს წავაწყდი. უსიტყოდ მივაშტერდი. — ჰმმმ... მმმ... ეე-ეეეე.... მმმმ.... — მხოლოდ გაურკვეველი ბგერები ამოსდიოდა პირიდან. როგორც იქნა, ამოთქვა: — კი, მაგრამ დათო თუ გარყვნილი კაცია და აღვირახსნილი სექსი უნდა, შენ რა შუაში ხარო? — როცა ჩემს ნათქვამ ფრაზას დავუკვირდი, ისე ავხარხარდი, ღამის ჭერი ჩამოიქცა. როგორც იქნა, გავარკვიე საქმის ვითარებაში და დავაწყნარე. ისე, მართლაც რა ცუდად ჟღერდა, არა? მე რომ ქალაქის მერი ვიყო, სპეციალურ სამსახურს შევქმნიდი, რომელიც იმ ადამიანებს უფასოდ დაეხმარებოდა, ვისაც „კომპი“ სახლში აქვს და ხშირად უფუჭდება“.

ღამის სტუმარი

„გამარჯობათ, მე ირაკლი ვარ. ახლა ერთ მაგარ ამბავს მოგიყვებით. ბიძაჩემი ქუთაისში ცხოვრობს. მასთან ხშირად ჩავდივარ ხოლმე, რადგან მიყვარს იქ სტუმრად ყოფნა — კერძო სახლი, დიდი, მწვანე ეზო, გრილი ნიავი და ბიცოლასა და გაუთხოვარი ბიძაშვილისგან დიდი ყურადღება. ჩემი ბიძაშვილი, ლალი, ძალიან კარგი გარეგნობის გოგოა (რაღა გოგო, 40 წლისაა უკვე), მაგრამ ჯერ ისევ გაუთხოვარია. ძალიან ვუყვარვარ და როცა მათთან სტუმრად ვარ, თან მყვება ხოლმე. ამ ზაფხულს ჩვეულებისამებრ ვეწვიე მათ. საღამოს კარგად მოვილხინეთ და ძილის დროც მოვიდა. სახლში რემონტს აკეთებდნენ, რის გამოც, ზოგიერთი ოთახი დანგრეული იყო. მე ლალის ოთახში გამიშალეს ლოგინი. დავწექი, მაგრამ ლალიმ შუქი არ ჩააქრო. საუთოო მაგიდა შემოიტანა ჩემს ოთახში და თეთრეულის უთოობას შეუდგა. თითქმის თავზე დაგვათენდა, ის კი არ მიდიოდა დასაძინებლად. ბოლოს, ვთხოვე, — შუქი ჩააქრე და ხვალ გააგრძელე უთოობა, ახლა ძალიან მეძინება და დამაძინე-მეთქი. უხალისოდ გავიდა ოთახიდან. მე კი ხელები თავქვეშ ამოვიდე, გემრიელად დავამთქნარე და ის იყო, ჩამთვლიმა, რომ ფანჯარასთან რაღაც ხმაური შემომესმა. ყურადღება არ მივაქციე. უეცრად ვხედავ, რომ ფანჯარაში ვიღაც მოძვრება. არ დავიბენი და თავი მოვიმძინარე. თვალი არ გამიხელია, მაგრამ მიეხვდი, რომ ის კაცი ჩემს ლოგინთან იდგა და ტანისამოსს იხდიდა. რაღა მიხვედრა უნდოდა იმას, რომ ის ლალის მეგობარი იყო. საწოლში შემომიწვა თუ არა, მისი ხელი ავიღე და „იქ“ დავიდე. თვალის დახამხამებაში გაქრა ოთახიდან, მისი ტანისამოსი კი იქ დარჩა. მე დავმალე, ხოლო დილით ლალის მალულად გადავეცი. გაწითლდა და სიტყვებს თავი ვეღარ მოუყარა, მაგრამ დავამშვიდე, რომ არავისთან ვიტყოდი მის ამბავს და ამის შემდეგ უფრო შევუყვარდი. მერე ის კაციც გავიცანი და ახლა იქნებ ქორწილშიც დამპატიჟონ. მე რომ ქუთაისის მერი ვიყო, შევქმნიდი დაოჯახების კლუბს და ქალაქში სექსუალურ რევოლუციას მოვაწყობდი... ლალიკო, მიყვარხარ და მინდა, ბედნიერება გისურვო“.

რიგი საიქიოში

„ამას წინათ, ძალიან „სვეტსკი“ დაბადების დღეზე დამპატიჟეს და რა თქმა უნდა, საგანგებოდ უნდა მოვმზადებულიყავი. სიმართლე რომ გითხრათ,

ხშირად ვერ დავდივარ სალონში, რადგან ფინანსები ამის საშუალებას არ მაძლევს. ჩემმა მეგობარმა სალონის ტელეფონის ნომერი მომცა და მითხრა, რომ რიგში ადრიანად უნდა ჩავწერილიყავი. მეც თადარიგი წინასწარ დავიჭირე და სილამაზის სალონში წინადღეს დავრეკე:

— გამარჯობა, შეიძლება, რომ ხვალისთვის წინასწარ ჩამწეროთ?

— სად უნდა ჩაგწეროთ? — გაკვირვებით შემეკითხა ქალის ხმა.

— სად და რიგში!

— ჩვენთან რიგი არ არის, ქალბატონო...

— მართლა? ძალიან კარგი, მაშ, დაიმახსოვრეთ, რომ ხვალ დილით პირველი ვიქნები და მერე არ დამიწყოთ, რომ უნდა დავიცადო... ძალიან მეჩქარება...

— თქვენ სად რეკავთ?

— სად და სილამაზის სალონში...

— ეს მორგია, ქალბატონო... ჩვენთან რიგი არ არის და თუ პირველი გნებავთ მოსვლა, მობრძანდით...

კარგა ხანი დამჭირდა გონზე მოსასვლელად. მერე კი კარგად ვიცინე... მე რომ ქალაქის მერი ვიყო, ყველა სილამაზის სალონს ქალებისთვის უფასოს გავაკეთებდი...

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ. ამჯერად მოკლე მესიჯები თემატურად დავყავით:

მინდა, ვიყო მერი შერვაშიძე

„ვა

„მე რომ ქალაქის მერი ვიყო, დედოფალივით ვივლიდი და იაგო ხუციშვილს თვალებს დავაქაჩვინებდი.“

„მე რომ ქალაქის მერი ვიყო, დედაჩემის ძეგლს დავდგამდი ოჯახში, რადგან კბილებით იცავს მამაჩემს ერთი პატარა, ბანძი გოგოსაგან. კარგია მერობა, თუნდაც 1 დღით“.

„მარი, რა არის, არჩევნების ხიბლი შენც გადმოგედო? ნეტავ საფრანგეთში წავიდე და თავს ქალაქის მერად კი არა, ქვეყნის პრეზიდენტად ვიგრძნობ. ნაზი, თელავი“.

„მარი, მე რომ მერი (რა ენის გასატეხია!) ვიყო? კარგი, რა, მაგას მირჩევნია, მერი შერვაშიძე ვყოფილიყავი და გალაკტიონს ჩემთვის მოეძღვნა ლექსები“. აღბათ ის უფრო ახსოვთ, ვიდრე ქალაქის მერები, მაგრამ თბილისს მაგარი ანტიკვარი მერები ჰყავდა... ბავშვმაც კი იცის, ვინ არის გიგი. აი, მისი წინამორბედი კი... ოო, ერთი კარგად მოვეფერებოდი, ჩემებურად. ქართლის დედასავით ქალი...“

„მე საბერძნეთიდან გწერთ. ქალაქის მერი რომ ვიყო, ქალაქი რომ იცლება და „ქალისნაირი“ აღარ რჩება მანდ, ამას ხმამაღლა ვიტყოდი. ნუთუ არავის აინტერესებს ჩვენი ბედი? ნუთუ ქალაქის მერს არ შეუძლია, ხმა მიაწვდინოს პრეზიდენტს, რომ ქართველ დედებს უჭირთ? გვიშველეთ, ხალხო, გვიშველეთ! დაგვასაქმეთ და მანდ მოვემსახურებით ქართველებს. მაია, სორმონი“.

„მთელ „გზას“ „გზავნილებს“ დავუთმობდი“

„მე რომ ქალაქის მერი ვიყო, „გზის“ რედაქტორს ვაიძულებდი, რომ მთელი ჟურნალი „გზავნილებისთვის“ დაეთმო, რადგან მარის ადგილი არ ჰყოფნის და ჩემს მესიჯებს ვერ აქვეყნებს. თუ ახლაც არ გამოქვეყნდება, როცა ქალაქის მერი გავხდები, სამსახურიდან გავათავისუფლებ. ლილითი“.

„მარი, მე რომ ქალაქის მერი ვიყო, ერთ სტამბას შენთვის ავაშენებდი, მარტო „გზავნილები“ რომ დაგებეჭდა“.

„მე რომ ქალაქის მერი ვიყო, მთელ „გზას“ „გზავნილებს“ დავუთმობდი, რომ როცა მოგწერ, ყოველთვის გამომიქვეყნო მესიჯი. მარი, კაი, რა�ა, დამიბეჭდე!“

„მარი, რამდენი ხანია, რაც „გზავნილები“ არსებობს? რამდენჯერ მისი გულისთვის ბოლო თეთრებით მიყიდია „გზა“. ჰოდა, მე რომ თბილისის მერი ვიყო, „გზას“ უფასოდ დავარიგებდი“.

სხვადასხვა

„მარი, პირველად გიმესიჯებ და აღბათ უკანასკნელად, რადგან არ მესმის მესიჯომანიის. ტელეფონითა და ინტერნეტით გაცნობილ ხალხზე როგორ კარგავენ ჭკუას? იქ ყველა ანგელოზია. 18 წლის ვარ, მაგრამ ჩათი ჩემი ცხოვრების მმართველი ვერასოდეს გახდება. მარი, შენი ისტორიები კი მართობს და მათ რეალობაში ეჭვი არ მეპარება. ბელა“.

„მე მარი ვარ. ჩემი ამბავი ამ თემას არ ეხება, მაგრამ მაინც მოგიყვებით. 15 წლის გავთხოვდი და უკვე 3 თვის ლიზიკო და მაშო მყავს. მე რომ გავთხოვდი, 2 კვირაში გათხოვდა დედაჩემიც, რომელიც 38 წლისაა. მე გერმანიაში ვიმშობიარე და დედაჩემთან კარგა ხანს არც მილაპარაკია, რადგან გაბრაზებული ვიყავი, ამხელა ქალი რამ გააგიჟა-მეთქი. 2 კვირის წინ ჩამოვედი გერმანიიდან და მასთან სახლში მივედი, რომ ბავშვები მეჩვენებინა. იქ 2 თვის ლუკა დამხვდა. ჰოდა, ახლა ლუკა, მაშო და ლიზიკო ერთად იზრდებიან. ხომ მაგარია?“

„ხატი, ძალიან მიყვარხარ. შენ სულ ბოლოს გაგიცანი და ვაღიარებ, რომ ჩემს ყველა ყოფილ მეგობარს სჯობიხარ. მე რომ ქალაქის მერი ვიყო, არაფერს მოგაკლებდი. მიყვარხარ, ჩემო დიდო მეგობარო. მირანდა“.

„მინდა, ჩემი სუპერზაფხულის შესახებ გიამბოთ: გავრისკე და შეყვარებულთან ერთად 10 დღით ქობულეთში წავედი. თანაც ისე, რომ არავინ აზრზე არ იყო. ეს იყო ზღაპარი. მისის ქოული“.

„7 ოქტომბერს ქორწილი მაქვს და ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ჩემს სიყვარულს მივყვები. ლაშა, მიყვარხარ! ჩვენ ბედნიერები ვიქნებით. შენი თიკუნია“.

„რა დროს ქალაქის მერობაა? 3 დღეა, დაქალი მომტაცეს და ვერ ვპოულობ. ლამის გავგიჟდე. ნეტავ მალე დააბრუნებდნენ, საღ-სალამათს“.

„ერთ ბიჭს ვეძებ, რომელიც ქობულეთში გავიცანი. ანრი, ძალიან ვნანობ, რომ მაშინ ნომერი არ დაგიტოვე. მინდა იცოდე, რომ შენი ლურჯი თვალები ვერ დავივიწყე. ვიცი, თუ ამ მესიჯს წაიკითხავ, გაგახსენდები. ლიზი“.

მე და შენ

„ვეხმაურები „სტიქიას“. მარტო ჩვენ გტანჯავთ? ბიჭები უარესი მტანჯველები ხართ, მგრამ ცხოვრების მთავარი მუღამი ხომ ის არის, რომ რაც უფრო გტანჯავს, მით უფრო გიყვარდება. ემქეი“.

„მივმართავ „მონასტრის ბიჭს“, მინდა, რომ ვიმეგობროთ. თუ თვითონაც გაუჩნდება ამის სურვილი, ჩემი ნომერი მიეცით. თათა“.

„მე „გზავნილების“ გოგონა“ ვარ. ეს სახელი მშვენივრად მოვირგე და ეს „სტიქიას“ დამსახურებაა. ისე, მინდა ვკითხო, რა გვინახავს და რას ვერ ვნახავთ, „სტიქია“?

„მონასტრის ბიჭისა“ და „სტიქიას“ გაცნობა მინდა. თუ გამომეხმაურებიან, ჩემი ნომერი მიეცი. მიყვარხართ ყველა. ბარტყი“.

„მინდა, ემქეის გამოვეხმაურო. მეც შენსავით „გზავნილების“ ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ მარი არ მიბეჭდავს ხოლმე მესიჯებს. ჭკუამხიარული“.

მუზა

„მე რად მინდა ბევრი ფული,/ ან რად მინდა ტიტული,/ ერთი ქუჩის ბიჭი ვარ და/ დავრჩი გამოფიტული,/ ხანდახან რომ დავფიქრდები,/ თავი მერი მგონია,/ მეტი შანსი ცხოვრებაში,/ არასოდეს მქონია./ რას ვიზამდი? ჯერ არ ვიცი,/ თუმცა ბევრსაც ვერაფერს,/ მაგრამ მოდი, მაგ თემაზე/ დავივიწყებ ყველაფერს!“

„ნუთუ დაგავიწყდა ჩემი სიყვარული,/ ნუთუ აღარ იწევს ჩემკენ შენი გული?/ ნუთუ ფიქრებიდან სრულად ამომშალე?!/ რამე მაგრძნობინე, თორემ შევიშალე!“

„რა თქვით? მე რომ მერი ვიყო?/ ავაშენებ ქვეყანას,/ დავანგრევდი ჩემს მერიას,/ გავაშენებ სულ ყანას,/ მოვიყვანდი სიმინდს ბლომად,/ გავავსებდი, ნალიას,/ მოტყუებით არ დავიწყებ,/ ალიას და ბალიას,/ მერე სიმინდს გავყიდიდი, დავარიგებ პენსიებს,/ ამიტომაც არ მოვუსმენ,/ პრეზიდენტის ლექციებს. სტიქია“.

„არა, ჯიგარო, არ მსურს მერობა,/ ბევრი ამბობს, რომ არის შტერობა,/ პენსია არაა, არის წუხილი,/ უპატრონოთა ცრემლთა ქუხილი./ არის ქაოსი, ბევრი ტყუილი,/ და მომაკვდავთა მწარე ყმუილი./ მოჩვენებითი საქმის კეთება,/ მათ აღარ უნდათ გამოკეთება...“

„ირგვლივ ქაოსია, ვერაფერს ვხედავ,/ ირგვლივ სინათლეა, ჩემთან კი ბნელა,/ მაგრად მომენატრე, სადა ხარ, ნეტავ?/ რატომღაც გაჩერდა დრო, მიდის ნელა,/ დიდი სიყვარულით, „ქოსოვიჩს“, — ლელა...“

„ვიცი, რომ სასიყვარულო ლექსი ამის თემა არ არის, მაგრამ მეტს ვერ დავიცდი და იქნებ, დამიბეჭდო? გაზაფხულობით ყველა ყვავილი,/ თბილი მზისაგან გადაიშლება,/ მაგრამ ჩემს გულში შენი სახელი,/ სიკვდილის დღემდე არ წაიშლება“.

„ქალაქის მერი არა და,/ გახლავთ ქალაქის შერიფი,/ აწუხებს ოქრო-ვერცხლებით გამოტენილი სეიფი... ის რომ ქალაქის მერი იყოს, ჩვენი ქალაქის გერბი ყანწი იქნებოდა. შერიფის ცოლი“.

„მგონი მომენატრე, როგორც არასდროს,/ გარეთ ისე ცივა, თითქოს ახლა თოვს,/ რაღაც უნდა მეთქვა, ოღონდ არ მახსოვს,/ მგონი მომენატრე, როგორც არასდროს. კიკი“.

ამჯერად „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ჩემი მეუღლე უცხოეთშია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

როგორ ცხოვრობენ დუხობორები ბორლოვკაში

„საქართველო ძალიან მიყვარს და აქედან წასვლა გამიჭირდება, მაგრამ სხვა გამოსავალი არაა"

ლალი პაპასკირი

სამცხე-ჯავახეთში, გორლოვკის სახელით ცნობილ დასახლებამდე, სადაც თითო-ოროლად შემორჩენილი დუხობორთა ოჯახი ცხოვრობს, დამტვრეულ გზას ადგილობრივ სომეხთა აგრესიული დამოკიდებულებაც ართულებს. პატარა, მოჩუქურთმებულ ცისფერ სახლებში მცხოვრები რუსი დუხობორები ძველი რუსული ზღაპრების პერსონაჟებს მოგაგონებთ. სულ მალე ეს კეთილი, საოცრად თბილი, ფაჩუჩებიანი და ვარდისფერწინსაფრიანი მოხუცები საქართველოდან სამუდამოდ წავლენ.

1841 წელს ათასობით მართლმადიდებელმა ეკლესიასა და სასულიერო პირებთან ურთიერთობა გააპროტესტა და განაცხადა, რომ ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავლის არსებობა ზედმეტი იყო. მეფის რუსეთი მასობრივ არეულობას მოერიდა და ერთ ღამეში, დეკემბრის თვეში, რამდენიმე ათასი ადამიანი რუსეთიდან სხვადასხვა მიმართულებით გადაასახლა. საქართველოში დარჩენილმა დუხობორებმა იციან, რომ მათი მონათესავე ხალხი კანადაში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ჩაიყვანეს.

მთელ საქართველოში გორლოვკა ალბათ ერთადერთი ადგილია, სადაც კოლმეურნეობა, ოდნავ სახეშეცვლილი, მაგრამ საბჭოთა კოლმეურნეობის პრინციპით აგრძელებს არსებობას. დუხობორები მას კოოპერატივს უწოდებენ. ყოველ დილას თავსაფარწაკრული, წინსაფრიანი დ მხარზე სამუშაო იარაღგადებული დოხუბორები, კარტოფილის პლანტაციებში ერთად გადიან, მოსავალს ერთად იღებენ და ბოლოს თანაბრად ინაწილებენ. ფული მათ თითქმის არ სჭირდებათ, რადგან ნატურალური მეურნეობის წესები ჯერ კიდევ მყარია.

გორლოვკის საკრებულო სომხებით არის დაკომპლექტებული. საკრებულოს თავმჯდომარე ზინა ბდოიანი აცხადებს, რომ დუხობორები საკმაოდ დიდი პრივილეგიებით სარგებლობენ. ბდოიანის თქმით, თავის დროზე საქართველოს ხელისუფლებამ იქ მიწები არასწორად გადაანაწილა და სომეხთა მრავალსულიანი ოჯახებისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი საკმარისი არაა.

გორლოვკის დასახლებაში 400-მდე დუხობორი, 6 ქართული ოჯახი და დანარჩენი სომეხი ცხოვრობს. არც ერთი მათგანი არ უარყოფს, რომ ერთმანეთს ვერ ეწყობიან. შეიძლება ითქვას, ქართველებს შედარებით ნეიტრალური პოზიცია უჭირავთ. მათთან ურთიერთობის გამწვავებას სომხები ერიდებიან. რაც შეეხება დუხობორებს, გორლოვკაში საცხოვრებლად მხოლოდ ასაკოვანი დოხუბორები დარჩნენ, რომლებიც ახალგაზრდა სომხებთან დაპირისპირებას, დათმობაზე წასვლას ამჯობინებენ.

სოფელში შესვლისთანავე, ჯავახეთში მცხოვრები ოჯახებისთვის დამახასიათებელი წივის სუნი გვეცა. სახლების მდგომარეობა და ადამიანთა ჩაცმულობა იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივებს ან ძალიან უჭირთ, ან ჰიგიენას ბევრ დროს არ უთმობენ. მათი ცხოვრების პირობებს ისიც ამძიმებს, რომ ახალქალაქში წყლის პრობლემა ჯერ კიდევ აქტუალურია.

ჩვენს დანახვაზე ელექტრობოძების თავზე უშველებელ ბუდეებში მოკალათებული წეროები ზანტად წამოიშალნენ და დოხუბორთა სახლის აივნებზე შემოსხდნენ. როგორც მასპინძლებმა აგვიხსნეს, წეროები იმდენად გაშინაურებული არიან, რომ ცუდ ამინდში მათ კართან მიდიან და თავშესაფარს ითხოვენო.

სოფელში შესვლისთანავე, ჯავახეთში მცხოვრები ოჯახებისთვის დამახასიათებელი წივის სუნი გვეცა.

ნადეჟდა ვიტლიცკაია, *დუხობორი:*

— ჩემი ხალხისგან გადმოცემით ვიცი, რომ დუხობორთა ნაწილი საქართველოს გარდა, კანადასა და აზერბაიჯანში ცხოვრობს. 1841 წელს, როცა საქართველოში ჩამოვიდნენ, ერთ ღამეში 4 ათასი დოხუბორი სიცივისგან დაიხოცა. გარდაცვლილთა ნაწილი აქვე „მოგილოჩკიში" განისვენებს, ზოგიერთმა დუხობორმა კი, რუსეთში დაბრუნების შემდეგ წინაპრის ნეშტი მშობლიურ მიწას დაუბრუნა.

„მოგილოჩკი" დუხობორთა საფლავებს ჰქვია, რომელიც ერთ დიდ ეზოშია მოთავსებული. მათი ერთი ნაწილი გრძელი, დერეფნის ტიპის შენობაშია, მეორე კი — ღია ცის ქვეშ. „Âå÷íàÿ ïàìÿòü è êîí÷èíà äóõîâîðöà Âàñèëèÿ Ëàðèîíîâè÷à Êîìèêîâà. Ñêîí÷àëñÿ 8 íîÿáðÿ 1856 ã." ასეთ წარწერებს ყოველ მეორე ნაბიჯზე შეხვდებით. აქვე იყო სამი პატარის საფლავიც, რომლებიც დეკემბრის იმ სუსხიან ღამეს დედასთან ერთად დაიღუპნენ.

თითქმის ყველა რელიგიურ დღესასწაულზე დუხობორები „მოგილოჩკიზე" ადიან, თუმცა, გარდაცვლილებს სანთელს არ უნთებენ, რადგან არ სწამთ, რომ მიცვალებულისთვის დანთებული სანთელი მათ იმ სამყაროს უნათებს... მოგვიანებით, დუხობორები ეზოს შუაგულში იკრიბებიან და ერთ-ერთი მათგანი ლოცვებს ხმამაღლა კითხულობს. ძველი რუსულით დაწერილი ლოცვებიდან აზრის გამოტანა შეუძლებელი იყო.

გორლოვკაში შემორჩენილი დუხობორები წუხან, რომ თანამოძმეთა საცხოვრებელი სახლები ყოველდღიურად იცლება, მიზეზად კი გორლოვკაში არსებული გაუსაძლისი პირობები სახელდება, რაც გარკვეულწილად სომხების დამსახურებაც არის. გორლოვკაში ამჟამად 400-მდე რუსი დარჩა, რომელიც სამშობლოში დაბრუნებას ყოველდღიურად ელოდება. მართალია, რუსეთის პრეზიდენტმა მათ დაბრუნებისკენ მოუწოდა, მაგრამ განხვავებული ტრადიციების მქონე თანამემამულეებს ადგილობრივები საკმაოდ უკმაყოფილოდ შეხვდნენ. თუმცა, დუხ-

ობორებს არჩევანის საშუალება არა აქვთ — სომხების აგრესიას თავი ამ გზით უნდა დააღწიონ. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, დუხობორთა მიტოვებულ ცისფერ სახლებს სომხები ყიდულობენ. საჭირო ფინანსები კი სომხეთიდან მოედინება.

დუხობორთა პატარა, დაწკრიალებულ ქოხში დრო თითქოს მთელი ერთი საუკუნის წინ არის გაჩერებული. ნებისმიერი ნივთი, ჭიქა, თეფში, ხალიჩა, სკამი, მაგიდა თუ ფოტოები იმაზე მეტყველებს, რომ მათ ოჯახში სათუთად უფრთხილდებიან (ლამპა იმდენად უცნაური ფორმის იყო, მასპინძელი ნახევარი საათი გვიხსნიდა, როგორ იხსნებოდა და საიდან ისხმებოდა ნავთი), განსაკუთრებით უძველეს ჭურჭელს, რომელიც უკვე თუ არა, რამდენიმე წელიწადში ანტიკვარად იქნება შეფასებული. დუხობორებმა არა, მაგრამ მეზობლად მცხოვრებმა სომხებმა კარგად იციან, რომ საგულდაგულოდ შენახული ჭურჭელი საკმაოდ ძვირად ფასობს და მოხუცების ნივთებზე აშკარად ნადირობენ.



ერთ-ერთი დუხობორის ცისფერ სახლში დაუპატიჟებლად შევედით

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი თანამედროვე, თუნდაც პირველადი მოხმარების ნივთის გამოყენება, დუხობორებისთვის იმდენად მიუღებელია, რომ ერთმანეთსაც კი უმალავენ. თანამედროვე საგნები წარსულის უარყოფას, წინაპართა ხსოვნის უპატივცემულობას და იმ არჩეული გზიდან გადახვევას ნიშნავს, რასაც თავის დროზე ათასობით დუხაბორის სიცოცხლე შეეწირა.

რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ცდილობდა მასპინძელი პატარა, შავ-თეთრი ტელევიზორის დამალვას, რომელსაც კარადაში ინახავდნენ. თბილი, სტუმართმოყვარე, კეთილშობილი გამომეტყველების მქონე მოხუცი დუხობორები ტანისამოსს უმთავრესად შინ იკერავენ.

როდესაც ერთ-ერთი დუხობორის ცისფერ სახლში დაუპატიჟებლად შევედით, იქ დაახლოებით ასეთი სურათი დაგხვდა: მოხუცი ქალი რუსულ „ფეჩთან“ იჯდა და მატყლს წეწავდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩვენს დანახვაზე ცრემლები მოერია და ისე შეგვხვდა, როგორც დიდი ხნის უნახავ, ძალიან ახლობელ ადამიანებს. როგორც ოჯახის წევრებმა აგვიხსნეს, სტუმრები მათთვის საკმაოდ იშვიათობას წარმოადგენს.

„ჩემი შვილიშვილები წლების წინ წავიდნენ რუსეთში და მას შემდეგ არ მინახავს... ძალიან მიჭირს მათ გარეშე ცხოვრება, მაგრამ აქაურობას იმდენად შეჩვეული ვარ, სხვაგან ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. მათი სახეები თეთრ მიტკალზე ამოვქარგე და ყოველდღე ვეფერები, ახლა შეცვლილები იქნებიან... ალბათ ისე მოკვდები, რომ ვერ ვნახავ..“ — აცხადებს ჩვენთან საუბარში 78 წლის ნასტია გოლუბინა.

ნასტია გოლუბინა

ჟენია ბალაშოვა, დუხობორი:

— ზამთარი ჯავახეთში რვა თვეს გრძელდება და როგორც მეზობელი სომხების ეზოში (უფრო სწორად, სახლთან ახლოს, რადგან იქ შემოკავებული ეზოები ფაქტობრივად არ არის) უცნაური, პირამიდის ფორმის გასაშრობად დალაგებულ წივას შენიშნავდით. სახლი უკვე ძველია, ქარი შემოდის, „ფეჩი“ დღე და ღამე თუ არ ანთია, მოხუცები გაიყინებიან. ადრე სომეხი ბავშვები წივას გვპარავდნენ, მაგრამ ახლა ძაღლი გვყავს და შიშით ვეღარ შემოდიან.

ჟენია ბალაშოვა

ჩვენი საკვები ძირითადად კარტოფილია. ამას წინათ პენსია ავიღეთ, 28 ლარი. სოფელში ერთადერთი სასურსათო მაღაზია გვაქვს. ყველაფერი ძვირი ღირს, მაგრამ რას იზამ, როცა მოგენატრება, უნდა იყიდო... ბოლოს, არც მახსოვს, ბურახი როდის დავლიე, დღეს ვიყიდე და დავლიეთ.

ყოველ კვირას, დილის 8 საათზე ადგილობრივი დუხობორები ულამაზეს ცისფერ სახლში იკრიბებიან და ლოცულობენ. წლების წინ, საგანგებოდ სალოცავ ოთახში შესასვლელი ტანსაცმელიც არსებობდა. ეს ტრადიცია დღეს უკვე დავიწყებას მიეცა, თუმცა, დუხობორთა მუზეუმში „ლოცვის ტანსაცმელი“ დღემდე ინახება.

რაც შეეხება ადგილს, სადაც დუხობორები ლოცულობენ, ეს არის გრძელი, დერეფნის ფორმის ოთახი, სადაც რუსული ტიპის „ფეჩია“ ჩაშენებული. იქ ვერ ნახავთ ხატებს. დოხუბორებს არც ჯვარცმა სწამთ და როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, არც პირჯვარს იწერენ. თუმცა, ლოცვების შინაარსი, ზუსტად ემთხვევა იმ ტექსტს, რასაც მართლმადიდებელი რუსები რუსულ ტაძრებში კითხულობენ.

დუხობორების მუზეუმში რელიკვიასავით ინახება წლების წინ სააღდგომოდ შეღებილი წითელი კვერცხები. მართალია, იმ სახლში დღეს არავინ ცხოვრობს, მაგრამ იქაურობა საგულდაგულოდ მოვლილია. მოხუცების იმედზე დარჩენილი სახლი მეზობელი სომხების აგრესიისგან დაუცველია და ბოლო დროს მუზეუმიდან ბევრი ნივთი გაქრა. აქვე გვითხრეს, რომ სომხებმა რამდენჯერმე გაიტაცეს შესაწირი ყუთი, სადაც მომლოცველები თანხას შეძლების-

დაგვარად ყრიდნენ.

ტატიანა გოლიევა, დუხობორი:

— თუ ვინმე „ჩვენიანს“ დასჭირდებოდა, იქ გარკვეული თანხა გვეგულებოდა და ვაძლევდით, მაგრამ ბოლო დროს რამდენჯერმე გაგვიტეხეს და ახლა იქ ფულის შენახვას აზრი არა აქვს. პრობლემა ნებისმიერ საკითხში გვაქვს. მთავარი ის არის, რომ ეთნიკურ უმცირესობას მივეკუთვნებით. საუკუნეზე მეტია, აქ ვცხოვრობთ და ბოლო დროს იმდენად გაგვიჭირდა, ზოგჯერ ჩემს თავს ვეკითხებით, სად არის ჩვენი სამშობლო...

— რატომ? რამდენადაც ვიცი, არსებობს რუსეთის პრეზიდენტის პროგრამა, რომელიც დუხობორების რეპატრიაციას გულისხმობს...

— კი, მაგრამ არც ერთი იქ საცხოვრელად დაბრუნებული ჩვენიანი კმაყოფილი არ არის. თუმცა, ამის მიუხედავად, ძალიან ბევრმა მაინც შეიტანა დაბრუნების შესახებ განცხადება. ადგილობრივ რუსებს ვერ ეწყობიან. ჩვენ აბსოლუტურად განსხვავებული წესები გვაქვს და ვცდილობთ, ეს ტრადიცია, რომელიც საუკუნის შემდეგაც შევინარჩუნეთ, არ დავკარგოთ. თუმცა, ახალი თაობა ვერც აქ და მით უფრო რუსეთში წინაპრების ადათ-წესებით ცხოვრებას ვერ ახერხებს.

— თქვენ აპირებთ რუსეთში დაბრუნებას?

— არა. ჩემი შვილები სომხები არიან. მეუღლე არა მყავს. წლების წინ ბოგდანოვკის პროკურატურაში ვმუშაობდი. დღეს უმუშევარი ვარ. რაც შეეხება მიწებს, ხუთი ჰექტარი იყო ჩვენს საკუთრებაში, მაგრამ მოგვიანებით, ხელახალი გადანაწილება მოხდა და იმ მიზეზით, რომ დიდი ნაწილი რუსეთში დაბრუნდა, მიწა ჩამოგვართვეს. როგორც ნახეთ, აქ მხოლოდ ასაკოვანი დუხობორები დარჩნენ. ჩემი შვილები რუსეთში ცხოვრობენ და მეუბნებიან, ჩამოდი აქ და ჩვენთან იყავიო, მაგრამ მიყვარს აქაურობა. საქართველოს შეჩვეული ვარ და აქედან შორს ცხოვრება გამიჭირდება.

„მოგილოჩკი“ დუხობორთა საფლავებს ჰქვია, რომელიც ერთ დიდ ეზოშია მოთავსებული

— ქართული იცით?

— არა, მხოლოდ 12 სიტყვა ვიცი. მანამდე სამსახურში სომხებიც, ქართველებიც და რუსებიც რუსულად ვლაპარაკობდით. ახლა ქართულის ცოდნა აუცილებელია. თუმცა სომხები ცდილობენ, საქმის წარმოება სომხურ ენაზე წარიმართოს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს მიაღწიეს... იცით, როდესაც ჩემი შვილები რუსეთში წავიდნენ, წარმოიდგინეთ, ადგილობრივთა ლაპარაკი მათთვის გაუგებარი იყო. ამიტომ ვამბობ, ვერ გაგვირკვევია, სად არის ჩვენი სამშობლო.

— აქ მცხოვრებ ახალგაზრდა დუხობორებს თუ ესმით ქართული?

— ცოტა ესმით. აქედან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ენის არცოდნაც არის. თუკი ქართული არ იცი, ვერ იმუშავებ. თუმცა ძალიან ბევრი ცდილობს ისწავლოს. გაქართველების ტენდენცია წამოვიდა, რაც ჩვენთვის მიუღებელია, თუმცა არც რუსეთში დაბრუნებით ვიხეირეთ. ასეა თუ ისე, ის სიმწრით შენარჩუნებული და აქამდე მოტანილი ტრადიციები მაინც იკარგება. ალბათ ჩვენი თაობა თუ შეინახავს.

— თქვენი ხალხის წარსულის შესახებაც მოგვიყევით...

— თავის დროზე ჩვენმა ხალხმა ეკლესიასა და მოძღვარზე უარი თქვა. დღემდე არ მესმის, რა საჭიროა ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავალი, მით უმეტეს, რომ ის ისეთივე ჩვეულებრივი მოკვდავია, როგორიც ნებისმიერი ჩვენგანი. რატომ უნდა მოვუყვე ჩემი ცოდვები იმ ადამიანს, რომელიც შეიძლება თვითონაც სცოდავს?!. მართლმადიდებლური სარწმუნოება გვეუბნება, რომ თუკი უფლის წინაშე გულწრფელად მოინანიებ, მოგეტევება.

რუსული ტიპის „ფეჩი“, რომელიც დუხობორების სამლოცველოცაა

— თუ იცით, თქვენი შვილები და ის ხალხი, ვინც რუსეთში დაბრუნდა, ცხოვრებას თქვენეული წესით განაგრძობს?

— ცდილობენ. პრეზიდენტ პუტინის ინიციატივით, მოსკოვის გარეუბანში აშენდა სალოცავი სახლი, სადაც ჩვენი ხალხი იკრიბება. თუმცა ადგილობრივმა სამღვდელოებამ ეს ფაქტი გააპროტესტა, მაგრამ ის ჯერჯერობით მაინც ფუნქციონირებს.

— თქვენ ახსენეთ, რომ ბოლო დროს სომხების მომრავლება შეინიშნება...

— სომეხთა დიდი ნაწილი, ძირითადად, ბანძიდან აქ 1990-91 წლებში ჩამოვიდა — ისინი, ვისაც იქ საცხოვრებელი სახლები არ ჰქონდა. ჩემ გარშემო სულ სომხები დასახლდნენ. მართალია, მათთან ურთიერთობა თითქმის არ გვქონდა, მაგრამ სახეზე მაინც ვცნობდი და ისიც ვიცი, რომ მატერიალურად ჩვენზე არანაკლებ უჭირდათ. გარკვეული დროის შემდეგ, მათ ჩვენი ხალხის მიტოვებული სახლებისა და მიწის ნაკვეთების შეძენა დაიწყეს. გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, რომ ძალიან უჭირდათ. როგორც მოგვიანებით გავიგე, მათ სომხური ფონდი „ფარვანა“ ეხმარება, რომელიც ერევანში ფუნქციონირებს.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ შვილები რუსეთში წავიდნენ საცხოვრებლად. სამშობლოში დაბრუნებამდე სად სწავლობდნენ, როგორ ცხოვრობდნენ?

— ჩვენთან ძირითადად მამაკაცები მუშაობენ და არა პირიქით, როგორც ეს სომხებში ხდება. ქალები ძირითადად შინ არიან, საჭმელს ამზადებენ, რეცხავენ და ასუფთავებენ. ყველა რელიგიურ დღესასწაულს „ჩვენს საერთო სახლში“ აღვნიშნავთ. ყოველ კვირას ვლოცულობთ და იქვე მიგვაქვს ტკბილეული, რომლითაც ერთმანეთს დღესასწაულს ვულოცავთ. აქ დღემდე ფუნქციონირებს რუსული სკოლა, რომელიც გასულ საუკუნეში რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის დახმარებით აშენდა. სკოლაში ქართული და რუსულენოვანი მოსწავლეები სწავლობენ, პირველი ცვლა რუსულია, თუმცა მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო, გაკვეთილები ხშირად არ ტარდება.

დუხობორებთან სტუმრად მისულ ჟურნალისტებს სომხები არცთუ ისე კეთილგანწყობილებით შეგვხდნენ. 46 წლის ვლად ბდოიანი საკმაოდ ემოციურად გვიმტკიცებდა, რომ გორლოვკა მათი ისტორიული სამშობლო იყო(?!) და დუხობორები აქედან მანამდე უნდა წასულიყვნენ.

„ის სახლები, სადაც ახლა ცხოვრობენ, ჩვენს მიწაზეა აშენებული. ის მიწის ნაკვეთებიც ჩვენ გვეკუთვნის და ამდენი წელი ისე ამუშავებდნენ, მადლობაც კი არ უთქვამთ. ახლა ჩვენი საკუთრების დაბრუნების საშუალება მოგვეცა. თვითონ მაინც არ ცხოვრობენ და რა მნიშვნელობა აქვს, იქ ვინ იცხოვრებს“, — ასეთია იქ მცხოვრებ სომეხთა დამოკიდებულება, რომელსაც უკომენტაროდ დავტოვებ... ■

შიშველი ევა...

ინგა ჯაყელი

უბანში ყველამ იცოდა, რომ შალიკოს ახალგაზრდა ცოლი, რომელსაც რატომღაც ბიბლიური „წინაპრის“ სახელი — ევა ერქვა, არც გათხოვებამდე იყო „წმინდა წყლის“, თორემ შალიკოს ხელში რომ „ეიშვა“, ამაში ბირჟაზე მდგომებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ წინ ამაყად ჩაუვლიდა ხოლმე და აინუნშიაც არ აგდებდა მათ... სამაგიეროდ, კვირაში ორჯერ მაინც მოაცილებდა ვიღაც თავყბაგასივებული მუტრუკი ბოლო მოდელის ჯიპით, ხოლო ორ კვირაში ერთხელ, მწვანე „მერსედესი“ დგებოდა მისი ფანჯრების ქვეშ რამდენიმე საათით და წასვლასაც ასწრებდა შალიკოს დაბრუნებამდე...

შალიკოს დიდი თანამდებობაც ეკავა და ფულიც ბევრი ჰქონდა ყოველთვის, ცოლი კი რატომღაც, ვერა და ვერ მოიყვანა დროზე. ჰოდა, ევა „კეთილისმსურველმა“ ახლობლებმა გაურიგეს: ახალგაზრდაა, ჯანიანი, შვილსაც გაგიჩენს, აბა, შენი ტოლი და შესაფერისი დედაბერი რა ხეირს დაგაყრისო?! — ეუბნებოდნენ, მაგრამ ევას ახალგაზრდობა არ აღმოჩნდა საკმარისი 60 წელს მიღწეული შალიკოსთვის ნანატრი მემკვიდრის გასაჩენად. უბანში იმაზეც ჭორაობდნენ — შალიკო განგებ ხუჭავს ევას ავხორცობაზე თვალს, ოღონდ ცოლი დაუორსულდეს და ყველაფერზე თანახმაა!.. ჰოდა, ბირჟაზე მდგომ ბიჭებსაც მეტი რა უნდოდათ, გააყოლებდნენ ევას ვნებიან მზერას და მუშტებს იბრაგუნებდნენ მკერდზე:

— ეუჰ, ეგი ჩამასრესია ლოგინში და!..

— მაგის ძუძუებში ჩამაყოფია თავი და!..

— ე, ბიჭო, წავწყდი მაგის ნდომით!..

ა.შ. და ა.შ., არც ერთს არ ახსენდებოდა შინ დატოვებული ცოლი, რომელსაც კარგა ხანია, ქალად ვეღარც აღიქვამდა ...

ერთხელაც, ასე ლაზღანდარობდნენ, შალიკომ რომ „შემოაჭენა“ თავისი ჯიპი ბირჟასთან და სურსათით სავსე ცელოფანის პარკი გადააწოდა ბიჭებს, თან სთხოვა:

— მეცით პატივი, ძალიან მეჩქარება, თათბირი იწყება და უნდა მივასტრო, ოუტანეთ ეს პარკი ჩემს ცოლს.

ყველას ბადრიამ დაასწრო და განძივით ჩამოართვა შალიკოს პარკი:

— მაგას რავა დაგამადლი?..

— ე, ბიჭო, წამოგყობი, იქნება ორივე შეგვიპატიჟოს! — წამოიძახა სოსომ.

— დეეტიე მანდ! — შეუბღვირა ბადრიამ და გულზე მიხუტებული პარკით გასწია შალიკოს ბინისკენ.

ზარი დარეკა და რომ არავინ გამოეხმაურა, კარს მიაწვა, რომელიც ღია აღმოჩნდა. მანაც თამამად შეაბიჯა, არც დაძახება დავიწყნია:

— ქალბატონო ევა!

არავინ უპასუხა და მუსიკის ხმას მიჰყვა, რომელმაც ვრცელ დარბაზთან მიიყვანა და როცა შეიჭყიტა, სპორტულ ტრენაჟორზე შემდგარი, თითქმის შიშველი ევა დაინახა, ძლივს რომ უმაგრებდა ჯიშიან მკერდს ვიწრო ლიფი და ბიკინი ხომ, ზორტი იყო მხოლოდ...



უცნაურ მოძრაობებს ასრულებდა ქალი და ისეთ პოზაში არხევდა სხეულს, დენდარტყმულივით გაძაგძაგა ბადრიას, ხახა კი ისე გაუშრა, ლამის დაიხრჩო...

ევა მასაჟზე გადავიდა და ისე ისრესდა სხეულს, ბადრიას დასცხა და წაეკიდა ცეცხლი, გმინვა აღმოხდა და შეშინებულმა წაიფარა პირზე ხელი... ციებიანივით აძაგძაგებდა, თითქოს პირველად ნახა ქალი. ის დრო გაახსენდა, ყმაწვილობაში რომ ათვალიერებდა შიშველი ქალების სურათებს და მერე გაბრუებული დადიოდა, უცნაური და სახელდაურქმეველი სურვილით გაოგნებული...

ახლა კი იცოდა, რაც უნდოდა, მაგრამ, კოშმარულ სიზმარში მყოფივით, არც მუხლი ემორჩილებოდა, ნაბიჯის წინ წასადგმელად და არც ენა — სიტყვის სათქმელად!

ამასობაში, ევა ვარჯიშს მორჩა და იქვე არ წაიძრო ლიფი! მერე „მის ამხანაგს“ სწვდა ორი თითით და ისიც ჩაიძრო... კი, ნამდვილად სამოთხე იყო იქვე, სადღაც ახლოს, მაგრამ ბადრიას ღმერთი ჰყავდა ნამდვილად გამწყრალი, რაღაც ძალა აკავებდა და არ უშვებდა ევამდე...

ქალი კი, რომელიღაც კარს მიეფარა და ბადრია წყლის ჩხრიალით მიხვდა, რომ აბანოში იყო ევა...

როგორც იქნა, აუჩუხჩუხდა გაყინული სისხლი და დამდუღრულივით გავარდა გარეთ, ბირჟამდე ისე ირბინა, თითქოს იარაღმომარჯვებული შალიკო მოსდევდა უკან, ცოლის „შეურაცხმყოფელს“...

— რა იყო, რა ფერი გადევს, შე უბედურო? ეიხდინე ოცნება თუ გიმტყუნა ვაჟკაცობამ?! — შემოეხვივნენ ბიჭები.

— წყალი! — დაიკვნესა ბადრიამ.

— გწყურია?! — ჰკითხა ვახტანგიამ.

— არა, თავი უნდა დევიხრჩო! — შეუღრინა „ლენჩს“ და ერთ ყლუპად დალია მთელი ჭიქა...

— „მოგცა ამეთვისტომ სოლი?“ — თავისას არ იშლიდა სოსო.

— რაის სოლი, რის სოლი, მარა მის ნაყურებზე აღარ მინდა ცოლი! — უნებურად გალექსა ბადრიამ და ევას „ხატვას“ მოჰყვა — ა, მკერდი... ა, თეძოები... ა, „ჩიტის ბუდე“... ა...

— ვერ ებდღვენი, რეგვენო! — თავში ხელი ჩაარტყა „აღელვებულმა“ ნუგზარიამ და იმოდენა ნერწყვი გადაყლაპა, ლამის დაახრჩო ხველამ...

— წავალ სახლში, რაცხა ვერ ვარ კარქათ, ასე მგონია, — „ბოქსიორის“ მუშტი მომხვდა თავში, დაბურბუსალებული ვარ! — თქვა ბადრიამ.

ყოველი შემთხვევისთვის, სოსომ გააცილა ჭიშკრამდე და ეჭვით ჰკითხა:

— მართლა არაფერი გიკისრიათ?!

— ვერა და ცხოვრების ბოლომდე ვერ ვაპატიებ თავს! — აღიარა ბადრიამ და კარში გამოსული ცოლის დანახვაზე ისე დაემანჭა სახე, თითქოს მუავე ტყემალს მოეკვეთოს კბილი...

■

„ბამოესწორებელი იდეალისტი“

ანე კაპი, რომელმაც ნიჭიერებით ს

ცა ამ საქმიანობამ, რომ გადაწყვიტა, მთლიანად ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. აქვე მინდა აღვნიშნო — მოგვიანებით, ალექსი ტოლსტოიმ, რომელმაც შალვა ნუცუბიძის ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხა და გაოცებული დარჩა მისი რუსული ენის ცოდნით, დაწერა: შალვა ნუცუბიძემ დაგვანახვა, თუ რა შესძლებია რუსულ ენასო...

— შალვა ნუცუბიძე ციხეში თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“ და ამით სტალინიც კი დაინტერესებულა. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— სანამ „ვეფხისტყაოსნის“ ციხეში თარგმნაზე გიპასუხებდეთ, ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო. მორიგი დაკითხვისას, გამომძიებელმა ჩვენების დაწერა მოსთხოვა. შალვა ნუცუბიძემ უთხრა — იქნებ მიკარნახოთო?.. და რაც რამ ბოროტება გაახსენდა, საკუთარ თავს მიაწერა, იმ განზრახვით, სასიკვდილო განაჩენს დავაჩქარებო... როცა წერა დაამთავრა, ხელმოსაწერ ადგილამდე დიდი მანძილი დატოვა. გამომძიებლის შეკითხვაზე — ეს ადგილი რატომ დატოვეთ? — უპასუხა: თუ რამე გამომრჩა, თქვენ დაამატეთო. — გამოუსწორებელიაო, — უთხრა ვიღაცას ტელეფონში გამომძიებელმა. მალე თბილისის სატუსაღოდან მოსკოვში გადაიყვანეს, ლუბიანკაზე („კაგებეს“ ცენტრალურ შენობაში). ერთ დღეს საკანში, მისდა გასაოცრად, მთელი დასტა ქაღალდი მიუტანეს და უთხრეს — „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა განაგრძეო. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, სტალინს უკითხავს — დაპატიმრებამდე ნუცუბიძე რას საქმიანობდაო? — და როცა გაუგია, „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა, უბრძანებია — შეუქმენით პირობები, რომ მალე დაამთავროსო. ერთხელაც შალვა ნუცუბიძეს საკანში გამომძიებელმა მიაკითხა, სკამზე ჩამოჯდა და უთხრა: სტალინმა ბერიას ჰკითხა, შაშვი თუ იცი, რა ფრინველიაო? ბევრი იცის ჩვენშიო, — უპასუხია ბერიას. — გალიაში თუ მოგისმენია შაშვის გალობაო? — უკითხავს ბელადს და დაუმატებია — არც საკანში არსებობს მომღერალი მგოსანი; თუ გვინდა, რუსთაველის სრულყოფილი თარგმანი მივიღოთ, შაშვი გალიიდან უნდა გამოვუშვათო... შალვა ნუცუბიძე სტალინს 1940 წელს შეხვდა. Вас немножко обидели, но забудем. То, что Вы сделали, это большое дело, — უთქვამს ბელადს და ქართულად გაუგრძელებია საუბარი. თარგმანის ტექსტი ბრწყინვალეაო, უთხრა და ხელში აიღო აკინძული და ტყავის ყდაში ჩასმული სასიგნალო ეგზემპლარი, რომლის ილუსტრაციები სერგო ქობულაძეს ეკუთვნოდა. აღნიშნულ წიგნში ლურჯ-წითელი ფანქრით იყო სტროფები გახაზული. ეს ეგზემპლარი გორში სტალინის სახლ-მუზეუმში ინახება. შალვა ნუცუბიძე მაშინ მიხვდა, თუ ვისთან მიჰქონდათ ხოლმე საპატიმროდან მისი თარგმანები სარედაქციოდ და ვინ იყო მისი ფაქტობრივი რედაქტორი. — მეც ვთარგმნე ერთი სტროფი, თუ მოგწონებათ, მიიღეთ საჩუქრად, გამოიყენეთ თქვენს თარგმანში, ხოლო ჩემზე ნურაფერს იტყვით, არც რედაქტორობა მოიხსენიოთ წიგნშიო, — უთხრა სტალინმა. ამ შეხვედრის შემდეგ, სასწრაფოდ დაიწყო ნუცუბიძისეული თარგმანის ბეჭდვა. ცნობილი არ არის ის ფაქტი, რომ წიგნის გამოსვლის შემდეგ სტალინი კიდევ ერთხელ შეხვდა ნუცუბიძეს და სადილი გაუმართა. ამ მიღების დროს შალვა ნუცუბიძეს ბერიამ უთხრა — რა უკმაყოფილო სახე გაქვს? შენ, პაპანინზე (ჩრდილოეთ პოლუსზე გაგზავნილი, ცნობილი ექსპედიციის ხელმძღვანელი) დიდი სადილი გაგიმართაო!.. სუფრაზე შალვა ნუცუბიძემ სტალინის სიტყვა გაიხსენა, რომელიც მან წულუკიძის დასაფლავებაზე წარმოთქვა. სტალინმა წამოიძახა: Блестящий талант и блестящая память! დამშვიდობებისას, სტალინმა შალვა ნუცუბიძეს შუბლზე აკოცა. სხვათა შორის, საქართველოში დაბრუნებულს, როდესაც რაიმეს გაუბედავდნენ, შალვა თითს შუბლზე მიიდებდა და ეტყოდა — აქ სტალინის ნაკოცნიაო... შალვა ნუცუბიძე სტალინმა დახვრეტას გადაარჩინა. როდესაც ბელადი გარდაიცვალა, შალვა ნუცუბიძემ ჩემთან საუბრისას თქვა — სტალინის ნათარგმნი სტროფი ჩემს ნათარგმნზე უკეთესი იყოო...

მეუღლე ქეთევან კლიმიაშვილი-ნუცუბიძე

(მარცხნიდან შვილები): თამარ ნუცუბიძე, ზაქარია მეგრელიშვილი, რუსუდან მეგრელიშვილი, თამაზ ნუცუბიძე

— მიუხედავად ამისა, შალვა ნუცუბიძეს საქართველოში დაბრუნების შემდეგ მაინც არ ასვენებდნენ. მას ბევრი უსიამოვნება შეხვდა ქართველი „კოლეგებისგან“...

— 1941 წელს, როცა ომი დაიწყო, მას ნება დართეს, საქართველოში დაბრუნებულიყო. მუშაობა დაიწყო ქართული ფილოსოფიის და ლიტერატურის საკითხებზე. გამოაქვეყნა შრომები ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტიფიკაციის შესახებ — „აღმოსავლეთის რენესანსი“ და „ქართული ფილოსოფიის“ ორტომეული, მაგრამ ყველაფერი ეს დაგმობისა და გაკიცხვის საგნად აქციეს. სხვათა შორის, არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, რუსეთის ჩათვლით, არა აქვს ფილოსოფიის ისტორიის სფეროში შექმნილი, ფუნდამენტური ნაშრომი, საქართველოს გარდა. 1948 წელს მარქსიზმის უგულებელყოფისა და იდეალიზმისკენ მიდრეკილების ბრალდებით, შალვა ნუცუბიძე გარიცხეს ფილოსოფიის ინსტიტუტიდან, როგორც „გამოუსწორებელი იდეალისტი“. სტალინის გარდაცვალების შემდეგ კი, შალვა ნუცუბიძის საწინააღმდეგოდ ახალი ბრალდებების ტალღა აგორდა. თავად, ახალ დაპატიმრებას ელოდა — აბა, უნივერსიტეტიდან და მეცნიერებათა აკადემიიდან დათხოვნილი, გერმანიის ფაშიზმის აგენტის იარლიყით „შემკული“ ადამიანი თავისუფალი ხომ არ ივლიდა! ეს ბრალდება მისმა ყოფილმა ასპირანტმა საჯაროდ წაუყენა... საბედნიეროდ, მეორედ დაპატიმრებას გადაურჩა. თუ რატომ, — ეს დღემდე უცნობია. იგი უნივერსიტეტიდანაც გააძევეს, სიტყვით გამოსვლის საშუალებასაც არ აძლევდნენ: ვინ იცის, რას იტყვისო?..

— ბატონო ზაქარია, თქვენ წლები გაატარეთ შალვა ნუცუბიძის ოჯახში, გასახსენებელიც ბევრი გექნებათ და სიკვდილის წინ რამე ხომ არ დაგიბარაათ?

— გასახსენებელი, მართლაც, ბევრი მაქვს. ჩვენ, ოჯახური ურთიერთობის გარდა, დიდი მეგობრობაც გვაკავშირებდა. სწორედ ამ მეგობრების და მისდამი ერთგულების გამო, ბევრ ფაქტზე არ ვილაპარაკებ. რაც შეეხება მისი ცხოვრების ბოლო დღეებს, გვეუბნებოდა — მე თქვენ, საფლავიდანაც დაგეხმარებითო. დედაჩემს კი, სიკვდილამდე ერთი დღით ადრე უთხრა: ხელებს გულზე ნუ დამიკრეფ, ნურც სტალინივით დამიწყობ, დამიშვი უბრალოდ. დამასაფლავე გლდანში. გლდანი არ მიატოვო, არ გათხოვდე და ბავშვებს მიხედე. თუ რამ ძვირფასი გაქვს, ნურავის მისცემ, რა იცი, რა გელის; დარწმუნებული ვარ, შვილები მოგხედავენ; რუსთაველს მიმიხედე; შენ დაწერ ჩემზე წიგნს, მაგრამ ტოლსტოის ცოლივით თავი არ მომჭრაო...

შალვას გარდაცვალების მეორე დღეს, მთელი პრესა მისი სადიდებელი სიტყვებით აივსო. თითქოს თავად უნდა დადუმებულიყო, რომ მასზე ქვეყანა ამეტყველებულიყო. შალვა ნუცუბიძე უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს. მისი გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, 90 წლისთავისათვის მოწყობილ სამეცნიერო სესიაზე გამოსულები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს, იოანე პეტრწის შემდეგ, შალვა ნუცუბიძის დარი ფილოსოფოსი არ ჰყოლია. ■

M K

ჟურნალის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეხედოთ თვალი.

1. „ეს ბოროტებაა, მაგრამ აუცილებელი ბოროტება“. რის შესახებ ამბობდა ამას სტენდალი?

2. ძველეგვიპტელთა რწმენით, საიქიოში უზენაესი მსაჯულის — ოსირისის წინაშე წარმდგარი მიცვალებულის გულს სასწორზე წონიდნენ. თუ გული (ანუ ცოდვები) გადაწონიდა, ცოდვილს ურჩხული შეჭამდა. რა იდო სასწორის მეორე პინაზე?

3. ზიგმუნდ ფროიდი ამას ზოგადსაკაცობრიო აკვიატებულ ნევროზს ეძახდა.

4. ამ ომში 72 სახელმწიფო (დედამიწის მოსახლეობის 80%) მონაწილეობდა. ომი 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. მისმა საერთო ზარალმა და სამხედრო ხარჯებმა 4 ტრილიონი დოლარი შეადგინა.

5. რამდენი წლისაა ე.წ. ბალზაკისეული ასაკის ქალი?

6. დაასახელეთ ქართველი პოეტი, რომლის დედა — ეკატერინე აბაშიძე იმერეთის მეფის, სოლომონ პირველის შვილიშვილი გახლდათ.

7. 1616 წლის 25 აპრილს, მსოფლიო ლიტერატურამ არნახული დანაკლისი განიცადა. ამ დღეს, თითქმის ერთსა და იმავე დროს, გარდაიცვალა ორი ბუმბერაზი მწერალი. ვინ და ვინ?

8. დაასახელეთ ადგილი დედამიწაზე, სადაც ჩრდილოეთ პოლუსზე უფრო მეტად ცივა.

9. ვინ არის აბორბადი?

10. „ან ფარით, ან — ფარზე“ — ამ ლაკონიური ფრაზით ისტუმრებდა ომში შვილს სპარტელი დედა. რას ნიშნავდა ეს გამოთქმა?

11. სომხურ ენაზე საქართველოს, „ვრსტან“ ჰქვია, რა ჰქვია ამ ენაზე თვით სომხეთს?

12. რატომ არის გამოსახული ბაგრატიონთა გერბზე შურდული?

13. ტუბერკულოზით დაავადებული ეს კომპოზიტორი პარიზში გარდაიცვალა და იქვე, პერ-ლაშეზის სასაფლაოზეა დაკრძალული. მისი გული კი, მისივე ანდერძის თანახმად, ვარშავაში გადაიტანეს და წმინდა ჯვრის ეკლესიის ერთ-ერთ სვეტშია დატანებული.

14. ავღანეთიდან საბჭოთა კავშირის ჯარების გაყვანაში ამ ადამიანს საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის. მოლაპარაკების პერიოდში, მას მინიმუმ თოთხმეტჯერ მოუწია ამ ქვეყანაში ჩასვლამ.

15. დაასახელეთ მეფე, რომელმაც ყაზანის ბრძოლის წინ, ვიდრე თათრებს შეუტევდა, მეომრებს გაახსენა ივერიის დედოფლის — დინარას (თამარის) სასწაულებრივი გამარჯვებანი და ამით აღაფრთოვანა და გაამხნევა თავისი ჯარი.

ანეკდოტები

***

— რა განსხვავებაა ქმარსა და შვილს შორის?

— შვილი შეგიძლია, ძიძასთან მარტო დატოვო, ქმარი კი — არა!

***

კაცს ტელევიზორი მიაქვს ხელოსანთან:

— ხმა არის, გამოსახულება არა!

ხელოსანი:

— კუილი!

— კაცო, გამოცანას კი არ გეუბნები, ტელევიზორია გაფუჭებული!

***

— საინტერესოა, კაცთან რომ მივიდეს ქალი და უთხრას — ნებისმიერ ორ სურვილს შეგისრულებო, მეორე სურვილი რა იქნება?

***

ქუჩაში გოგო ბიჭს აჩერებს:

— უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით — სამშობიაროში როგორ მოვხვდე?

— გამომყევით და 9 თვეში უპრობლემოდ მოხვდებით!

***

მიხო საძინებელი ოთახიდან კმაყოფილი სახით გამოდის.

— შენ სუსტი სქესი ეძახე და რამხელა ენერგია მიაქვს!

***

— ქალბატონო, ეს ბავშვები სულ თქვენი შვილები არიან?

— არა, ქარხანა, სადაც მე ვმუშაობ, პრეზერვატივებს უშვებს, ესენი კი მომხმარებელთა საჩივრებია!

***

ქმარი ეუბნება ცოლს:

— ძვირფასო, შენი ვარცხნილობა საოცარ სიზმარს მაგონებს.

— შენი კი — შიშველ რეალობას.

***

ქალმა, რომელსაც ქმარი მოუკვდა, საფლავის ქვაზე გააკეთებინა წარწერა: „ამ დანაკლისს ვერ გადავიტან“. რამდენიმე თვის შემდეგ გათხოვდა და წარწერას ერთი სიტყვა დაუმატა: „მარტო...“

***

განცხადება: „გუშინ ზოოპარკიდან გაიპარა კუ. მპოვნელს ვთხოვთ, 180 გრადუსით შემოაბრუნოს“.

***

ექიმი-ექსპერტი პრაქტიკანტს ჰკარნახობს:

— დაწერეთ: „თავის ქალის ტრავმა...“

— იქნებ, ტვინიც დაზიანებულია?

— სადა აქვს ტვინი?! ცოლის დაბადების დღეზე საყვარელთან ერთად მივიდა!

***

ექიმი მოშეს ამშვიდებს:

— ასეთი ჯანმრთელობის პატრონი, თქვენი სიდედრის დამარხვასაც მოესწრებით, თქვენი სიმამრისაც, თქვენი ცოლისაც...

— მოიცა, მოიცა, ექიმო! მაგდენი დასაფლავების ფული სად უნდა ვიშოვო, დაგენაცვლე?

***

— ჩემმა ძმაკაცმა გუშინ სერვერი გატეხა!

— ვა

***

ინტერვიუ უშიშროების გენერალთან:
— რას აკეთებს თქვენი სამინისტრო?
— ჩვენ იმ ხალხს დავდევთ, ვისაც ამ ქვეყანაში ცხოვრება არ მოსწონს.
— და ვინმეს ისეთს თუ იცნობთ, ვისაც აქ ცხოვრება მოსწონს?
— როგორ არა, მაგრამ ასეთ ხალხს ფინანსური პოლიცია დასდევს.

***

მიხოს ძალიან უყვარს კრივი. ერთ დღეს სახლში მთვრალი დაბრუნდა და მაროს ეუბნება:
— დედაკაცო, ამაღამ კასიუს კლეი ჩხუბობს ფრეზერთანა და თუ დამეძინოს, გამაღვიძე, გაიგე?
ჩართო ტელევიზორი და უყურებს, მაგრამ სიმთვრალემ სძლია და ჩაეძინა. დილას იღვიძებს, ტელევიზორი გამორთულია, მარო სამზარეულოში საქმიანობს.
— ქალო, ი კლეიმ რა ქნა წუხელა? — ეძახის ცოლს.
— იი, მეხი კი დაგაყარე! შენ დაგეძინა და ის რაღას იზამდა?!

***

— ჭიჭიკია, გუშინ მაგიდაზე რომ შემწვარი წიწილა დავტოვე, რა იქნა?
— ინერვიულა და ა, ვერ ხედავ, ცარიელი ძვალი და ტყავი დარჩა.

***

— მარო, რძალი გამოგადგა?
— რავი, მგონი, ავადმყოფი შემოგვაპარეს — წუხელა მთელი ღამე კვნესოდა.

***

ერთი სვანი მეორეს შესჩივის:
— ამათი დედა ვატირე! პირი შეკრეს მოლარეებმა?!
— რას ამბობ?
— ათი მეტროს სადგური მოვიარე და ჟეტონი ყველგან ოცი თეთრი ღირს.

***

— ვერ მეტყვით, ვინ არის ეს საფრთხობელა?
— ჩემი ცოლია.
— ოჰ, უკაცრავად, ნამდვილი დეგენერატი ვარ.
— ეჰ, დეგენერატი შენ კი არა, მე ვარ!..

***

ერთი გურული ეუბნება მეორეს:
— თავი ამატკივა ამ არაყმა!
— აპა, ძმა, ას გრამ ჭკუას რომ სამას გრამ ჭაჭას გადაასხამ, კაი რა დაემართება?!

***

ორი ძმაკაცის საუბრიდან:
— რა გონიერი ცხოველია დელფინი!
— რატომ?
— ჩემი სიდედრი იხრჩობოდა და არ გადაარჩინა.

***

მეგრელი მივიდა დაწესებულებაში. მისაღებში ეუბნებიან:
— ჩვენთან სამუშაოდ, ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნაა საჭირო.
— მეგრული და კალკულატორი

არ წავა?

***

ევერესტის მწვერვალზე ჩამომჯდარი ორი მთამსვლელის საუბრიდან:
— მინდოდა, ოთხოთახიანი ბინა მეყიდა, გარემონტებული, ავეჯით გაწყობილი, მოკლედ, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ბოლოს მაინც გადავიფიქრე.
— რატომ?
— მეშვიდე სართული იყო, თანაც ლიფტი არ მუშაობდა.

***

ორი მამაკაცი საუბრობს:
— ჩემი სიდედრი პირდაპირ ქალის იდეალია, ბუნების სრულყოფილი ქმნილებაა. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს.
— რა?
— სუნთქავს.

***

დაქვრივებულ მოშეს მეგობარი ეუბნება:
— მოშე, დროა, მეორე ცოლი მოიყვანო.
— ვიცი, დაგენაცვლე და ამიტომაც, ისეთ ქალს ვეძებ, ასთმა რომ ჰქონდეს.
— ავადმყოფი ქალი რად გინდა, მოშე?
— იცი, ჩემს ყოფილ ცოლს ასთმა სჭირდა და აუარებელი წამალი დარჩა.

ჯრიჯვის საკანონმდებლო

„ზეის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ქორწინების შესახებ.
2. ბუმბული.
3. ფროიდი ასე რელიგიას მოიხსენიებდა.
4. მეორე მსოფლიო ომი.
5. 30 წლის.
6. აკაკი წერეთელი.
7. უილიამ შექსპირი და მიგელ სერვანტეს დესაავედრა.
8. სამხრეთ პოლუსი.
9. მიტოვებული სალოცავების მცველსა და სახატო წესების შემსრულებელს წოვათუშებში აბორბადი ჰქვია. აბორბადობა მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც წოვათუშები ალვანში გადასახლდნენ.
10. გამარჯვების შემთხვევაში მას თავისი შვილი ფარით ხელდამშვენებული სურდა ეხილა, დამარცხების შემთხვევაში — ამავე ფარზე დასვენებული.
11. „ჰაიასტან“ (ჰა ეს? — სომეხი ხარ? — ჩე, ვრაცეს. — არა, ქართველი.)
12. „ძველი აღთქმის“ თანახმად, დავითმა გოლიათი შურდულით მოკლა. ბაგრატიონები თავიანთ თავს დავითის შთამომავლებად მიიჩნევდნენ და გერბზე შურდული მის პატივსაცემად ჰქონდათ გამოსახული.
13. ფრიდერიკ ფრანტიშეკ შოპენი.
14. ედუარდ შევარდნაძე.
15. ივანე მრისხანე.



veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-39

მაგა ვაჩნაძე

თაზო და მისი ტელეჟურნალისტი ცოლი ანი, თაზოს მამასთან, გაიოზთან გადადიან საცხოვრებლად. ქვრივ კაცთან ერთად, ქმართან გაყრილი მისი ქალიშვილი ნუციკო და შვილიშვილი ბასა ცხოვრობენ. თაზო და მამამისი საკმაოდ გულგრილად ხვდებიან ერთმანეთს, ცოტა ხანში კი, მათ სერიოზული შეკამათება მოუვათ: თაზო შემთხვევით იპოვის ფულის შეკვრას, რომელიც ე.წ. „კუკლა“ აღმოჩნდება. ქაღალდის ფურცლებით დოლარების შეცვლას მამა შვილს აბრალებს... ნუციკო, რომელსაც დაბადების დღე აქვს, მეგობრების წრეში დროს გასატარებლად მიეშურება.

მეორე დღეს, ტელესტუდიაში მყოფი ანი საინფორმაციო პროგრამიდან შეიტყობს, რომ ნუციკოს საყვარელი — ბიზნესმენი ლევან იაშვილი დილით მკვდარი იპოვეს...

— დილითვე ლევან იაშვილის ცხედარი რესპუბლიკური საავადმყოფოს პროზექტურაში გადაასვენეს, — მშვიდად განაგრძობდა ეკრანიდან ინფორმაციის კითხვას ლუბა მეგრელიშვილი, — ვარაუდობენ, რომ მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ლაპარაკია სხვა, ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებზეც... რადგან ლევან იაშვილის ოჯახის წევრები რამდენიმე ხანია, საზღვარგარეთ ცხოვრობენ, ფაქტობრივად, არ არსებობენ ამ ტრაგიკული შემთხვევის თვითმხილველები. ერთადერთი, ვინც გამოძიებამ დაჰკითხა, ფირმა „ტაიდოს“ ოფისის დარაჯია. ეს ფირმა იაშვილის სახლის გვერდით მდებარეობს.

ეკრანზე „ტაიდოს“ დაბნეული და ცოტა შეშინებული დარაჯი გამოჩნდა.

— აბა, მე რა ვიცი... — ჰყვებოდა ის. — ჯერ გათენებულიც არ იყო, რო, იგეთი ხმა შემომესმა, აი, „ბომბა“ რო გასკდეს... ხმა იყო ძლიერი. ვაა, ატყდნენ ეს ძაღლები და რა ატყდნენ!.. ძაღლები ჰყავ მაგას ჯიშიანები... აღარ დადგნენ ეს ძაღლები, იყეფებიან და რას იყეფებიან!.. თავიდან არ გამოველი, რა ვიცი, ათასი ოხერი და მამაძაღლი ცხოვრობს ამ ქალაქში. ზოგი „ბომბებს“ აკეთებს, ზოგი — ყუმბარებს, ვიფიქრე, არაფერი მამხვდესმეთქი. ბოლოს მაინც გადავიხედე, დამაინტერესა, აბა... რასა ვხედამ! გდია, კაცო, ეს ბუმბერაზი კაცი მიწაზე, გათავებულია. ზემოთა კიდენა, მესამეზე, ფანჯარაა, ესე ორთავე, პირთამდე გამოღებული. ბილიარდსა თამაშობდნენ ხოლმე იქა, ღამე ერთი იყო და მოსვენება არა მქონდა, ღაწ-ღუწ, ღაწ-ღუწ, — გაუდიოდა მთელი ღამე... ვიფიქრე, გადმოვარდნილია-მეთქი მაღლიდან, სხვა რა უნდა მეფიქრა?.. ხმა კიდე, ეტყობა, კაცი ხო თავით მოდის, არა? ქალისაგან განსხვავებით... თავი რო გასკდება, გაგონილი მქონდა, „ბომბასავით“ ხმა აქო და მართლა ესე იყო... აი, გეგონება მთა ჩამოიქცაო.

— ვაიმე, ვაიმე! — რატომღაც ყელზე ხელი მოივლო ანიმ, სკამიდან გადმოხტა და კარისკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდა.

— და თმა? — მაკრატელი ააკრიჭინა საშამ.

— კაი, რა დროს თმაა?! — ხელი აუქნია ანიმ.

— კაი, ჰო, სხვა დროს გავკრიჭოთ, — დაადევნა საშამ.

ანიმ შესანიშნავად უწყოდა, რომ ბოლო დროს მომრავლებულ ამ სახის მკვლელობებს ხელისუფლება თავის ნამდვილ სახელს კი არ არქმევდა, არამედ, როგორც თვითონ მოეხასიათებოდა, ისე ჭრიდა და კერავდა. ანის უყვარდა ნუციკო, ნუციკოც სითბოთი პასუხობდა და ანიმ მაშინვე გადაწყვიტა, ამ საქმეს მე თვითონ გამოვიძიებ და სანამ არ გავხსნი, არ შევეშვებიო. ნუციკოსთან ზარი გაუშვა, მაგრამ დროებით გამორთულიაო, პასუხობდა ავტომატი.

რედაქციაში ანის, მათი ტელეოპერატორი ვასიკოც დახვდა. ისიც და ნიკოც ტელევიზორის ეკრანს მისჩერებოდნენ.

— გაიგეთ, ბატონო ნიკო? ლევან იაშვილი მესამე სართულიდან გადმოხტა და თავი მოიკლაო! არ უყურეთ ახალ ამბებს? — შეეკითხა შესვლისთანავე ანი.

— სსუუ, გამომძიებელი ლაპარაკობს, — გააჩუმა ნიკომ ანი.

ეკრანზე ჯიბეებში ხელჩაწყობილი გამომძიებელი ლაპარაკობდა:

— რადგან გამოძიებას არ გააჩნია არავითარი სამხილი, ვფიქრობთ, სიმართლესთან ყველაზე ახლოს, თვითმკვლელობა უნდა იყოს მიჩნეული. ამას გვაფიქრებინებს ნარკოტიკების დიდი დოზა, რომელიც სხეულის გაკვეთის შემდეგ აღმოაჩინეს გვამში... ამ ეტაპზე რთულია რაიმეს თქმა, მაგრამ თუკი ვინმეს შეუძლია მოგვაწოდოს დამატებითი ინფორმაცია ამ საქმესთან დაკავშირებით და თუკი ეს ინფორმაცია იქნება სიმართლესთან ოდნავ მაინც ახლოს, ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ ყველაფერს...

— არა, ამათი ლაპარაკიდან ვერავითარ აზრს ვერ გამოიტან... — ჩაილაპარაკა ნიკომ. — მოკლულია ნაღდად... თვითმკვლელობა — არა!..

— უნამუსოები! — წამოსცდა ანის.

— გამოდის, რომ სულ ბოლოს ჩვენ გადაგვიღია ეგ კაცი... — ჩაილაპარაკა ვასიკომ. — მოდი, დავატრიალოთ.

ვასიკომ უჯრიდან კასეტა ამოიღო და ვიდეომაგნიტოფონში შეაგდო. ეკრანი აციმციმდა და მალე ლოლაც გამოჩნდა.

— დიახ, დღეს ჩვენ ვიმყოფებით სასტუმრო „შერატონის“ საგამოფენო დარბაზში, — ჰყვებოდა ლოლა, — სადაც მიმდინარეობს საზეიმო ა-ლა-ფურშეტი, ფირმა „ნეპტუნის“ მიერ ტენდერში გამარჯვებასთან დაკავშირებით...

ლოლას ლაპარაკი ანის სულ არ აინ-

ტერესებდა, ის ეკრანზე ლევან იაშვილს ეძებდა.

— მე ახლა სიტყვას გადავცემ ფირმა „ასტეროიდ სამას შვიდის“ ვიცე-პრეზიდენტს ბატონ იშტვან ჩეხს, — თქვა ლოლამ და მიკროფონი უცხოელს მიუშვირა, რომელიც „დამტვრეული“ რუსულით ალაპარაკდა.

— აი, აი... „სტოპ“! — იყვირა ანიმ. ვასიკომ კადრი გააჩერა.

— აი, ლევან იაშვილი, აი, გაუშვი! — მიუთითა ანიმ. ვასიკომ გაუშვა.

ეკრანზე კარგად გამოჩნდა, როგორ ეკამათებოდა და უძალიანდებოდა ლევან იაშვილი ვიღაც ტიპებს, რომლებიც დარბაზიდან მის გათრევას ცდილობდნენ.

— ეს რა ხდება? დაინახეთ? დაატრიალე, რა, ვასო, უკან! ბატონო ნიკო, დაინახეთ? — აღელდა ანი. — ვასიკო, შენ ეს კადრები არ გახსოვდა? — ახლა ვასიკოს შეეკითხა ანი.

— არა, საიდან უნდა მხსომებოდა, მე ლოლაზე მქონდა აქცენტი, უკან რა ხდებოდა, მე რა ვიცი?! — ჩაიბურტყუნა ვასომ.

— ა, ბატონო, ვაჩვენოთ გამომძიებელს, ამაზე მეტი სამხილი რაღა უნდათ?! — თქვა ნიკომ.

— მოიცათ, მოიცათ, ასე არ გამოვა... — ბრძანა ანიმ.

— რა არ გამოვა? — ვერ მიუხვდა ვასიკო.

— სახე არ უჩანს არც ერთს, ორივენი ზურგით არიან... — თქვა ანიმ.

— რატომ? — დაეჭვდა ვასიკო. — აი, პროფილი ამ ტიპის... არც ისე მკაფიოა, მაგრამ ჩვლება შეიძლება რაღაცის, თუნდაც, ცხვირის...

— რა-ა? არა მგონია. შენც სწორედ ასეთი მოკაუჭებული ცხვირი გაქვს და ყოველ მეორესაც მთელ საქართველოში, — დაასკვნა ანიმ.

— მერე, ეგ რა ჩვენი საქმეა?! გამოძიებამ იმტვრიოს მაგაზე თავი, ჩვენ რაში გვეკითხება?! სულ ფეხზე არ მკიდია?! — ხელი აუქნია ვასიკომ.

— არა, სწორედაც რომ გვეკითხება! — არ დაუთმო ანიმ.

— ჩვე-ენ? მე-ეც? რატომ? რა, პოლიციელი ვარ?

— როგორ თუ რატომ?! კაცს კლავენ... ხომ აშკარად გამოჩნდა, რომ მოკლულია! ისინი კი გაიძახიან — თვითმკვლელობაა. როგორ გგონია, ამ ფირს თუ ნახავენ, აზრს შეიცვლიან? კაცს ყველაფერი ჰქონდა, ყველაფერი და რატომ უნდა მოეკლა თავი?! — გაცხარდა ანი.

— ე, მაგაზე არ არი, ანი, იქნებ, რა აფექტში იყო, ტო?!. შენ იცი, რომ თავის მოკვლა თუ გადაწყვიტა კაცმა და ორმოც წამში არ მოიკლა, აღარ იკლავს თურმე თავს... — ბრძნულად დაასრულა ვასიკომ.

— მართლა? შენ საიდან იცი? — მაგრად გაუკვირდა ანის.

— როგორ თუ საიდან?! რამდენჯერ გადამიწყვეტია, ტო, თავის მოკვლა და ორმოც წამში რომ არ მომიკლავს, გადამიფიქრებია... ასე არ არის, ბატონო ნიკო? — დაიმოწმა ნიკო ვასიკომ.

— კი, ასეა, რა თქმა უნდა — იმ შემთხვევაში, თუ სისულელეს არ ამბობ... მე ვფიქრობ, რომ ანი მართალია. ჩვენს „ძმებს“ — ესე იგი, პროკურატურას, — საქმის ჩაფარცხვა უნდა... კაცი არ გაცივებულა და უკვე დასკვნებს გვთავაზობენ...

— მართალია! მე გამოვიძიებ, ბოლ-ბოლო, და აი, ნახავთ, თუ არ გავხსნი! ჟურნალისტური ძიება!.. საქმეშიც ჩაგვეთვლება... — მიაჩერდა ნიკოს ანი.

— და ყველაფერს თავდაყირა დააყენებ... როგორც ბავშვთა სახლის საცოდავი დირექტორი მოახსნევინე და პრემიები დაგვაკარგვინე, არა?!. — ხელი ჩაიქნია ნიკომ.

— მაინც მე დამბრალდა, ისევ!.. — გამწარდა ანი. — ძალიან კარგი, მე წავედი!

— სად? — გაუკვირდა ნიკოს, მაგრამ ანის აწითლებულ ლოყებსა და განრისხებულ თვალებს რომ შეეფეთა, მაშინვე დაეთანხმა: — წადი, ოღონდ არ დაიკარგო, პარასკევს ეთერში ვართ და ჯერ ორი სიუჟეტიც არ გვაქვს მზად.

ანიმ ჩანთას დასტაცა ხელი და რედაქციის კარი გამოიკეტა. დერეფანი სწრაფი ნაბიჯით გაიარა და სტუდიის კიბეზე სირბილით დაეშვა. მანქანა პულტით შორიდანვე გახსნა და ქალაქში გიჟივით გავარდა.

ანიმ კარგად იცოდა ნუციკოს ხასიათი. ისიც, როგორ უყვარდა ლევან იაშვილი. ეშინოდა, თავს რამე არ აუტეხოსო და უნდოდა, რაც შეიძლება მალე ენახა. დარწმუნებული იყო, რომ ლევანის სიკვდილის ამბავი უკვე გაგებული ექნებოდა. ჯერ ქმარს დაურეკა, მაგრამ მის მობილურზე ვიღაც ქალმა უპასუხა — თაზო მცხეთაში წავიდა, მობილური შემთხვევით ჯიხურში დარჩაო. ქმრის კორპუსის სადარბაზოსთან დაამუხრუჭა, გადმოხტა მანქანიდან და სადარბაზოს კიბის ლამის სამ-სამ საფეხურს ალაჯებდა.

კარი ბასამ გაუღო და პირდაპირ მიაყარა:

— ანი, ანი... გაიოზამ დიდი დანა ჩაიდო ჯიბეში და იმათ მოსაკლავად წავიდა!

— რა? ვის მოსაკლავად? — ვერ მიუხვდა ანი.

— დედასი და აი, იმისი... — ვერ თქვა ბავშვმა.

ანის გული გადაუქანდა.

— როდის?

— დილას, — უპასუხა ბასამ.

ანიმ ეჭვი მაშინვე გადაიგდო, მიხვდა, რომ ეს გაიოზის მორიგი ფხუკიანობის ნაყოფი იქნებოდა და დამშვიდდა.

— კაი, ერთი, ვისი ან რისი მომკვლელია?! ნუციკო შინ იყო წუხელ?

— კი, დილით სამსახურში წავიდა, — უპასუხა ბასამ.

— სად სამსახურში? — შეეკითხა ანი, რადგან იცოდა, რომ ნუციკოს უამრავი სამსახური ჰქონდა, უფრო სწორად — სამსახური, როგორც ასეთი, არც ჰქონდა, თუმცა საქმე კი — ათასგან და მთელი დღე აქეთ-იქით დაქროდა...

— არ ვიცი... — უპასუხა ბასამ.

— ხომ არ დაურეკავს? — დაინტერესდა ანი.

— არა. ალბათ, მოკლა პაპამ, იმ ფულის გამო, ხომ?.. — ისევ შეშინდა ბასა.

— რა ფულის გამო? — დაინტერესდა ანი.

— პაპას წეროვანის ფული მოჰპარეს... — შესჩივლა ბასამ.

— წყალსაც წაუღია, მეც არა ვთქვი?!. — და ბასას დაუყვავა: — კაი, დამშვიდდი, რა სისულეებს ამბობ! მიდი, მიდი, გადი, გაკვეთილები მოამზადე! ამწუთასვე ვიპოვი დედაშენს... — მიატრიალა ანიმ ბასა, ზედა სამოსი გადაიძრო და ტელეფონთან მოკალათდა. ბლოკნოტი აიღო და ნერვიულად დაუწყო შლა. რაღაც ნომერი იპოვა, სასწრაფოდ აკრიბა და დაელოდა. ზარი გავიდა, მაგრამ არავინ უპასუხა. იმავე წამს სხვა ნომერი აკრიბა. უპასუხეს.

— თეკლას სთხოვეთ!

— თეკლა ვარ.

— ანი ვარ, თეკლა. ნუციკო შენთან ხომ არ არის?

— არა, ანი, რა არი? — იკითხა თეკლამ.

— არა? არც ყოფილა? გაგიჟებული ვარ: ლევან იაშვილს თავი მოუკლავს!..

— არ გამაგიჟო, ეგ რა მითხარი! რატომ? — იკითხა თეკლამ.

— ისეთ რამეს მეკითხები, ჯერ არავინ რომ არ იცის... როგორმე ნუციკო უნდა მაპოვნინო.

— რომ არ ვიცი, როგორ! — თქვა თეკლამ. — შინ არ არის, ხომ?

— არა, — ხმა გაებზარა ანის.

— გამოჩნდება, სად წავიდოდა?! — დაამშვიდა თეკლამ.

— არ ვიცი... კაი, კაი... — უპასუხა ანიმ და ტელეფონი გათიშა. სხვა ნომერი მოძებნა ბლოკნოტში და აკრიბა, მაგრამ არავინ უპასუხა. „სად დაეთრევიან, ნეტავ?!“ — გაიფიქრა და ჩანთას წამოავლო ხელი.

— არ წახვიდე რა, არსად, ანი, გეხვეწები! — ხელზე ჩამოეკონწიალა ბასა.

— რატომ, ბასა, მე რომ დედაშენი არ ვიპოვო, არ არსებობს! — გაუბრაზდა ნუციკო.

— მეშინია... — აუცრემლიანდა თვალები ბასას.

— არ გრცხვენია, ბასა?! წითელქუდას ღამით ტყე უნდა გაევლო და არ შეშინებია არაფრის და შენ აქ, ამხელა ვაჟკაცს, რისი გეშინია?!

— წითელქუდა რომელ საუკუნეში ცხოვრობდა?! მაშინ ბანდიტები დაბადებულები იყვნენ, რო-ო?! — ღამის აბღავლდა ბასა.

— იყვნენ, იყვნენ, ბანდიტები და ყაჩაღები ყველა საუკუნეში იყვნენ, არიან და იქნებიან ყოველთვის... შენ ნორმალური ხალხი თქვი, თორემ... კარგი, რა, ბასა, მე ვფიქრობდი — უკვე კაცია და აქეთ დაგვიცავს-მეთქი და შენ...

— წამოვალ, რა, მეც წამოვალ, რა, შენთან ერთად! — ყელი გამოუწია ბასამ.

— ეჰე-ე, ამხელა კაცი ხარ და კუნწულ-კუნწულა ცრემლებს ყრი?! არ გრცხვენია?! — გაუჯავრდა ანი.

— არა, არ მრცხვენია!.. შენ არ გრცხვენია, მარტოს რომ მტოვებ?! — გაჯიუტდა ბასა.

— რატომ გტოვებ მარტოს?! ტელევიზორი აქ არის, კომპიუტერი მაგიდაზე გიდგას, ამდენი წიგნი კიდევ და მაინც მარტო ხარ?

— ჰო, კაი... — თქვა ბასამ და თავის ოთახში შებრუნდა. როგორც ჩანს, ანის ტაქტიკამ გაჭრა.

— მოკლედ, მე წავედი... თუ ნუციკო დაბრუნდეს, ან თაზომ შემოიაროს, ან გაიოზმა, — დამირეკონ, კარგი? — სთხოვა ანიმ ბასას და კარი გამოიკეტა.

ანიმ სადარბაზოს კიბის საფეხურები პირჯვრის წერით ჩაირბინა. ქვედა სართულის საფეხურებზე უცხო ბიჭები ისხდნენ და აბოლებდნენ. ანი წამით შეყოვნდა. ბიჭები გაეცალნენ და გაატარეს.

— მაპატიეთ! — მოუბოდიშა ანიმ და სადარბაზოდან გამოვიდა.

მანქანამ ღუილით აიღო სტარტი. ანიმ მოატრიალა და უკანა საბურავი ბორდიურს მიარტყა, მერე სიჩქარე გამოცვალა და ასფალტზე გასრიალდა. გეზი ძველი უბნისკენ აიღო.

სანაპიროზე რამდენიმე ყავახანასა და ბარში შეიხედა, მაგრამ ნუციკო არსად იყო. ბოლოს, სოლოლაკში, ლერმონტოვისა და მახარაძის გადაკვეთასთან გააჩერა მანქანა. ძველებურ, ფერადმინებიან სადარბაზოში შევიდა, კიბე აიარა და მესამე სართულზე მაღალ ხის კარზე დააკაკუნა. მიაყურადა. ბინიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. კარის გვერდზე ზარის ორი ღილაკი იყო, ორივეზე გვარი — გადაშლილი. ანიმ პირველს დააჭირა. გაბმით, განუწყვეტლივ აძლევდა ზარს. კარი რომ არავინ გაუღო, მეორესაც დააჭირა და იგივე გაიმეორა. ამაოდ — კარი მაინც არ გაიღო.

ანი ქვედა სართულზე ჩავიდა და ერთერთი კარის ღილაკს მიაჭირა თითი. კარი გაიღო და ზღურბლზე, თავზე ცისფერჩალმიანი, დონჯშემოყრილი ქალბატონი გამოჩნდა. მან თავიდან ფეხებამდე ირონიულად აათვალიერა ანი და ძალზე გაკვირვებულმა იკითხა:

— რა გნებავთ?

ანიმ ცოტა უკან დაიხია.

— მე, იცით... დიდი ბოდიში, თქვენს თავზე რომ ცხოვრობენ, ბეიტრიშვილები, ახალი გადმოსულები არიან... შინ არ ჩანან და ხომ არ იცით?..

— ვიცი, ძალიან კარგად ვიცი!.. — არ აცალა სათქმელი ცისფერჩალმოსანმა. — რაც ეგ ქალბატონი და ვაჟბატონი ჩვენს სახლში გადმობრძანდნენ, მე პირადად, რომ იცოდეთ, დღე და ღამე არეული მაქვს. ჰო, ჰო, რა ჯურის და რა რჯულის ხალხი აღარ მოდის?.. მერე, აუცილებლად, მე უნდა მომიზაროს ყველამ. წუხელაც მთელი ღამე ბუგი-ბუგი გაჰქონდათ, თითქოს ლურსმანს აჭედებენო თავში ადამიანს... ერთი წუთით თვალი არ მომიხუჭავს, ერთი წუთით! შემომხედეთ, არა მაქვს ჩასისხლიანებული და ჩასივებული?

— ქალბატონო, მე ამდენი დრო არ მაქვს... — ანის უნდოდა, კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ვინ აცალა?!

— აჰაა, თქვენ არა გაქვთ, არა, დრო?! მე რატომ არ მეკითხებით, მე კი მაქვს იმის დრო, რომ ყველას, ვისაც მოეპრიანება, გამოვუბრძანდე და „აჩოტები“ ვაბარო, სად ბრძანდებიან ჩემი მეზობლები?! — ხელი ზემოთ აიქნია ჩალმოსანმა. — თავზე ვინც ცხოვრობენ, გვერდზე ვინც ცხოვრობენ, დაბლა ვინც ცხოვრობენ... არ ვიცი, გენაცვალე, არ ვიცი და არც მაინტერესებს, სხვათა შორის, და რომც ვიცოდე, სად ბრძანდებიან, არ გეტყვით, არა! ჯანდაბაში და მოუსავლეთში წასულან და უკან არ დაბრუნებულან არც ერთი... აი, ასე! — და კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

— თქვენ ნაღდად, სპილოს დაავადება გჭირთ! — მიაძახა ანიმ ქალს და კიბეზე დაეშვა. მანქანაში ოდნავ ამოისუნთქა, ჩანთიდან მობილური ამოიღო და ზარი გაუშვა.

მარტოდ დარჩენილ ბასას კომპიუტერში თამაში მოჰბეზრდა. კაი ხანია, შიოდა და ითმენდა. მაგრამ არავინ გამოჩნდა. გადაწყვიტა, ერბოკვერცხი შეეწვა. სამზარეულოში შევიდა, ორი კვერცხი გატეხა და ჩანგლით ჭიქაში ათქვიფა. მარილიც დააყარა. ტაფას გაზი შეუნთო, დაელოდა, რომ გაცხელებულიყო და ათქვეფილი ცილა და გული ტაფაში ჩაუშვა. სწორედ ამ დროს აწკრიალდა ტელეფონი. ბასამ ტაფა მიატოვა და გახარებული, ტელეფონს ეცა.

— ალო! — უპასუხა ბასამ.

— ბასა, შენა ხარ? — მოესმა ანის ხმა. — ნუციკო არ გამოჩენილა ან გაიოზი?

— არა, ანი, არც ნუციკო და არც პაპა, არც ერთი არ მოსულა.

— მომისმინე, — უთხრა ანიმ, — ტელეფონების ბლოკნოტი აიღე და კალანდაძე ნინო მომიძებნე.

— რა გვარი? კალანდაძე ნინო? მოიცა, აბა, ვნახო, — ბასამ ყურმილი დადო, ნუციკოს ოთახში შევიდა, ბლოკნოტი აიღო და ძებნა დაიწყო, მაგრამ კალანდაძეს ვერსად მიაგნო. — კალანდაძე, კალანდაძე, კალანდაძე... — რომ არ დავიწყებოდა, იმეორებდა. — არ არი, ანი, კ-ზე კალანდაძე არ წერია...

— მაშინ, ნიჟარაძე ნაზი მომიძებნე, — სთხოვა ანიმ.

— რა გვარი? ნიჟარაძე?

— ჰო, ნიჟარაძე ნაზი, დაიმახსოვრებ?

— ნიჟარაძე, ნიჟარაძე, ნიჟარაძე... — ახლა ამ გვარით დაბრუნდა ბასა ბლოკნოტთან, მაგრამ ვერც ნიჟარაძეს მიაგნო.

— არც ნიჟარაძე წერია, ვერ ვპოულობ, — უთხრა ტელეფონთან დაბრუნებულმა ბასამ ანის.

— შენ, შვილო, გეტყობა, დებილი ხარ! რას ვერ პოულობ, კარგად მოძებნე!

— კარგად ვეძებ, არ წერია და ვა!..

— კარგი, მაშინ, გადაშალე, აბა, მარღიანი, არსად წერია?

— ახლავე წავალ... მარგიანი...

— მარგიანი კი არა, მარღიანი! — გაისმა ანის ყვირილი ყურმილში. — რას დარბიხარ, ბიჭო, აქეთ-იქით? მართლა დებილი ხომ არ ხარ! აიღე და მოიტანე ბლოკნოტი ტელეფონთან!.. არ დამაცლევინა „კარტა“?!

— ახლავე! — როგორც იქნა, მიხვდა ბასა თავის შეცდომას. იმასაც მიხვდა, რომ თუ ბლოკნოტს ტელეფონთან მიიტანდა, გვარების ხმამაღალი გამეორება აღარ დასჭირდებოდა. და აი, ბასამ ბლოკნოტით ხელში მიირბინა ტელეფონთან: — მარღიანი? მარღიანი... მარღიანი — კი, წერია...

— ჰოდა, მიკარნახე, დროზე! — ამოისუნთქა ანიმ.

— კარგი... რვა, ცხრა... ჰო, ორმოცდაოთხი, შვიდი, ოთხი... ჰო, ისევ ოთხი ბოლოში...

— გასაგებია. ნუციკო ან პაპა თუ მოვლენ, დამირეკე, კარგი?

— კარგი... დაგირეკავ... — ბასამ ყურმილი დადო და მხოლოდ ახლა გაახსენდა ერბოკვერცხი.

მთელი სამზარეულო კვამლში დახვდა გახვეული... ერბოკვერცხი გაშავებულიყო და ტკაცატკუცი გაჰქონდა. ბასამ გაზქურა კი გამორთო, მაგრამ ტაფის სახელურს მოჰკიდა თუ არა ხელი, ისე დაეწვა, ერთი მაგრად დაიღრიალა და ხელიც გაუშვა. დამწვარ-დანახშირებული ერბოკვერცხი მეტლახზე დაეთხლიშა და ნაფშვნებად მიმოიფანტა. ბასამ ტირილი მორთო და დამწვარი თითები ონკანის წყალს შეუშ-

ვირა. ცივი წყლის ჭავლმა ტკივილი გაუყუჩა და რადგან მიხვდა, რომ მისი ღრიალი მაინც არავის ესმოდა, გაჩუმდა.

როგორც უკვე იცით, მოკლული ლევან იაშვილი და გაიოზი, ნუციკოს მამა, თანაკურსელები იყვნენ. ბოლო დროს, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს. რატომღაც, სწორედ გამწარებულ და დაბოღმილ ხასიათზე მყოფმა გაიოზმა იმ საღამოს, ლევანთან ასვლა გადაწყვიტა და მისი ალაყაფის კარს მიადგა. მიაჭირა თუ არა ზარის ღილაკს თითი, მოსახვევიდან სირენის ბღავილით გამოენთო პოლიციის მანქანა და გაიოზი ლამის კარზე მიაჭყლიტა. იქიდან ორი ნიღბიანი გადმოხტა, ერთ-ერთმა გაიოზს საფეთქელზე იარაღის ლულა მიადო და დასჭექა:

— ხელები — კედელზე, ფეხები — განზე!

გაიოზმა წვივსა და კოჭში საშინელი ტკივილი იგრძნო და აყვირდა. მათ კი, კარზე მიყრდნობილ, ფეხებგაჩაჩხულ გაიოზს სწრაფად მოუფათურეს ხელი და პიჯაკის გულის ჯიბიდან დიდი დანა ამოაცალეს. ამხელა დანის დანახვამ ორივე მოძალადე მაგრად გააკვირვა... მერე კი, ბორკილებიც დაადეს და თავზე ხელის დაჭერით, გაკვირვებული გაიოზი მანქანაში ჩატენეს.

— ამ წუთიდან თქვენ დაპატიმრებული ხართ, გაქვთ დუმილის უფლება და შეგიძლიათ დამცველი აიყვანოთ! — ჩაესმა ყურში გაიოზს და მანქანა სირენის ბღავილით მოწყდა ადგილიდან.

ანი ვაჟა-ფშაველაზე, სამორინე „ოქროს ციებ-ცხელებასთან“ გაჩერდა. მისაღებში ორი ტიპი დახვდა, მორიგეები, რა თქმა უნდა.

— მხოლოდ ერთი წუთით შევიხედავ და გამოვალ! — გაეპრანჭა ანი ბიჭებს, რომლებიც აბსოლუტური გულგრილობით შეხვდნენ მის „ულამაზესობას“. „ამათ ოდრი ჰეპბერნიც ვერ უშველით...“ — გაიფიქრა ანიმ და მაშინვე შეტევაზე გადავიდა. — სულ ერთი წუთი მჭირდება, — მაგრამ ვერც ამან გაჭრა.

— გადაიხადეთ, ქალბატონო, და თუ გნებავთ, მთელი ღამე დარჩით, — მიუგდო ორი სიტყვა მაღალმა.

— სულ ერთი წუთით მინდა შევიხედო!.. — გაცხარდა ანი.

— მოიცათ, თქვენ... ის არა ხართ... დიქტორი? — როგორც იქნა, იცნო ერთ-ერთმა.

— კი, კი... — გაუხარდა ანის.

— ვინმეს ეძებთ? — ჰკითხა იმავემ.

— მეგობარს, მეგობარს... — სწრაფად მიუგო ანიმ.

— წამობრძანდით! — გაიმეტა, როგორც იქნა, მორიგემ სასურველი სიტყვა ანისთვის და მეორეს მიმართა. — გავყვები, შეიხედოს...

ანიმ თავისი ლამაზი თვალებით სწრაფად „გადაჩხრიკა“ იქაურობა, მაგრამ ნუციკოს ვერსად მიაგნო. მერე რამდენიმე სამორინეც შემოირბინა, ზოგიერთ რესტორანშიც შეიხედა, სადაც ნუციკო ეგულებოდა, მაგრამ — უშედეგოდ. ბოლოს, როცა გადაიღალა და თავისი მანქანის საათს შეხედა, ციფერბლატი უკვე ორს უჩვენებდა. მობილურზე ნომერი აკრიბა და ზარი გაუშვა.

— თეკლა, ხომ არ გაგაღვიძე? ანი ვარ. ნუციკო ვერ ვიპოვე ვერსად, გაგიჟებას არაფერი მიკლია... არა, არა, არსად არ იყო... შინ რომ მისულიყო, ბასა დამირეკავდა... კაი, კაი, ტყუილად მამშვიდებ, სანამ ნუციკოს არ ვნახავ, რა დამამშვიდებს?!. ჰო, მაპატიე, კარგი, კარგი... — შემდეგ კი მანქანა მთელი სისწრაფით მოწყვიტა ადგილიდან, ქმრის კორპუსის წინ გააჩერა და სადარბაზოს კიბე სწრაფად აირბინა. ნუციკო ბინის წინ, კიბეზე ჩამომჯდარიყო, ხელებით მოაჯირის რკინებს ჩაბღაუჭებოდა და ეძინა...

— ნუციკო, ნუციკო! — შეანჯღრია მული ანიმ. ნუციკომ თვალები კი გაახილა, მაგრამ ანი მიხვდა, რომ ის ვერაფერს ხედავდა. „ეს ან მაგარ კაიფშია, ან გალეწილი მთვრალია“, — გაიფიქრა მან და თავი მიანება...

კარი ბასამ გაუღო, რომელიც ფხიზლადაც იყო და ტანისამოსიც ეცვა.

— შენ ჯერაც არ გძინავს? — გაუკვირდა ანის.

— არავინ არ მოსულა... — თქვა შეშინებულმა ბასამ.

— კარი არ დაკეტო! ნუციკო აქ არის... პაპაც გამოჩნდება, ნუ დარდობ, — უთხრა ანიმ და ნუციკოს მიუბრუნდა. შეეცადა, წამოეყენებინა, მაგრამ ვერ შეძლო, ბოლოს კი მოახერხა — ხელი მხარზე გადაადებინა და, როგორც იქნა, შინ შეათრია. მიიყვანა და პირდაპირ საწოლზე მიაწვინა.

— ნუციკო, გაიღვიძე, ნუციკო, ვერ იღვიძებ? — დასცქეროდა მულის ლამაზ სახეს მაღლიდან ანი.

ბასა კი, შეშინებული, გაფართოებული თვალებით უმზერდა ამ ყველაფერს. ანიმ მხოლოდ ფეხსაცმელი გახადა და საბანი დააფარა. ნუციკომ თვალები გაახილა, წამოიწია, ორივე მკლავი ანისკენ გაიშვირა და თვალები ცრემლით აევსო, რის დანახვაზეც, ანისაც ცრემლი მოერია.

— მე ყველაზე უბედური ქალი ვარ, ანი... — ჩურჩულით თქვა ნუციკომ და აქვითინდა...

— იტირე, იტირე, — მოეფერა ანი, — მოიოხე გული.

ნუციკო სლუკუნებდა და ცრემლი სდიოდა...

მეორე დღეს ანიმ იმდენი მოახერხა, რომ ნიკოს, ლევან იაშვილის მკვლელობის ჟურნალისტური ძიების ნებართვა გამოსტყუა. თუმცა ნიკო ცოტა შეშინებული იყო — ისე მაგრად არ შევტოპოთ, სამსახურები კი არა, თავებიც არ დავკარგოთო. ზუსტად თქვენზეა ნათქვამი, მშიშარა კაცი დღეში ასჯერ კვდებაო, — დასცინა ანიმ და არც ისე მშიშარა ნიკომ გაჩუმება ამჯობინა.

— ყველაფერი უნდა გადამიღო, ყველაფერი უნდა ჩავიწეროთ, თორემ, ხომ იცი, ამათთვის ტყუილსა და მართალს აბსოლუტურად ერთი ფასი აქვს... — უთხრა ანიმ ვასიკოს, სანამ პოლიციის შენობაში შეაბიჯებდნენ.

— ოქეი... კეპი კეფაზე — ვიღებ, კეპი შუბლზე — „ზნაჩიტ“, ვერ ვიღებ, გასაგებლარია? — აუხსნა ვასიკომ.

— კი, კი... — უპასუხა ანიმ და ერთ-ერთი კარის კედელზე გაკრულ აბრას დააკვირდა: — „გამომძიებელი მურად ოქროპირიძე“. ეს არის!

— მაგარი გვარი აქვს — ოქროპირიძე... — გაეცინა რატომღაც ვასიკოს.

ანიმ მიაკაკუნა და კარი ოდნავ შეაღო. კარის ჭრილში მელოტი კაცის თავი გამოჩნდა, რომელსაც შავოსანი ქალი ეჯდა ზურგით.

— გვაცალეთ, რა ქალბატონო, — აყაყანდა მელოტი, — ყველას ერთად ხომ ვერ მიგიღებთ, ხომ ხედავთ, მომჩივანი მყავს!

— ჩვენ, იცით, ტელევიზიიდან ვართ, დილას რომ გელაპარაკეთ... — გაუბედა ანიმ.

— საიდანაც არ უნდა იყოთ, პრეზიდენტის ბიძაშვილიც რომ ბრძანდებოდეთ, სანამ ამ ქალბატონს არ გავისტუმრებ, ხომ ვერ მიგიღებთ, არა?!

ანიმ კარი სწრაფად გამოიკეტა.

— პრეზიდენტის ბიძაშვილი ვიყო და მერე მე ვიცოდი!.. — ჩაილაპარაკა და კედელს მიეყუდა.

— არა, შენ რომ კიდევ, დამატებით, პრეზიდენტის ბიძაშვილიც იყო!.. მტრისას!.. — გვერდზე გაიხედა ვასიკომ.

— მართლა ასე გეშინია ჩემი? — გაეცინა ანის.

— მეშინია? მაბაბანებს!.. — სერიოზული სახე მიიღო ვასიკომ.

— ლოლასი? ლოლასი არ გეშინია? — დასერიოზულდა ანი.

— იმისი სხვანაირად მეშინია და შენი — სულ სხვანაირად... — უპასუხა ვასიკომ.

— ის თან გიყვარს, თან — გეშინია, არა? — თვალი ჩაუკრა ვასიკოს ანიმ.

— რა გამიჩმახე, ანი?! ჰო, შენი მეშინია, იმიტომ, რომ მაგარი „სკოლზკი“ ხარ და ლოლასი კი — იმიტომ, რომ მიყვარს. არა მაქვს უფლება, რომ მიყვარდეს?! — ეწყინა ვასიკოს.

— ნეტავ, რა ნახე მაგ ქალში?!. — და ანიმ საჯდომი აათამაშა, თითქოს ლოლას ჰბაძავსო სიარულში.

— რა გინდა, ვერ გავიგე, მიყვარს და მორჩა! მინდა, მაგრად მევასება...

— ჰოდა, რომ გინდა, მაგას იცი, რა ჰქვია? მაგას ჰქვია — ლტოლვა, ვნება. სიყვარული სულ სხვა რამეა... — ანიმ ჰაეროვანი ჟესტი მოხაზა ჰაერში.

— რა-ა? შენ რა იცი, რა არის სიყვარული? შენ რა, სიყვარულთმცოდნეობის ფაკულტეტი გაქვს დამთავრებული? — და ვასიკოს თავისსავე ნათქვამზე გაეცინა.

ამ დროს კარი გაიღო და კაბინეტიდან ნამტირალევი შავოსანი ქალი გამოვიდა.

— შემობრძანდით! — გაისმა შიგნიდან მურად ოქროპირიძის ხმა. — დაბრძანდით! — თავაზიანი იყო გამომძიებელი.

ვასიკომ ობიექტივი გამომძიებელს მიუშვირა და ჩართული კამერა მაგიდაზე დადო.

— ოჰო, თქვენი იარაღით ხართ მოსული?! — იხუმრა გამომძიებელმა. — მეც მაქვს ჩემი იარაღი... აი, — მურადმა უჯრიდან რევოლვერი ამოიღო და კამერის გვერდით დადო. — სხვათა შორის, თქვენი კამერა და ეს ჩემი იარაღი ბევრით კი არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან: თუ მიზანში მოარტყამ, ერთიც კლავს და მეორეც, ასე არ არის?..

— ჩვენ არავის მოკვლას არ ვაპირებთ, პირიქით... — დაიწყო ანიმ.

— მკვდრებსაც კი აცოცხლებთ თქვენი ხელოვნებით, არა?... ჰო, კამერას ბევრი რამ შეუძლია, თუკი ფანტაზია გაქვს, თორემ, ამას — რა?.. — იარაღი ხელში შეათამაშა გამომძიებელმა. — მარტო მოკვლა და დასახიჩრება შეუძლია, მეტი რა?!. კარგი, ჩავთვალოთ, რომ ეს იყო ლირიკული გადახვევა. რით შემიძლია გემსახუროთ?

— ჩვენ, იცით... ბატონმა რომანმა მითხრა, რომ ლევან იაშვილის საქმეს თქვენ იძიებთ... — ანიმ რატომღაც, პერანგის საყელო მოიღიავა და მკერდზე დაკიდებულ ვერცხლის ჯვარს დაუწყო წვალება.

— იაშვილის საქმე გაინტერესებთ? თქვენ რა, ახლობლები ხართ მისი? — წელში გასწორდა გამომძიებელი.

— აუცილებელია, რომ ახლობლებიც ვიყოთ?.. ჟურნალისტები რომ ვართ, ეს არ კმარა? — უპასუხა უკმეხად ანიმ.

— კი, ბატონო, თქვენი ნებაა. მაგრამ თავიდანვე უნდა გითხრათ, რომ ამ საქმიდან სენსაციას ვერ გამოაცხობთ... — მშვიდად თქვა მურადმა.

— იცით, რა?.. მე სენსაცია ამ კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით, ნამდვილად არ მაინტერესებს. მე მაინტერესებს სიმართლის დადგენა, — მიუგო ანიმ.

— ჩვენც. სწორედ ამიტომ, ამ ეტაპზე, თვითკვლელობის ვერსია ყველაზე მისაღებია, რადგან, თუკი ეს — მკვლელობაა, ლევან იაშვილით დაიწყო და ბოლო, ვინ იცის, ვინ იქნება...

— ასე, ყველა მკვლელობა გაუხსნელი დარჩება... — და ანიმ თავისი მოღიავებული მკერდი ლამის ცხვირთან მიუტანა მურადს.

მურადი ერთი კი „დააცხრა“ თვალებით მის ძუძუების ჭრილს, ტუჩებიც კი გაილოკა, მაგრამ მიხვდა, რომ „იყიდებოდა“ და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მეორე რეპერი ქალი — სექსუალური შავი

შავმა პრინცმა მამაკაცებს ბაბესთან მისასვლელი ყველა გზა გადაუკეტა

სულ რამდენიმე კვირაა, რაც მუსიკალურ არხებზე ახალი კლიპი გამოჩნდა, სადაც შავ პრინცთან ერთად, ქართველი ქალი რეპავს. ეს საქართველოში მეორე შემთხვევაა. პირველი რეპერი ქალი, ბიგ თიკო გახლავთ, ახლა კი ბაბე მოგვევლინა, რომელიც კოლეგისგან ფიზიკური მონაცემებითაც და პლასტიკითაც საკმაოდ განსხვავდება. ბაბესა და შავი პრინცის დუეტი საზოგადოებაში უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს. თუ რა არის ამის მიზეზი, — ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ. სარწმუნო წყაროდან ვიცი, რომ მათ ერთმანეთთან სასიყვარულო ურთიერთობაც აკავშირებთ, თუმცა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან ორივე თავს იკავებს. ვინ არის ბაბე — იგივე მარი თოფურია და რა აღმოაჩინა მასში შავმა პრინცმა (აკაკი ბაბუნაშვილმა) — ამაზე თავად რეპერები გვესაუბრებიან.

ნათია ქივიძე

— მარი, როდის და როგორ მოხვდი შოუბიზნესში?

— სპეციალობით ქორეოგრაფი ვარ. მთელი ბავშვობა ჰიპჰოპის, იმავე რეპის ცეკვა მომწონდა და ყოველთვის მქონდა სურვილი, რომ მე თვითონ გამერეპა და თან მეცეკვა. როგორც იცით, შავ პრინცს ქორეოგრაფიული სტუდია აქვს. მასთან მივედი ცეკვის შესასწავლად და მერე დუეტიც ჩავწერეთ.

— შავ პრინცთან მისვლამდე თუ რეპავდი ხოლმე?

— ისე, ჩემთვის მაქვს რამდენიმე სიმღერა ჩაწერილი. სერიოზული ნაბიჯი რეპის სფეროში შავ პრინცამდე არ გადამიდგამს. ეს კლიპი ჩემი ყველაზე სერიოზული ნაბიჯია.

— რატომ გადაწყვიტე, რომ მაინცდამაინც შავ პრინცთან მისულიყავი ცეკვის შესასწავლად?

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შავ პრინცს ვიცნობდი. სხვა არც ერთ რეპერთან არ მქონია ურთერთობა. მეორეც — ჩემი აზრით, შავი პრინცი საქართველოში პირველი რეპერია. მომწონს მისი შემოქმედება და სტილი.

— რომელ თქვენგანს გაუჩნდა იდეა, რომ დუეტი ჩაგეწერათ?

— ორივეს ერთდროულად გაგვიჩნდა დუეტის ჩაწერის სურვილი. ამ ბოლო დროს, ქართული სიმღერები და კლიპები ცეკვებით დატვირთული არ არის. მე კი მინდოდა, მეჩვენებინა, რომ მომღერალს მხოლოდ სიმღერა კი არა, მოძრაობაც შეუძლია და კლიპის გადაღების დროს, ჩემი ძირითადი მიზანიც ეს იყო.

აკაკი:

— მარისთან დუეტის ჩაწერა იმან გადამაწყვეტინა, რომ შრომისმოყვარეა. ცეკვა და მოძრაობა უყვარს. გარდა ამისა, დამჯერია. ამ შემთხვევაში, მე მისი პროდიუსერის როლს ვასრულებ. ეს როლი ადრეც მიკისრია, მაგრამ აქამდე ჩემი პროექტები, გოგონაზე არასდროს ყოფილა გათვლილი. ჩემს მოსწავლეებს შორის, მარი საუკეთესო აღმოჩნდა და გადავწყვიტე, ჩემი პროექტი მასთან განმეხორციელებინა. თავიდან ვფიქრობდი, რომ სოლო სიმღერას ჩავაწერინებდი, მაგრამ მერე მივხვდი — დასაწყისისთვის ეს ცოტა სარისკო იქნებოდა და ამიტომ დუეტი ჩავწერეთ. თუმცა, ძირითად ნაწილს მარი ასრულებს; ცეკვითაც, თითქმის სულ ის ცეკვავს. ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს ყველაფერი.

— როცა ამ პროექტზე ფიქრობდი, ალბათ, მარის გარეგნობასაც ითვალისწინებდი, არა?..

— რა თქმა უნდა. მარის ამ გამოსვლით მინდოდა მეჩვენებინა, რომ ქართველ მომღერალს მოძრაობა და ცეკვა შეუძლია.

— რატომ გადაწყვიტე, რომ მარისთვის მეტსახელად ბაბე შეგერჩია, რამეს ნიშნავს?

— არაფერს. ჩემი აზრით, „ბაბე“ კარგად გამოითქმის, ადვილად დასამახსოვრებელია და სექსუალურ ქალთან ასოცირდება. რითმაშიც კარგად ჯდება.

— რატომ არის, რომ ყველა რეპერს მეტსახელი აქვს?

— იმიტომ, რომ რეპი ქუჩასთან ასოცირდება, ქუჩა კი ადამიანს მეტსახელს არქმევს. თუ ქუჩა „პახაბნი“ რამეს არ დაგარქმევს, ე.ი. ის პატივს გცემს, თუ არა და, ე.ი. ქუჩა არ გცნობს. რადგან მარი ქუჩაში თავისუფლად დადის და დაბურული მინების მიღმა დამალვა არ სჭირდება, — ე.ი. ქუჩას მიღებული ჰყავს და თავისუფლად შეუძლია, ისეთი მეტსახელი ატაროს, რომელიც არცთუ ისე ცუდია და მალე შეიძლება, ამ სახელის მოყვარული ბევრი ადამი-

ანი აღმოჩნდეს და თვითონაც იგივე დაირქვას.

— შავი პრინცი, თუ არ ვცდები, ჯერ არავის დაუქრმევია...

— ირქმევენ, მაგრამ ვერ „ქაჩავენ“ (*იცინის*)...

— მარი, ის თუ გიქმნის პრობლემას, რომ ჩვენში ძალზე ცოტანი არიან რეპერი გოგონები?

— არა, რატომ?! ჯერ ერთი, საქართველოში არის რეპერი გოგო — ბიგ თიკო. არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს თიკოსთან და მოხარული ვარ, რომ მისი მსგავსი ადამიანები არსებობენ. ვიცი, რომ სხვა გოგონებსაც აქვთ სურვილი, გარეპონ და ალბათ, ასეც მოიქცევიან. მე კი, ჩემი რეპერობა არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის, პირიქით, ძალიან მომწონს.

— რეპერი ქალის იმიჯი რაიმეს განსაკუთრებულს მოითხოვს შენგან?

— ვფიქრობ, როცა ადამიანი მღერის, მას უკვე გარკვეული იმიჯი უნდა ჰქონდეს შექმნილი, ერთი კონკრეტული სტილი ჰქონდეს ჩამოყალიბებული. ჯერ რეპი რომ შეასრულო და მერე — სოული, ეს არასწორი იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ან აზროვნება არა აქვს ჩამოყალიბებული, ან — გემოვნება. თუ შენს კარიერას რეპიდან დაიწყებ, მაშინ მთელი ცხოვრება

რეპში უნდა დარჩე... გარდა ამისა, ჩაცმულობასაც ექცევა ყურადღება. ზოგს ჩაჩების ჩაცმა უყვარს, ზოგს — შორტის. რაც რეპს შეეფერება, ისე უნდა ჩაიცვას გოგომ, რომელიც ამ სტილში მოღვაწეობს. რაც შეეხება კლიპში ჩემს ჩაცმულობას, — ასე ქუჩაში ალბათ, ვერ გამოვალ, მაგრამ მოკლე შორტი და მაისური საკმაოდ პრაქტიკულია. ამავე დროს, ამ სტილის ჩაცმულობაში ჩემი მოძრაობა და პლასტიკა უკეთესად ჩანს. ჩემი აზრით, სავალდებულო არ არის, ადამიანმა ის ჩაიცვას, რაც მოდაშია — მთავარია, უხდებოდეს და გემოვნებით ჰქონდეს შერჩეული ფერთა შეხამება.

— სიმღერაში მარი ასეთ სიტყვებს ამბობს: „მე თუ ამირჩევ, გაიჩალიჩებ“... აკაკი, რატომ გადაწყვიტე სიმღერის ტექსტში მსგავსი სიტყვების შეტანა და რას გულისხმობ ამ სიტყვებში?

— როცა ტექსტს ვწერდი, მხოლოდ იმაზე არ მიფიქრია, რომ მუსიკას მოხდენოდა და მარის წაეკითხა. ასეთი ჩაცმულობითა და ვიზუალური მხარით მარი სცენაზე რომ გამოჩნდებოდა, ბევრ მამაკაცს გაუჩნდებოდა იმის სურვილი, რომ მის გვერდით გაევლო. სწორედ ამიტომ, მარი იმ მამაკაცებს კლიპის ყურებისთანავე აძლევს პასუხს. ეს სიტყვები გავთვალე ყველა იმ პიროვნებაზე, რომელიც მარის მონაცემებს კი არა, მის სექსუალურ მანერებს მიაქცევს ყურადღებას. გავთვალე, თუ რა სურვილი გაუჩნდებოდა მამაკაცს მისი ყურებისას.

— ეი. გარკვეულწილად, თავიც დაიზღვიე მარის თაყვანისმცემლების შემოტევისგან, ხომ?

— მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანი რას ჩაიცვამს, ისეც შეიძლება, რომ ადამიანს ადამიანი შეუყვარდეს. გამორიცხული სულაც არ არის, რომ დღეს და ხვალ მარის ვიღაცამ მოაკითხოს და სიყვარული აუხსნას. სხვა კლიპებში გოგონები ჩვეულებრივად ჩაცმულები არიან. მე თუ მკითხავ, მათი ჩაცმულობა ცოტა გამომწვევიც უნდა იყოს, რომ მათი სექსუალურობა იტაცებდეს თვალს. თუ მომღერალს ეს არ შეუძლია, მაშინ ის სერიოზული ვოკალისტი უნდა იყოს და მაგრად მღეროდეს. ჩვენს შემთხვევაში კი, მოსმენასთან ერთად, მაყურებელმა მარის უნდა უყუროს კიდეც, რადგან ის საკმაოდ პროპორციულია. კარგ მოდელებს რომ უზომავენ ხოლმე ყველაფერს, მარიც ისეთსავე ზომებშია.

— შენც გაუზომე მარის გარშემოწერილობა?

— არა, ისედაც ვიცი. როცა მოსწავლეს ვიღებ, ყველაფერს ვეკითხები ხოლმე...

— მარი, აკაკი ხშირად გაძლევს შენიშვნას?

— საკმაოდ. მკაცრი პროდიუსერია და ჩემი აზრით, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ადამიანი საქმეში მკაცრი თუ არ იქნება, ის საქმე არ გამოვა.

— ამ კლიპმა საკმაოდ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. როგორ ფიქრობთ — ეს რის შედეგად მოხდა?

აკაკი:

— ჩემი აზრით, პირველ რიგში, ეს ჩვენი შრომის შედეგია. ახლა ისეთი პერიოდია, როცა ქართულმა შოუბიზნესმა (მე ამას ასე ვერ ვუწოდებ, რადგან ჯერ არც შოუ ჩანს და არც ბიზნესი), ალბათ გარკვეული მიზეზების გამო, თითქმის მიიძინა. ყველა თავის ძველ ნამუშევრებზე გაჩერდა. ჩვენ კი რაღაც ახალი შევთავაზეთ მაყურებელს. გარდა ამისა, გამოჩნდა ქალი ქართული მეტყველებით, ნახევრად შიშველი, ეროტიკულ ფორმაში, რომელიც რეპავს. ჩემი აზრით, ეს საქართველოსთვის ცოტა უცხოა.

— არ გიჭირს მარისთან ერთად ქუჩაში სიარული?..

— არა, მარი მანამდეც ბევრ ბიჭს მოსწონდა, რადგან ის მხოლოდ ეკრანზე არ გამოიყურება კარგად და მხოლოდ კლიპიდან არ მოეწონებოდათ, რადგან ცხოვრებაშიც ლამაზია, სამზარეულოში კერძის კეთების დროსაც და ა.შ. აქამდე ის ჩვეულებრივი, რიგითი ქალი იყო, ახლა კი — არაჩვეულებრივი აღმოჩნდა. მამაკაცებისთვის

ასეთი სფეროდან ქალი ცოტა უცნაურია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე იმდენი თაყვანისმცემელი ეყოლება, რომ შეიძლება, პირადი დაცვითაც იაროს.

— კლიპის გამოსვლისთანავე, გავრცელდა ჭორი, რომ შენ და მარის, გარდა თანამშრომლობისა, ერთმანეთთან პირადი გრძნობებიც გაკავშირებთ. ამის შესახებ რას იტყვით?

— შოუბიზნესში მსგავსი ჭორები ყოველთვის ვრცელდება. თან, თუ კაცი ქალთან დუეტს ჩაწერს, მით უმეტეს. მე კიდევ ერთი დუეტი მაქვს — ბათუმელ გოგონასთან და მასზეც გამიგონია ჭორი. არ ვფიქრობ, რომ თუ ადამიანთან ერთად იმღერებ, ის აუცილებლად უნდა გიყვარდეს. ეს ჩვეულებრივი საქმიანი ურთიერთობაა. ახლა მარის სოლო სიმღერის მზადებაში ვარ, ვმუშაობ და...

— ...პირადი გრძნობებისთვის არ გცალია, ხომ?

— მარიმ გიპასუხოს ამ შეკითხვაზე.

მარი:

— ჩემი აზრით, ეს ძალიან პირადული კითხვაა და ამაზე ლაპარაკი არ მსურს.

აკაკი:

— ჩემი გული სრულიად თავისუფალია. თუ ასე არ არის, ვერაფერს შევქმნი. ჩემთვის შეყვარებულობანა უკვე ცოტა მოძველებული თემაა. თუ ვინმე შეგეკითხება, შავ პრინცს თავისუფალი აქვს თუ არა გულიო? — უთხარი, რომ თავისუფალი მაქვს, მაგრამ ჩემთან სასიყვარულო ურთიერთობების შანსი მაინც არავის აქვს.

— აკაკი, შენ შვილიც გყავს, ხომ?

— მართალია. 12 წლის გოგონა მყავს. მარი ასწავლის ცეკვას და ის გიამბობს მის შესახებ.

მარი:

— როცა შავ პრინცის ცეკვის სტუდია დავამთავრე, მერე მეც მასწავლებლობა დავიწყე და ბავშვებს პლასტიკაში ვამეცადინებ. აკაკის შვილს მართლა არაჩვეულებრივი მონაცემები აქვს. სხვათა შორის, ძალიან ჰგავს მამას...

იოდი — აუცილებელი ელემენტი ორგანიზმისთვის

იოდის საჭირო დღიური ნორმის მიღება მხოლოდ კვებით, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამიტომ იქმნება იოდიზებული პროდუქტები. რა სარგებლობა მოაქვს ასეთ პროდუქტს და როგორ უნდა მივიღოთ იგი?

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი



რაში გვჭირდება იოდი?

იოდის ნაკლებობა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევას (მის ჰიპერ ან ჰიპოაქტიურობას) იწვევს. როცა ჯირკვალი მეტისმეტად დიდი რაოდენობით გამოყოფს თირეოიდულ ჰორმონებს, ვითარდება მძიმე ენდოკრინული დარღვევები და მთელ ორგანიზმს ადგება ზიანი. ჰორმონთა ნაკლებობის დროს კი, ყველა სასიცოცხლო პროცესი შენელებულია: ადამიანი სუქდება, ვერაფრით იკლებს წონაში, გამუდმებით მოდუნებული და აპათიურია. გარდა ამისა, იოდის დეფიციტი შეიძლება გახდეს ქალური ჰორმონების ბალანსის დარღვევის, იმუნიტეტთან და ინტელექტთან დაკავშირებული პრობლემების (განსაკუთრებით ბავშვებში) მიზეზი.

იოდი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან რომ მჭიდრო კავშირშია, უკვე ყველამ კარგად იცის. და მაინც, სტატისტიკის მიხედვით, ადამიანთა უმრავლესობა დღის განმავლობაში იოდის აუცილებელი (50-60 მკგ) დოზის ნახევარსაც კი არ იღებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ იოდით ღარიბია პროდუქტები და წყალი (განსაკუთრებით, საქართველოს მთიან რეგიონებში).

მიწისა და ზღვის მარილი

თევზის, ზღვის პროდუქტებისა და ზღვის კომბოსტოს მიღება იოდის დეფიციტთან ბრძოლის ყველაზე ბუნებრივი გზაა. კიდევ უფრო მარტივი კი, იოდიანი მარილის შეძენაა. 6 გრამი საკმარისია იოდის დღიური ნორმის შესავსებად. მაგრამ აქ ორი წინააღმდეგობა გვხვდება:

ჯერ ერთი, მარილის ყიდვისას არც ერთი ჩვენგანი არ აქცევს ყურადღებას მისი ვარგისიანობის ვადას, რადგან ბევრს ჰგონია, რომ იგი არ ფუჭდება — მაგრამ ეს მცდარი შეხედულებაა. ჩვეულებრივ მარილსაც კი აქვს შენახვის ვადა, თუმცა — საკმაოდ ხანგრძლივი. იოდიზებული მარილი ვარგისია დამზადების დღიდან 6 თვის მანძილზე, თუ მასში ნატრიუმის იოდიდია გამოყენებული და — 9 თვის მანძილზე, თუ გამოყენებულია ნატრიუმის იოდატი. ამ ვადის გასვლის შემდეგ, პროდუქტი ჩვეულებრივ მარილად იქცევა.

მეორეც: იოდი და მისი მარილები ცუდად იტანს სითბურ დამუშავებას: გაცხელებისას აქტიური ნივთიერება აქროლდება. ეს იმას ნიშნავს, რომ იოდიზებული მარილის ჩაყრით წვნიანში, ფაფასა თუ კატლეტში, ეს რაოდენობა სათვალავში აღარ უნდა მიიღოთ: სარგებლობა მოაქვს მხოლოდ იმ მარილს, რომელსაც ცივ კერძებს მოაყრით.

იოდიანი პროდუქტები

ბოლო დროს დიეტოლოგები მარილს მაინცდამაინც არ სწყალობენ და რაციონში მისი რაოდენობის შეზღუდვას ითხოვენ. თანდათან უფრო პოპულარული ხდება სხვა ოდიზებული პროდუქტები — პური, რძე, ხაჭო, არაჟანი, კეფირი. მათში გამოყენებულია არა იოდის მარილი, არამედ იოდიზებული რძის ცილა — იოდოკაზეინი. ის უკეთ უძლებს მაღალ ტემპერატურას და ამიტომ იოდიზებული რძის ადუღება სასარგებლო თვისებების დანაკარგის გარეშეა შესაძლებელი. მალე შეიქმნება აგრეთვე იოდიზებული შაქარი. მწარმოებლები ირწმუნებიან, რომ იგი ჩვეულებრივი შაქრისგან არ იქნება განსხვავებული ფერით, გემოთი, სუნით, წყალშიც ისევე სწრაფად და უნალექოდ გაიხსნება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არსებობს ერთი წინააღმდეგობა: იოდის დღიური ნორმის შესავსებად 7 ჩ/კ შაქარი იქნება საჭირო — ეს კი ძალიან ბევრია მათთვის, ვინც კალორიებს ითვლის.

სპეციალისტები კომპლექსურ მიდგომას გვირჩევენ: იოდის ნორმა სხვადასხვა პროდუქტის მიღებით შეივსეთ: დილით — იოდიანი ჩაი იოდიანი შაქრით, სადილად — თევზი იოდიზებული მარილით, საღამოს — ზღვის კომბოსტოს სალათა და სპეციალური კეფირი. შეიტანეთ რაციონში იოდიანი პროდუქტები და ამით ბევრ მოსალოდნელ პრობლემას აიცილებთ თავიდან. ■

მაგნიტური შეტევა შაკიკზე

ოჰაიოს (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს პორტატული ხელსაწყო, რომელიც შაკიკის შეტევისგან გვიხსნის. ხელსაწყო მაგნიტური ველის გენერირებას ახდენს. ამ ველის ზემოქმედება უნდა მოხდეს ე.წ. „აურის“ დროს ანუ თავის ტკივილის პირველსავე ნიშნების გაჩენისას. გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მაგნიტოთერაპიის სეანსის შემდეგ, შაკიკის შეტევის განვითარება შემთხვევათა 70%-ში შეწყდა. ■

„მსუბუქი“ უსაფრთხო როდია

მსუბუქი სიგარეტის მოყვარულები მოწევას 2-ჯერ უფრო იშვიათად ანებებენ თავს — იტყობინებიან პიტსბურგის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერები. თანაც, „მსუბუქის“ მოტრფიალენი დღის განმავლობაში უფრო მეტ სიგარეტს ეწევიან. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ მწეველები შეცდომაში შეჰყავს კოლოფზე არსებულ წარწერას — Lights. სინამდვილეში, მსუბუქი სიგარეტი ჩვეულებრივზე არანაკლებ საზიანოა: მასში შეიძლება მომატებული იყოს სპეციფიკური კანცეროგენული ნივთიერებების დონე. ასე რომ, ფილტვების კიბოს განვითარების რისკს ეს სიგარეტი სულაც არ ამცირებს. ■

7 ოპტიმისტური სიახლე

- კანადელმა მეცნიერებმა ინსულინი მცენარეული ნედლეულიდან მიიღეს.
- შეიქმნა შოკოლადი, რომელიც არ დნება ცხელ ამინდში.
- გლაზგოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა თვალის ბადურას ელექტრონული იმპლანტანტი შექმნეს.
- ოსტეოპოროზისგან სოია დაგვიცავს.
- ყავა ქალებში სექსუალური აქტიურობის ზრდას უწყობს ხელს.
- ინგლისელმა მეცნიერებმა შეძლეს ნერვების მიკერება, სპეციალური ულტრაწვრილი ძაფით.
- კალციუმით მდიდარი საკვები ქალებში ნორმალური წონის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ■

ნიორი თმის ცვენას შეგიჩერებთ

ქალებს თმის ცვენის არასასიამოვნო პროცესი ასაკის მატებასთან ერთად ეწყებათ, ასევე მძიმე დაავადებებისა და ფეხმძიმობის შემდეგ, რაც მათი ნერვიულობისა და სტრესის შედეგი ხდება. როგორ ავიცილოთ თავიდან ეს უსიამოვნო პროცესი?

♦ ყოველ საღამოს თმა დაიბანეთ (უსაპნოდ) შემდეგი ნაყენით: 100 გ ჭინჭრის ფოთოლს დაასხით 0,5 ლ ცხელი წყალი, დაუმატეთ 0,5 ლ ძმარი და დაბალ ცეცხლზე ხარშეთ 30 წუთის განმავლობაში.

♦ კარგია, თუ თავს შემდეგი ნაყენით დაიბანთ: ოროვანდის დაქუცმაცებულ ფესვს (50 გ) დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი და თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ 1 საათის განმავლობაში.

♦ თმის ცვენის შესაჩერებლად კარგი ეფექტი აქვს ოროვანდის ფესვის ზეთოვანი ექსტრაქტის (იყიდება აფთიაქებში) ყოველდღიურად კანში შეზელას. ამასთანავე კარგია, თუ დალევთ ჭინჭრის ფოთლების ნაყენს (0,5 ჭ დღეში ოთხჯერ): 1 ს/კ ჭინჭრის ფოთოლს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი; 15 წუთით დადგით ცეცხლზე და გაცივების შემდეგ გაფილტრეთ.

♦ თმისთვის კარგია ნივრის სამკურნალო ნიღაბი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: დაჭყლიტეთ ნიორი ისე, რომ მიიღოთ ფაფისებური მასა და თმაზე თავის დაბანამდე 2 საათით ადრე წაისვით (ეს პროცედურა კვირაში ერთხელ ჩაიტარეთ) ან აიღეთ 2 საშუალო ზომის ხახვი, 1 თავი ნიორი, დააქუცმაცეთ და დაუმატეთ 2 ჩ/კ ლიმონის წვენი. იმისთვის, რომ ნიღბის არასასიამოვნო სუნი გაქრეს, მასში სუნამოს რამდენიმე წვეთი ჩაამატეთ. ნარევი დაიდეთ თმაზე და 1-2 საათის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით, მერე კი თავზე 1-2 ლ წყალში გაზავებული 1 ცალი ლიმონის წვენი გადაივლეთ. ■

საშემოდგომო დიეტა



მათ ვისაც დიეტა სჭირდება, ვურჩევთ არ იშიმშილონ, რადგან ასე შეიძლება საკუთარ ორგანიზმს ზიანი მიაყენონ. ამ დიეტის დაცვას კი იმ ადამიანებს ვურჩევთ, რომლებსაც უნდათ ნელ-ნელა (1 კვირის განმავლობაში, თქვენ შეძლებთ 2 კგ-ით დაკლებას), მაგრამ ყოველგვარი გართულებების გარეშე დაიკლონ წონაში.

მიირთვით რაც შეიძლება ბევრი ბოსტნეული, ხილი, მაგრამ უარი თქვით ბანანზე და ძალიან ტკბილ ხილზე. სვით მინერალური წყალი ან მწვანე ჩაი. როცა რძის პროდუქტს ყიდულობთ, ყურადღება მიაქციეთ მის ცხიმიანობას (ის უნდა შეიცავდეს არანაკლებ 1% და არა უმეტეს 3% ცხიმს).

საუზმე: 125 გ ხაჭო, 2-3 ს/კ თაფლი, უშაქრო ჩაი ან ყავა.

ლანჩი: 1 ან 2 ცალი ვაშლი და მწვანე ფერის ბოსტნეული (ბულგარული წიწაკა, კიტრი და ა.შ.).

სადილი: 1 ჭ უცხიმო წვნიანი (ბოსტნეულის, ბურახის შეჭამანდი, იგივე „ოკროშკა“), 1 ნაჭერი უცხიმო ხბოს ხორცი ან ქათმის ფილე, 3 ს/კ მწვანე ბარდის მოხარშული მარცვალი და ხილი (რამდენიც გნებავთ).

შუადღის შემდეგ: ხილი და 200 გ ხაჭო.

ვახშამი: ბოსტნეული და 1 ცალი დიეტური იოგურტი.

დაიმახსოვრეთ: ნებისმიერი ჭამის შემდეგ, აუცილებლად უნდა დალიოთ 200 გ მინერალური, გაზგასული წყალი. ■

როგორ მოვუაროთ გაუხეშებულ ხელის კანს?

♦ თუ ხელზე კანი გექერცლებათ, შეგიძლიათ მარტივი პროცედურა ჩაიტაროთ: აიღეთ ბამბის ხელთათმანი, რომელიც ზეითუნის ან მზესუმზირის ზეთით უნდა დასველოთ. ხელთათმანში ჯერ ერთი ხელი ჩაყავით (5 წუთის განმავლობაში გეკეთოთ), შემდეგ მეორე.

♦ აქერცლილი კანის სამკურნალოდ მეორე რეცეპტსაც შემოგთავაზებთ: მოხარშეთ შვრიის ფაფა (1 ს/კ შვრია 1 ლ წყალი), დაუმატეთ ცოტა ზეთი და ამ ნაზავში ხელი 15 წუთის განმავლობაში გააჩერეთ.

♦ აი, კანის დასარბილებლად და მის ტონუსში მოსაყვანად კი საჭიროა: 1 ს/კ შვრიას დავუმატოთ 1 ს/კ თაფლი, ამდენივე ზეითუნის ზეთი და 1 კვერცხის გული. ეს ნაზავი ხელზე წაისვით და ნახევარი საათის განმავლობაში გაიჩერეთ, შემდეგ კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

♦ გაუხეშებულ ხელის კანს სირბილეს დაუბრუნებს შემდეგი ნარევი: 2 ცალი კარტოფილი კანიანად მოხარშეთ, შემდეგ გაასუფთავეთ და ფაფისებურ მასად აქციეთ. მიღებულ მასას 2 ჩ/კ ლიმონის წვენი დაუმატეთ. თბილი მასა ხელზე სქელ ფენად დაიდეთ, ზევიდან მარლა დაიფარეთ და 20 წუთით გაიჩერეთ.

♦ ხელის კანის მკვებავი აბაზანა: მაშინაც კი, თუ ხელების კანის მდგომარეობა საგანგაშო არ არის, კარგი იქნება, თუ კვირაში ერთხელ მაინც 5-წუთიან მკვებავ აბაზანას გაიკეთებთ: 1 ს/კ სამკურნალო ბალახს (გამოდგება სალბი, ორვანდი, მრავალძარღვა, ჭინჭარი, ცაცხვის ყვავილი) დაასხით 1 ლ ადუღებული წყალი.

♦ თუ ხელის კანი დახეთქილი გაქვთ: 1 ს/კ სახამებელი გახსენით 1 ლ წყალში და 15 წუთის განმავლობაში ხელები შიგ ჩაყავით. შემდეგ ხელზე გადაივლეთ თბილი წყალი და წაისვით F და E ვიტამინის შემცველი კრემი.

♦ კარგია თუ გაიკეთებთ შემდეგ მასაჟს: კანგაცლილი ვაშლის ნაჭერი ხელზე 2-3 წუთის განმავლობაში წაისვით (ეს კანის ტონუსის ზრდას შეუწყობს ხელს).

♦ თუ ხელის კანის გათეთრება გსურთ: აიღეთ ხაჭო და არაჟანი, შეურიეთ ერთმანეთში და წაისვით ხელზე. გაიჩერეთ 15 წუთის განმავლობაში და შემდეგ, ხელი თბილი წყლით დაიბანეთ. ■

ცოტა ხნის წინ, თბილისის ერთ-ერთ ცნობილ კლუბში დიზაინერის, სოფო ფოთიაშვილის საშემოდგომო კოლექციის ჩვენება გაიმართა. მის მიერ შექმნილმა გამოსასვლელმა კაბებმა ცნობილი ადამიანებიც დააინტერესა. მან ჩვენებაზე სულ 25 კაბა გაიტანა, რომლის უმეტესი ნაწილი უმალვე გაიყიდა. დიზაინერს საშემოდგომო მოდის ტენდენციებზე სასაუბროდ ვეწვიეთ.

მასიური აქსესუარები და კაპიუშონიანი ტანსაცმელი

„თუ „მოდნიცა" ხარ, მაშინ ცალი საყურე უნდა გაიკეთო"

— ჩემ მიერ შექმნილი კოსტიუმები იმდენად მიყვარს, რომ მათ ისევე ვუფრთხილდები, როგორც დედა შვილებს. ძალიან განვიცდი, როცა რომელიმე მათგანი უნდა გავყიდო, მაგრამ ასე თუ არ მოვიქცევი, ახალ სამოსს ვეღარ შევკერავ...

— შენს კოლექციაში საგრძნობლად ჭარბობს შავი და წითელი ფერი. რატომ?

— ალბათ იმიტომ, რომ ეს ფერები ძალიან მიყვარს, თან ისინი მოდიდან თითქმის არასდროს გადის. ისე, ამ სეზონზე, ბრჭყვიალა, ჭრელი ან ორნამენტებიანი სამოსია მოდაში. გამოსასვლელი კაბები გაწყობილი უნდა იყოს შავი ფერის ტიულით, მაქმანებით, ბადისებური ქსოვილის მკლავებით და ა.შ. აქტუალურია ასევე მოსასხამები, რომლებიც შეკერილია იმავე ქსოვილისგან, რომლითაც კაბა — ეს სამოსს უფრო ლამაზსა და კომფორტულს ხდის.

— მაგრამ ამბობენ, რომ მუქი ფერის სამოსი ადამიანის ხასიათზე ცუდად აისახება...

— შავი ფერის ტანსაცმელი არასდროს მაყენებს ცუდ ხასიათზე, პირიქით, მახალისებს ხოლმე. ალბათ ეს იმის დამსახურებაა, რომ მუქი ფერის ქსოვილის გახალისებას სხვადასხვა აქსესუარით ვცდილობ.

— შენს კოლექციაში თითქმის ყველა კაბას კაპიუშონი აქვს...

— იმიტომ, რომ წელს ის საკმაოდ აქტუალურია; თან, საკმაოდ ეფექტურიც გახლავთ. საღამოს კაბებზეც კი მაქვს მიმაგრებული ისეთი ქუდები, რომლებიც შეგიძლიათ მხრებზე შარფივით, ან წელზე ქამარივით შემოიხვიოთ.

— როგორც ვიცი, აქსესუარებსაც ამზადებ, არა?

— აქსესუარებს ძირითადად ხელით ვამზადებ — ქსოვილისა და ბისერებისგან. ასევე, ვიყენებ ტყავს, ნატს და ა.შ.

— როგორი აქსესუარებია წელს მოდაში?

— მოდაშია დიდი საყურეები (თუ ნამდვილი „მოდნიცა" ხარ, მაშინ ცალი საყურე უნდა გაიკეთო), მასიური სამაჯურები, ყელსაბამები, რომლებსაც მრგვალი ან რომბისებური ფორმა აქვთ. თუმცა, ესეც კოსტიუმზეა დამოკიდებული. მოდაშია ბისერით, სხვადასხვა ფერის ბადისებური ქსოვილით გაწყობილი ქამრები (თექმოზე). ეს აქსესუარები რაც უფრო ჭრელი იქნება, მით უკეთესია.

— როგორი ჩანთებია აქტუალური?

— მოდაშია ფერადი ტილოს ჩანთები, რომლებიც თვლებითა და ბისერითაა გაფორმებული, მაგრამ ვინაიდან წლევანდელი შემოდგომა წვიმიანი იქნება (როგორც ამას ვარაუდობენ), აქტუალობას არც ტყავის ხელჩანთა კარგავს. მას უნდა ამკობდეს აბსტაქტული აპლიკაციები. მაგალითად, ჩემ მიერ შეკერილ ტყავის ჩანთებზე ფიგურირებს ფოთოლი, კაცუნები და ა.შ. ღვთის წყალობით, უსაზღვრო ფანტაზიის უნარი მაქვს, რაც მეხმარება იმაში, რომ ჩემი ნამუშევარი ყოველთვის ვიღაცისთვის მოსაწონი და მისაღები იყოს.

— ჩვენებაზე გამოტანილ კაბებს ფეხსაცმელიც შენ შეურჩიე?

— რა თქმა უნდა, მოდელებს ვურჩიე, რა უნდა ჩაეცვათ, თუმცა ამ კაბებს ყველანაირი ფეხსაცმელი (დაწყებული დაბალქუსლიანი ფეხსაცმლით და მაღალქუსლიანი ჩექმით დამთავრებული) მოუხდება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაც უფრო მაღალი ქუსლი აქვს ფეხსაცმელს, მით უფრო ლამაზი და ეფექტური ჩანს სამოსი.

— რას ურჩევდი მოდის მიმდევარ ქალებს?

— მათ ვურჩევ, რომ მოდას ბრმად არ მისდიონ. ადამიანმა უნდა იცოდეს, რა მოუხდება და რა — არა, მაგრამ თუ ამას თავად ვერ ხვდება, მაშინ რჩევა აუცილებლად დიზაინერს უნდა ჰკითხოს, თორემ, ცოტა არ იყოს, სულელურ სიტუაციაში აღმოჩნდებიან ხოლმე ის ასაკოვანი ქალბატონები, რომლებიც მათთვის შეუფერებლად იცვამენ. ასევე, გირჩევთ, შეიძინოთ ნაქსოვი ქუდები, ჟაკეტები, აქსესუარები და ა.შ, რომელიც რამდენიმე კვირაში აქტუალური გახდება და აქედან გამომდინარე, მისი ფასიც მოიმატებს. ■

პიცა — ლორით:

ცომის მოსამზადებლად საჭიროა: 1 ჭ (არასავსე) პურის ფქვილი, 100 გ მარგარინი, 100-150 გ არაჟანი, 1/3 ჩ/კ მარილი და სოდა ძმრით.

შიგთავსის მოსამზადებლად საჭიროა: 100 გ ყველი, 50 გ ძეხვი და ამდენივე ლორი, 3 ცალი პამიდორი, 1 მოზრდილი თავი ხახვი, 2 ს/კ გამლღვარი კარაქი, შავი პილპილი და მარილი გემოვნებით.

ავიღოთ ფქვილი, დავამატოთ გამდნარი მარგარინი, არაჟანი, სოდა ძმრით, მარილი და მოვზილოთ ცომი. შემდეგ იგი მოვათავსოთ ცხიმწასმულ ტაფაზე, გავაბრტყელოთ ხელით და ზედ დავაწყოთ თხლად დაჭრილი პამიდორი, მოვაყაროთ გახეხილი ყველი, წვრილ კუბურებად დაჭრილი ძეხვი და ლორი, მრგვლად დაჭრილი ხახვი, მოვაფრქვიოთ მარილი და შავი პილპილი. შემდეგ ტაფა შევდგათ ჰაერღუმელში და დაბალ ცეცხლზე ვაცხოთ (20 წუთის განმავლობაში) მანამ, სანამ არ შეწითლდება. უკვე გამომცხვარი პიცა შეიძლება გავაფორმოთ ოხრახუშის ფოთლებით, დავჭრათ და მივიტანოთ სუფრასთან.

რჩევა: *პიცა უფრო გემრიელი იქნება, თუ მას მაიონეზში შეზავებულ ყველს გადაუსვამთ.* ■

სასურველია, ყველა ქალის ცხოვრებაში დადგეს დღე, როცა იგი ძვირფასეულობის ყიდვას გადაწყვეტს. თუ ამისთვის „მოიცალეთ“ (ფინანსურად), გირჩევთ, აუცილებლად გაითვალისწინოთ ჩვენი რჩევები.

ბრილიანტის უიდეა ყველი არ არის

ძვირად ღირებული ნივთების შეძენას ცოდნა და გამოცდილება სჭირდება

◆ *საქმე მხოლოდ პროფესიონალ ოქრომჭედლებთან უნდა დაიჭიროთ ან საოქრომჭედლო სალონს მიაკითხოთ.*

◆ *შეიძინეთ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ნაკეთობანი, თუ ამის საშუალებას თქვენი ბიუჯეტი გაძლევთ.*

◆ *შეადარეთ ერთმანეთს სხვადასხვა ნაკეთობა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ერთი შეხედვით მსგავსი ბეჭდები, შეიძლება ძალიან განსხვავებულად იყოს შეფასებული. კონსულტანტმა უნდა აგიხსნათ ფასების სხვაობის მიზეზი: შესაძლოა, ერთი ნაკეთობის თვალი მეორისაზე გაცილებით უკეთესი ხარისხის იყოს.*

◆ *დარწმუნდით, რომ ოქრო, რომელსაც ყიდულობთ, სწორედ იმ სინჯისაა, რომელსაც ელოდით. უმაღლესი (96-იანი) სინჯის ოქრო 24-კარატიანია. არსებობს 18 და 14-კარატიანი ოქროც (შესაბამისად, 750-იანი და 585-იანი სინჯების). მარტო ოქრომჭედელს შეუძლია ოქროს სინჯის ზუსტად დადგენა. ზოგიერთ ნაკეთობაზე ოქროს სინჯის აღმნიშვნელი დამღაა ამოტვიფრული.*

◆ *დაადგინეთ გამყიდველთან, შესაძლებელია თუ არა ნაწარმის უკან დაბრუნება ფარული სინჯის აღმოჩენის შემთხვევაში. თუ პასუხი უარყოფითი იქნება, უმჯობესია, სამკაული არ შეიძინოთ. ჩვეულებრივ, მყარი რეპუტაციის მქონე სალონი მზადაა, დაუბრუნოს მყიდველს თანხა, გამოუცვალოს ან შეუკეთოს შენაძენი, თუ ამის საჭიროება იქნება. ამიტომ მიზანშწონილია, მოიაროთ რამდენიმე მაღაზია-სალონი და მხოლოდ ამის შემდეგ აირჩიოთ ნივთი.*

◆ *უმჯობესია, დაზღვიოთ ძვირად ღირებული ნივთები. დაზღვევა პრობლემას არ წარმოადგენს, თან მშვიდადაც იქნებით. თუ ბრილიანტის ყიდვა გადაწყვიტეთ, იცოდეთ, რომ მის ფასს ოთხი მახასიათებელი განსაზღვრავს: დაწახაგების ხარისხი, ფერი, სიწმინდე და წონა (კარატებში).*

რა არის დაწახნაგება?

ბევრს იგი თვლის ფორმაში ერევა. ფორმა ოქრომჭედლის ოსტატობასა და ფანტაზიაზეა დამოკიდებული. მხოლოდ მის ხელებში იქცევა ალმასი საოცრებად და მაქსიმალურად აირეკლავს შუქს. მრგვალ (ან ნებისმიერი სხვა ფორმის) თვალს გულმოდგინედ დამუშავებული 58 ბრტყელი ზედაპირი აქვს, რომელსაც ფასეტი ეწოდება. სწორედ მათი დამუშავების ხარისხი (დაწახნაგება) განსაზღვრავს თვლის სიშკაშკაშესა და სილამაზეს.

თვლის ფერი

ყველაზე ძვირფასი ბრილიანტები უფერია, მაგრამ მათში ცისარტყელას ყველა ფერი ირეკლება. თუმცა თვლების უმეტესი ნაწილი უფერია, ზოგ მათგანს ბაცი ყვითლიდან ყავისფრამდე ელფერი დაჰკრავს. იშვიათი ფერის ბრილიანტები — წითელი, ცისფერი, მწვანე, ვარდისფერი და ქარვისფერი — „კაპრიზის“ სახელითაა ცნობილი.

სიწმინდე

თუ თვალს ზედაპირზე არანაირი ხალი ან სხვა ნიშანი არა აქვს, იგი სრულყოფილად ანუ კრისტალურად წმინდად მიიჩნევა, რაც იმას ნიშნავს, რომ არაფერი დააბრკოლებს მასში სხივების გარდატეხას. მაგრამ ასეთი ბრილიანტი იშვიათობაა და ძალიან ძვირადაც ფასობს.

თვლის სიწმინდის ზუსტი განსაზღვრა ოქრომჭედელს მხოლოდ ათმაგი გადიდების შემთხვევაში ძალუძს. ყოველ უწვრილმანეს წერტილს შეუძლია უნიკალურად აქციოს თვალი. მეორე მხრივ, რაც უფრო ნაკლებია მინარევები, მით უფრო ძვირფასია თვალი.

წონა კარატებში

ერთი კარატი 200 მილიგრამს უდრის და 100 ერთეულზე იყოფა. ამრიგად, 25-ერთეულიანი თვალი მეოთხედ კარატად ფასდება. ღირებულების განსაზღვრისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი თვლის ზომაა, მაგრამ ყველაფერი მაინც ხარისხზეა დამოკიდებული. გახსოვდეთ, რომ საუკეთესო ხარისხის ბრილიანტი ნებისმიერი ზომის შეიძლება იყოს.

ოქრომჭედლის რჩევები

როცა ბრილიანტისთვლიანი ნაკეთობის შეძენას საბოლოოდ გადაწყვეტთ, რჩევა გამოცდილ ოქრომჭედელს სთხოვეთ. ის დაწვრილებით აგიხსნით ბრილიანტის ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრის მნიშვნელობას, გიჩვენებთ ფორმითა და ფერით განსხვავებულ, მსგავს ნაკეთობებს. და რაც ყველაზე მთავარია, დაგეხმარებათ თქვენთვის ხელმისაწვდომი საუკეთესო ეგზემპლარის შერჩევაში.

სასურველია, ოქრომჭედლის ნახელავის შენახვის წესების ცოდნა. ძვირფასი ნივთები ცალ-ცალკე უნდა მოათავსოთ პატარა კოლოფებში ან ამისათვის განკუთვნილი ზარდახშის ბუდეებში. ერთად მოთავსებულმა ძვირფასმა თვლებმა შეიძლება ერთმანეთი დააზიანოს. მაგალითად, ბრილიანტისგან შეიძლება ნაკაწრები გაუჩნდეს ლალს, საფირონს ან ზურმუხტს. ზოგჯერ ეს თვლებიც აზიანებს სხვებს. ამიტომ ისინი ისე უნდა შევინახოთ, რომ ერთმანეთს არ შეეხონ.

ზურმუხტს, სირბილის გამო, განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება: ვიდრე კოლოფში მოათავსებთ, უნდა გაწმინდოთ და გააშროთ. დროდადრო უნდა გაინმინდოს ის ბეჭდებიც, რომლებიც ხშირად გიკეთიათ, რათა მოშორდეს კოსმეტიკის, საპნის და კანის ცხიმის ნარჩენები. ბრილიანტმა გა[illegible]ვა იცის, რადგან ჭუჭყიან წყალში მაგნიტ[illegible]ით იზიდავს ქონს. ამიტომ საქმის დაწყებამდე ბეჭდები მოიხსენით.

უნდა იცოდეთ, რომ სამკაულიანი ხელით თმის ლაქის ან სხვა კოსმეტური საშუალებების ხმარება სახიფათოა: ქიმიურმა ნივთიერებებმა შეიძლება ცუდად იმოქმედოს ძვირფას თვლებზე, განსაკუთრებით მარგალიტზე. მარგალიტი უნდა გაწმინდოთ რბილი ფლანელით ან ნატით, თანაც ყოველი ხმარების შემდეგ. საერთოდ, საოქრომჭედლო ნივთების რეგულარულად წმენდა მათი სილამაზისა და ბზინვარების ერთ-ერთი პირობაა. ამისთვის უნდა გამოიყენოთ საპნის რბილი/ სახეობანი, ვინაიდან ქიმიურ საშუალებებს შეუძლია ცუდი ზემოქმედება მოახდინოს ძვირფასი თვლების ხარისხზე. ზოგიერთი თვლის გასარეცხად კი საერთოდ მიუღებელია საპონი და წყალი. ასეთებია: ქარვა, ზურმუხტი, ნეფრიტი, ლაზურიტი, მთვარის ქვა, ოპალი, მარგალიტი და ფირუზი. ამიტომ თქვენი ხელით მომზადებული ხსნარის გამოყენება სცადეთ: ერთმანეთს შეურიეთ რბილი სარეცხი საშუალების ერთი ულუფა, ამიაკის ერთი ულუფა და წყლის სამი ულუფა. ასეთი ხსნარი ბევრნაირი თვლის გასარეცხად გამოდგება, განსაკუთრებით კი მოუხდება ალექსანდრიტს, ამეთვისტოს, ანდალუზიტს, აკვამარინს, ციტრონს, ბრილიანტს, ძოწს, საფირონს, ტოპაზს, ტურმალინს, ცირკონს და ლალს.

დაბოლოს, კარგი იქნება, თუ თქვენს ძვირფასეულობას სპეციალისტ-ოქრომჭედელს აჩვენებთ, რათა მან ყურადღებით შეისწავლოს და განსაზღვროს, ხომ არ სჭირდება რომელიმე მათგანს შეკეთება ან საფუძვლიანი გაწმენდა, წესრიგშია თუ არა საკეტები და თვლების ბუდეები. საჭიროების შემთხვევაში, ოსტატი შეაკეთებს ნივთებს, გაამაგრებს თვლებს ჩარჩოებში და ა.შ.

გისურვებთ ბევრ ახალ შენაძენს! ■

კოკაი — «შავი ზღვა» სოხუმიდან

ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ (კოკაი) კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებას აგვისტოში მიაღწია, როდესაც კომუსუბი გახდა. ეს კი იაპონურ საიმპერატორო ჭიდაობის სახეობაში რანგით მეოთხე წოდებას ნიშნავს. ქართველი სპორტსმენისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ სექტემბრის ბაშო — ანუ სუმოისტთა სუპერტურნირი, რომლის შედეგების მიხედვით უნდა გარკვეულიყო, შეძლებდა თუ არა იგი მიღწეულის შენარჩუნებას. მართლაც, კოკაიმ ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულა და გაისად ჩვენებური, საჭიდაო მოედანზე კვლავ კომუსუბის რანგში წარდგება. აღსანიშნავია, რომ სუმოთია დაკავებული ლევანის უმცროსი ძმა გიორგიც, რომელსაც კოკაიმდე ჯერ ბევრი უკლია, როგორც კიდევ ორ ქართველს — თეიმურაზ ჯუღელსა და ლევან გორგაძეს.

ლევან ცაგურია 1981 წელს სოხუმში დაიბადა და ბავშვობაში ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ოდესმე იაპონიაში სუმოს ტურნირებში გამოსვლდა მოუწევა. პირველ ნაბიჯებს ლევანი ასე იხსენებს:

ლაშა თაბაგარი

— მამაჩემი მოჭიდავე გახლდათ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც ჰქონდა მოგებული და ეტყობა, ფიზიკური ძალა შთამომავლობით გადმომეცა. აფხაზეთში ომის დაწყების შემდეგ, ოჯახთან ერთად, თბილისში გადმოვედი და 12 წლის ასაკში თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში დავიწყე. ოლიმპიური ჩემპიონობა მქონდა დასახული მიზნად. 18 წლის ასაკში ჭაბუკებს შორის ევროპის ჩემპიონატი მოვიგე 130 კილოგრამის წონით კატეგორიაში. მაგრამ შემდეგ, ჭიდაობაში წესები შეიცვალა და მძიმე წონით კატეგორიაში ერთგვარი ცენზი დაწესდა. მე 120 კილოგრამზე მეტი არ უნდა ვყოფილიყავი, რომ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიმეღო, არადა, უკვე 135 კილოგრამს ვიწონიდი. ამის გამო, მწვრთნელები მუდმივად მეუბნებოდნენ, რომ წონის დაკლება მჭირდებოდა. ერთი სიტყვით, ჩემს სპორტულ კარიერაში კრიზისი დაიწყო. მაგრამ ერთხელ, ტელეარხ „ევროსპორტზე“ სუმო ვნახე და მაშინვე მომეწონა. თან შევიტყვე, რომ სუმოისტებს წონის დაკლებას არავინ სთხოვდა. გარდა ამისა, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები იაპონიაში პროფესიონალები იყვნენ და მიღწეული წარმატების სანაცვლოდ, გასამრჯელოს იღებდნენ, რაც ჭიდაობის სხვა სახეობებში არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. ვარჯიშის დაწყებიდან ცოტა ხანში, სამოყვარულო ტურნირი — გერმანიის ღია ჩემპიონატი მოვიგე. იაპონელებთან კონტაქტის დამყარებაში ლევან ებანოიძე დამეხმარა, რომელიც თავიდან ჩემთან ერთად ვარჯიშობდა, ხოლო შემდეგ, კარიერა სუმოში გააგრძელა. იაპონელები საქართველოში ჩამოვიდნენ და ჩემს ვარჯიშებს დაესწრნენ, მათზე კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე. სტუმრებმა საკუთარ ქვეყანაში წასვლა და სუმოში ძალების მოსინჯვა შემომთავაზეს. მაშინ საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება, რომ ჭიდაობისთვის თავი დამენებებინა და ბედი ჩემთვის უცნობ სპორტის სახეობაში მეცადა.

ახალგაზრდა ქართველისთვის სუმოში პირველი ნაბიჯები იოლი ნამდვილად არ ყოფილა, რასაც მისი სიტყვებიც მოწმობს:

— სუმო ცნობილია თავისი მკაცრი იერარქიით. სპორტსმენები ერთ ჯგუფში არიან გაერთიანებული, რომელსაც ოიაკატა მართავს. ის მწვრთნელიც არის და ამასთანავე, მასწავლებელიც. რანგით უმცროსი ათლეტები ყოველდღე უნდა მოემზადონ და უფრო ტიტულოვან სპორტსმენებს მოემსახურონ, რაც ჩემთვის სიახლე გახლდათ. მე ვარჯიში თავიდანვე კლუბში — „ოიტეკაზე ბეია“ დავიწყე. იქ სუმოს საერთაშორისო ფედერაციის თავკაცის ტანაკას რეკომენდაციით მოვხვდი, რომელიც ებანოიძემ გამაცნო. თავდაპირველად გამიჭირდა, რადგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში მოვხვდი. ყველაზე რთული იმ სისტემის აღქმა იყო, რომლის წყალობითაც, 19 წლის კაცს 15 წლის ბიჭის უფროსობა უნდა ამეტანა. ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდა მეცა პატივი მისთვის. იმ დროს ერთადერთ ქართველს ვიცნობდი ოსაკაში, სადაც ის ორკესტრში უკრავდა. სხვათა შორის, იაპონიაში 50-55 ქართველი ცხოვრობს. ჩემთვის უცხო იყო იქაური კვების რაციონი და ენაც სრულებით არ მესმოდა. იაპონელებს ყველაფრის მაიონეზით შეკაზმვა უყვართ, რაც ძალიან არ მომწონდა... იაპონურის სწავლა კლუბის მეპატრონის მეუღლემ შემომთავაზა, რაზეც ცხადია, უარი არ მითქვამს, რადგან სუმოში შედეგის მიღწევა ძალიან მსურდა. პროფესიონალურ სარბიელზე დებიუტი 2001 წლის მაისში მქონდა და ასპარეზობა უმდაბლეს — მეექვსე ლიგაში დავიწყე. მაშინ 140 კილოგრამს ვიწონიდი, ხოლო ჩემი სიმაღლე 189 სანტიმეტრი გახლავთ. 2002 წლის მარტში უკვე გაცილებით ძლიერ — მესამე ლიგაში გამოსვლის უფლება მოვიპოვე. ერთი წლის თავზე კი, დებიუტი ელიტურ დივიზიონში მქონდა. სუმოს ისტორიაში მერვე სპორტსმენი აღმოვჩნდი, რომელმაც ეს გზა ასე სწრაფად გაიარა. 2003 წელს 14 გამარჯვება მოვიპოვე და მსოფლიოს 42 უძლიერეს სუმოისტს შორის დავიმკვიდრე ადგილი. შედეგად, სპორტის ამ სახეობის ისტორიაში მე-13 ევროპელი გავხდი, რომელმაც ამის მიღწევა შეძლო. ცხადია, ყველაფრის დაგვირგვინება, კომუსუბის რანგის მიღება აღმოჩნდა. კარიერაში ჩემთვის ყველაზე დიდი წარმატება ნომერ პირველი სუმოისტის — ასაშორიუს ორჯერ დამარცხება გახლდათ.

კოკაი რომ დღესდღეობით კომუსუბის ტიტულს ატარებს, ეს ყოველდღიური თავდაუზოგავი ვარჯიშითა და სპორტული რეჟიმის დაცვით შეძლო:

— ძირითადად, ტოკიოს რაიონ საიტამში ვცხოვრობ. ყოველი დღის განრიგი საათებით მაქვს გაწერილი. დილით 6 საათზე ვიღვიძებ, ხოლო 7-ის ნახევარზე ვარჯიშს ვიწყებ, რომელიც 11 საათამდე გრძელდება. წვრთნის დასრულების შემდეგ ვსაუზმობთ და ძირითადად, მოხარშულ ხორცთან ერთად, ბოსტნეულს მივირთმევთ, ხოლო პირველიდან 4 საათამდე ვისვენებთ. ასეთ დროს უმეტესად, მძინავს. ზუსტად 6 საათზე ვსადილობთ, ხოლო დღეს ორსაათიანი ვარჯიშით ვასრულებთ. ყველაზე მეტად სატრენაჟორო დარბაზში წვრთნა მომწონს, როდესაც ვგრძნობ, ჩემი კუნთები როგორ

იზრდება. ჩვენი ცხოვრება — გამუდმებული დიეტაა. სუმოისტების ტრადიციულ კერძს იაპონურად, ჩანკონაბე ჰქვია. მასში ძალიან ბევრი ვიტამინია, რომელიც ჩვენთვის აუცილებელია. ეს ძალიან ძველი კერძია და შეიძლება ითქვას, რომ მას მხოლოდ სუმოისტები მიირთმევენ. ჩემი ცხოვრების ძირითად ნაწილს კლუბში ვარჯიშში ვატარებ, რადგან დასვენების საშუალება პრაქტიკულად, არა მაქვს. ამ ხნის განმავლობაში, იაპონელებთან ურთიერთობისას მივხვდი, რომ იაპონია მდიდარი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაა. განსაკუთრებით უმცროსსა და უფროსს შორის დამოკიდებულება მაცვიფრებს. ჩემი აზრით, ისინი საკუთარ ტრადიციებს გულმოდგინედ რომ არ უფრთხილდებოდნენ, იაპონია ასეთი განვითარებული ქვეყანა არ იქნებოდა.

საკუთარ მეტსახელზე — კოკაიზე, რომელიც ქართულად „შავ ზღვას“ ნიშნავს, ცაგურია ამბობს:

— წარმოდგენა არ მქონდა, რომ სუმოისტისთვის მეორე სახელი აუცილებლობას წარმოადგენდა. იაპონიაში ჩამოსვლისას, კლუბის პრეზიდენტმა შემატყობინა, რომ ჩემთვის სახელი უკვე შეარჩია. ცხადია, გაკვირვებული ვიყავი, რადგან ამის საჭიროებას ვერ ვხედავდი. მე ხომ ბავშვობიდან ლევანს მეძახდნენ. მაგრამ პრეზიდენტმა განმიმარტა, რომ ყველა სუმოისტს დამატებითი სახელი უნდა ჰქონდეს და მაშინვე მაუწყა — კოკაი გერქმევაო. მან იცოდა, რომ წარმოშობით შავი ზვისპირეთიდან — სოხუმიდან ვიყავი და ამიტომ, ფაქტობრივად, ალტერნატივა არც განხილულა. ხანდახან კოკაი-ზეკს ან კოკაი-სანს მეძახიან. ასე საერთოდ იმ სუმოისტებს მიმართავენ, რომლებიც ელიტას მიეკუთვნებიან.

მისდამი იაპონელების დამოკიდებულების თაობაზე, რომელთაც მნიშვნელოვანწილად, სწორედ ცაგურიას წყალობით გაიცნეს საქართველო, კოკაი ამბობს:

— მათ ძალიან მოეწონათ, რომ იაპონიიდან შორს დაბადებულმა ადამიანმა, ადგილობრივი ტრადიციები გავითავისე. იმ ხნის განმავლობაში, რაც იაპონიაში ვარ, ჩვენს კლუბში სულ რამდენიმე იაპონელი მოვიდა, რომელსაც სუმოისტობა სურდა. მათ სამთვენახევარიც ვერ გაუძლეს ჩვენი ცხოვრების რიტმს. იაპონელებს აკვირვებთ, რომ კოლოსალურ დატვირთვას ვიტან და სუმოისტის ცხოვრებით ვცხოვრობ, თან შედეგებსაც ვაღწევ. ამით, მათ სიმპათიას ვიმსახურებ. როდესაც საჭიდაოდ გავდივარ, აცხადებენ, რომ „ოიტეკაზე ბეიას“ კლუბის წარმომადგენელი ვარ საქართველოდან. ჩემი თხოვნით, იაპონელებმა ქართული დროშა დაამზადეს, რომლის ქვეშ ძალზე ამაყად გამოვდივარ საასპარეზოდ. აქ ყველა აღმიქვამს, როგორც პირველ ქართველსა და პირველ ევროპელს, რომელმაც ამგვარ წარმატებს მიაღწია... სუმო იაპონიაში სპორტის ელიტურ სახეობას წარმოადგენს. იგი 15 საუკუნის წინ, იაპონელმა იმპერატორმა შექმნა. იქიდან მოყოლებული დღემდე, ასპარეზობას ყველა იმპერატორი ესწრება. გასულ საუკუნეებში ყველა იაპონელს კიმონო ეცვა და ისეთ ვარცხნილობას ატარებდა, როგორიც ჩვენ გვაქვს. მაგრამ ისე მოხდა, რომ ერთ-ერთმა მონარქმა ყველა ქვეშემვრდომს თმის შეჭრა უბრძანა. სუმოისტების თხოვნით, იგი დათანხმდა, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებისთვის ვარცხნილობა არ შეეცვალა, რითაც ჩვენი ვაჟკაცობისა და სიძლიერისადმი თავისი კეთილგანწყობილება გამოხატა. გარდა ამისა, სუმოში ყველა ტრადიციაა შენარჩუნებული, მისი შექმნიდან — დღემდე. საერთოდ, სუმო იაპონური ხასიათის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა: უნდა დაიხარჯო იმდენად, რამდენადაც ამის ძალა შეგწევს. სუმოისტს პროფესიონალის კარიერის დაწყება 15-დან 22 წლის ასაკამდე შეუძლია. ის ვარჯიშობს და შეჯიბრებებში მონაწილეობს 35 წლამდე — იმ პირობით, თუ ამ ხნის განმავლობაში ტრავმები არ შეაწუხებს. ამჟამად, 25 წლის ვარ და ვფიქრობ, ჩემი კარიერის საუკეთესო დღეები წინაა. ცხადია, ოცნებად, იოკუძუნა — ანუ სუმოს ჩემპიონთა ჩემპიონობა მინდა. მსურს რომ იმპერატორის თასი მოვიგო. მაგრამ ჯერჯერობით, ჩემი უმთავრესი ამოცანა, ჭიდაობიდან გამოყოლილი, სუმოსთვის ცუდი ჩვევების დავიწყებაა... აგვისტოს ბაშოს შემდეგ, ცხადია, ვფიქრობდი, რომ კომუსუბის ტიტულს მივიღებდი, მაგრამ ვიდრე ამის დამადასტურებელი საბუთი არ გადმომცეს, ამაში ბოლომდე დარწმუნებული მაინც არ ვიყავი. ამ მოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე, სუმოს ასოციაციიდან ჩემს კლუბს დაუკავშირდნენ და პრეზიდენტს აუწყეს, რომ ალბათ კომუსუბი გავხდებოდი. თუმცა, მათ ისიც განაცხადეს, რომ ბოლომდე ყველაფერი გარკვეული არ იყო. თავად წარმოიდგინეთ, ყოველივეს როგორ ველოდი და ცხადია, ვნერვიულობდი. ტიტულის მქონე ოფიციალურად რომ გავხდი, მხოლოდ შემდეგ დავმშვიდდი. ამის წყალობით, პირველ რიგში, ჩემი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა. გარდა ამისა, კომუსუბის რანგში ყოფნა საკმაოდ პრესტიჟულია. ამჟამად, სინიაკუს რანგის რიკიშად ვითვლები და ასეთი სულ ათნი ვართ. სამწუხაროდ, საქართველოდან არავინ დამკავშირებია. სხვათა შორის, აქ ჩვენი ქვეყნის საელჩო არ არის და მხოლოდ იაპონურ-ქართული ასოციაცია ფუნქციონირებს. სუმო რომ იაპონიაში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სახეობაა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. სწორედ ჩემი წარმატებების შედეგად, ბევრმა იაპონელმა შეიტყო საქართველოს არსებობის შესახებ. სხვათა შორის, ჩემი რანგის ზოგიერთ არაიაპონელ სუმოისტს საკუთარ სამშობლოში დიდი დაფასება აქვს. მაგალითად, ერთ-ერთ მათგანს თავისი ქვეყნის ავიაკომპანია ასპონსორებს და იგი მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში უფასოდ დაფრინავს... იაპონელმა სპონსორებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს და ჯერ ოსაკაში, ხოლო შემდეგ — ნაგოიაში ბანკეტი გადამიხადეს, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო. გარდა ამისა, ტიტულის მიღების შემდეგ, პრესკონფერენცია მომიწყვეს, რომელმაც საკმაო ინტერესი გამოიწვია.

წარმატებიდან გამომდინარე, ცაგურიასადმი ინტერესი ერთიორად გაიზარდა, რისი დასტურიც, „სუმო ფენ მეგეზინის“ რედაქტორის მარკ ბაკტონის, ქართველ ფალავანთან სტუმრობა გახლდათ. ეს უკანასკნელი კოკაის თითქმის ერთი საათი ესაუბრა და გთავაზობთ მცირე ამონარიდს ლევანის მიერ მიცემული ინტერვიუდან: „ბავშვობაში ჩვენი სახლი ზღვასთან ახლოს იდგა და ბევრს ვცურავდი ზღვაში. ყველაფერი კარგად იყო, სანამ ომი დაიწყებოდა. საშინელი დრო გახლდათ, არ იცოდი, მეორე წუთს კიდევ ცოცხალი იქნებოდი თუ ტყვია შეგიწირავდა. წარმოიდგინეთ, ერთი კვირის განმავლობაში არ ვიცოდი, ჩემი მშობლები ცოცხლები იყვნენ თუ დაიღუპნენ. შემდეგ ტელეფონით გავიგე, რომ გადარჩენილან. ქართველებისთვის ომი ცუდი შედეგით დამთავრდა, რადგან დავმარცხდით, დავტოვეთ სახლები, მანქანები, ხალხი დაიხოცა, ზოგჯერ დამალვა მიწურში გვიწევდა. იაპონიაში ჩამოსვლის შემდეგ, ყველაზე ძნელი ჩემს ოჯახთან განშორება იყო, თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ არ მომეთმინა, მათ ფინანსურად ვერ დავეხმარებოდი. ამიტომ, ძალიან ბევრს ვშრომობდი. სუმოში პირველ ნაბიჯებს რომ ვდგამდი, ჩემი მწვრთნელი მეუბნებოდა, რომ ჭიდაობის სტილში ასპარეზობა იაპონელ ფანებს ძალიან არ უყვართ. ამიტომ, ყოველთვის ვცდილობ, შევუტიო. ევროპელ სუმოისტებთან ცხადია, ვმეგობრობ. ჩვენ ხშირად ვიკრიბებით რესტორანში, ღვინოსაც ვსვამთ. დადაჩემი იაპონიაში ნამყოფი არ არის. ამიტომ მსურს, იგი ჩამოვიყვანო და ქვეყანა დავათვალიერებინო. იაპონიაში წამოსვლის შემდეგ, სამშობლოში ხუთ-ექვსჯერ ვიყავი. პრემიერ-მინისტრს შევხვდი, ტელევიზიითაც ხშირად გამოვსულვარ, გაზეთებს ინტერვიუს ვაძლევ. თუმცა, იქ ჩასვლა ჩუმად უფრო მიყვარს, რომ მეგობრებთან მეტი დრო გავატარო... საქართველოში სუმოთი უკვე ბევრი სპორტსმენი დაინტერესდა. თვეში 2-3 კაცი მაინც მირეკავს, რომ დავეხმარო იაპონიაში გადასვლაში, მაგრამ უცხოელებზე დაწესებული ლიმიტის გამო, ამას ვერ ვახერხებ. ჩემი ჰობი — ინტერნეტი და მუსიკაა. ნოუტბუკი მუდამ თან დამაქვს და მისი საშუალებით, ახლობლებს წერილებს ვწერ. გარდა ამისა, ქართულ ვებ-გვერდებსაც ვნახულობ. რაც შეეხება მუსიკას, — უპირატესობას კლასიკას და „ქუინს“ ვანიჭებ“. ■



გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-39

სამართალდამცველებთან შეხლა-შემოხლისას, ნაპატიმრალი ზაზა გორგაძის მკვლელობის დასაფარავად, კრიმინალური პოლიციის უფროსი მერაბ მესხი მის ძმას ვახოს და ინციდენტის მომსწრე მის მეგობარს გიო ჭელიძეს აპატიმრებს. გიოს გარდა, ზაზას ძმას ვახოსაც აპატიმრებენ. ორივეს ნარკოტიკებით ვაჭრობაში სდებენ ბრალს. ჭელიძეების ბინის ჩხრეკისას, გიოს საწოლის ლეიბქვეშ ნარკოტიკს „აღმოაჩენენ“. „მამხილებელ“ პროცედურაში, სამართალდამცველებთან ერთად, ადვოკატი შიოშვილიც მონაწილეობს და მეზობლებსაც დაასწრებენ. ვახოს დაკითხვისას კი, მესხი ხელმოწერას გამოსტყუებს, რომელიც მისი საწინააღმდეგო დოკუმენტის შესადგენად სჭირდება...

დაპატიმრების მომდევნო დღეს, გიოს ისევ მოუწია მესხთან და მის ხალხთან შეხვედრა. მათთან ერთად ადვოკატი კოტე შიოშვილიც იმყოფებოდა. ისინი დღის მეორე ნახევარში ეწვივნენ იზოლატორს და გიო დასაკითხთა ოთახში შეიყვანეს.

— ისევ ჯიუტობ?.. — დამცინავად დაიწყო მესხმა, როდესაც გიო ოთახში შეიყვანეს.

— რა გინდა ჩემგან? — დაღლილი ხმით უპასუხა გიომ.

— შენგან? — გაიკვირვა მესხმა. — შენგან არაფერი მინდა. უბრალოდ, ჩემს სამუშაოს ვასრულებ.

— რომელ სამუშაოს, ჯალათო?! — ავად მიუგდო გიომ.

— იბლატავე, იბლატავე!.. — ჩაიცინა მესხმა. — ჯერჯერობით გაქვს მაგის შესაძლებლობა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. შემიძლია გაგახარო: ეს ჩვენი ბოლო შეხვედრაა. ხვალ საქმეს სასამართლოს გადავცემ და შემდეგ შენს გამომძიებელთან იბლატავებ!..

— სასამართლოს?.. — დაიძაბა გიო.

— ჰო, — მოკლედ დაუდასტურა მესხმა.

— რისთვის?

— ყველაფერს მოგვიანებით შეიტყობ... ახლა კი, ერთი პროცედურა უნდა ჩავატაროთ.

— რა პროცედურა?

— ოფიციალურად, ამას ამოცნობა ეწოდება, — მშვიდად ჩაილაპარაკა მესხმა, — რამე ხომ არ გაქვს საწინააღმდეგო?

— რისთვის უნდა ჩაატარო ამოცნობა ან ვინ უნდა ამომიცნოს? — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჰკითხა გიომ.

— ამოგიცნობს პიროვნება, რომელსაც სუბუტექსი მიჰყიდე.

— ასეთი ადამიანი არ არსებობს! — სწრაფად ისროლა გიომ.

— ჰოდა, ძალიან კარგი... გამოდის, რომ ასაღელვებელიც არაფერი გქონია, — ჩაიცინა მესხმა, შემდეგ კი თანაშემწეებს უბრძანა: — მოწმეები შემოიყვანეთო!..

— ნუ ღელავ, — ადვოკატი სწრაფად გადაიხარა გიოსკენ და ყურში ჩასჩურჩულა: — მესხს არაფერი აქვს შენს წინააღმდეგ და ახლა წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდება...

— მე მაინც ვერ ვხვდები, ვინ და რისთვის უნდა ამომიცნოს... — უჩურჩულა გიომ.

— ხომ გითხარი, ასაღელვებელი არაფერი გაქვს. ჩაატარებს ამოცნობას, ამის შემდეგ, ჩვენ ოფიციალურად დავაფიქსირებთ, რომ შენ არაფერი გაკავშირებს ამ საქმესთან და მესხს იქით მივაწვებით, — თვალი ჩაუკრა შიოშვილმა. — ხომ ხედავ, მოწმეებიც შენი მეზობლები არიან... როგორ გგონია, სურდა მესხს ამოცნობაზე ისეთი ხალხის მოწვევა, რომლებიც მე და შენ დაგვიჭერდნენ მხარს?..

— რა თქმა უნდა, არა, — დაეთანხმა გიო.

— იცი, როგორი ბრძოლა გადავიტანე მათ მოსაწვევად?!. მოგვიანებით, ამის გამო, მადლობას გადამიხდი. ახლა კი ისაა მთავარი, რომ მესხი ყურებით გვყავს დაჭერილი. ჩაატაროს ამოცნობა და შემდეგ ნახე, რა დღეში ჩავაგდებთ!.. — კმაყოფილი იერით დაასრულა ადვოკატმა და მაგიდის საპირისპირო მხარეს გადაჯდა.

ორიოდე წუთში ბრეგვაძემ ოთახში ოთხი ადამიანი შემოიყვანა. მათგან ორს, მის თანატოლ ახალგაზრდებს, გიო პირველად ხედავდა, ორნი კი, მისი მეზობლები აღმოჩნდნენ.

მესხმა სწრაფად განუმარტა გიოს ამოცნობის წესები. მისი თქმით, მეზობლები მოწმეებად ჰყავდა მოწვეული, ორ ახალგაზრდას კი, უშუალოდ პროცედურაში უნდა მიეღო მონაწილეობა.

— ყველაფერი გასაგებია? — იკითხა მესხმა და მოწმეებს გახედა.

— გასაგებია, — თავის დაქნევით დაუდასტურეს მათ.

— კედელთან დაიკავეთ ადგილები, — უბრძანა მესხმა ახალგაზრდებს და შემდეგ, გიოს მიუბრუნდა. — შენც მათთან ერთად დადექი. ადგილი შეგიძლია, შენით აირჩიო.

როგორც კი გიო და ახალგაზრდები კედელთან გამწკრივდნენ, მესხმა ოთახში ოცდათხუთმეტიოდე წლის მამაკაცი მოიწვია. მამაკაცს უცნაურად ეჭირა თავი — ის აშკარად შეშინებული ჩანდა, განუწყვეტლივ აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და მზერას არიდებდა მოწმეებსა და გიოს.

— თქვენი გვარი და სახელი, — მიმართა მესხმა მას.

— დიტო... დიმიტრი ბიბილური, — უპასუხა კაცმა.

— დაბადების წელი... საცხოვრებელი ადგილი... ოჯახური მდგომარეობა... — სწრაფად განაგრძო მესხმა.

როგორც კი მესხმა ამოცნობის ოქმში ყველა სავალდებულო მონაცემი შეიტანა, ბიბილურს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ამ სამი პიროვნებიდან რომელიმეს ხომ არ იცნობთ?

ბიბილური შეკრთა, შემდეგ, სწრაფი მზერა ესროლა კედელთან გამწკრივებულ სამეულს და გიოს მიმართულებით გაიშვირა ხელი.

— ამას ვიცნობ.

— ტყუის! — შეჰყვირა გიომ. — ამ პიროვნებას არასოდეს შევხვედრივარ!

— წყნარად! — ბრაზით ესროლა მესხმა და ისევ ბიბილურთან საუბარი განაგრძო.

— მისი სახელი და გვარი დაასახელეთ.

— გიო ჰქვია... გვარი ზუსტად არ მახსოვს... თუ არ მეშლება, ჭელიძე უნდა იყოს... — ჩაიხიხინა ბიბილურმა.

— სად და რა ვითარებაში გაიცანით ეს პიროვნება? — ჰკითხა მესხმა.

— ეს პიროვნება ზაზა გორგაძემ გამაცნო. ეს დაახლოებით ერთი წლის წინ მოხდა. გორგაძეს კოლონიიდან ვიცნობდი და შეხვედრისას სუბუტექსის გაკეთება შემომთავაზა. ნარკომანი არა ვარ, მაგრამ მაშინ ძლიერი ტკივილები მაწუხებდა და თავი ვერ შევიკავე. სუბუტექსი ერთად გავიკეთეთ. ამის შემდეგ კი, გორგაძეს ვკითხე: იმ შემთხვევაში, თუ კიდევ შემაწუხებდა ტკივილი, მომამარაგებდა თუ არა სუბუტექსით?.. მან თანხმობა განმიცხადა, მაგრამ ამასთან ერთად მთხოვა, რომ ნარკოტიკისთვის მასთან არ მივსულიყავი. ვინაიდან ჩვენ ორივე ნასამართლევები ვიყავით, მას არ სურდა ჩემთან ღია ურთიერთობა. ის შიშობდა, რომ ამით პოლიციის ყურადღებას მიიპყრობდა. ამიტომაც, მითხრა, რომ გამაცნობდა კაცს, რომელთანაც ნებისმიერ დროს შემეძლო სუბუტექსის შესაძენად მისვლა.

ორო დღის შემდეგ კი, ეს პიროვნება გამაცნო... — ბიბილურმა გიოსკენ გაიშვირა ხელი.

— ტყუი, ნაბიჭვარო! — მთელი ხმით იყვირა გიომ და ბიბილურისკენ გაქანდა. მაგრამ მესხის თანაშემწეები ამისთვის მზად იყვნენ — ისინი აქეთ-იქიდან ეცნენ გიოს, შებოჭეს, მაჯებზე ხელბორკილი მოარგეს და ოთახის საპირისპირო მხარეს, სკამზე დაჯდომა აიძულეს.

— რა ვითარებაში მოხდა თქვენი და ჭელიძის შეხვედრა? — განაგრძო მესხმა, თითქოს მის თვალწინ არაფერი მომხდარიყოს.

— გორგაძემ ჭელიძე ნაგავსაყრელზე შემახვედრა. შეხვედრისას ჭელიძემ მომცა თავისი ტელეფონის ნომერი, — უპასუხა ბიბილურმა, — და ამასთან ერთად, მითხრა, რომ შემეძლო, სუბუტექსის თაობაზე ნებისმიერ დროს დავკავშირებოდი...

— გისარგებლია მისი სამსახურით?

— არა. მე ვიცი, რა საწამლავიცაა სუბუტექსი. წამალი გადავაგდე, მაგრამ დაახლოებით ხუთი დღის წინ, ჭელიძეს შემთხვევით შევხვდი. ის გაოცებული იყო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არ დავკავშირებივარ. შეხვედრისას ნარკოტიკიც შემომთავაზა. მე უარი ვუთხარი, რადგან უკვე მიტოვებული მქონდა წამალი. მან კი მიპასუხა, რომ საჩუქრად მომცემდა სუბუტექსს...

— რატომ? — საუბარში ადვოკატი ჩაერთო.

— რაღაც პრობლემები ჰქონდა გორგაძესთან და ჩემი დახმარებით სურდა მისი მოგვარება, — უპასუხა ბიბილურმა.

— დააკონკრეტეთ, — ჩაურთო მესხმა.

— რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, გორგაძე გაყიდული წამლის ფულს სთხოვდა, ეს კი ვერ უბრუნებდა. მითხრა — ტოტალიზატორში წავაგე და გორგაძემ ვალის დაბრუნება დამაცადოსო...

— თქვენ რა უპასუხეთ? — ჰკითხა მესხმა.

— საკმარისი დრო გავატარე ციხეში, აღარ მინდა უკან დაბრუნება და ასეთ საქმეებშიც აღარ ვერევი-მეთქი.

— მაგრამ სუბუტექსი მაინც გამოართვით, — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა მესხმა.

— გამოვართვი, — დაუდასტურა ბიბილურმა.

— რისთვის? — ცივად ესროლა შიოშვილმა.

— რისთვის?.. — ბიბილურმა პაუზა გააკეთა და შემდეგ, ღვარძლიანად ალაპარაკდა: — ვერ ვიტან „ბარიგებს“, ეგენი წამლავენ ყველას! წამალი გამოვართვი და შემდეგ, პოლიციაში განვაცხადე!..

— განაცხადე?! — ადვოკატმა გაოცებული მზერა ესროლა ბიბილურს.

— განაცხადა, — დაუდასტურა მესხმა.

— გააჩუმეთ ეგ ნაბიჭვარი! აღარ შემიძლია მისი მოსმენა! — გიომ კიდევ ერთხელ სცადა ადგილიდან წამოჭრა, მაგრამ მესხის თანაშემწეებმა ამის შესაძლებლობა არ მისცეს.

მესხმა დამცინავი მზერა ესროლა, შემდეგ კი ადვოკატს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მოწმისთვის რაიმე კითხვის დასმა ხომ არ გსურთ?

— მსურს, — გამოცოცხლდა ადვოკატი და საქაღალდე მოიმარჯვა.

მომდევნო ათი წუთის განმავლობაში გიო გაბრუებული ისმენდა ადვოკატისა და ბიბილურის საუბარს. მაგრამ მრავალი კითხვის მიუხედავად, მაინც ვერ გაიგონა ვერაფერი ისეთი, რაც ბიბილურის უცნაურ და ამაზრზენ საქციელს ახსნიდა. მათ საუბარში არაფერი ახალი არ ყოფილა. უბრალოდ, ადვოკატმა თავიდან გაამეორებინა ყველაფერი, რაზედაც ის მესხთან ლაპარაკობდა. დასასრულს კი, ხმაურით დახურა საქაღალდე და გიოს მხრების აჩეჩვით მიახვედრა: თვითონაც ვერ ვხდები, რა უნდა მოვიმოქმედოო.

ბოლოს, ისევ მესხი ჩაერთო საქმეში.

— ამოცნობის ოქმს მოაწერეთ ხელი, — მიუბრუნდა ბიბილურსა და მოწმეებად მიწვეულ მეზობლებს.

ბიბილურმა სწრაფად შეასრულა განკარგულება. ოქმს ხელი მოაწერა და გვერდზე გადგა.

— თქვენი ჯერია... — გახედა მესხმა მეზობლებს.

— არა!.. — ცივად ისროლა ერთ-ერთმა მათგანმა და ოქმი უკან დაუბრუნა მესხს.

— არა?! — მოიღრუბლა მესხი.

— რაც აქ ითქვა, არ შეიძლება მართალი იყოს!.. — მიუგო მეზობელმა.

— როდესაც აქ მოდიოდით, დაწვრილებით გაგაცნეს საპროცესო მოთხოვნები, — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა მესხმა.

— გაგვაცნეს... — დაეთანხმა მეზობელი.

— ამასთან ერთად გაცნობეს, რომ ოქმის ხელის მოწერაზე უარის თქმა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს... — განაგრძო მესხმა.

მეზობლებმა დუმილით უპასუხეს.

— თქვენ რა გგონიათ — ვინმე რამეს გაპატიებთ და აქედან ისე გაგიშვებთ?!. არა, ჩემო კარგებო! — ხმას აუწია მესხმა და ამასთან ერთად, ოქმი უხეშად შეაჩეჩა ერთ-ერთ მეზობელს: — მოაწერეთ ხელი, თორემ, აქვე შეგიდგენთ ახალ ოქმს და...

მესხს რაიმეს დამატება აღარ დასჭირდა: მუქარამ გაჭრა და მეზობლებმა ოქმს ხელი მოაწერეს.

— არ გეშინია?.. — მოულოდნელად გაისმა ოთახში გიოს ჩახლეჩილი ხმა.

მართალია, ამ დროს გიოს მზერა იატაკისკენ ჰქონდა მიმართული, მაგრამ ოთახში მყოფნი მაინც მიხვდნენ, თუ ვის მიმართ იყო ნათქვამი ეს სიტყვები.

— რისი უნდა მეშინოდეს?!. — მშვიდად შემობრუნდა მესხი.

— ამას არ შეგარჩენ! — გიომ თავი ასწია და მესხს თვალი თვალში გაუყარა, — ასი წელიც რომ გავიდეს, მოგძებნი და...

— და რას მიზამ?..

— არ გაცოცხლებ!.. — მუქარით ისროლა გიომ.

— აი, ამაში კი ცდები... როგორც ვატყობ, საერთოდ ვერ ერკვევი ვითარებაში. გონიერი ადამიანი კი, წამლის გაყიდვამდე, სისხლის სამართლის კოდექსს გადაშლიდა და ნახავდა, თუ რა „სროკი“ მოელოდა. შენი ბინიდან ამოღებული წამალი ძალიან დიდი ხნით გაგისტუმრებს „ნარზე“. და მართლაც, არა მგონია, რომ ასეთ „სროკს“ გადაიტან... იცი, ვინ არის „ბარიგა“ პატიმრებისთვის?..

გიომ მხოლოდ გაოფთრებული მზერით უპასუხა.

— ბარიგა“ კოლონიაში ჰომოსექსუალისტზე დაბალ დონეზე დგას... მაგრამ არაფერია. მალე თავად შეაღებ „ზონის“ კარს და გაერკვევი, ვინ ხარ და რა ცხოვრებაც გელის!.. — ყინულივით ცივი ხმით დაასრულა მესხმა და თანაშემწეებს ანიშნა, საკანში დააბრუნეთო.

მოსამართლის გამოჩენისას, სასამართლო დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ყველას ანტერესებდა, თუ რაში ადანაშაულებდნენ გიოსა და ვახოს.

მოსამართლემ უკმაყოფილო მზერა შეავლო უადგილოდ დარჩენილ მო-

ქალაქეებს, რომლებიც კედლების გასწვრივ გამწკრივებულიყვნენ, პირველ რიგში მყოფ გიოსა და ვახოს ოჯახის წევრებს და საქაღალდე მაგიდაზე დადო. მისალმების შემდეგ, მან სათვალე მოირგო, საქაღალდიდან რამდენიმეგვერდიანი დოკუმენტი ამოიღო და კითხვას შეუდგა. ამ დოკუმენტის თანახმად, გიოსა და ვახოს ნარკოტიკებით ვაჭრობაში ედებოდათ ბრალი. გარდა ამისა, გიოს, ზაზას მკვლელობაშიც ადანაშაულებდნენ. და რაოდენ გასაოცარიც არ უნდა ყოფილიყო ეს დარბაზში მყოფთათვის, მოსამართლე თავის განცხადებაში დაკავებულთა აღიარებებს ეყრდნობოდა.

— ტყუილია! ყველაფერი ტყუილია! მე არც ნარკოტიკი გამიყიდია და ზაზაც არ მომიკლავს!!! — გიომ გააფთრებული ყვირილით შეაწყვეტინა მოსამართლეს დადგენილების კითხვა.

პასუხად მოსამართლემ სწრაფი მზერა ესროლა, შემდეგ კი მშვიდად უპასუხა:

— ამ ეტაპზე, სასამართლო არ განიხილავს თქვენი ბრალეულობის საკითხს. სასამართლომ მხოლოდ თქვენი წინასწარ პატიმრობაში აყვანის საკითხი უნდა გადაწყვიტოს. მოგვიანებით კი, ძიება დაადგენს, მიგიძღვით თუ არა ბრალი ზაზა გორგაძის მკვლელობაში.

— არა, ეს ტყუილია! — გიო გაშმაგებული ჩააფრინდა გისოსს და მოსამართლეს ჩააშტერდა.

— გაფრთხილებთ!.. — მკაცრი ტონით მიმართა მოსამართლემ. — თუ კიდევ შეეცდებით, ხელი შეუშალოთ სასამართლოს, დარბაზიდან გაგაძევებთ და თქვენი მონაწილეობის გარეშე გადავწყვეტთ თქვენი პატიმრობაში აყვანის საკითხს!

გიო რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვახომ ამის საშუალება აღარ მისცა: მხარში ჩააფრინდა, გისოსს მოაშორა და ძალით დასვა საბრალდებო სკამზე. ამის შემდეგ, მოსამართლემ პროკურორს სთხოვა განცხადების გაკეთება და სკამზე დაეშვა.

გიოს აღიარებითი ჩვენების ტექსტმა, რომელიც პროკურორმა მთავარ მტკიცებულებად მოიშველია, დარბაზში მყოფთ თავზარი დასცა. აღიარებაში გიო აღნიშნავდა, რომ თითქმის ერთი წლის განმავლობაში ყიდდა სუბუტექსს, რომლითაც გარდაცვლილი ზაზა გორგაძე ამარაგებდა. იქვე განმარტებული იყო მათ შორის მომხდარი დავის მიზეზიც, რასაც ზაზას მკვლელობა მოჰყვა. პროკურორის განცხადებით, გიომ ზაზას არ მისცა სუბუტექსის ბოლო პარტიის რეალიზაციიდან მიღებული თანხა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ზაზა ითხოვდა ამ თანხას, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ გიოსგან ვერაფერს მიიღებდა, მისთვის სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა. თავის მხრივ, გიოც ხვდებოდა, თუ რაოდენ საშიში იყო არაერთხელ ნასამართლებ გორგაძესთან დაპირისპირება, ამიტომაც გადაწყვიტა, მისთვის დაესწრო და ყოფილი თანამზრახველი მანამდე მოეშორებინა თავიდან, ვიდრე ის რამეს დაუშავებდა. ამ მიზნით, მან ნაგავსაყრელზე გაიტყუა ზაზა, იმ მოტივით, რომ მისთვის ფულის მიცემას აპირებდა, შემდეგ კი, დანით მკერდში მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა. მაგრამ ეს გიოს გეგმის მხოლოდ ნაწილი იყო. პროკურორის განცხადებით, მას ასევე ჰქონდა ჩაფიქრებული ზაზას ძმის, ვახტანგ გორგაძის მკვლელობა, ვინაიდან ის თავადაც ჩაბმული იყო ნარკოტიკებით ვაჭრობაში. აქედან გამომდინარე, მისთვის ცნობილი იყო, მის ძმასა და გიოს შორის არსებული უთანხმოების შესახებ და ზაზას დაღუპვის შემთხვევაში, სამაგიეროს გადახდას შეეცდებოდა. ამის თავიდან ასაცილებლად, გიომ მოკლულის ძმა ასევე ნაგავსაყრელზე გაიტყუა, მაგრამ ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა ვეღარ შეძლო — ამაში პოლიციის წარმომადგენლებმა შეუშალეს ხელი. მათი გამოჩენისას, გიომ გაქცევით უშველა თავს. ვახტანგ გორგაძემ კი, ვერ შეძლო მიმალვა: პოლიციის თანამშრომლებმა ის ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. თავიდან ის კატეგორიულ უარს აცხადებდა გიოსთან რაიმე კავშირზე, მაგრამ დილით, მისი ძმის გვამის აღმოჩენისას, აღიარა, რომ გიო მისი თანამზრახველი იყო. თვით ვახტანგს ძიება მხოლოდ ერთში — ნარკოტიკით ვაჭრობაში ადანაშაულებდა. სამაგიეროდ, ბევრად მძიმე იყო გიოს ბრალდება. მას, ნარკოტიკით ვაჭრობასთან ერთად, ზაზას მკვლელობაშიც ადანაშაულებდნენ.

— თქვენ ხომ არ შეიშალეთ?! რაებს ბოდავთ?! რას ედავებით ამ ბიჭებს?! გვასულელებთ?! სად გაგონილა, მკვლელი და მოკლულის ძმა ერთად ისხდნენ საბრალდებო სკამზე და ერთმანეთს ამშვიდებდნენ?! — ახმაურდა დარბაზი, როგორც კი პროკურორმა ბრალდების კითხვა დაასრულა.

— დაიცავით სიჩუმე! — გამოცოცხლდა მოსამართლე, მაგრამ მის მოწოდებას დარბაზზე რაიმე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც მოსამართლის განკარგულებით, რამდენიმე დამსწრე, მათ შორის — გიოს უფროსი ძმაც იძულებით გაიყვანეს დარბაზიდან.

მოსამართლეს გადაწყვეტილების მისაღებად, მხოლოდ ოციოდე წუთი დასჭირდა. მასზე ვერაფერმა იმოქმედა — ვერც დაპატიმრებულთა ახლობლებისა და გულშემატკივართა მოწოდებამ, ვერც გიოსა და ვახოს ახალი ადვოკატების განცხადებებმა და პროცესზე დაკითხვისთვის მესხის, მისი ხალხისა და კოტე შიოშვილის გამოძახების მოთხოვნამ. პროკურორის გამოსვლის შემდეგ, მოსამართლემ უგულისყუროდ მოისმინა ადვოკატების განცხადებები და დარბაზი გადაწყვეტილების მისაღებად დატოვა. ოციოდე წუთის შემდეგ კი...

მოსამართლემ მშვიდი სახით ჩაიკითხა გადაწყვეტილება, რომელიც გიოსა და ვახოსთვის განაჩენის ტოლფასი იყო: გადაწვეტილების მიხედვით, მოსამართლემ უარი თქვა ადვოკატების მოთხოვნების შესრულებაზე და დაკავებულებს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლო ბარბაზიდან გიოსა და ვახოს გაყვანისას, დარბაზიდან მოსამართლის განკარგულებით გაძევებული რეზო დერეფანში იმყოფებოდა. მისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ გიო იმ დღესვე უნდა გადაეყვანათ საგამოძიებო იზოლატორში, სადაც ის უახლოეს სამ თვეს გაატარებდა და სწორედ ამ დროს, თვალი მოჰკრა ძმას. ის რამდენიმე მებადრაგეს, მაჯაზე ხელბორკილდადებული მოჰყავდა. გიომაც იგრძნო ძმის მზერა, შედგა და რეზოს გახედა. ეს მხოლოდ რამდენიმე წამი გაგრძელდა — შემდეგ, მებადრაგემ მხარში უბიძგა და შენობის საპირისპირო მხარეს წაიყვანა — იქ, სადაც განსასჯელთათვის განკუთვნილი საკნები მდებარეობდა. ორიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, გიომ გაიბრძოლა, მთელი სხეულით შეეჯახა ერთ-ერთ მებადრაგეს, გვერდზე მიაგდო, შემობრუნდა და მთელი ხმით იყვირა:

— რეზო, მიშველე!.. შენ ხომ იცი, რომ მე არაფერში არ ვარ დამნაშავე! მიშველე, მე იქიდან ცოცხალი ვერ გამოვაღწევ!..

რეზო კარგა ხანს იდგა გაბრუებული და რკინის კარს შესცქეროდა, რომლის მიღმაც მისი ძმა გაუჩინარდა. მთელი ამ დროის მანძილზე, ნაცნობ-

C M Y K

მეგობრები მის დამშვიდებას ცდილობდნენ. მაგრამ რეზოს არაფერი ესმოდა. გიოსა და დედაზე ფიქრით დაკავებული მისი გონება მხოლოდ შორეულ ფრაზებს აღიქვამდა, რომლის მნიშვნელობაც საერთოდ არ ესმოდა.

— თქვენ ბრძანდებით გიორგი ჭელიძის ძმა? — საიდანღაც შორიდან ჩაესმა.

რეზო გამოერკვა და მის პირისპირ მდგომი უცნობი შეათვალიერა. მისი თანატოლი იქნებოდა, დაახლოებით ოცდახუთი-ოცდაშვიდი წლის. ენერგიული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ცოცხალი, მეტყველი თვალები ჰქონდა.

— დიახ, — პაუზის შემდეგ მიუგო რეზომ. — თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე გოგა მქვია, — განაგრძო უცნობმა, — რამდენიმე სიტყვა მაქვს თქვენთვის სათქმელი.

— რასთან დაკავშირებით?

— თქვენი ძმის საქმის თაობაზე... მე...

— არა! — ცივად მოსხიპა რეზომ. — მას ჯერაც ახსოვდა, თუ როგორ გაეცნო კოტე შიოშვილი და უცნობი ადამიანი უნდობლობას აღძრავდა მასში.

— მე ჟურნალისტი ვარ, — სწრაფად შეაგება გოგამ.

— მე არაფერი მაქვს თქვენთვის სათქმელი... და თუ რაიმე საგაზეთო მასალის მოპოვება გსურდათ, სასამართლო პროცესს უნდა დასწრებოდით... — უცვლელი ტონით უპასუხა რეზომ და წასვლა დააპირა. მაგრამ გოგა არ მოეშვა. დაძრულს, გვერდზე მიჰყვა და ლაპარაკი განაგრძო:

— მე დავესწარი პროცესს და შემიძლია გითხრათ, რომ ჩემთვის ეს პირველი პროცესი არ იყო, რომელშიც შიოშვილმა ასეთი ავბედითი როლი შეასრულა...

ადვოკატის გვარის გაგონებაზე, რეზო შედგა და თანამოსაუბრე კიდევ ერთხელ შეათვალიერა.

— ვისაუბროთ?.. — ჰკითხა მან. — მხოლოდ რამდენიმე წუთს წაგართმევთ.

— კეთილი, — დაეთანხმა რეზო.

— მაშინ, გარეთ გავიდეთ. აქ საუბარს ვერ შევძლებთ, — თქვა გოგამ და დერეფანს გაუყვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ის და რეზო მანქანაში ისხდნენ და სასამართლოს შენობას უკვე საკმაო მანძილით დაშორებოდნენ.

— რისი თქმა გინდათ ჩემთვის? — ჰკითხა რეზომ.

— მე გარკვეული პერიოდის მანძილზე ვმუშაობ ამ საკითხზე...

— რომელ საკითხზე?

— შიოშვილის „მოღვაწეობას“ ვგულისხმობ, — უპასუხა გოგამ. — ეს ერთეული შემთხვევა არ არის...

— ახლა კი ვხვდები, რა როლიც შეასრულა შიოშვილმა ამ საქმეში, მაგრამ... — აღარ დაასრულა რეზომ.

— მე თქვენი დახმარება მსურს, მაგრამ ამაში თქვენც უნდა დამეხმაროთ...

— როგორ დამეხმარებით და რით დაგეხმაროთ მე?..

— პირველ რიგში, თავად უნდა გადაწყვიტოთ, ბოლომდე იბრძოლებთ თუ არა... — გახედა გოგამ.

— რას ჰქვია, ბოლომდე არ ვიბრძოლებ?! — გაღიზიანდა რეზო. — ჩემი ძმის უდანაშაულობის დასამტკიცებლად, მთელ სამყაროს დავუპირისპირდები!

— საბედნიეროდ, მთელ სამყაროსთან ომი არ მოგველის, — გაეღიმა გოგას, — მაგრამ მაინც საშინელ ძალასთან მოგვიწევს დაპირისპირება.

— შიოშვილი ასეთი გავლენით სარგებლობს?.. — გაუკვირდა რეზოს.

— არა. შიოშვილი რიგითი შემსრულებელია, უმნიშვნელო ჭანჭიკი. მაგრამ მისი პატრონები ამ რიგით წევრსაც კი არ დაგვანებებენ.

— ვის გულისხმობთ? — ჰკითხა რეზომ.

— პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს...

— არა მგონია, რომ პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ასე ძლიერ იყოს დაინტერესებული ჩემი ძმის საკანში გამომწყვდევით.

— გეთანხმებით, — თავი დაუქნია გოგამ, — ერთად და თუნდაც, ცალკე აღებული, ეს უწყებები არ არიან დაინტერესებული გიოს გასამართლებით. მაგრამ ორივე უწყება სახელმწიფოს სამართლებრივ სახეს წარმოადგენს. ასეთი დონისთვის კი, გიო ერთობ უმნიშვნელო ფიგურაა. მის მიმართ სამართლის აღდგენით, სახელმწიფო თავის რეპუტაციას არ შელახავს. ხვდებით, რის თქმა მინდა?.. ყველაფერი მხოლოდ ერთი პრინციპით გადაწყდება — „ჩვენ ყველასთან და ყველაფერში მართლები ვართ“ — მორჩა და გათავდა. ამის გამო კი, გიო მრავალ წელს გაატარებს საპატიმროში...

— არ ვიცი, როგორ, მაგრამ მაინც დავამტკიცებ ჩემი ძმის უდანაშაულობას!.. — პაუზის შემდეგ წამოიძახა რეზომ.

— ეს მართლაც, დიდი გამარჯვება იქნება. მაგრამ ახლავე გაფრთხილებ — სახიფათო თამაშის წამოწყება მოგვიწევს!..

— რა იცი შიოშვილის შესახებ? — სასაუბრო თემა შეცვალა რეზომ.

— ყველაფერი... მთელი მისი ბიოგრაფია, მოღვაწეობის დეტალები, ისიც კი, თუ რამდენი ადამიანის უსამართლოდ გასამართლებაში მიუღია მონაწილეობა და ასე შემდეგ. ეგ ნაძირალა, რომელიც ადვოკატად გაგეცნო, ყოფილი პროკურორია. დაახლოებით ხუთი წლის წინ დაითხოვეს უწყებიდან და მას შემდეგ, ასეთი ავანტიურებით გააქვს თავი... ძნელია, ძალიან ძნელია ასეთ ადამიანთან გამკლავება. სამწუხაროდ, პროფესიონალიზმი არ გამორიცხავს ნაძირალობას: ის კი შესანიშნავად ერკვევა თავის საქმეში. აბა, რით უნდა დაჰპირისპირებოდით შენ და შენი ძმა შიოშვილს?! თქვენ ხომ პირველად აღმოჩნდით ასეთი აფთრების გარემოცვაში!.. — ბრაზით ჩაილაპარაკა გოგამ.

— კეთილი... ვთქვათ, გენდე. მაინც რა პერსპექტივა აქვს ჩემს ძმას? — გახედა რეზომ.

— არ დაგიმალავ — არ მინდა, მცდარი წარმოდგენა შეგიქმნა საკუთარ თავზე. მაგრამ აქამდე, ვერც ერთ ანალოგიურ საქმეში ვერ გავიმარჯვე, — გულახდილად უთხრა გოგამ. — ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა.

— მაგალითად?

— პირველ რიგში, ის, რომ გასამართლებულთა ოჯახის წევრებმა ვერ შეძლეს ბოლომდე ბრძოლა...

— რატომ?

— ვინ — დააშინეს, ვინ — დააჯერეს, რომ მაინც ვერ მიაღწევდნენ სამართალს და მათი აზრით უაზრო და უშედეგო ბრძოლაზე ააღებინეს ხელი. მქონია უფრო მძიმე შემთხვევებიც...

— რა შემთხვევები? ამაზე უარესი რაღა უნდა მომხდარიყო?! — გაუკვირდა რეზოს.

— ამ შემთხვევებში, ჩემი ოპონენტები მხოლოდ მუქარით აღარ კმაყოფილდებოდნენ — ხდებოდა თავდასხმები... რამდენიმე ადამიანი დაასახიჩრეს. ორი კი, თავად აღმოჩნდა საპატიმროში...

— სად ვცხოვრობთ?!. — ამოიოხრა რეზომ.

— ეჭვი ხომ არ გეპარება ჩემს ნაამბობში?

— არა, — თავი გააქნია რეზომ, — სულ ცოტა ხნით ადრე, მე თავად ვუმტკიცებდი ჩემს ძმას, რომ ასეთი ამბები არ ხდებოდა. ახლა კი...

— ახლა კი?..

— ჩემი ძმის სასამართლოზე დასწრების შემდეგ, ვეღარაფრით გამაოცებ...

გოგამ მანქანა გააჩერა, შემდეგ რეზოსკენ მიბრუნდა, თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა:

— მაშინ, მიპასუხე: აპირებ თუ არა შენი ძმის გადასარჩენად ბრძოლას?

— ვაპირებ! — დაუდასტურა რეზომ.

— ბოლომდე?

— ბოლომდე!

— მაშინ, ჩვენ ერთ ადამიანს უნდა შევხვდეთ...

— ვის? — ჰკითხა რეზომ.

— ჩემი მეგობარია. ასეთ საქმეებში მეხმარება... ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან კარგი ადვოკატია.

— რა გვარია? — დაინტერესდა რეზო.

— ნუ დაძაბავ გონებას — ის არ არის ცნობილი ადვოკატი. სახელად კი... ანა ჰქვია, გვარად მდივანია, — უთხრა გოგამ და მანქანა კვლავ დაძრა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



კარგა ხანია, ამერიკამ ვუდის სკანდალი შეუნდო, მაგრამ რეჟისორი სამშობლოში თავს მყუდროდ ვერ გრძნობს და მუდამ სხვა ქვეყნისკენ მიილტვის. მეხიკოში, საკუთარი ქანდაკების გვერდით

ვის შეიძლება ვუწოდოთ ნიუ-იორკის ცოცხალი სიმბოლო, თუ არა ვუდი ალენს? 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ, როდესაც ტურისტები ნიუ-იორკში ჩასვლას უფრთხოდნენ, ქალაქის მხარდასაჭერად გადაღებულ სარეკლამო რგოლში სწორედ ის, 65 წლის კინორეჟისორი გამოჩნდა, რომელიც ცენტრალური პარკის ბილიკებზე გორგოლაჭებიანი ციგურებით დაქროდა! ახლა მას 70 წელი შეუსრულდა. „მანჰეტენის დიადი მეხოტბე" დროის უმეტეს ნაწილს უკვე საზღვარგარეთ ატარებს...

ვუდი ალენი:

„ისევ ოლოცში მადანაშაულებენ!.."

„მატჩ პოინტი", „სენსაცია", ახლა კიდევ ერთი, ჯერჯერობით უსათაურო პროექტი — ეს ფილმები ვუდი ალენმა ინგლისში გადაიღო. მის უკანასკნელ სურათში ამერიკელ მსახიობებს ნაკლებად იხილავთ, მასში ძირითადად ბრიტანელები — ირლანდიელი კოლინ ფარელი, შოტლანდიელი ივენ მაკგრეგორი და სხვები თამაშობენ. ამბობენ, თითქოს ვუდი ალენმა ნიუ-იორკი საბოლოოდ დატოვა...

„ისევ ღალატში მადანაშაულებენ, იმედი მაქვს, სასამართლომდე საქმე ახლა მაინც არ მივა, რადგან ამ შემთხვევაში მე კი არა, თავად ამერიკა შეიცვალა. ახლა, როდესაც ადამიანები კინოს გადასაღებად იკრიბებიან, სცენარის ავკარგიანობასა და მსახიობი ქალის აღნაგობაზე არავინ ლაპარაკობს. ისინი მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ ფილმში დაბანდებულმა ასმა მილიონმა, ხუთჯერ მეტი შემოსავალი მოუტანოს! მე კი მიყვარს, როდესაც კინოს კინოსთვის ვიღებ. მე რეჟისორი ვარ, ფელინის, ბერგმანის მსგავსად, უბრალოდ რეჟისორი — ეს ხუმრობით, რაღა თქმა უნდა. როგორც ჩანს, ამერიკულ კინობიზნესში ჩემი ადგილი აღარ არის. ლონდონში კი სამუდამოდ საცხოვრებლად იმიტომ არ გადავდივარ, რომ ჩემი ფსიქოანალიტიკოსი ნიუ-იორკში ცხოვრობს. თანაც ორშაბათობით, მანჰეტენზე მდებარე კაფე „კარლაილში" კლარნეტზე ვუკრავ. ეს ჩემი სამუშაოა და თვითმფრინავებთან დაკავშირებული პრობლემების გამო სამსახურში ვერ დავაგვიანებ! მოკლედ, მე ნიუ-იორკში დავიბადე და აქვე მოვკვდები!"

ოდესღაც, ნახევარი საუკუნის წინ, იქ, ნიუ-იორკში, თითქმის ერთდროულად სამი რამ მოხდა: ვუდიმ პირველად მოისმინა ჯაზი ცოცხალი შესრულებით, პირველად იხილა თეატრალური წარმოდგენა (ეს ამბავი ბროდვეიზე მოხდა) და... პირველად იქორწინა. ინტელექტუალური იუმორის მომავალ მეფეს ეს ამბები თავს 20 წლის ასაკში გადახდა — დიახ, დიახ! სწორედ ის ვუდი ალენი, რომლის ფილმებს დღეს მსოფლიოს ინტელექტუალები აღტაცებაში მოჰყავს, 20 წლის ასაკში — როდესაც მხოლოდ ოფიციანტ მარტინ კენიგსბერგისა და ნეტის ვაჟიშვილი ალენ სტიუარტ კენიგსბერგი იყო — ერუდიციითა და ინტელექტით არ ბრწყინავდა.

ბროდვეიზე მიღებულმა წარუშლელმა შთაბეჭდილებამ ებრაელი ჭაბუკი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის კინოფაკულტეტზე მიიყვანა. ალენმა ჯაზური მუსიკის კონცერტზე მიღებულ მეორე უდიდეს შთაბეჭდილებას ხარკი ფსევდონიმით — ვუდი ალენი — გადაუხადა (სახელი ვუდი — უდიდესი კლარნეტისტის, ვუდი ჰერმანის პატივსაცემად დაირქვა). ვუდი უნივერსიტეტიდან პირველსავე სემესტრის ბოლოს გამოაგდეს. „პროფესიულად უვარგისია" — ასეთი იყო პედაგოგთა ვერდიქტი, რაც ფსიქოანალიტიკოსთან ვუდის პირველი ვიზიტის მიზეზი გახდა. ეს ვიზიტი ვუდი ალენის ცხოვრებაში კიდევ ერთ, უმნიშვნელოვანეს მოვლენად გადაიქცა. სწორედ ამ 4 ვეშაპზე — ინტელექტუალურ ხელოვნებაზე, მუსიკაზე, სექსსა და ფსიქოანალიზზე ააგო მან მომავალი კარიერა ბროდვეისა და კინოხელოვნებაში. ვუდი ალენი მცირებიუჯეტიან, მაგრამ ყველასგან განსხვავებულ ფილმებს ქმნიდა, რომელთა უცვლელი გმირები თავად ვუდი და მშვენიერი, უცნაური და მომაჯადოებელი ქალაქი ნიუ-იორკი იყვნენ.

პირველმა ქორწინებამ ვუდი ალენის ბიოგრაფიაში უმნიშვნელო კვალი დატოვა. ის უბრალოდ პირველი იყო, მრავალრიცხოვან ქორწინებას, რომანსა და ფლირტს შორის. 17 წლის გოგონას ჰარლინ როუზენი ერქვა. ადრეულ ქორწინებას მნიშვნელოვანი არაფერი მოჰყვა, მით უმეტეს, რომ ვუდიმ მალე სახელი გაითქვა და ეს 165 სმ სიმაღლის, ბეჭებში მოხრილი, ყურებპარტყუნა, მაგრამ უნატიფესი იუმორის მქონე და გონებახვილი მამაკაცი ნიუ-იორკის ბრწყინვალე ქალბატონების ყურადღების არეში მოექცა. ვუდი ალენის მომდევნო ცოლი — ტანმაღალი, წითური, ჭორფლიანი ლუიზა ლესერი, რეჟისორის პირველ ხანებში გადაღებულ ფილმებში მონაწილეობდა, მაგალითად, სურათში: „ყველაფერი ის, რაც სექსის შესახებ გაინტერესებდათ, მაგრამ შეგეშინდათ კითხვები დაგესვათ". წყვილი კადრში სასაცილოდ გამოიყურებოდა. ვუდიზე მთელი თავით მაღალი და ბეჭებგანიერი ლუიზა მსახიობური ნიჭით არ გამოირჩეოდა, რეჟისორს კი მიმზიდველი, ელვარე, მასზე ღირსეული მუზა სჭირდებოდა და... მალე ვუდიმ ბროდვეის ამომავალი ვარსკვლავი დაიენ კიტონი იპოვა! საყვარლები ვუდი ალენის სახლში, მეხუთე ავენიუსა და 79-ე ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე პენტჰაუზში დასახლდნენ, რომლის ფანჯრები ცენტრალურ პარკს გადაჰყურებდა. ახალგაზრდა რეჟისორის შემოსავალი უკვე ამგვარი

ვუდი ალენი და დაიენ კიტონი ფილმში „ენი ჰოლი", 1977



მია ფეროუსთან და შვილებთან — სეგჩელთან და დილანთან ერთად, 1988

ფუფუნების საშუალებას იძლეოდა (ვუდი ალენი დღესაც ამ სახლში ცხოვრობს. მისი კარადის ერთი განყოფილება ახლაც დაიენის ნივთებითაა გამოტენილი. მათი კავშირი 8 წელი გაგრძელდა და ვუდის სასიყვარულო თავგადასავლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი იყო). მოგვიანებით, დაიენი ჩიოდა, რომ ვუდი კაფკასა და დოსტოევსკიზე ლაპარაკით აოსებდა და ფსიქონალიტიკოსთან სიარულს აიძულებდა. დაიენი ფიქრობდა, რომ ექიმი მას არაფერში სჭირდებოდა, თავად ვუდის კი — უკვე ჩამოყალიბებულ შეშლილ ინტელიგენტს, ვეღარაფერს უშველიდა. ასე იყო, თუ ისე, მათ ერთად 8 ფილმი შექმნეს, რომელთა შორისაა „ენი ჰოლი". ამ სურათმა 1977 წელს 4 „ოსკარი" მოიპოვა (დაჯილდოების ცერემონიაზე ვუდი ალენი არ გამოცხადდა, რადგან ცერემონია კვირა საღამოს გაიმართა, ორშაბათობით კი, როგორც უკვე ცნობილია, ნიუ-იორკის კაფეში კლარნეტზე უკრავს და შესაძლოა თვითმფრინავმა დაიგვიანოს!). შემდეგ დაიენმა ქალმა და დაიენმა მსახიობმა ვუდი დატოვა და უორენ ბიტთან წავიდა.

დაიენ კიტონთან განშორებით გამოწვეული დეპრესიის შესახებ, ვუდი ყველას უყვებოდა, ვისაც კი მისი მოსმენა არ ეზარებოდა: ფსიქოანალიტიკოსს, მეგობრებს, ნათესავებსა და ჟურნალისტებს. ამ დროს, მისი ახალი სიყვარული უკვე ნიუ-იორკის ქუჩებში დაიარებოდა. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, ვუდიმ უთხრა: „თქვენ დღევანდელი დღე



სუნი პრევინთან, მეწბისა და ბეშესთან ერთად, 2003 წ

გმიცისკროვნეთ! უარეს შემთხვევაში, ერთი დღე მაინც"... ახალი სიყვარული მხოლოდ ერთი დღე როდი გაგრძელდა...

იმ დროისათვის მია ფეროუმ სახელი სკანდალური სურათით — „როზმარის ჩვილი" გაითქვა. მსახიობი უკვე 2-ჯერ იყო გათხოვილი. მისი პირველი ქმარი თავად ფრენკ სინატრა იყო. მეორე ქმართან, კომპოზიტორ ანდრე პრევინთან მიას 3 შვილი და სამი სხვადასხვა ეროვნების ნაშვილები ბავშვი, მათ შორის 9 წლის კორეელი გოგონა — სუნი ჰყავდა. მიამ და ვუდიმ მათი 11-წლიანი კავშირის დროს კიდევ 2 ბავშვი — გოგონა დილანი, ბიჭუნა მოზერი იშვილეს და საერთო შვილიც გააჩინეს, რომელსაც ვუდის საყვარელი ბეისბოლისტის პატივსაცემად, სეტჩელი დაარქვეს. მიუხედავად ამისა, მია და ვუდი არ დაქორწინებულან. უფრო მეტიც, მათ ერთ ოჯახად არასდროს უცხოვრიათ (ვუდიმ ფსიქოანალიტიკოსის რჩევა გაითვალისწინა)! მათი ბინები ცენტრალური პარკის სხვადასხვა მხარეს მდებარეობდა. ალენი-ფეროუს მრავალრიცხოვანი ოჯახი მუდამ ერთი ბინიდან მეორეში დაიარებოდა და ეს მოხეტიალე ბანაკი იმ წლებში ცენტრალური პარკის ისეთსავე ღირსშესანიშნაობად მიიჩნეოდა, როგორადაც პარკის გუბურაში მოცურავე იხვები. ასეთი ცხოვრების სტილი მიასაც აძლევდა ხელს, მით უმეტეს, რომ ვუდის სახელგანთქმულ ფილმებში მთავარი როლები გარანტირებული ჰქონდა.

1992 წლის 13 იანვარს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა: იმ საღამოს მია ვუდის ელოდა და თან მის საბუთებს ალაგებდა. მოულოდნელად, პოლაროიდის აპარატით გადაღებული სურათების შეკვრას გადააწყდა, რომელზეც 21 წლის შიშველი სუნი იყო გამოსახული. ადვილი წარმოსადგენია, რა უთხრა ვუდის, მან კი ჩვეულებისამებრ მხრები აიჩეჩა და როგორც ყოველთვის, მიას სუნისთან ერთად, ფსიქოანალიტიკოსთან წასვლა შესთავაზა!

წარმოუდგენელი, ენით უთქმელი, ბინძური სკანდალი სწრაფად აგორდა. გაზეთებმა ალენის სახელი წუმპეში ამოსვარეს. მიას ყოფილი ქმარი, ფრენკ სინატრა ვუდის „ფეხების ძირში მოჭრით" ემუქრებოდა (სინატრას მაფიასთან მჭიდრო კავშირის გათვალისწინებით, ამგვარი მუქარა ფრიად რეალურად ჟღერდა). მიამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ყოფილი საყვარელი, სუნის გარდა, 9 წლის დილანთან კავშირშიც დაადანაშაულა, რაც საფუძველს მოკლებული ბრალდება იყო — უბრალოდ, ვუდის დილანი სხვა ბავშვებზე მეტად უყვარდა. უიღბლო ლოველასი ხუმრობას მაინც არ იშლიდა: „სექსი საოცრად საშიში, ბინძური და უზნეო რამეა, რომლის კეთება მხოლოდ სიბნელეში შეიძლება". თავის მართლებას კი ამ სიტყვებით ცდილობდა: „რა ვქნა, ერთდრულად ორი ქალი მიყვარს. სუნი სრულწლოვანია, ხოლო ის და მია რომ დედა-შვილია, ეს ჩემთვის უმძიმესი განსაცდელია".

და უსასრულო სასამართლო პროცესები დაიწყო. ვუდიმ გადაწყვიტა, მიასთვის დილანსა და სეტჩელზე უფლებები წაერთმია, რასაც რასაკვირველია ვერ მიაღწია. სასამართლო ჯერ დასრულებულიც კი არ იყო, როდესაც მიამ სეტჩელსა და დილანს სახელები შეუცვალა: დილანს — ელაიზა დაარქვა, სეტჩელს კი — ხან რომანი უწოდა, ხანაც შიმუსი. ამ ალიაქოთში ღიმილის მომგვრელად ჩანდა ის ამბავი, რომ მია ვუდი ალენის ფილმში „ცოლები და ქმრები" გადაღებებს აგრძელებდა — კონტრაქტის დარღვევა ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე თერთმეტწლიანი სასიყვარულო კავშირის გაწყვეტა! მია მორიგი სცენის გადაღების დასრულებისთანავე ადვოკატთან გარბოდა და სასამართლო პროცესისთვის ემზადებოდა. საქმის დასკვნითი ნაწილი ტელევიზიის პირდაპირი ეთერით გადაიცა. სასამართლომ ყველას მისი კუთვნილი არგუნა. მიას თოთხმეტი ბავშვი დარჩა (ზოგი საკუთარი, ზოგიც ნაშვილები), ვუდის კი — სუნი. ვუდი იმდენად გულუბრყვილო აღმოჩნდა, რომ მია ფეროუს ახალ სურათში, „მანჰეტენის საიდუმლოებით მოცული დანაშაული" როლი შესთავაზა. მსახიობმა, რა თქმა უნდა, უარი განაცხადა და ეს როლი საბოლოოდ... დაიენ კიტონმა ითამაშა. უნდა ითქვას ისიც, რომ ახალი ცოლი — სუნი, ვუდი ალენს კინოში რატომღაც არასდროს გადაუღია...

ამჟამად ვუდისა და სუნის ოჯახში ორი შვილობილი გოგონა იზრდება. ბეშე დიუმეინს სახელი ჯაზის კლარნეტისტის პატივსაცემად დაარქვეს, მენზი ტიოს კი — ამავე ჯგუფის დასარტყმელ ინსტრუმენტებზე დამკვრელისადმი ვუდის სიყვარულის ნიშნად. ამერიკამ კარგა ხანია ვუდი ალენს სკანდალური თავგადასავლები შეუნდო, მაგრამ თავად რეჟისორი სამშობლოში თავს მყუდროდ ვეღარ გრძნობს და მუდამ სხვა ქვეყნისკენ მიილტვის. მან თვითმფრინავებისადმი შიში და სასტუმროების სიძულვილი დაივიწყა და მოხეტიალე ცხოვრებით ცხოვრობს. თუმცა, ლონდონის იმ სასტუმროს — სადაც ამჟამად ვუდი და მისი ოჯახი დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ — ადმინისტრაცია გაოგნებული დარჩა, როდესაც ვუდიმ და სუნიმ იქ საკუთარი ლეიბები მიიტანეს, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ — ეს ახირებული ადამიანი ხომ მსოფლიო კინემატოგრაფიის ცოცხალი ლეგენდაა!

სკარლეტ იოჰანსონთან ერთად, ფილმის — „სენსაცია" გადაღებების დროს. ლონდონი. 2005 წ

ჯორჯ კლუნიმ თეთრ სახლს მეტმენის ნიღაბი ამჯობინა



ჯორჯ კლუნი პოლიტიკური კარიერის გამო, კინოინდუსტრიის მიტოვებას არ აპირებს! ეს განცხადება მსახიობმა არნოლდ შვარცენეგერის მიერ ახალ კანონზე ხელმოწერის ცერემონიაზე გააკეთა. ჟურნალისტებს, რომლებიც ირწმუნებიან, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატად კლუნის ხილვა მის უამრავ თაყვანისმცემელს სურს, მსახიობმა განუცხადა: „მერწმუნეთ, თქვენ თავადაც არ გსურთ, რომ პოლიტიკოსის როლში მიხილოთ!“ მსახიობმა საპრეზიდენტო არჩევნებში მისი კანდიდატურის წამოყენების იდეას „ცუდი იდეა“ უწოდა. ჯორჯ კლუნი ამბობს, რომ არნოლდ შვარცენეგერის მიერ გაკვალული გზით სიარულს არ აპირებს: „ის გუბერნატორი გახდა, მე კი თავს დღემდე ბეტმენად ვგრძნობ“ (მკითხველს შევახსენებთ, რომ ორივე მსახიობმა ფილმში — „ბეტმენი და რობინი“ ითამაშა). ამ სიტყვების მიუხედავად, ცერემონიაზე მყოფმა ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ კლუნის განცხადებები ძალზე წააგავს მისი პოლიტიკური ამბიციებიდან ყურადღების სხვა თემაზე გადატანის განზრახ მცდელობას. კლუნი, რომელიც საკუთარ თავს ლიბერალ-დემოკრატებს მიაკუთვნებს, პოლიტიკურ არენაზე საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობს. ცოტა ხნის წინ, მსახიობმა ამერიკის კონგრესს და გაეროს მკაცრად მოსთხოვა, რომ სასწრაფო ზომები მიიღონ სუდანის დარფურის რაიონში ძალადობის აღსაკვეთად. ■

ოზი ოსმოტნის ვაქი მამის კვალს გაჰყვა

ცოტა ხნის წინ, გაზეთმა Daily Mirror-მა ლეგენდად ქცეული ოზი ოსბორნის ვაჟიშვილის, ჯეკის ავტობიოგრაფიული ჩანაწერების გამოქვეყნება დაიწყო. თავდაპირველად, პუბლიკაციას განსაკუთრებული რეზონანსი არ მოჰყოლია, მაგრამ ერთ-ერთ ბოლო ნომერში დასტამბულმა მონაკვეთმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩანაწერების ამ ნაწილში ჯეკი იმის შესახებ წერს, თუ როგორ დაიწყო მამის მიბაძვით ნარკოტიკების მოხმარება. „მამას ყველაფერში ვბაძავდი, მაგალითად: „ტიკ-ტაკს“ ვყიდულობდი და რამდენიმე დრაჟეს ერთბაშად ვყლაპავდი. მეჩვენებოდა, რომ ზუსტად ისე ვიქცეოდი, როგორც მამა“, — იხსენებს ჯეკი, რომელიც 13 წლის ასაკიდან ალკოჰოლიზმითაა დაავადებული. მისი ნარკოტიკებით გატაცება ტკივილგამაყუჩებელი აბების მიღებით დაიწყო. „თავდაპირველად ბევრს ვსვამდი, ბევრს ვეწეოდი, ხოლო როდესაც კელის დანა ყელზე მივაბჯინე, მშობლები მიხვდნენ, რომ სამკურნალო ვიყავი. რაღაც აბებს მასმევდნენ. ახლა ამ პრეპარატზე „შევჯექი“; შემდეგ მინის ნამსხვრევით ხელებს ვისერავდი, რომ ტკივილგამაყუჩებელი მიმეღო. ერთხელ, იმდენი წამალი დავლიე, რომ გამოფხიზლებულმა გონება ველარ მოვიკრიბე. ექიმს დავურეკე და მას შემდეგ ვმკურნალობ“, — წერს ჯეკი ოსბორნი. ■

კეიტ უინსლეტი — მოტოქსის წინააღმდეგ



ფილმის — „ტიტანიკი“ ვარსკვლავი კეიტ უინსლეტი ჰოლივუდის საყოველთაო გატაცების — ბოტოქსის ინიექციების წინააღმდეგ საჯაროდ გამოდის. „ჩემი აზრით, მსახიობმა პირველ რიგში იმაზე უნდა იფიქროს, თუ როგორ გადმოსცეს გრძნობები და ემოციები მიმიკის საშუალებით და არა იმაზე, რომ სახე მუდამ გადატკეცილი ჰქონდეს და ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს. მსახიობს ბოტოქსი მხოლოდ ხელს უშლის მუშაობაში! მართალია, ინიექციები ნაოჭებს აქრობს, მაგრამ სახეს უმოძრაოს ხდის“, — ამბობს კეიტ უინსლეტი, რომელიც მხოლოდ ბოტოქსის ინიექციების წინააღმდეგ როდი გმოდის. მსახიობი გახდომის სხვადასხვა მეთოდიკასა და პლასტიკურ ქირურგიასაც უნდობლად შეჰყურებს; ის ამტკიცებს, რომ ბუნებრიობასა და სისადავეს არაფერი სჯობს. ■

50 Cent და დიდი დაზავდნენ

ამერიკელი რეპერები — 50 Cent და დიდი, ხანგრძლივი შუღლის შემდეგ, ისევ დაზავდნენ. შერიგება მას შემდეგ შედგა, რაც დიდიმ კოლეგას უღირსი საქციელის გამო ბოდიში მოუხადა. 50 Cent-სა და დიდის შორის განხეთქილება მას შემდეგ ჩამოვარდა, რაც რეპერი მეისი ხმის ჩამწერი კომპანიიდან — Bad Boy Records წავიდა და ერთ-ერთი მუსიკოსის კუთვნილ კომპანია G-Unit Records-ში გადავიდა. არაფერიც არ მოხდებოდა, დიდის კოლეგის მისამართით რამდენიმე, არცთუ ისე სასიამოვნო კომენტარი რომ არ გაეკეთებინა, რამაც მათ ურთიერთობას დაღი დაასვა. მაგრამ ახლა რეპერები ისევ შერიგდნენ: „მან დამირეკა, ჩვენ ყველაფერი გავარკვიეთ და შევრიგდით — ასე რომ, ახლა ისევ მეგობრები ვართ“, — განაცხადა 50 Cent-მა MTV-სთან ინტერვიუში. ■

დენიზ რიჩარდსი ისევ თხოვდება

მსახიობი დენიზ რიჩარდსი და მუსიკოსი რიჩი სამბორა დაინიშნნენ. მართალია, რიჩი ჯერ კიდევ ჰიზერ ლოკლირის ქმარია, დენიზი კი — ჩარლი შინის ცოლი, მაგრამ ეს წვრილმანი ორი მოსიყვარულე გულის შეერთებას ხელს არ შეუშლის.

ორივე მათგანი მეუღლეებთან განქორწინებასა და ახალი ოჯახის შექმნას აპირებს. დენიზს საკმაოდ ხანგრძლივი განქორწინების პროცესი ელოდება, რადგან ჯერ ერთი, ჩარლი შინთან ორი შვილი ჰყავს, მეორეც — ის ირწმუნება, რომ ჩარლი სცემდა, თანაც საყვარელ ძაღლსაც არ უთმობს! ■

„როცა ჯერ კიდევ 18-19 წლის ჩამოუყალიბებელი ადამიანი ხარ, ყველაფერს სხვანაირი თვალით უყურებ, სულ გართობაზე ფიქრობ. მოკლედ, ძალიან მაგარი ასაკია“, — ამბობს „პირველი სტერეოს“ წამყვანი თეონა ცერცვაძე (იგივე თეო-თეო), რომელიც, მართალია, ჯერ ისევ თინეიჯერულ ასაკშია, მაგრამ რატომღაც, ნაადრევად „დაღვინდა“ და თანატოლებთან საერთო ენას ველარ პოულობს.

ბაუეური „ბაფრენეზი“, ექსცალლეზლის ქიერ „ბაფუჭეზული“ ბოზონა და დაქსასურეზული „ეზლის ზილეთი“

„ქურთმა ქალმა ცოცხი რომ დაკარგა, პოლიცია მე მომადგა“...

ლიკა ქაჯაია

— როგორც ვიცი, შენ ჯერ კიდევ თინეიჯერი ხარ, არა?

— ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კი, მაგრამ ვფიქრობ, რომ თინეიჯერი აღარ ვარ, რადგან უკვე 2 წელია, დავსერიოზულდი, ჩამოვყალიბდი. ალბათ ეს იმის ბრალია, რომ ცხოვრებაში ყველაფერს ნაადრევად მივაღწიე, მუშაობა დავიწყე, ისეთი ქცევები აღარ შემეფერებოდა, როგორიც მანამდე მქონდა და ა.შ.

— როცა ნამდვილი თინეიჯერი იყავი, მაშინ როგორ იქცეოდი?

— იმ პეროდის გახსენებაც არ მინდა, რადგან სასწაული ბავშვი ვიყავი — სკოლის არსებობის ისტორიაში ერთადერთი გოგონა გახლავართ, რომელიც აღრიცხვაზე აიყვანეს და მერე სკოლიდან გარიცხეს.

— გაცდენების გამო თუ რაიმე სხვა მიზეზით?

— პირველ გიმნაზიაში ვსწავლობდი და მეშვიდე კლასამდე ძალიან კარგი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ მერე ავურიე, უამრავი გაცდენა მქონდა. გაკვეთილებიდან ვიპარებოდით და დილიდან საღამომდე კაფეში ვისხედით.

— იქ რას აკეთებდით?

— ვჭორაობდით, ყირაზე გადავდიოდით, ვმაიმუნობდით — სხვა რა საქმე გვქონდა?! ახლა, რომ მომისაჯო, იქ ერთი საათიც ვერ დავჯდები.

— მთელი კლასი იპარებოდა თუ მარტო შენი „სასტავი“ მიდიოდა?

— არა, „სასტავი“ — 5 გოგო-ბიჭი მივდიოდით, დანარჩენები მუდოები იყვნენ...

— მუდოებში რას გულისხმობ?

— ძალიან წყნარები იყვნენ, თითქოს ცხოვრება არ უხაროდათ და ასეთ ადამიანებთან ვერ ვკონტაქტობდით. ჩემს „სასტავში“ მხოლოდ ისინი იყვნენ, ვისაც თავში უქროდა, „ბლატაობა“ შეეძლო და ა.შ.

— წყნარ ბავშვებს თქვენ — ე.წ. „ბლატნოი“ ტიპები ჩაგრავდით?

— შეიძლება ითქვას — კი, რადგან მათ ვაიძულებდით, ჩვენთვის საკონტროლოები, საშინაო დავალებები დაეწერათ, ჩვენი საქმეები მოეგვარებინათ *(იცინის)*.

— და ამას თუ არ გააკეთებდნენ, მაშინ?..

— მაშინ, მათ გამწარებას ვიწყებდით — ჟურნალს ვიპარავდით და ფრიადოსან მოსწავლეებს ორიანებს ვუწერდით, მერე იყო ტირილი და მთელი ამბავი...

— ალბათ სკოლა დამაკმაყოფილებელ ნიშნებზე დაამთავრე, არა?

— როგორ გეკადრება?! სხვათა შორის, ატესტატი რომ ავიღე, იქ მხოლოდ ოთხიანები და ფრიადები ეწერა.

— „ჩააწყვე“?

— არაფერიც არ ჩამიწყვია, უბრალოდ, სიცელქის პარალელურად, ბოლო კლასებში სწავლასაც მოვუმატე, თორემ მანამდე, სამიანებიც ოხრად მქონდა. მასწავლებელი მოსწავლეების სიას რომ კითხულობდა და ჩემს სახელსა და გვარს ამოიკითხავდა, თავს მერხის ქვეშ შევყოფდი ხოლმე და იქიდან ვყვიროდი: არ არის-მეთქი. მოკლედ, გაკვეთილს ვესწრებოდი და მაინც „არა“ მეწერა *(იცინის)*.

— კი, მაგრამ ვერ გამჩნევდნენ?

— რას შემამჩნევდნენ, როცა კლასში 50 მოსწავლე იჯდა?! სხვათა შორის, ნახევარი კლასი ამყვებოდა ხოლმე და როცა ოთახი გადაჭედილი იყო, ამ დროს, ჟურნალში ნახევარზე მეტს „არა“ ეწერა.

— როგორც ჩანს, მასწავლებლების გამწარებაც გიყვარდა?

— ისტორიის მასწავლებელი მყავდა ამოჩემებული. ერთი საწყალი მოხუცი ქალი იყო (ახლა რომ ვფიქრობ, ვერ ვხვდები, მისგან რა მინდოდა), რომელიც ბაბუაჩემსაც ასწავლიდა, მამაჩემსაც და მეც. მოკლედ, ყვავივით იყო, არ კვდებოდა. ერთხელ ძალიან გამამწარა — ისტორიის გაკვეთილი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი დაზეპირებული მქონდა, მეორე არ ვიცოდი. გამიყვანა და რომ მიხვდა, პირველი ვიცოდი, გამაჩერა, სხვა გამოიძახა, პირველი ნაწილი მას მოაყოლა და მითხრა: შენ მეორე მომიყევიო. ერთი ამბავი ავტეხე — ვჩხუბობდი, ვყვიროდი, ისტერიკა დამეწყო და შენ წარმოიდგინე, შევიგინე კიდეც. გაკვეთილიდან გამაგდეს და მას შემდეგ, როცა იმ ქალის გაკვეთილი გვქონდა, მთელი 3 თვის განმავლობაში დერეფანში ვიჯექი. თან, იმ დღის მერე მთელი სკოლა ჩემზე ლაპარაკობდა — ცერცვაძე გაფუჭებული ბავშვიაო!

— რომელი საგანი მოგწონდა?

— ვგიჟდებოდი მათემატიკაზე და ამ საგანში ძლიერიც ვიყავი, მომწონდა განტოლებების ამოხსნა, მაგრამ მაღალ კლასებში სხვა მასწავლებელი მოვიდა, რომელიც რატომღაც გადამეკიდა და ეს საგანი შემაძულა. სამიანზე მაღალ ნიშანს არ მიწერდა, თორემ შეიძლება, დღეს მათემატიკოსი ვყოფილიყავი და გარეკილიც მექნებოდა.

— „შატალოდან“, კაფე-ბარის გარდა, კიდევ სად მიდიოდით ხოლმე?

— ვაკის პარკში (იქ სიარული „ცვეტში“ იყო), „მზიურში“ და ისეთ ადგილებში, სადაც კარუსელები იყო. სხვათა შორის, „შატალოზე“ რომ წავსულიყავით, ამისთვის რისკზე წასვლაც გვიწევდა. სკოლაში გვყავდა დარაჯი, რომელიც, ზარი დაირეკებოდა თუ არა, კარს კეტავდა და გარეთ გასვლა შეუძლებელი ხდებოდა, დერეფანში პირველი სართულის ფანჯრები დალუქული იყო. ამიტომაც, ერთხელ მეორე სართულის ფანჯრიდან გადავხტი და მერე ისე შემეშინდა (თუმცა, არაფერი მიტკენია), რომ ვთქვი: ასეთ რისკზე აღარ წავალმეთქი და როცა გაპარვა მოგვინდებოდა, პირველ სართულზე იმ ოთახებში შევრბოდით, სადაც დაწყებით კლასებს უტარებდნენ გაკვეთილს, ფანჯარასთან მივცვივდებოდით და იქიდან ვხტებოდით. მერე დარაჯი, მასწავლებლები, დირექტორი მოგვდევდნენ, მაგრამ „იასნია“, მათ სირბილში ვჯობნიდით და ვერ გვეწეოდნენ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა კლასიდან იმ დროს ვიპარებოდი, მასწავლებელი გაკვეთილს რომ გვიხსნიდა — ჩავიკუზებოდი და ნელ-ნელა გავდიოდი.

— „შატალოდან“ დისკოთეკებზე არ მიდიოდით?

— სად იყო მაშინ დისკო-კლუბები ან რომც ყოფილიყო, იქ ვინ გაგიშვებდა?! მიმაჩნია, რომ იქ მოსწავლეების ადგილი არ არის და ასეთ დაწესებულებებში მშობლებმა შვილები არ უნდა გაუშვან.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ღამისთევა და რაღაც სისულელეებით გართობა მათ არაფერში სჭირდებათ. მშობელი, რომელიც თავის შვილს კლუბში უშვებს, ეტყობა, შვილზე არ ზრუნავს ისე, როგორც საჭიროა. თინეიჯერობის ასაკში რომც გავჭაჭულიყავი, ღამის გასათევად უპატრონოდ მაინც არ გამიშვებდნენ და ეს სწორიც იყო. მიმაჩნია, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს და ამ ასაკში მხოლოდ მეგობრების წრეში უნდა გაერთო. როცა 20

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. იუდა წითური იყო.
2. ყველა მოლუსკი ერთსქესიანია.
3. პუტინი განათლებით იურისტია.
4. კლეპტომანია ქალებში უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში.
5. „ლუდის მომგონი ბრძენთაბრძენია“, — ამბობდა პლატონი.
6. შრომა დეპრესიისგან განკურნების საუკეთესო საშუალებაა.
7. რაც უფრო პატარაა ცხოველი, მით უფრო ხშირია მისი გულისცემა.
8. კულინარიაში ყველა იტალიელი საკუთარ თავს ექსპერტად მიიჩნევს.

9. მაცივარში მოთავსებული ცხელი წყალი უფრო სწრაფად იყინება, ვიდრე ცივი.
10. ბერიას ყოფილ საცხოვრებელ სახლში დღეს ტუნისის საელჩოა განთავსებული.
11. „მეგობრობა საერთო ინტერესთა დროებითი თანხვედრაა“, — ამბობენ ამერიკელები.
12. დატყვევებულ ინგლისელ მშვილდოსნებს ფრანგები საჩვენებელ და შუა თითებს აჭრიდნენ.
13. იაპონიაში მიღებული არ არის, საყოფაცხოვრებო მომსახურების პერსონალისთვის ფულის ჩუქება.
14. „ვ ნაშეი პროდოვოლსტვენნოი კორზინე ვსიო ბოლშე ი ბოლშე პიშჩი დლია რაზმიშლენია“, — ოხრავენ რუსები.
15. არაფერი არ იწვევს ისეთ მღელვარებას, როგორსაც სიტყვები — „გთხოვთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე“.
16. მარგარეტ ტეტჩერს „რკინის ლედი“ პირველად 1976 წელს, გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ უწოდეს.
17. „ჭამეთ მაკარონი და მიიღეთ ზეთისხილის ზეთის აბაზანები“, — ასეთია ახალგაზრდობის შენარჩუნების სოფი ლორენისეული რეცეპტი. 2007 წლის კალენდრისთვის მსახიობმა შიშველმა გადაიღო ფოტოები.
18. 70-იან წლებში იაპონიაში მოსწავლეები გაიფიცნენ. ისინი მოითხოვდნენ, ზეპირი ანგარიშის გაკვეთილები, კალკულატორის მოხმარების გაკვეთილებით შეცვლილიყო.
19. ქათმის ბარკლებს ძნელად თუ ნახავთ ამერიკის მაღაზიებში. მათ ძირითადად ამუშავებენ და ძაღლებისა და კატების საკვების დასამზადებლად იყენებენ.
20. უქართველებო საქართველოს მოსურნე კონსტანტინ ზატულინი (ფუი, წლის იქნები — კი, ბატონო, შეგიძლია, არაფერი დაიკლო, სადაც გინდა, იქ ნახავალ, ეს უკვე შენი გადასაწყვეტი იქნება.

— რას ნიშნავს გარდატეხის ასაკი?

— ეს არის საშინელება. მახსოვს, ამ ასაკში რომ ვიყავი, სახლში სულ ვჩხუბობდი, ვბუზღუნებდი. ახლა, ჩემი და სწორედ გარდატეხის ასაკშია და მას რომ ვუყურებ, ჩემი თავი მახსენდება და ნერვები მეშლება — ვერანაირად ვერ მიუდგები, ვერც ჩხუბით, ვერც შეგონებით და ვერც ტკბილი სიტყვით. ამის წამალი მხოლოდ დროა.

— როგორი წარმოდგენა გაქვს ადამიანზე, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე თინეიჯერად რჩება?

— სულ თინეიჯერის ასაკში ჩემი მტერი იყოს! ყველაფერს თავისი დრო აქვს. მოხუცი თინეიჯერი — აუ, რა სასაცილო იქნება! ასეთი რაღაც მაგრად „ტეხავს“.

— ის არ „ტეხავს“, როცა ამ ასაკისთვის შეუფერებლად იქცევი და სერიოზული ადამიანის იმიჯი გაქვს?

— არა, რადგან ხომ არ ყოფილა ისე, რომ თინეიჯერი საერთოდ არ ვიყავი! ცუდი არაფერია იმაში, რომ ნაადრევად „დავლვინდი“. სხვათა შორის, ამის გამო ჩემი ასაკის ადამიანებთან ვერ ვკონტაქტობ, მათთან საერთო ენის გამონახვა მიჭირს.

— და ამის გამო, თანატოლების გულისწყრომას არ იმსახურებ?

— რომ გავიგო, ისინი მხოლოდ იმის გამო ჭორაობენ ჩემზე, რომ დავსერიოზულდი და რაღაც სისულელეები არ მაინტერესებს, ამას ასე არ დავტოვებ და მათ დავუმტკიცებ, რომ სიგიჟის ჩადენა ჯერ კიდევ შემიძლია.

— თინეიჯერობის ასაკში ვინმესთვის თუ მიგიბაძავს?

— ჩემთვის მისაბაძი ადამიანი მაკა ასათიანი იყო, მასზე ჭკუა მეკეტებოდა და დღემდე ასეა — ერთადერთი ქალია, ვინც მომწონს (მით უმეტეს, საქართველოში).

— რაში ჰბაძავდი?

— ყველაფერში, რაშიც შეიძლება ადამიანს მიჰბაძო — თმის ვარცხნილობაში, მანერებში, ჩაცმულობის სტილში. მოკლედ, მისი თაყვანისმცემელი ვიყავი, მაგრამ არ ვაფანატებდი.

— ეს რას ნიშნავს?

— იმას, რომ მაკას არასდროს ვთხოვდი: „კევი“ მესროლე ან შემომაფურთხე-მეთქი...

— მისი ნაქონი და ნახმარი ნივთები აუქციონზე რომ გამოეტანათ და შენთვის ხელსაყრელ თანხად გაეყიდათ, შეეცდებოდი თუ არა, რომ გეყიდა?

— ტანსაცმელი — კი, მაგრამ ცხვირის „სალფეთქებს“ ნამდვილად არ შევიძენდი *(იცინის)*.

— ვისი ფანი იყავი და მას შემდეგ, რაც დასერიოზულდი, გემოვნება თუ შეგეცვალა?

— ძალიან მომწონდა ბრედ პიტი, მაგრამ ახლა მიკი რურკი მომწონს.

— გეთანხმები, მათ შორის რადიკალური განსხვავებაა...

— თინეიჯერობის ასაკში „ბაცნები“ უფრო მომწონდა, ახლა კი — მამაკაცური და სერიოზული ტიპები მიზიდავს.

— თეო, შეყვარებული არ გყავდა?

— ვაიმე, ისეთი ახტაჯანა ვიყავი, რომ სიყვარულს ვინ ამიხსნიდა?! ბიჭი თუ მეტყოდა — მიყვარხარო, მე და ჩემი დაქალები ცემით მოვკლავდით, მერე დაიწყებოდა საქმის გარჩევა და ა.შ. თან, ჩვენს დროს მოდაში იყო ის, რომ შეყვარებულ ბიჭს გოგოს ქურთუკი ნაგვის ურნაში უნდა ჩაეგდო. თუ ჩანთას მომპარავდნენ, ამაზე რეაქცია არ მქონდა, რადგან ვიცოდი, რომ მალევე დამიბრუნებდნენ (აბა, სახლში ხომ არ წაიღებდნენ!).

— შენი ქურთუკი თუ ჩაუგდიათ ნაგვის ყუთში?

— ეს მხოლოდ ერთხელ გაბედეს — კლასში შევედი და ქურთუკი რომ ვეღარ ვიპოვე, მივხვდი, რომ ურნაში იქნებოდა და „გავაფრინე“. გაკვეთილს სასწავლო ნაწილის გამგე გვიტარებდა. ამ ქალმა გვითხრა: ახლა გარეთ გავიხედავ და თუ დერეფანში არავინ იქნება, გაკვეთილიდან გაგათავისუფლებთო.

— „შატალოზე“ მიდიოდა?

— აბა, რა! ეს ხომ მასწავლებლებსაც სჭირდებათ... გაიხედა და გვითხრა — ბავშვებო, ჩაიცვითო. ავდექი, კარში ჩავდექი და ვთქვი: აქედან ფეხს ვერავინ გაადგამს მანამ, სანამ ჩემს ქურთუკს ურნიდან არ ამოიღებთ და არ განმენდთ-მეთქი, — მერე გინებაც მივაყოლე — ასე თუ არ მოიქცევით, თქვენს დედებს მ...-მეთქი! — მთელი სერიოზულობით ვიყვირე. ქალი გამოშტერდა, რადგან მანამდე ისეთი წყნარი ვიყავი, რომ ჩემგან ასეთი რამ ვერ წარმოედგინა. ბიჭები დაფაცურდნენ — ქურთუკი ამოიღეს, გაწმინდეს და მომცეს. მხოლოდ ამის შემდეგ გავიდნენ კლასიდან. მერე ის მასწავლებელი ამბობდა: ჩემს თვალში თეონამ ერთიორად მოიმატაო. ვიფიქრე: ასე თუ უნდოდა, მანამდეც შევიგინებოდი-მეთქი და ამ ამბის შემდეგ „ავუშვი“...

— ანუ შენს „გაფუჭებაში“ პედაგოგებსაც მიუძღვით წვლილი?

მერე გინებაც მივაყოლე — ასე თუ არ მოიქცევით, თქვენს დედებს მ...-მეთქი!

— აბა, რა! მათ გამათამამეს და მეც მომეწონა.

— თეონა, მშობლები რამეში გზლუდავდნენ?

— თინეიჯერობის ასაკში, ერთადერთი რამ, რაშიც შეზღუდული ვიყავი, ეს იყო დრო, რადგან მშობლებს ყველანაირ წრეზე დავყავდი... არსად წასვლის პრობლემა არ მქონია და ამისთვის მშობლების მადლიერი ვარ. თუ დაბადების დღეზე, წვეულებაზე ან უბრალოდ, მეგობართან დასარჩენად მივდიოდი, ისინი მეტყოდნენ: ოღონდ, ჩვენ მიგიყვანთ და — „პაჟალუსტაო“.

— როგორ ფიქრობ — დღეს თინეიჯერებს რა პრობლემები აწუხებთ?

— ამ ასაკის ადამიანების ერთადერთი პრობლემა — სიყვარულია: სულ იპრანჭები, გინდა, გყავდეს ბევრი თაყვანისმცემელი, რადგან რაც უფრო მეტი „პაკლონიკი“ გყავს, მით უფრო მაგარი ხარ (ყოველ შემთხვევაში, ამ ასაკში ასე ფიქრობ) და თუ არ გყავს, მერე იწყებ ამის მიზეზის ძებნას და ამ ძიების დროს, სხვების ლანძღვაც გიწევს, ხდები შურიანი, რაც თავისთავად, საშინელი სენია.

— დღევანდელი თინეიჯერები მართლა უნიგნურები არიან?

— აბა, ამ ასაკში წიგნი ვის აინტერესებს?! მხოლოდ გართობაზე ფიქრობ. საერთოდ, როცა „დაღვინდები“, წიგნის კითხვას მერეც მოასწრებ.

— მაგრამ დროს ხომ კარგავ?!

— აბა, რას შვრები?! გართობაც უკან მოგრჩება და ყველაფერიც, მაგრამ ეს მაინც ასეა — ამ ასაკში გართობა უფრო დიდი დოზით გჭირდება. დღეს ათასნაირი გასართობი საშუალება არსებობს, სახლში თითქმის ყველას აქვს კომპიუტერი და წიგნი ვის რაში სჭირდება?! პატარა და მყავს და რომ ვნახო, 24 საათის განმავლობაში წიგნს კითხულობს, ვიფიქრებ: გარეკა-მეთქი.

— იქნებ გაიხსენო თინეიჯერობის ასაკში ჩადენილი ყველაზე დიდი სიგიჟე?

— ისევ ჩემს აღრიცხვაზე აყვანას დავასახელებდი.

— მაგრამ მაინც არ მეუბნები, რატომ აგიყვანეს...

— კარგი, გეტყვი. ქიმიის მასწავლებელი გვყავდა ისეთი მკაცრი, მის გაკვეთილზე რომ გაგეცინა, კლასიდან გაგაგდებდა. ამ ქალის გაკვეთილი უნდა გვქონოდა, მაგრამ 2 გოგო და 3 ბიჭი მოპირდაპირე ოთახში შევედით და კარტის თამაში დავიწყეთ. მასწავლებელმა დაგვინახა და ატყდა ერთი ამბავი, გვითხრეს: ხვალ მშობლები მოიყვანეთო. დედ-მამას როგორ მივიყვანდი?! ახალგაზრდა დეიდა მყავს და იმას ვთხოვე: ხვალ სკოლაში გამომყევი-მეთქი. მეორე დღეს, „სასწავლო ნაწილმა“ და დირექტორმა გაგვლანძღეს, მერე გვითხრეს: ახლა აღრიცხვაზე აგიყვანთ, სკოლიდან გაგაგდებთ, „მგლის ბილეთს“ (თუ რაღაც უბედურებას) მოგცემთ და თქვენს უბანში თუ რამე დაიკარგება, პოლიცია მოგადგებათო. ყველა ტიროდა, მე კი წარმოვიდგინე, რომ ჩემს უბანში პიანინო დაიკარგა და მომადგნენ — სად წაიღეო? — და სიცილი ამიტყდა. „სასწავლო ნაწილმა“ მითხრა: იცინე, იცინე, ვნახავ, ბოლოს ვის ექნება სასაცილოდ საქმეო.

— „მგლის ბილეთი“ მოგცეს?

— კი და ერთხელ ქურთმა ცოცხი რომ დაკარგა, პოლიციელები მე მომადგნენ *(იცინის)*... ამ ამბის შემდეგ, სხვა სკოლაში გადავედი.

— ცდილობდი თუ არა, რომ სხვებისგან რაიმეთი გამორჩეული ყოფილიყავი?

— ყოველთვის ძალიან მინდოდა, რომ დიზაინერი ვყოფილიყავი...

— რადგან მაკა ასათიანს ჰბაძავდი, არა?

— მაგიტომაც. მაგრამ მინდა გითხრა, რომ დედის მხრიდან ყველა, დიზაინერი ან მხატვარი მყავს და ეს საქმე მეც მეხერხება. უფრო მეტიც, ჩემი მეგობრები ჩემ მიერ შექმნილი სამოსით დადიოდნენ და სხვებისგან გამორჩეული იმით ვიყავით, რომ უცნაურად გვეცვა. სახლიდან ნორმალურად ჩაცმულები გავდიოდით, მაგრამ სკოლაში სხვანაირები მივდიოდით.

— ტანისამოსს ქუჩაში იცვლიდით?

— არა, სკოლასთან ახლოს ერთი ჩვენი მეგობარი ცხოვრობდა, იქ ვიკრიბებოდით, ტანისამოსს ვიცვლიდით და მერე მივდიოდით — შარვალზე ბევრ მძივს ვკიდებდით, თმას უცნაურად ვიკეთებდით და მართლა პირველები ვიყავით, ვინც შარვალზე კაბის ჩაცმა დავიწყეთ — „ბაჯის“ ქალებივით დავდიოდით.

— თეო, როგორი ბიჭები მოგწონს?

— ადრე, ბიჭი რომ მომწონებოდა, მას აუცილებლად ჩაჩაჩული შარვალი უნდა სცმოდა, თმა „იოჟიკივით“ ჰქონოდა, ლამაზი და ამასთანავე, „ბლატნოი“ ტიპი უნდა ყოფილიყო. ვერასდროს ვიტანდი „ჩმორიკებს“ და აქედან გამომდინარე, ყოველთვის სკოლის „ფავორიტებს“ ვეპრანჭებოდი... ახლა „ბლატნოი“ ტიპები აღარ მომწონს და ბიჭის გარეგნობასაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ. მთავარია, ის „დასტოინი“ იყოს და ხასიათებით შევეწყოთ ერთმანეთს, მაგრამ...

— ...მაგრამ გარეგნობას ყურადღებას მაინც აქცევ, არა?

— არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, მაგრამ ვინც კი მომეწონება, მეგობრები ყველაზე „მელადავებიან“: მახინჯებზე გაქვს გართულებაო. ისეთ ტიპებზე მითქვამს — დედა, რა საყვარელია-მეთქი, — რომ ისინი სიცილით კვდებიან.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— მაქსიმალურად გამოიყენონ ეს ასაკი, გაერთონ და ოჯახი არ შექმნან, რადგან ამას მერეც მოესწრებიან. გართობა და დროს ტარება რომ მოჰბეზრდებათ, ამაზე მერე იფიქრონ...

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის
უშის წიგნაკიდან:

ეშმაკს!..) ბათუმშია დაბადებული. P.S. „კოსტიკ, ჯოსტიკ! „პერია პრილიპშიე კ ტვოეი ზადნიცე ეშჩო ნე დელაიუტ ტებია არლომ“, — გავარილ კონფუციი“.

21. 1967 წლამდე, ავსტრალიელი აბორიგენები ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ნაწილად ითვლებოდნენ. მხოლოდ 1967 წელს მიიჩნიეს ისინი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებად და არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც მიანიჭეს.

22. სიტყვას, რომელიც წაღმაც და უკუღმაც ერთნაირად იკითხება, პალინდრომი ჰქვია. ფინური სიტყვა საიპუაკივიკაუპპიას (შალით მოვაჭრე), ყველაზე გრძელი პალინდრომია მსოფლიოში.

23. ერთხელ ექიმმა ლინკმა თვითმკვლელობის აკვიატებული სურვილით შეპყრობილ პაციენტს ურჩია, მანამ ერბინა საკუთარი კვარტალის ირგვლივ, სანამ დაღლილობისგან სული არ ამოხდებოდა. ეს ადამიანი საბოლოო ჯამში, ცნობილი მორბენალი გახდა.

24. თავის დროზე ანსამბლი „აბბა“ შვედეთის ხაზინის ლამის ერთ მეოთხედს ავსებდა. ამ მხრივ, კონკურენციასაც კი უწევდა საავტომობილო ფირმა „ვოლვოს“.

25. ვიკინგები მსოფლიოში უმამაცესი მეომრები იყვნენ. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ალყაშემორტყმული ქალაქის მცხოვრებლებისთვის ვიკინგებს უთხოვიათ, ერთ ჩვენს მეთაურთაგანს ქრისტიანობის მიღება სურს და ქალაქში შემოუშვითო. მეომარი ქალაქში შეჰყავდათ, ქრისტიანული წესით ნათლავდნენ და პატივით ისტუმრებდნენ უკან. მეორე დღეს ქალაქის მცხოვრებლები სამწუხარო ამბავს იგებდნენ: რჯულგამოცვლილ მეთაურს მეომრები ასჯანყებიან და სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ამ უკანასკნელს კი, გარდაცვალებამდე დაუბარებია, იმავე ეკლესიის ეზოში დამასაფლავეთ, სადაც მოვინათლეო. მეციხოვნეებს ეძნელებოდათ ამ ამბის დაჯერება, მაგრამ ფაქტი ჯიუტი იყო: მხარზე კუბოშემოდგმული თორმეტიოდე ვიკინგი ქალაქის მთავარ შესასვლელთან იდგა და გარდაცვლილი მეთაურის უკანასკნელი სურვილის აღსასრულებლად, ქალაქში შესვლის უფლებას ითხოვდა. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, გუშაგები კარს აღებდნენ, რის შემდეგაც, მოვლენები მათთვის მეტისმეტად ტრაგიკულად ვითარდებოდა: ისინი გონზე მოსვლას ვერ ასწრებდნენ, რომ ვიკინგები, „მიცვალებულის“ ჩათვლით, კუბოში დამალულ იარაღს იშიშვლებდნენ, გუშაგებს ხოცავდნენ და თავიანთ ჯარს ჭიშკარს უღებდნენ.

ეამტხეაურება



ნინო, *15 წლის:*

„დათო, ძალიან მიყვარხარ და მაინტერესებს — ცოლი როდის უნდა მოიყვანო?“

დათო ძიძიგური:

— არ ვიცი, რა გიპასუხო, რადგან მოსალოდნელია, ხვალაც დავქორწინდე და თუ დამიკავშირდები, შეიძლება, ქორწილში დაგპატიჟო კიდეც. ჩათვალე, რომ ამ დღეს შენ ჩემი საუკეთესო სტუმარი იქნები, რადგან ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც ჩემს ბედ-იღბალზე დაფიქრდა.

ეკა, *17 წლის:*

„დათო, მაინტერესებს, სცენაზე ასვლა რამ გადაგაწყვეტინა და რა სიახლეებია შენს შემოქმედებაში?“

დათო ძიძიგური:

— საერთოდ, როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს?.. 'მე არა მარტო ავედი სცენაზე, არამედ დუეტში ვიმღერე ისეთ მომღერალთან, როგორიც ეკა კვალიაშვილია. აი, ასვლაც ასეთი უნდა, არა *(იცინის)*? რაც შეეხება სიახლეებს — ჩემს ერთ-ერთ სიმღერაზე გადავიღე კლიპი, რომელიც რამდენიმე დღეში დატრიალდება. ასევე ჩავწერე ისეთი ახალი სიმღერა, რომელიც საზოგადოებას აუცილებლად მოეწონება.

უცნობი, *16 წლის:*

„ძალიან გთხოვთ, რამე მირჩიეთ: ერთ ბიჭს უკვე თვეზე მეტია, რაც სიყვარულს ვეფიცები, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ არ მიყვარს. მას კი ძალიან ვუყვარვარ და არ მინდა, გული ვატკინო. რა ვქნა?“

დათო ძიძიგური:

— გირჩევ, არასდროს გააკეთო ის, რაც არ გინდა. იმ ბიჭს მეგობრობა შესთავაზე და თუ გაგიგო, ხომ კარგი, თუ არა და — ისე მოიქეცი, როგორც გული გიკარნახებს.

დტ, *17 წლის:*

„სკოლის პერიოდში ერთი გოგო სიგიჟემდე მიყვარდა, მაგრამ მერე ჩვენი გზები გაიყო — სოხუმში ვსწავლობდით და არეულობის მერე ერთმანეთი დავკარგეთ. ვერ ვპოულობ და ხომ ვერ მეტყვით, როგორ უნდა მოვძებნო? მაკა ქობალია, თუ ამას წაიკითხავ, მინდა იცოდე, რომ ახლაც მიყვარხარ“.

დათო ძიძიგური:

— ჩემო კარგო, თბილისში უამრავი სოხუმელი ცხოვრობს. მათთან იკონტაქტე, ყველას ჰკითხე — იცნობენ თუ არა შენს შეყვარებულს და იცოდე, ვინც ეძებს, ის აუცილებლად პოულობს. წარმატებებს გისურვებ!

ბუბუ, *17 წლის:*

„სხვებს დავცინოდი, სიყვარულით ატირებულებს, მათი ცრემლები მხოლოდ თვალთა გმინვა მეგონა. დავცინოდი სიყვარულით სავსე გულებს და არ ვიცოდი“... მართლა არ მეგონა, თუ მეც ამ გრძნობის მონა გავხდებოდი. ხალხნო, შეიძლება თუ არა, რომ ტელეფონით ბიჭი გაიცნო და უზომოდ შეგიყვარდეს? განა, ეს ნორმალურია?!.“

დათო ძიძიგური:

— საერთოდ, ადამიანების განსჯა არ მიყვარს, მაგრამ რატომ გგონია, რომ ეს არანორმალური რამ არის? თუმცა, ეს ყველაფერი მეც ილუზია მგონია, რომელიც მალე გაივლის. შენს ასაკში შემყვარებია არარეალური პიროვნება, რომელზეც ძილის წინ ვოცნებობდი ხოლმე *(იცინის)*.

ვეკო, *17 წლის:*

„გამარჯობათ. „ის დღე, რომელიც მოვიდა უშენოდ, მხოლოდ გარედან იყო მშვიდი“, — ამ სიტყვებს იმ ადამიანს ვეუბნები, რომელიც მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ ის სხვაზეა შეყვარებული. რა ვქნა, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია?! მირჩიეთ, თავი როგორ შევაყვარო?“

დათო ძიძიგური:

— გირჩევ, იყო კეთილშობილი ადამიანი და შეყვარებულების დაცილებას ნუ შეეცდები. სხვის უბედურებაზე აგებული ბედნიერება შენც უბედურს გაგხდის. იყავი ძლიერი და ეს ამბავი როგორმე გადაიტანე. დარწმუნებული ვარ, მალე გაზაფხული შენთვისაც მოვა და ისეთ ცხოვრების მეგზურს იპოვი, რომელიც შენი ღირსი იქნება.

ნინო, *16 წლის:*

„გთხოვთ, როგორც თქვენს უახლოეს მეგობარს, ისე მირჩიოთ რამე. ბიჭი, რომელიც სიცოცხლეს მირჩევნია, ვერ ბედავს, რომ გამიცნოს და სიყვარული ამიხსნას. რა ვიღონო? ვიცი, რომ მოვწონვარ, მაგრამ გოგო ვარ და სიყვარულს ვერ ავუხსნი. წინასწარ გიხდით მადლობას“.

დათო ძიძიგური:

— ის თუ ვერ ბედავს, მაშინ პირველი ნაბიჯი შენ უნდა გადადგა. რატომ მიგაჩნია სირცხვილად ის, რომ საყვარელ ადამიანს გრძნობები გაუმხილო? სირცხვილი სხვა რამეა და გირჩევ, გაბედულად იმოქმედო. აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ!

ლევანი, *16 წლის:*

„ერთი გოგო მიყვარს, იმასაც ვუყვარვარ და ჩემგან ორსულადაა. ეს ამბავი ჩვენ გარდა არავინ იცის. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე“.

დათო ძიძიგური:

— ეს რა კითხვაა?.. ეს ამბავი მშობლებს უნდა უთხრათ ისე, რომ არაფრის შეგეშინდეთ. პატარა, უფლის საჩუქარია და მისი მოცილება არც იფიქროთ. დაიმახსოვრე: ის აუცილებლად უნდა მოევლინოს ქვეყნიერებას. უფალი გფარავდეთ!

უცნობი რუსთავიდან, *18 წლის:*

„მე ის უცნობი ვარ, ამას წინათ რომ დაგიმესიჯეთ — უკვე ერთი თვეა, რაც ქმარს გავშორდი-მეთქი. გმადლობ, რომ მესიჯი დამიბეჭდეთ, მაგრამ თქვენი რჩევა ახლაც მჭირდება. რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა ჩემი ძველი „პაკლონიკი“, რომელსაც ადრე უარი ვუთხარი (მიუხედავად იმისა, რომ 5 წელი ვუყვარდი), რადგან გარეგნულ მონაცემებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ სისულელე ჩავიდინე — ლამაზს რომ წავყევი, ამან რა მომიტანა?! ეს ბიჭი ისევ მეხვეწება: წამომყევიო, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა მიჭირს. რა ვქნა? თან, ჩემი ქმარი ჯერ კიდევ მიყვარს, მაგრამ მას ვერასდროს დავუბრუნდები — წარმოიდგინეთ, უკვე საცოლე ჰყავს... ჩემი მული მირეკავს და მეუბნება: რაც მე და დედაჩემმა თავიდან ჩავიფიქრეთ, ის აგისრულეთ, აბა, ვის რაში სჭირდებოდა უფულო რძალიო?! არადა, მათზე მეტი ფული მაინც მაქვს. მის ერთოთახიან ბინაში 7 ადამიანი ვცხოვრობდით და ამას ქმრის გულისთვის ვითმენდი. ჩემს ზარმაც მეუღლეს ქირითაც არ უნდოდა გადასჯლა. თან, დედიკოს ეს არ მოეწონებოდა და როგორ აწყენინებდა?! სუფთა „დედიკოს ბიჭი“ და ფულის მონაა. სწორედ ფულის გამო გამცვალა ვიღაც კაფე-ბარის მეპატრონეზე, რომელზეც წლების წინ მეუბნებოდა: ბოზიაო... ასე რომ, ძალიან მჭირდება რჩევა — გავყვე ჩემს ძველ „პაკლონიკს“? წინასწარ გიხდით მადლობას“.

დათო ძიძიგური:

— როცა ოჯახი ინგრევა და ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ბზარი ჩნდება, მისი გამრთელება შეუძლებელია. ასე რომ, ჯობია, სხვაზე იფიქრო და საკუთარი ბედნიერებისთვის ბოლომდე იბრძოლო. გაჰყევი იმას, ვინც პატივს გცემს და ვისაც ნამდვილად უყვარხარ.

ბარტყი, *15 წლის:*

„გთხოვთ, რამე მირჩიოთ. მყავს შეყვარებული და ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ერთმანეთს ვერ ვუგებთ, სულ გაბუტულები ვართ, თუმცა ერთმანეთის გარეშე დიდხანს ვერ ვძლებთ. ის ყოველი შერიგების შემდეგ მთხოვს, რომ ყველაფერი დავივიწყო და არასდროს ვიჩხუბოთ, მაგრამ ცოტა ხანში ყველაფერი მეორდება... მეუბნება: უშენოდ ვერ ვძლებ, მინდა, ჩემი გახდე, ცოლად გამომყევიო... იცით, რაზე ვფიქრობ? — ახლა სულ ვჩხუბობთ და მერე რაღას ვიზამთ?! მას ჩემი პირველი კოცნა ვაჩუქე. როცა მეფერება და მკოცნის, ყველაფერი მავიწყდება. გთხოვთ, ჩემი მესიჯი უპასუხოდ არ დატოვოთ“.

დათო ძიძიგური:

— კოცნამ რომ ყველაფერი დაგავიწყოს, ამაში საკვირველი არაფერია და კიდევ, სიყვარულმა მოფერებაც და ჩხუბიც იცის. მთავარია, ერთმანეთს შეურაცხყოფა არ მიაყენოთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. უფალი ჰფარავდეს თქვენს სიყვარულს!

პუტე-პუტე ბაბუპუტე, მპინს „ბეთლემაშეპილ“...

დასაწყისი იხ. გვ. 12

„რუსეთი საქართველოს დაჩოქებას ცდილობს“

(Newsweek აშშ)

...მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირაა, ორივე მხრიდან მრისხანე შეძახილები გაისმის, ომის ალბათობა მაინც ძალზე მცირეა. რუსეთმა გაეროში საქართველოს წინააღმდეგ საჩივრით შესვლა გადაწყვიტა. ცოტა ხნის წინ, იმავე გაეროში სააკაშვილმა კრემლი ორი ქართული პროვინციის, თვითგამოცხადებული სახელმწიფოების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების „განგსტერულ ოკუპაციაში“ დაადანაშაულა... სინამდვილეში, ეს ფაქტორი საქართველოს მხოლოდ სასიკეთოდ თუ წაადგება. თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების გადაჭრას გაერო მოჰკიდებს ხელს, მოსკოვის, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მთავარი მშვიდობისმყოფლის პოზიცია საგრძნობლად შეირყევა. გარდა ამისა, თბილისი მიიჩნევს, რომ თუ პროცესზე პასუხისმგებლობას გაერო აიღებს, მას საკუთარი ურჩი რეგიონების დაბრუნების მეტი შანსი გაუჩნდება. თუმცა, რუსეთის პროვოცირება — საშიში ტაქტიკაა. მოსკოვში, ისევე, როგორც თბილისში, საკუთარი გავლენიანი „ომის პარტია“ არსებობს, რომელსაც ერთი სული აქვს, ვინმეს წაეკიდოს. და თუ საქმე აქამდე მართლაც მივა, პრაქტიკულად, ეჭვი არავის ეპარება, რომ საქართველოს საქმე ცუდად ექნება...

პრეზიდენტი სააკაშვილი ბიგანტური მეზობლის წინაშე დაჩოქებას არ აპირებს

„მოსკოვი საქართველოს დაჩოქებას ცდილობს“

(The Times დიდი ბრიტანეთი)

რუსეთსა და საქართველოს შორის საგარეო, სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო და საფოსტო კავშირის სრულმა გაწყვეტამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გაშმაგებას, რომლითაც კრემლი ჯაშუშობაში დადანაშაულებული ოთხი რუსი სამხედროს დაპატიმრებას გამოეხმაურა. რუსეთმა საქართველოში განლაგებული საკუთარი ჯარები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა, გაიწვია ელჩი და მრავალი თავისი მოქალაქის ევაკუაცია განახორციელა. მან საქართველოს საკითხი გაეროში შეიტანა განსახილველად და ორ ქვეყანას შორის ყველა საბანკო ოპერაციის აკრძალვის შესახებ კანონის შემოღების შესაძლებლობასაც განიხილავს. ეს მოსკოვში მომუშავე მილიონზე მეტ ქართველს სამშობლოში ფულის გაგზავნის საშუალებას მოუსპობს და ქვეყნის ისედაც მორყეულ ეკონომიკასაც დარტყმას მიაყენებს. გასაგებია, რომ მოსკოვი საქართველოს დაჩოქებას ცდილობს.

მაგრამ პრეზიდენტი სააკაშვილი გიგანტური მეზობლის წინაშე დაჩოქებას არ აპირებს. ის ბრალს სდებს რუსეთს, რომელიც ძალით ცდილობდა მის დამორჩილებას და აცხადებს, რომ საქართველო არავის მისცემს უფლებას, მას, როგორც რომელიღაც „აღორძინების პროცესში მყოფი იმპერიის მიყრუებულ ადგილს“, ისე მოექცეს...

რუსეთს არ მართებს ასეთი გაღიზიანება. არა გვგონია, ხუთმილიონიანი საქართველო მისთვის რაიმე საფრთხეს წარმოადგენდეს. მართალია, რუსეთის პატივმოყვარეობა შეილახა, მაგრამ იმავდროულად, სერიოზული ზიანი მიადგა ტრადიციულ კულტურულ, რელიგიურ და ისტორიულ კავშირებსაც. რუსეთმა არ უნდა იფიქროს, რომ დასავლეთისკენ შებრუნებული რომელიმე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა აუცილებლად რუსეთის საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამს...

თუმცა ეს აგრეთვე, ნიშნავს, რომ სააკაშვილმა სერიოზულად უნდა აწონ-დაწონოს ყველაფერი, სანამ მოსკოვის გაღიზიანებას გადაწყვეტს. გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ საქართველოს შეუძლია თავისი მეზობლის იგნორირება, დასავლეთი კი მას სამხედრო ან დიპლომატიურ დაცვას შესთავაზებს. თვით გეოგრაფიაც კი ქართველებისგან მხოლოდ კეთილგონიერებას მოითხოვს...

„მილიარდდოლარიანი „მეკვდარი სეზონი“

(The Financiel Times, აშშ)

...რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ფაციფუცით ამზადებს კანონპროექტს, რომელიც „არამეგობრულ ქვეყანაში“ ფულადი გზავნილების დროებით აკრძალვას დაკანონებს. მსგავსი აკრძალვით რუსეთი საკუთარი ყოველწლიური მილიარდდოლარიანი ფინანსური დანაკარგების ანაზღაურებასა და მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის გამოკვების შეწყვეტას აპირებს. გარდა ამისა, რუსეთი საბანკო ოპერაციების აკრძალვაზეც ფიქრობს.

ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებში ფულადი გზავნილების აკრძალვის მექანიზმის შემუშავების იდეა რუსეთის სათათბიროს სპიკერს, ბორის გრიზლოვს, რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ მოუვიდა თავში. დახურულ კონსულტაციებზე რუსეთის პარლამენტის ხელმძღვანელობამ ამ ინიციატივის რეალიზებაზე პრეზიდენტის თანხმობაც მიიღო. რუსეთიდან ფულადი გზავნილების აკრძალვა საქართველოს საგრძნობ დარტყმას მიაყენებს. ექსპერტთა შეფასებით, ქართული ოჯახის შემოსავლების სტრუქტურაში „ფულადი შრომითი შემოსავლები“ დაახლოებით 41%-ს შეადგენს, საოჯახო ბიუჯეტის დანარჩენი ნაწილი კი, ძირითადად, საზღვარგარეთიდან შემოსული ფულადი გზავნილებით ივსება. ქვეყნის გარეთ 1,2 მილიონი ქართველი მოქალაქეა გასული, მათგან 800 ათასი — რუსეთში მუშაობს. ყოველწლიურად, სხვადასხვა არხით რუსეთიდან საქართველოში 1,25-დან 2 მილიარდ დოლარამდე შემოდის, რაც მთელ უცხოურ დახმარებას ბევრად აღემატება. მიმდინარე წლის შვიდი თვის მანძილზე ქართულ კომერციულ ბანკებში ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რუსეთიდან 182 მილიონი დოლარი (მთელი საზღვარგარეთული ფულადი გზავნილების 68%) შევიდა. შედარებისთვის: ამავე პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატებიდან სულ 26 მილიონია (9,7%) შესული. ■

სააკაშვილმა სერიოზულად უნდა აწონ-დაწონოს ყველაფერი, სანამ მოსკოვის გაღიზიანებას გადაწყვეტს

„...მყინვარის კალთასა ზედა მონასტერი სამებისა“

გერგეტის სამების ტაძარი საქართველოს ჩრდილოეთ პროვინციაში — ხევში მდებარეობს. იგი ერთადერთი გუმბათიანი ტაძარია ხევში. გერგეტის სამების ხუროთმოძღვრულ ანსამბლში სამი ნაგებობა შედის: დიდი გუმბათოვანი ტაძარი, სამრეკლო და ე.წ. „საბჭეო“. ტაძარი მაღალ მთაზეა აღმართული. მას ზემოდან მყინვარწვერი დაჰყურებს, თვითონ კი სოფელ გერგეტს გადასცქერის. ხევში მდებარე სამების ტაძარი ძველთაგანვე სოფელ გერგეტის კუთვნილება ყოფილა, სწორედ ამის გამო ეწოდა გერგეტის სამება, თუმცა ყაზბეგის (სტეფანწმინდის) რაიონში მდებარეობის გამო, მას ყაზბეგის სამებადაც მოიხსენიებენ.

შორენა მერკვილაძე

გერგეტის სამება ხევის მთავარ სალოცავს წარმოადგენს. მისი არც ერთი ნაგებობის აგების დრო ცნობილი არ არის, ცხადია, არც ტაძრის აშენების ზუსტი თარიღია ცნობილი, თუმცა ხალხური გადმოცემის თანახმად, იგი XII საუკუნეში — თამარ მეფის ძალისხმევითაა აგებული. გერგეტის სამება ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა მოხევეთა ცხოვრებაში. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დების“ მიხედვით, XIV საუკუნიდან XIX საუკუნის ბოლომდე, როდესაც ხევში თემური წყობილება არსებობდა და ხევს თემის მიერ არჩეული ხევისბერი მართავდა, სათემო საქმეებს ხევის სათემო საბჭო წყვეტდა. ხევისბერები და გვარის უფროსები სათემო საქმეებზე ბჭობისას სწორედ გერგეტის სამების ტაძრის სამხრეთ კედელზე მიშენებულ მცირე ნაგებობაში იკრიბებოდნენ. ეს ნაგებობა დღემდეა შემორჩენილი. გერგეტის სამების ტაძართან ძველად ბერმონაზონთა სამკვიდრებელი სავანე-მონასტერიც არსებობდა. დამპყრობელთა შემოსევების დროს, თურმე სწორედ ამ მონასტერში ხიზნავდნენ მცხეთის სიწმინდეებს, რათა უკეთ ყოფილიყო დაცული: „გერგეთს ზეით არის მყინვარის კალთასა ზედა მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად“, — გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი. შუა საუკუნეების შემდეგ, სამების მამათა მონასტერში სამონასტრო ცხოვრება შეწყდა. ეს წმინდა ადგილი საუკუნეების მანძილზე უმოქმედოდ ყოფილა, მხოლოდ რამდენიმე წლის წინ გახდა შესაძლებელი გერგეტის სამების ტაძართან არსებული მამათა მონასტრის აღდგენა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. მას შემდეგ, გერგეტის სამების ტაძარში მუდმივად აღესრულება წირვა-ლოცვა. მამათა მონასტერში ამჟამად იღუმენი, ბერდიაკონი, ორი შემოსილი საბერო მორჩილი და ერთიც ჩვეულებრივი მორჩილი მოღვაწეობს. მონასტრის მდებარეობისა და გარემო პირობების სიმკაცრის გამო, მათ ძალზე მკაცრ პირობებში უხდებათ ცხოვრება. სამების ტაძარში ორი უძველესი — „კუბოს კარად“ წოდებული ხატია დაცული; ორივე ფიცარზეა დაწერილი და ორივე მათგანი შემოსილია ვერცხლის პერანგით. ხევის მკვიდრნი ერთ-ერთ ხატს, რომელზეც ხარება, უფლის შობა, მირქმა და ნათლისღებაა გამოსახული — „საავდროს“ უწოდებენ. მას გვალვის დროს ტაძრიდან გამოაბრძანებენ, წყაროს წყალში განბანენ და უფალს ავდრის მოვლინებას შესთხოვენ. ავდარში კი „სადარო“ ხატი გამოაქვთ და მის წინაშე ლოცულობენ დარის მოვლინებისთვის. „სადარო“ ხატზე გამოსახულია — ჯვარცმა, აღდგომა, ყოვლადწმინდა სამება, თომა მოციქულის გვერდის განხილვა, ლაზარეს აღდგინება და უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში — ბზობა. ყოველწლიურად 16 ივლისს, ყაზბეგის რაიონის სოფელ გერგეტში ყოვლადწმინდა სამების დღესასწაული იმართება, რომელიც გერგეტობის სახელითაა ცნობილი. 1981 წლის 16 ივლისს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხევში ჩაბრძანდა იქაური სიწმინდეების მოსალოცად. მისმა უწმინდესობამ გერგეტის წმინდა სამების ტაძარში აღავლინა წირვა, შემდეგ უთქვამს — ღმერთთან ასეთი სიახლოვე არასდროს მიგრძნიაო, — და გერგეტის სამების დღესასწაულისთვის სიყვარულის დღე უწოდებია. გერგეტობის დღესასწაულზე მოხევეებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მრავალი მორწმუნე უერთდება, რათა მათთან ერთად იდღესასწაულოს და შეიგრძნოს უფალთან სიახლოვე. ხევისა და სტეფანწმინდის ეპარქიაში მდებარე ბეთლემის სამლოცველოზეც მოგითხრობთ, რომელიც მყინვარწვერის კლდეშია ნაკვეთი: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთლი, ფრიად მაღალსა კლდესა და უწოდებენ ბეთლემს, გარნა ძნელად ასავალი არს; რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გარდამოკიდებული ქვაბიდან და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათა საკვირველთა“, — გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი ბეთლემის შესახებ. არავინ იცის, ვინ და როდის გამოკვეთა ბეთლემის ქვაბები (სენაკები) და სამლოცველო, მაგრამ ცნობილია, რომ იქ ძველად ბერები მკვიდრობდნენ და მოღვაწეობდნენ. დღეისათვის ბეთლემის სამლოცველო ძალზე დაზიანებულია. მთლიანად მოშლილი და ჩამოქცეულია კლდეში ნაკვეთი სენაკები და ქვაბულები. შემორჩენილია მხოლოდ ლოდზე აღმართული ქვის ჯვარი, აიაზმის (წყლის კურთხევის) ქვის ჭურჭელი, მარხილის ნაწილი, რომლითაც ბერები თურმე შეშას ეზიდებოდნენ, ორი მრგვალი სენაკის ნანგრევები და ირმის საწველის სახელწოდებით ცნობილი, ძველი შენობის ორი კედელი. მოხევეებს ბეთლემის ახლომახლო თოფის სროლის უფლება არა აქვთ. მათ ღრმად სწამთ, რომ ბეთლემი სასწაულმოქმედია და სათანადო მოკრძალებას საჭიროებს. ვინც გაბედავს და ბეთლემის შემოგარენში თოფს გაისვრის, თვალისჩინის დაკარგვით დაისჯებაო, — ამბობენ იქაურები. ყოფილა შემთხვევა, როცა მართლაც დაბრმავებულა იმ ადგილებში სანადიროდ შესული კაცი. ■

საქართველოს ეთნოგრაფიული



ცოტა ხნის წინ, ჩემს მეგობრებთან ერთად, ერთი პროექტი ჩავიფიქრე: გადავწყვიტეთ, შეგვექმნა რაიმე განსაკუთრებული განუმეორებელ ქართულ სამზარეულოზე. ოღონდ, არ გვინდოდა, ტრივიალური გზით წავსულიყავით და მკითხველისთვის მხოლოდ კერძები, მათში შემავალი ინგრედიენტები და სხვა მისთანანი წარმოგვედგინა. ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამას, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, განსხვავებულ ცხოვრების წესს, სტუმარმასპინძლობის შტრიხებსაც დავურთავდით თან. ასე დაიბადა პროექტი — „საქართველოს გემო“ (თუმცა, ეს სახელწოდება პირობითია). ჩვენი სურვილია, დიდი ფორმატის წიგნი მოვამზადოთ გამოსაცემად. მასზე, ჩემთან ერთად — მაკა დეისაძე, ნინო კვაჭანტირაძე და სანდრო ხომერიკი მუშაობენ.

აქ წარმოდგენილი სურათები ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთში, ვარდოსანიძეების ოჯახშია გადაღებული.

იური მეხითოვი



M K

გიორგი ფოჩხუა: „ზუგდიდელები დახვეწილი მეგრულით ვსაუბრობთ...“

„ჯეობარი“ ის პროექტია, რომლის მონაწილენიც მოკლე ხანში იხვეჭენ პოპულარობას. გიორგი ფოჩხუაც ფართო საზოგადოებისთვის „ჯეობარის“ წყალობით გახდა ცნობილი. პროექტის დასრულების შემდეგ მან გადაწყვიტა, სერიოზულად მოესინჯა ძალები ესტრადაზე და ახლა აქტიურად მუშაობს ხმის ჩამწერ სტუდიაში — წერს სიმღერებს, გეგმავს კლიპების გადაღებას, მონაწილეობს კონცერტებში და ასე ნელ-ნელა აწყობს თავის მუსიკალურ კარიერას. ის ზუგდიდელია, სამეგრელოს გულში დაბადებულ-გაზრდილი.

— გიორგი, ზუგდიდელები რით გამოირჩევით სხვა დანარჩენი მეგრელებისგან?

— ძნელი სათქმელია... ერთი ის ვიცი, რომ ზუგდიდელები გამართული, დახვეწილი მეგრულით ვლაპარაკობთ. ჩვენნაირად არ მეტყველებენ სამეგრელოს სხვა რაიონების წარმომადგენლები — მაგალითად, წალენჯიხელები, მარტვილელები. იქაურების მეგრულს ვერ ვიგებ, ხმოვნებს სხვანაირად წარმოთქვამენ... მერე, ზუგდიდი — სამეგრელოს ცენტრია, დიდი ქალაქია და იქაურები ამითაც გამოირჩევიან სხვებისგან.

— მეგრულად როდის და ვისთან ლაპარაკობ?

— ხშირად არ მიწევს მეგრულად ლაპარაკი, თუმცა ეს ენა თბილისში ზოგჯერ დამხმარებია. გვერდით მყოფი მეგრელისთვის, ისე, რომ სხვას არ გაეგო, რაღაც გადამილაპარაკებია, ასე ვთქვათ, მიჭორავია. „ჯეობარშიც“ გამომადგა მეგრული. ერთხელ ტატოს ველაპარაკე, მეგრულად შევთანხმდით, ვისთვის დაგვეწერა მინუსი. თან ეს ისე ჩუმად მოვახერხეთ, რომ ირგვლივ მყოფი „ჯეობარელებიდან“ ვერავინ ვერაფერი გაიგო, თუმცა კამერებმა ჩვენი ჩურჩული დააფიქსირა. მერე პროდიუსერებმა შემოგვითვალეს — ჭკვიანად იყავით, თორემ, აქ ბევრი თარჯიმანი გვყავსო... თბილისში ჩემს დასთან, ოჯახში იშვიათად ვლაპარაკობ მეგრულად, უფრო — ზუგდიდში, ბებიას ვესაუბრები ხოლმე.

— დედაქალაქში რატომ ჩამოხვედი?

— მერვე კლასიდან თბილისში ყოფნა უფრო ხშირად მიწევდა. ასე რომ, ხან აქ ვიყავი, ხან — ზუგდიდში... ფრიადოსანი არ ვყოფილვარ, კარგად ვსწავლობდი იმ საგნებს, რომლებიც მჭირდებოდა. პარალელურად, ზუგდიდის რადიოში ვმუშაობდი. ჩემი ფანები მყავდა, პოპულარული ვიყავი იქ... იმ დროს უკვე სერიოზულად მქონდა გადაწყვეტილი, რომ თეატრალურ უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა. ეს ოცნება ამიხდა. უკვე მესამე კურსის სტუდენტი ვარ, სამსახიობო ფაკულტეტზე ვსწავლობ. სხვათა შორის, დღეს (*2 ოქტომბერს. — ავტ.*) პირველი დღეა, რაც სწავლა განვაახლეთ და უნივერსიტეტში გამოვცხადდი.

— გილოცავ ახალ სასწავლო წელს!

— გმადლობ!

— თბილისში რომელი ადგილი მოგაგონებს ზუგდიდს?

— ერთადერთი ასეთი ადგილია ავლაბარში — იქ, სადაც ლამაზი შადრევანია. მსგავსი შადრევანია ზუგდიდშიც, იქ ბევრი კონცერტი იმართება ხოლმე.

— მიუხედავად იმისა, რომ დღეს, როგორც ვიცი, თბილისში შენი ბინა არ გაქვს, კმაყოფილი ხარ აქ ცხოვრებით?

— მართალია, თბილისში ბინა არა მაქვს, მაგრამ აქ ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. მაქვს ჩემი ჩანთა, რომელშიც პირადი ნივთები მიწყვია (ტანსაცმელი, კბილის ჯაგრისი, სუნამო...) და სადაც წავალ, ყველგან თან დავატარებ. ღვთის შეწევნით, ბევრი მეგობარი მყავს და ხან ვინ მეპატიჟება, ჩემთან დარჩიო, ხან — ვინ. მეც დავდივარ მათთან სტუმრად. ისე, უმეტესად, ჩემს დასთან, ელენესთან ვარ ხოლმე. ახალი წლის შემდეგ ვაპირებ, რომ თბილისში საკუთარი ბინა შევიძინო და დედაქალაქში ჩემი საცხოვრებელი მქონდეს, სადაც მარტო ვიქნები.

— კიდევ რა გეგმები გაქვს?

— ახალ სიმღერას ვწერ, კლიპის გადაღებასაც ვაპირებ. მინდა, ჩემი ბენდი მყავდეს. ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ვნახოთ, თუ ჩემდა სასიკეთოდ გადაწყდა, მერე 6 თვით ჩავიკეტები, ბენდთან ერთად ვიმუშავებ და ახალი ნამუშევრებით, გაზაფხულზე, გამოვყოფ გარეთ თავს.

— მეგრულად ამღერებას არ აპირებ?

— კი, მაქვს ასეთი სურვილი. ერთი სიმღერაც არის, რომელიც ელექტრონული ეფექტებით მინდოდა, აჟღერებულიყო. ურიგო არ იქნებოდა, მასზე კლიპის გადაღება დადიანების სასახლეში. ვნახოთ, შეიძლება ეს ჩანაფიქრი განვახორციელო კიდეც.

— გიორგი, შენი აზრით, თბილისელი ვინ არის?

— ის, ვინც რამდენიმე თაობის თბილისელია — ბებია-ბაბუებითა და წინაპრებით. ბევრს ვიცნობ აქ ასეთს. მათგან ზოგი, ძალიან კარგი ადამიანია, ზოგი — არა, ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია!

სეზონი განახლდა, თაკო დოლაბერიძემ მომღერლობა დაიწყო?

დიდი ხნის პაუზის შემდეგ, ღამის კლუბების ცხოვრებამ ჩვენს ქალაქში კვლავ სტარტი აიღო. გასულ კვირას „სითი ქლაბში“ სეზონის გახსნა ზარ-ზეიმით აღინიშნა. „ლენტი გაიჭრა“ და კლუბის სივრცეში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. დიდი ენთუზიაზმით შემოდიოდნენ „სითი ქლაბში“ თბილისელები და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ცხელი ზაფხულის შემდეგ, მოწყურებული იყვნენ გართობას. კლუბის დიასახლისი — თაკო დოლაბერიძე ჩვეული ხალისითა და ენერგიულობით შეხვდა ყველას. იმ დღეს კლუბში იმღერეს: მერაბ სეფაშვილმა, დათო გომართელმა, გიო ხუციშვილმა, ნინამ, მამუკა ონაშვილმა, კიკიმ. კიდევ ერთხელ შეასრულეს საკუთარი ცნობილი ჰიტები. საღამოს სიურპრიზი აღმოჩნდა ის, როდესაც სცენაზე თაკო დოლაბერიძე ავიდა და ლადო ჯანელიძესთან ერთად, ნატო გელაშვილის სიმღერა შეასრულა. ამაზე საღამოს წამყვანმა, ენაწყლიანმა ხატია შამუგიამ იხუმრა: გასულ ზაფხულს თაკოს თურქეთში დასვენება ისე მოუხდა, რომ ხომ ხედავთ, მომღერლობა დაიწყოო. დაიწყო თუ არა თაკომ მომღერლობა, ეს ცოტა ხანში გამოჩნდება. მანამდე კი ვიტყვი იმას, რომ კლუბში გასულ კვირას დიდი გამოცოცხლება იყო. მღეროდა და ცეკვავდა ყველა, სტუმარიცა და მასპინძელიც.

Wreli kiTxvebi

კოტე თოლორაია: „ვგრძნობ, რომ სიყვარულისთვის ვარ დაბადებული...“

— კოტიკო, ვინ მოიგონა სიყვარული?

— თვით კოტიკო თოლორაიამ!

— საიდან ამხელა ამბიცია?

— ვგრძობ, რომ სიყვარულისთვის ვარ დაბადებული...

— როგორი იქნება სიყვარულის შენეული ფორმულა?

— სიყვარული დაფრინავს და ბრუნავს...

— შენი სიყვარულიც?

— ჩემი სიყვარული ვერტიკალურია, უმეტესად კი — დაფრინავს...

— რისი სიმბოლოა ყვითელი ვარდი?

— განშორების.

— ყვითელი ვარდი შენს ყოფილ შეყვარებულს, რომელსაც ცოტა ხნის წინ დაშორდი, თუ აჩუქე?

— დიახ, ერთი დიდი ყვითელი ვარდი ვაჩუქე.

— როგორ შეხვდა ის შენს საჩუქარს?

— იმანაც საპასუხოდ, დიდი ყვითელი ვარდი მაჩუქა. ფაქტობრივად, ერთმანეთს ყვითელი ვარდები გავუცვალეთ, მაგრამ მეგობრებად დავრჩით. ჩვენ ხომ ცივილიზებული ადამიანები ვართ!

— ექსტრემალურ სიტუაციაში თუ ყოფილხარ?

— ძალიან ბევრჯერ.

— როგორ გამოსულხარ მდგომარეობიდან?

— ვცდილობ, ექსტრემალურ სიტუაციაში არ დავიბნე. გააჩნია შემთხვევას, ზოგან ორიგინალურობა მჭირდება, ზოგან — ნერვიულობა, განცდები... გამოუვალ მდგომარეობაში მაინც ვცდილობ, ყველაზე რეალური გზა მოვძებნო.

— მეგრული ენა თუ იცი?

— მხოლოდ რამდენიმე სიტყვა. თუმცა მეგრელი ვარ, მაგრამ მეგრული არ ვიცი, რის გამოც მეგობრები დამცინიან. ვფიქრობ, ეს იმის ბრალია, რომ სამეგრელოში სულ ორჯერ ვარ ნამყოფი, რადგან სოფელი იმერეთში, კერძოდ — ბაღდათში გვაქვს.

— შენი „ფრთიანი“ ფრაზა გვითხარი.

— ამ ბოლო დროს ამოვიჩემე სიტყვები — „ჩემი ძმა“...

— სიზმარში ხშირად დაფრინავ?

— ღამეში 5-6 სიზმარს ვნახულობ, მაგრამ სიზმარში ადრე უფრო დავფრინავდი. სახურავიდან ვხტებოდი და მერე ძირს ვეცემოდი ხოლმე.

— გააგრძელე ფრაზა: „ჩემი ნება რომ იყოს...“

— ჩემი ნება რომ იყოს, ამ ქვეყანას სიყვარულად გადავაქცევდი.

— გაიხსენე რომელიმე ლექსიდან ერთი ტაეპი?

— უცბად რაც მახსენდება, ეს არის: „გულზე დამადგით, ფეხი დამადგით, გულზე ყოველმან“...

— რა არის ტელევიზორი?

— შავი ყუთი, რომლის საშუალებითაც, ბევრ ცუდსა და კარგ ინფორმაციას ვიღებთ.

— რა ჰქვია აქლემის შვილს?

— აღარ მახსოვს. რა ჰქვია?

— კოზაკი.

— აა, გამახსენდა (*იცინის*).

— ჭორაობა ვისთან ერთად გიყვარს?

— ჭორაობა კი არა, საუბარი მიყვარს მეგობრებთან ერთად.

— ბავშვობაში კოსმონავტობაზე თუ გიოცნებია?

— კი (*იცინის*). სულ მინდა, რომ ნასას (*აშშ-ის აერონავტიკის ეროვნული სააგენტო. — ავტ.*) მივმართო, იქნებ მიშველოს, დააკმაყოფილოს ჩემი თხოვნა. რა მაგარი იქნება, კოსმოსში რომ გავიჭრა, არა?!

— მაგარი იქნება. ერთი ის მითხარი, რა რაოდენობის ალკოჰოლური სასმლის მიღება შეგიძლია?

— საშუალოდ, ორ ბოთლ არაყს ვსვამ, თუ დათრობა მინდა — უფრო მეტსაც. ღვინოს რაც შეეხება, — 2 ლიტრს „ვეთამაშები“. ოღონდ, ამ ყველაფერს ერთად არ ვსვამ, ცალ-ცალკე (*იცინის*).

— გარეგნულად არ გეტყობა, თუ ამდენი შეგიძლია...

— (*დაიმორცხვა კიდეც და თან შეიფერა*) ჰო, ვცდილობ.

— შენ რომ პრეზიდენტი იყო...

— მაგაზე არ მიფიქრია, რადგან პრეზიდენტობა არასდროს მნდომებია. ისე, ბევრ საქმეს გავაკეთებდი, გაჭირვებულებს, უპატრონო ბავშვებს და უმუშევრებს დავეხმარებოდი.

— სულ ბოლოს რას გვეტყვი?

— თქვენ გაიხარეთ. ყველანი გაგახარათ ღმერთმა! ■

„ბარი“ ერთი წლისაა

ახალგაზრდული ჟურნალი „ბარი“ ერთი წლის გახდა. რედაქციამ ეს თარიღი „ბერიკონში“ აღნიშნა. „ბარს“ დაბადების დღეს თითქმის მისი ყველა რესპონდენტი ულოცავდა: ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“, ანრი ჯოხაძე, გიგა კვენტაძე, ნინო ძოწენიძე, ნინი ქარსელაძე, სალომე წვერაიძე, ქეთი ახობაძე და ბევრი ახალბედა მომღერალი. საღამო თამუნა გომართელსა და გიორგი ფოჩხუას მიჰყავდათ. საიუბილეო ტორტიც გაიჭრა, რომელზეც სიმბოლურად, ერთი სანთელი იყო დამაგრებული...

ასე და ამგვარად, ერთი წლის წინ ჟურნალი საზოგადოების სამსჯავროზე წარდგა. როგორც მისი რედაქტორი თამუნა გონგაძე ამბობს, ჟურნალს სახელწოდება პოპულარული პროექტის — „ჯეობარის“ გავლენით დაერქვა. ამიტომ, ბევრს თავიდან ეგონა, რომ ის „რუსთავი 2“-ის გამოცემა იყო...

„ბარით“ მკითხველები, ძირითადად — თინეიჯერები გამოსვლისთანავე დაინტერესდნენ. ამიტომ რედაქციამ შექმნა ფანკლუბი, საყვარელ მომღერლებს მათ ფანებს ახვედრებდა. ამასთანავე, მათ ჩაუტარებიათ საქველმოქმედო აქციებიც, სტუმრობდნენ დედამამის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლსაც. დღეს „ბარს“ ერთი წლის კვალობაზე, საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავს. მას ელოდებიან, კითხულობენ, უყვართ. ეს საიუბილეო საღამოზეც იგრძნობოდა: „ბერიკონი“ სავსე იყო ჟურნალის გულშემატკივრებით.

P.S. სხვათა შორის, ჟურნალის დაბადების დღე რედაქტორის დაბადების დღეს დაემთხვა. ■

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(5 – 11 ოქტომბერი)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

თვის დასაწყისში გაგრძელდება ყველა ის პოზიტიური ტენდენცია, რომელიც სექტემბრის ბოლოს შეინიშნებოდა. ამიტომ ეს პერიოდი შეძლებისდაგვარად აქტიურად უნდა გაატაროთ. სხვადასხვა შეხვედრისა და ახალი კონტაქტის მეშვეობით, ნებისმიერი საჭირო ინფორმაციის მოპოვებას ადვილად მოახერხებთ.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

საქმეში წარმატების მისაღწევად საჭიროა, გამოიყენოთ უკვე არსებული საქმიანი კონტაქტები. დროის ამ მონაკვეთში თქვენ მეტად ყურადღებიანი, მოწესრიგებული და წინდახედული იქნებით. ასე რომ, წამოწყებულ საქმეებს ადვილად მიიყვანთ ბოლომდე.

ᲢᲧᲣᲘ 21.05-21.06

თქვენ საგრძნობლად გაგიადვილდებათ გეგმების განხორციელება. მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი იმის საშუალებას მოგცემთ, რომ ერთდროულად რამდენიმე საქმეს მოჰკიდოთ ხელი — იმოგზაუროთ, ჩაატაროთ საქმიანი შეხვედრები და ასეთი დატვირთული რეჟიმის მიუხედავად, არ დაიღალოთ.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

ამ კვირას თქვენთვის სარფიანად წარიმართება ბინის კეთილმოწყობასთან, მიწის ნაკვეთთან და მშენებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ოჯახურ წრეში გატარებული დრო სამსახურებრივი პრობლემისგან განგტვირთავთ.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

ამ პერიოდში აუცილებელია დაასრულოთ ძველი საქმეები, გარკვეულ საკითხებში მიაღწიოთ შეთანხმებას და მოიპოვოთ საჭირო ინფორმაცია. კვირის ბოლოს, შრომისუნარიანობის დაქვეითება ჯანმრთელობის გაუარესებით იქნება გამოწვეული. ამავე დროს, მაღალია შეცდომების დაშვების ალბათობა.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

შეეცადეთ, სწორედ ამ დეკადაში მოასწროთ ოქტომბრისთვის დაგეგმილი საქმეების უმეტესი ნაწილის მოგვარება. თქვენთვის სარფიანად წარიმართება ფინანსური პროექტები, საბანკო ოპერაციები და საერთოდ, ყველა ის საქმე, რომელიც სწრაფ მოგებას მოგიტანთ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

თვის დასაწყისი აქტიურად გაატარეთ — შეხვდით უცხო პირებს, გააცანით მათ თქვენი გეგმები და პერსპექტივები. თუმცა გახსოვდეთ, რომ სპონსორებისა და პარტნიორების მოსაზიდად საჭიროა, რომ დამაჯერებლად გამოიყურებოდეთ. ყოველივე ეს კი საგრძნობლად გაუუმჯობესებს თქვენს მატერიალურ მდგომარეობას.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

თქვენ უამრავი პრობლემა და უსიამოვნება დაგატყდებათ თავს. ამასთანავე, შინაგანი დისკომფორტი შეგექმნებათ და გარშემო მყოფთ ეჭვიანობით სულს ამოხდით. ეს პერიოდი უსიამოვნო იქნება ჯანმრთელობის მხრივაც. მხოლოდ ოჯახური სიმყუდროვე დაგეხმარებათ პრობლემების მოგვარებაში.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

ოქტომბრის პირველი დეკადა გამორჩეული იქნება მეგობრებთან, სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრებით. ყოველივე ეს კი სამომავლო გეგმების შემუშავებაში დაგეხმარებათ. კვირის ბოლოს, გარშემო მყოფთ შეიძლება ლიდერის ან მისიონერის როლში მოევლინოთ.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲫᲐ 22.12-20.01

ამ დღეებში სასურველია, მნიშვნელოვანი საქმეები შეძლებისდაგვარად სწრაფად მოაგვაროთ, რადგან მოულოდნელი უთანხმოებები და გართულებები საქმიანობაში ხელს შეგიშლით. შაბათ-კვირა მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

ᲓᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

თქვენი დიდსულოვნება, შრომისუნარიანობა და ენთუზიაზმი მრავალ თანამოაზრეს გაგიჩენთ, ამიტომ ნებისმიერ ერთობლივ ქმედებას წილად წარმატება ხვდება. ეს პერიოდი ხელსაყრელი იქნება წესრიგის დასამყარებლად როგორც პირად ცხოვრებაში, ისე პროფესიულ სფეროში.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

ამ კვირაში არ გირჩევთ ადამიანებთან მჭიდრო ურთიერთობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, უთანხმოებები გარდაუვალი იქნება. დროის ამ მონაკვეთში თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია, რის გამოც ერთობ პესიმისტური და სენტიმენტალური განწყობილება დაგეუფლებათ.



ღაპაჰაკობს და უჩვენებს ჰაჰიზი

მსოფლიოს საავტომობილო დედაქალაქი ამჟამად, პარიზია: სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებლები კომპლექსში — არის Expo_ Porte de Versailles — შეიკრიბნენ, რათა ახალი მიღწევებით მოიწონონ თავი.

წლევანდელი საშემოდგომო ევროპული ავტოსალონის (ის სექტემბერ-ოქტომბრის მიჯნაზე მონაცვლეობით, ხან პარიზში იმართება, ხანაც — ფრანკფურტში) თავისებურება ის გახლავთ, რომ აქცენტი ადგილობრივ სამომხმარებლო სპეციფიკაზეა გადატანილი: პარიზში უხვადაა მცირელიტრაჟიანი, ე.წ. „საპარკეტო" მანქანა და ოკეანისგამოღმა შექმნილი საავტომობილო „ჰაიტექის" ნიმუში. თუმცა, ამავე დროს, ე.წ. „ამერიკული მიდგომის" მიმდევრები პარიზში „მცირეოდენ დეტროიტსაც" იხილავენ...



თავისი მასშტაბით, პარიზული დათვალიერება ფაქტობრივად, უდიდესია: მაგალითად, 2004 წელს, მას 1,4 მლნ-ზე მეტი ადამიანი სტუმრობდა. დამთვალიერებელთა წლევანდელ რაოდენობას სალონის დასრულების შემდეგ შევიტყობთ, რაც შეეხება მსოფლიო პრემიერებს — მან 60-ს მიაღწია, რაც დაგვეთანხმებით, ძალზე შთამბეჭდავია.

ახალ მანქანებს შორის, უდავოდ, გამორჩეულად უნდა მივიჩნიოთ „ლამბორჯინი". საერთოდ, ეს ავტომობილი ყოველთვის განსაკუთრებულია, მაგრამ პარიზში ჩატანილი მოდელი სრულიად ექსკლუზიურია. Lamborghini Gallardo Nera სულ რაღაც 185 ცალად გამოვა. მისი მთავარი ნიშანი, შავი — ე.წ. ფუფუნების კლასიკური ფერი გახლავთ; ახალ „გალარდოს" საბორბლე დისკებიც კი შავი ექნება.

ძარასგან განსხვავებით, სალონი შავ-თეთრი იქნება, თანაც, თითოეულ დამკვეთს შეეძლება იმის არჩევა, თუ ტყავისგან დამზადებული ინტერიერის საკუთრივ რომელი დეტალები იქნება თეთრი.

სუპერმანქანის ტექნიკური მახასიათებლები ასეთია: საბაზო კომპლექტაციაში — V10 ტიპის, 510 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავა, სანავიგაციო სისტემა, უკანა ხედვის ვიდეოკამერა, ბორტ-კომპიუტერი; გარდა ამისა, ოპციის სახით, მომხმარებელს შეეძლება, შეუკვეთოს ავტომატურ გადაცემათა კოლოფი, კარბონისგან დამზადებული მუხრუჭები, აგრეთვე — ძრავას დანაყოფის გამჭვირვალე სახურავი: ასეთი აგრეგატის გამომზეურება სავსებით გამართლებულია...

ძალზე საინტერესო პროგრამით წარდგა ავტომოყვარულთა წინაშე იაპონური კომპანია „ტოიოტა", რომელმაც პარიზელთა სამსჯავროზე Toyota Auris და Toyota Yaris TS გამოიტანა.

პირველი მათგანი ჯერჯერობით, მხოლოდ კონცეპტუალური მოდელის სახით არსებობს და ძალზე ჰგავს ცნობილ მოდელ „კოროლას". მათ შორის ყველაზე განმასხვავებელი, მანქანის ცხვირია, რომელიც უფრო მეტად, „იარისს" ჰგავს — რადიატორის ცხაურითაც და ძირითადი მაშუქების ფორმითაც.

საერთო ჯამში, სპეციალისტთა თქმით, საკმაოდ ეფექტური მანქანაა. მას აგრესიული ბამპერი, მასში შეჭრილი მოზრდილი აირგამწოვები და 17-დუიმიანი შთამბეჭდავი ბორბლები აქვს.

პირველისგან განსხვავებით, Toyota Yaris TS — სრულიად რეალური ავტომანქანაა. ინდექსი TS, რომელიც მის სახელს ახლავს, იმას ნიშნავს, რომ ეს კომპაქტური ჰეჩბეკის სპეციალური სპორტული ვერსიაა, რომელიც 1,8 ლ მოცულობის, 132 ცხ.ძ. სიმძლავრემდე გაზრდილი ფორსირებული ძრავათია აღჭურვილი; მისი მაქსიმალური სიჩქარე 194 კმ/სთ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ-ს 9,3 წმ-ში აღწევს და ყოველ 100 კმ გარბენზე 7,5 ლ საწვავს ხარჯავს.

გაძლიერებული ძრავას გარდა, „იარისის" სპორტული ვერსია საბაზო მოდელისგან უფრო აგრესიული გარეგნობით, ხისტი საკიდრით და გადიდებული საბორბლე დისკებით გამოირჩევა. როგორც კომპანიის მესვეურებმა პარიზში გამოაცხადეს, ამ მოდელის რეალიზაცია ევროპაში უკვე წლევანდელი წლის დამლევისთვის დაიწყება.

მიმდინარე პარიზული ავტოსალონის სხვა მსოფლიო პრემიერებს „გზის" მომდევნო ნომრებში გაგაცნობთ. ■





«მანჩესტერის» მეტოქეებო, ფრთხილად, «სუპერსათადარიგო» დაბრუნდა!..»

თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ალექს ფერგიუსონი, ოლე-გუნარ სულშერს მოიხსენიებს, როგორც „სათადარიგოს ჯოჯოხეთიდან“. მიუხედავად ამისა, როდესაც 13 სექტემბერს ნორვეგიელმა ფორვარდმა „სელტიკის“ კარში გოლი გაიტანა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი თავს ისე გრძნობდა, როგორც სამოთხეში. იგივე შეიძლება ითქვას პრემიერლიგაში „მანჩესტერელთა“ ბოლო შეხვედრაზე: ნორვეგიელმა ფორვარდმა ხომ „ნიუკასლთან“ დუბლი შეასრულა.

„სელტიკთან“ დაპირისპირებისას, სულშერი პირველი ტაიმის შუა პერიოდში გამოვიდა მინდორზე და თავისი გუნდისთვის უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე უბრალოდ, მეტოქის კარში გოლის გატანაა. ეს გოლი იმის დასტური გახლდათ, რომ ნორვეგიელმა ფორვარდმა, როგორც იქნა, ტრავმები მოიშუშა, რაც მას კარიერის იძულებით დასრულების საფრთხეს უქმნიდა. სულშერი ორი წელი და 362 დღე იცდიდა, რათა კიდევ ერთხელ მიეღწია ჩემპიონთა ლიგის მატჩში გოლის გატანისთვის. მანამდე კი, მან 2003 წლის 16 სექტემბერს გამოიჩინა თავი, როდესაც „პანათინაიკოსის“ ქომაგები დაამწუხრა.

ბერძნულ კლუბთან შეხვედრის შემდეგ, სულშერი მუხლის ტრავმით ლაზარეთში აღმოჩნდა. ეს მის კარიერაში ყველაზე რთული პერიოდი იყო. პირველი ოპერაციის შემდეგ, ნორვეგიელი თებერვალში დაბრუნდა მწყობრში, თუმცა მას მუხლის ტკივილი კვლავაც აწუხებდა. ამიტომ, სულშერი იძულებული გახდა, კიდევ ორჯერ დაწოლილიყო საოპერაციოდ. 2004 წლის აგვისტოში და 2005 წლის ივლისში ოპერაციები ფეხბურთელს შვედმა ქირურგმა, ლარს პეტერსონმა გაუკეთა. გასულ სეზონში ფორვარდი თითქოს უკვე გამოჯანმრთელებული იყო, მაგრამ სამწუხაროდ — დროებით. თავიდან მან მუხლის ქვედა მყესი დაიჭიმა, შემდეგ — ბარძაყის კუნთი, ბოლოს კი — ყვრიმალი გაიტეხა. ხანგრძლივი რეაბილიტაციის განმავლობაში სულშერს „მანჩესტერის“ ფიზიოთერაპევტი რობ სვაირი აკვირდებოდა. „ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ სულშერი გამოჯანმრთელდებოდა, რადგან ის ძალზე ძლიერი ხასიათით გამოირჩევა, — დასძენს სვაირი, — იგი თავს არ ზოგავდა. სხვა მოთამაშეებზე უფრო ვნერვიულობ, რადგან ისინი რეაბილიტაციის პროცესს სერიოზულად არ უდგებიან ხოლმე. აი, ოლესთან კი, ასეთი პრობლემები არასოდეს შეგვქმნია. მან ბევრი რამ გადაიტანა და ყოველთვის ყოჩაღად უმკლავდებოდა ცხოვრებისეულ სიძნელეებს“.

„მანჩესტერის“ ქომაგებს არასოდეს დავიწყნიათ სულშერი. „შენ ბედნიერების განცდას გვანიჭებ, მაშინაც კი, როდესაც ჩვენს თავზე ცა იქუფრება“, — მღეროდნენ მადლიერი გულშემატკივრები ფეხბურთელზე, რომელმაც სამუდამოდ ჩაწერა თავისი სახელი „იუნაიტედის“ ისტორიაში, როდესაც ჩემპიონთა ლიგის 1998-1999 წლების სეზონში, მიუნხენის „ბაიერნთან“ ფინალური პაექრობისას ერთ-ერთი გადამწყვეტი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ნორვეგიელმა ფორვარდმა დამატებით დროში, ენდი კოულის შეცვლის შედეგად, მოედანზე გამოსვლიდან 9 წუთის შემდეგ გამოიჩინა თავი.

თავის დროზე, სულშერის სანაცვლოდ, „მანჩესტერმა“ ნორვეგიულ „მოლდეს“, დღევანდელი საზომით ნამდვილად მოკრძალებული თანხა — 2,3 მლნ ევრო გადაუხადა. ეს გარიგება ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა, რომელიც კი ფერგიუსონს „იუნაიტედში“ თავისი 20-წლიანი მოღვაწეობისას განუხორციელებია.

ოლე-გუნარი ინგლისში 1996 წელს გადავიდა. იმისთვის, რომ პრემიერლიგაში პირველი გოლი გაეტანა, სადებიუტო მატჩის დაწყებიდან სულ რაღაც 6 წუთის გასვლა გახდა საჭირო. მაშინ „მანჩესტერის“ მეტოქე „ბლექბერნი“ იყო. 10 წლის შემდეგ, ტრავმებმოშუშებულმა სულშერმა ანალოგიურ სტილში „სელტიკთან“ შეხვედრისას გამოიჩინა თავი.

სულშერისადმი ფერგიუსონის ნდობის ხარისხი პრაქტიკულად, უსაზღვროა. მიმდინარე წლის მარტში, 33 წლის ფორვარდმა „იუნაიტედთან“ ახალი, 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. „სელტიკთან“ ჩატარებულმა მატჩმა კი, სერ ალექსის გადაწყვეტილების სისწორე დაადასტურა. „თუ ის მინდორზე თუნდაც 45 წუთს გაატარებს, აუცილებლად გაიტანს. „სელტიკთან“ პაექრობისას მან გააკეთა ის, რაც ყველაზე უკეთესად გამოსდის. სულშერი ყველაზე ადრე პოულობს იმ ადგილს, სადაც ბურთი ეშვება ხოლმე. ეს უბრალოდ, ფანტასტიკური თვისებაა“, — ამბობს ფერგიუსონი.

ზემოთ მოხსენიებული სვაირი კი, სულშერს „ფეხბურთის მცოდნეს“ უწოდებს. მკურნალობისას ნორვეგიელი ფაქტობრივად, ყოველთვის ადევნებდა თვალყურს თავისი კლუბის მატჩებს. გარდა ამისა, ტაქტიკურ სქემებსაც განიხილავდა. ეს გამოცდილება შეიძლება, მას მომავალში გამოადგეს: ალბათ კარიერის დასრულების შემდეგ, სულშერს გამოუნახავენ ადგილს „მანჩესტერ იუნაიტედის“ სტრუქტურაში. თუმცა, ჯერ-ჯერობით, ფორვარდი დიდი სპორტიდან წასვლას არ გეგმავს. ასეთ განწყობილებას მას „ჩარლტონის,“ „სელტიკისა“ და „ნიუკასლის“ კარში გატანილი გოლებიც განუმტკიცებს. ერთი სიტყვით, „მანჩესტერელი“ „სუპერსათადარიგო“ შემადგენლობაში ხმაურიანად დაბრუნდა!...

■

იენს ლემანი

გაჭირვების ტალკვესი «მეთოფეთათვის»

პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში „არსენალმა“ მეტისმეტად უსახურად აიღო სტარტი. თუმცა, ცოტა ხნის წინ, „მეთოფეებმა“ წარმატებას თავიანთ პრინციპულ კონკურენტთან, „მანჩესტერთან“ ორთაბრძოლისას მიაღწიეს, რის შემდეგაც, ლონდონური გრანდის ქომაგებს საყვარელი გუნდისადმი რწმენა დაუბრუნდათ. ემანუელ ადებაიორის შედეგიანმა დარტყმამ „არსენალს“ გამარჯვება მოუტანა. გასულ უიკ-ენდზე კი, ლონდონელებმა სტუმრად „ჩარლტონს“ სძლიეს (2:1) და მორიგი 3 ქულა მოიპოვეს.

„არსენალის“ წარმატებებში ყოველთვის დიდი წვლილი შეაქვს გერმანელ გოლკიპერ იენს ლემანს. რა თქმა უნდა, შედეგიანად ჩატარებული ყოველი მატჩის დასრულებისთანავე, ლემანს თანაგუნდელები მხურვალედ ულოცავენ შთამბეჭდავ თამაშს. ასეთი ეპიზოდები ჩვენ არაერთხელ გვინახავს ჩემპიონთა ლიგაში, სადაც „არსენალმა“ ფინალამდე მიაღწია. ლემანისთვის კი გასული სეზონი მართლაც წარმატებული აღმოჩნდა. სწორედ ამის გამო, მან გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი, ხოლო ოლივერ კანს სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ჯდომა. გარდა ამისა, იენსი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში შევიდა, როგორც მეკარე, რომელმაც მთელი 853 წუთის განმავლობაში შეძლო საკუთარი გუნდის კარის „მშრალად“ შენახვა.

გერმანელმა ვეტერანმა, ედვინ ვან დერ სარის რეკორდი გაუუმჯობესა, რომელსაც 658 წუთის განმავლობაში არ გაუშვია გოლი. საინტერესოა ისიც, რომ თავის



© PA

რეკორდს ლემანი ჩემპიონთა ლიგის 3 სეზონში ამყარებდა. მას შემდეგ, რაც 2005 წლის თებერვალში ჰასან სალიჰამიდიჩმა მოახერხა „არსენალის“ კარში გოლის გატანა, იენსის დაჯაბნას ვეღარავინ ახერხებდა, ვიდრე მიმდინარე გათამაშების ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში, გერმანელს „ჰამბურგელმა“ ბუბაკარ სანოვომ არ აჯობა.

როგორც ცნობილია, აგვისტოში ლემანი ჩემპიონთა ლიგის 2005-2006 წლების სეზონის საუკეთესო მეკარედ აღიარეს. „არა მარტო ამაყი, არამედ აღფრთოვანებულიც ვარ! მაგრამ ვფიქრობ, ეს ჯილდო მთელმა გუნდმა დაიმსახურა. მარტო, შორს ვერ წავიდოდი. ეს ყველამ ერთად გავაკეთეთ“, — განაცხადა ლემანმა, რომლის ავტორიტეტიც მთელი გასული სეზონის განმავლობაში იზრდებოდა.

ის შესანიშნავად ხელმძღვანელობდა „არსენალის“ ახალგაზრდულ და შედარებით გამოუცდელ დაცვის ხაზს და მის შეცდომებს ასწორებდა. კერძოდ, იენსმა გასაქანი არ მისცა რაულს, რის შემდეგაც „რეალმა“ ფაქტობრივად, ფარ-ხმალი დაყარა. შემდეგ, ევროპული ფეხბურთის კიდევ ერთი გრანდი, „იუვენტუსიც“ დააზარალა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩებში მთელი 180 წუთის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ლემანისთვის გოლის გატანას. და კიდევ — რა თქმა უნდა, გავიხსენებთ ნახევარფინალურ მატჩში თერთმეტმეტრიანი დარტყმის შესრულებისას ხუან რიკელმეს გაწბილებასაც.

ცხადია, უკვე „ბარსასთან“ გამართულ ფინალურ პაექრობაში, რომელიც პარიზში მიმდინარეობდა, მოედნიდან გაძევებამ გოლკიპერს ძლიერ წაუხდინა ხასიათი. „როდესაც ნახევარფინალში პენალტი მოვიგერიე, სიხარულით თითქოს მართლაც ღრუბლებში დავფრინავდი, მაგრამ შემდეგ, ფინალში გამიცრუვდა იმედი. როდესაც თერთმეტმეტრიანს გირტყამენ და ასე წარმატებულად თამაშობ, რას იღებ შემდეგ? მაგალითად, მე ფინალში მოედნიდან გამაძევეს. ასე ხდება ფეხბურთში: აღმასვლა და დაცემა ერთიმეორეს მოსდევს“, — ფილოსოფოსობს გოლკიპერი.

დისკვალიფიკაციის გამო, ლემანმა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში ზაგრების „დინამოს“ წინააღმდეგ ჩატარებული ორივე მატჩი გამოტოვა. სამაგიეროდ, ის გუნდს უკვე „ჰამბურგთან“ შეხვედრისას დაეხმარა. ჩემპიონთა ლიგაში „მეთოფეთა“ რიგით მეორე პაექრობა „არსენალის“ ახალ სტადიონზე „პორტუსთან“ შედგა (2:0). მეკარის თქმით, ლონდონელები ჯერაც ვერ შეეჩვივნენ „ემბერტონ გროუვის“ არენას. „ეს ახალი სახლივითაა: როდესაც ახალ ადგილზე გადადიხარ საცხოვრებლად, დროა საჭირო, რომ მას შეეჩვიო. ასევეა ჩვენს შემთხვევაშიც. მალე აქ ისე ვიგრძნობთ თავს, როგორც საკუთარ სახლში“, — დასძენს ლემანი. ■

ლოთარ მათეუსი:
«მუდამ ახლის ძიებაში ვარ»

ლოთარ მათეუსი გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი ცოცხალი ლეგენდაა, რომელმაც მოთამაშის რანგში პრაქტიკულად, ყველაფერს მიაღწია. მან არაერთი საფეხბურთო მწვერვალი დაიპყრო, ხოლო აქტიურ სპორტთან ჩამოშორების შემდეგ, სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი. მათეუსს უმუშავია სერბეთში, უნგრეთსა და ბრაზილიაშიც კი. სხვათა შორის, ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანაში პირველი გახლდათ ევროპელთაგან, ვისაც მწვრთნელად უმუშავია. გასულ ზაფხულს, 1990 წლის მუნდიალის ტრიუმფატორი, დღეისათვის ყველაზე ძლიერი ავსტრიული კლუბის — „რედ ბულის“ (ზალცბურგი) მთავარ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის თანაშემწედ დაინიშნა.

„ტრაპატონისთან მუშაობა ასისტენტის როლშიც კი სასიამოვნოა. ბოლოს და ბოლოს, უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ: 6 წლის განმავლობაში ვთანამშრომლობდით, როგორც მწვრთნელი და მოთამაშე. რა თქმა უნდა, ამჟამინდელ ვითარებაში ყოფნა ჩემთვისაც და მისთვისაც უჩვეულოა. მთელი პასუხისმგებლობა ტრაპატონის ეკისრება, გადაწყვეტილებებს ის იღებს, მაგრამ ამა თუ იმ საკითხს ერთმანეთში მუდმივად განვიხილავთ. ტრაპატონისაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოცდილება მომავალში აუცილებლად გამომადგება. ისე კი, ჩემთვის ყველგან საინტერესო იყო მუშაობა — იმ წლებშიც, როდესაც ჯერ კიდევ ვთამაშობდი და იმ წლებშიც, როდესაც მწვრთნელობა დავიწყე. სამუშაო მუდამ სიამოვნებას მგვრიდა, იმიტომ, რომ ფეხბურთს ყოველთვის ვაღმერთებ და თანაც, სულ ახლის ძიებაში ვიმყოფები. ჩემთვის საინტერესო იყო საქმიანობა უნგრეთშიც, ბელგრადშიც, სადაც ჩემმა კლუბმა „პარტიზანმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე მიაღწია... სხვათა შორის, ასეთი წარმატებისთვის არც ერთ სხვა სერბულ გუნდს არ მიუღწევია. უნგრეთში ფეხბურთთან დაკავშირებული ყველა სტრუქტურა 30 წლით მაინც იყო მოძველებული, ამიტომ, ყველაფრის ნულიდან დაწყება გვიწევდა. რა თქმა უნდა, ამაზე ბევრი დრო და ენერგია იხარჯებოდა და იქ ბევრი რამ ვისწავლე კიდეც“, — ამბობს მათეუსი, რომელიც გასულ მსოფლიო ჩემპიონატზეც აკეთებს კომენტარს: „მუნდიალი არცთუ ისე ძლიერ მომეწონა. ფეხბურთი უფრო დაცვითი გახდა. ბევრი „ჩაკეტილი“ მატჩი ვიხილეთ. ბევრი გუნდისთვის უმთავრეს მიზანს საკუთარი კარის დაცვა წარმოადგენდა. ეს იტალიის ნაკრებსაც ეხება, რომელმაც სწორედ ასეთი ტაქტიკის წყალობით გაიმარჯვა და თუნდაც, გერმანიასაც, რომელიც ძლიერ მეტოქეებთან პაექრობისას, ბევრ საგოლე მომენტს ნამდვილად არ ქმნიდა. მოდაში დაცვითი ფეხბურთია, რაც, რა თქმა უნდა, მაყურებელს სულაც არ აღაფრთოვანებს. თუ გოლი არ გაუშვი, საკმარისია, მხოლოდ ერთი ხელსაყრელი მომენტის რეალიზება მოახერხო და გამარჯვებული ხარ. ფეხბურთის განვითარების მისაღწევად ახალი გზები უნდა მოიძებნოს, მაგრამ ამას დრო სჭირდება. იმისთვის, რომ გუნდმა ლამაზად, შემტევად ითამაშოს, მას არასტანდარტულად მოქმედი ფეხბურთელები ესაჭიროება. რაც შეეხება სპორტის ამ სახეობის პერსპექტივას ჩემს სამშობლოში, — შემიძლია გითხრათ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, გერმანია ეიფორიაშია. ცხადია, ამ მოვლენამ დიდი როლი ითამაშა გერმანული ფეხბურთის განვითარებაში. მაგალითად, ამჟამად ჩვენ არაერთი შესანიშნავი სტადიონი გვაქვს. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ვითარება უფრო ფხიზლად უნდა შევაფასოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, გერმანიის ნაკრებმა ვერც ერთხელ ვერ შეძლო გრანდთა დამარცხება. ღრუბლებში ფრენა სახიფათოა. ჩვენ კი დღემდე ამ ეიფორიით ვცხოვრობთ. ჩვენმა გუნდმა წარმატება უნდა დაივიწყოს. დროა, იმაზე ვიფიქროთ, თუ როგორ შევძლებთ უფრო ძლიერი მეტოქეების დაჯაბნას“. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎ 822 006 005
822 006 099
822-425-544
SMS 1474
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

მაშენებელი ნატურა ხართ თუ მოძხვარებელი?

ძველი გერმანული ანდაზა გვამცნობს: „ღმერთი გვაძლევს კაკალს, მაგრამ თავად როდი გვიმტვრევს მას“. წარმატება თავისთავად იშვიათად მოდის — ის უნდა მოიპოვო. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება იღბლიანი მომენტები, მაგრამ ეს მომენტები იშვიათადაა ბედის ისეთი საჩუქარი, რომელსაც მოხმარების მეტი არაფერი სჭირდება. ხშირ შემთხვევაში, ეს გახლავთ ხელსაყრელი გარემოებები, რომლის გამოყენებასაც აქტიური და მიზანდასახული ადამიანები გონივრულად ახერხებენ. როგორი პოზიცია გაქვთ თქვენ? ხელსაყრელ გარემოებათა მოლოდინში, ძალზე პასიური პოზიცია ხომ არ გიჭირავთ? იქნებ, პირიქით, საკუთარი ცხოვრებისა თუ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მთების გადასადგმელადაც კი მზად ხართ? ეს ტესტი დაგეხმარებათ საკუთარ თავში გასარკვევად. ყოველ დასმულ შეკითხვაზე, პასუხის ერთ-ერთი ვარიანტი შეარჩიეთ.

1. როგორ მოიქცევით იმ შემთხვევაში, თუკი საპასუხისმგებლო თანამდებობას შემოგთავაზებენ?

ა) ალბათ უარს ვიტყვი, რადგან დიდ პასუხისმგებლობას ვერ ვიტვირთებ;

ბ) ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, დავთანხმდები;

გ) ამგვარ წინადადებას დიდი ენთუზიაზმით შევხვდები.

2. რომელი გეომეტრიული ფიგურა უფრო მოგწონთ?

ა) კვადრატი;

ბ) წრე;

გ) სამკუთხედი.

3. თქვენი აზრით, წარმატებული სიტყვის სათქმელად რა უფრო მნიშვნელოვანია?

ა) მოხსენების წინასწარ მომზადება;

ბ) გააზრებული გეგმის შემუშავება;

გ) იმპროვიზაციის უნარი.

4. თქვენი შემოსავლის წყარო:

ა) შემოსავლის ერთი სტაბილური წყარო მაქვს (სტიპენდია, ხელფასი, პენსია და ა.შ.);

ბ) შემოსავლის რამდენიმე წყარო მაქვს;

გ) საკმაოდ მაღალი, მაგრამ არასტაბილური შემოსავალი მაქვს (პროცენტი გაფორმებული კონტრაქტიდან, ჰონორარი და სხვა).

5. ჩამოთვლილთაგან, რომელი აფორიზმი უფრო მოგწონთ?

ა) როცა არ არის ის, რაც გიყვარს, იძულებული ხარ, გიყვარდეს ის, რაც არის (ტ. კარლაილი);

ბ) წარმატება — შემთხვევითობის შედეგია, რომელიც საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოხატვის შესაძლებლობას გვაძლევს (ლ. ვოვენარგი);

გ) ცხოვრება — უმნიშვნელო გარემოებებიდან მნიშვნელოვანი სარგებლის მიღების ხელოვნება გახლავთ (ს. ბატლერი).

6. რომელი ფერი უფრო მოგწონთ?

ა) ნაცრისფერი;

ბ) ლურჯი;

გ) მწვანე.

7. როგორი დამოკიდებულება გაქვთ სპორტთან?

ა) სრულიად გულგრილი ვარ სპორტის ნებისმიერი სახეობის მიმართ;

ბ) კარგი ფორმის შესანარჩუნებლად, ზოგჯერ ვვარჯიშობ, ზოგიერთ სპორტულ ტელეგადაცემასაც ვუყურებ;

გ) სპორტის ამა თუ იმ სახეობის აქტიური გულშემატკივარი ვარ და სპორტულ თამაშებში მონაწილეობაც ძალიან მიყვარს.

8. მოულოდნელად დიდი მემკვიდრეობა რომ მიგეღოთ ან ლატარიაში დიდძალი თანხა მოგეგოთ, როგორ მოიხმარდით?

ა) თანხის ძირითად ნაწილს, დიდი ხნის სურვილების ასრულებას მოვახმარდი;

ბ) საიმედო აქტივებში ჩავდებდი, საიდანაც შემოსავალი გარანტირებული მექნებოდა;

გ) საკუთარ ბიზნესს წამოვიწყებდი.

დაავჯამეთ ქულები: პასუხის ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 1 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2 ქულა, „გ“ ვარიანტში — 3 ქულა.

ტესტის შედეგები

8-12 ქულა: მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებით, ცხოვრებაში უფრო დიდი წარმატების მიღწევა გსურთ. მიგაჩნიათ, რომ ხშირ შემთხვევაში, თქვენ ირგვლივ არახელსაყრელი გარემოებები იქმნება ხოლმე. თუმცა, ეს ხდება იმიტომ, რომ თქვენ ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ გარემოებებს, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს კი სათანადოდ არ აფასებთ. დარწმუნებული ხართ, რომ როგორც კი ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნება, თქვენ მისი გამოყენების შანსს ხელიდან არ გაუშვებთ. მაგრამ თქვენი მხრიდან ასეთი პასიური პოზიციის შენარჩუნების შემთხვევაში, შესაძლოა, ხელსაყრელ სიტუაციას ვერც კი ეღირსოთ. ნუ დაგავიწყდებათ: აქტიური ადამიანი საკუთარი მიზნის მისაღწევად საშუალებებს თავადვე პოულობს, ხოლო როცა ვერ პოულობს — ამ საშუალებებს თავადვე ქმნის.

13-20 ქულა: აქტიური და მიზანსწრაფული ადამიანი ბრძანდებით. შექმნილი გარემოებების მიუხედავად, საკუთარი უნარის რეალიზებას თითქმის ყოველთვის ახერხებთ. უფრო დიდი წარმატებების მოპოვება თუ გსურთ, გაითვალისწინეთ: იქნებ, სათანადოდ შეგეფასებინათ თქვენი ნიჭი, უნარი და შესაძლებლობები და უფრო პროდუქტიულად გამოგეყენებინათ ისინი.

21-24 ქულა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ მაშენებელი ნატურა ხართ. საოცარი შეუპოვრობით გამოირჩევით და ნებისმიერი სიტუაციიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას ცდილობთ. მარცხის შემთხვევაშიც კი, სულით არასოდეს ეცემით და გზების ძიებას იწყებთ სარევანშოდ. ამგვარი პოზიცია, უდავოდ წარმატებას გიქადით, მაგრამ ერთი რამ გაითვალისწინეთ: საქმისადმი თქვენმა ზედმეტად გადაყოლილმა დამოკიდებულებამ, შეიძლება, თქვენი ახლობლები და ირგვლივ მყოფები გააღიზიანოს.



1 ბოსტნეული
2 მტაცებელი ფრინველი
3 ხურო-თმოძღვრე-ბის ძეგლი იმერეთში
4 ქუვეითის ფულის ერთეული
5 ლაშქარი
6 მღვდლის თანაშემწე
7 ფასიანი ქაღალდი
8 ხვიარა მცენარე
9 უძირო წინდა
10 მოჭიდავე
11 უქმე დღე
12 თუთუნი
13 პურის მცხობელი
14 ბუნებრივი ნიმუში
15 სახელმ-წიფო ჩრდ. ამერიკაში
16 სევანის კალმახი
17 ხის დიდი ლანგარი
18 ყია
19 იტალიის ფენბურთის გუნდი
20 ინდონეზიის კუნძული
21 ტოტი
22 მამალი ლომი
23 ტაილანდის ფულის ერთეული
24 ძველებური თოფი
25 ბრაზილი-ური ცეკვა
26 ირმებ-შებმული მარხილი
27 ქალაქი თურქეთში
28 დამხმარე თეორემა
29 რომის იმპერატორი
30 ღვინის ობი
31 სქელი მურაბა
32 რეჟისორი ... ღოღო-ბერიძე
33 სასწავლე-ბლის ტიპი
34 მიმუნის სახეობა
35 გრძელი და მსხვილი ჯოხი
36 აზრი, ჩანაფიქრი
37 ძვ. რომაელთა სამოსი
38 ჩუქურთმი-ანი ქვა ან ნიყარა
39 ქართველი ფერმწერი
40 მეფედ კურთხევა
41 სუმოისტ ცაგურიას მეტსახელი
42 მუზეუმი მადრიდში
43 კარგი ამინდი
44 დახელოვნება, გამოცდილება რაიმე საქმეში
45 სპაგეტი
46 სახე გვერდიდან
47 ამერიკის შტატი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. პეონი; 2. კობალტი; 3. ნალია; 4. ქამი; 5. ქოთანი; 6. მონაკო; 7. რიალი; 8. პითონი; 9. კილტი; 10. კიპი; 11. ნეკი; 12. მინესოტა; 13. ლენტეხი; 14. სეტერი; 15. რულეტი; 16. მონოლითი; 17. ბოტი; 18. ბილიკი; 19. ალაჰი; 20. ლოტო; 21. ოტელო; 22. ანგოლა; 23. წირი; 24. ხემი; 25. ლეიტენანტი; 26. სუმო; 27. ბატატი; 28. მანე; 29. რენომე; 30. ნიქოზია; 31. არხარი; 32. პანო; 33. ხონელი; 34. აბჯარი; 35. თვალი; 36. ლიმიტი; 37. ტირიფი; 38. ადანი; 39. ფერარი; 40. რომა; 41. ლამბი; 42. ურო; 43. ლალი; 44. ალაო; 45. პლანერი; 46. სიცილია.

სურათზე: პარის ჰილტონი; ჯუდ ლოუ.

M K

ავსტრალიელი მოსწავლის „პაემანი ცაში“

17 წლის ავსტრალიელმა დენიელ დიბლიმ 2004 წლის „მის მსოფლიო“, ავსტრალიის სილამაზის დედოფალი ჯენიფერ ჰოკინსი სასკოლო მეჯლისზე მიიწვია. მართალია, თავიდან უარი მიიღო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, საოცნებო გოგონასთან პაემანს მაინც მიაღწია. ავსტრალიის პროვინციულ ქალაქ ბატერსტის მკვიდრ სკოლის მოსწავლეს სჭირდებოდა გოგონა, რომელიც მასთან ერთად წავიდოდა გამოსაშვებ მეჯლისზე. დენიელმა გადაწყვიტა, ჩვეულებრივ გოგონაზე არ დახურდავებულიყო, მიწვევა ჯენიფერ ჰოკინსს გაუგზავნა და გაოგნებული დარჩა, როდესაც სილამაზის დედოფალმა მისი მიწვევა მიიღო. აღფრთოვანებული მოსწავლე იმედგაცრუებას მაინც ვერ გადაურჩა, რადგან ამ ამბავთან დაკავშირებით ატეხილი ალიაქოთის გამო, ჯენიფერმა მეჯლისზე წასვლა გადაიფიქრა. სამაგიეროდ, ჰოკინსი 26 სექტემბერს სკოლაში მივიდა, დიბლისთან განმარტოებით ისადილა, შემდეგ სკოლის კრებაზე სიტყვით გამოვიდა და ამტყდარი ალიაქოთის გამო მოიბოდიშა. „არ მინდოდა, გეფიქრათ, რომ ბატერსტში ჩამოსვლა და მეჯლისზე მისვლა ვიუკადრისე. თქვენთან ერთად ყოფნა ძალიან მინდოდა, მაგრამ ამ ამბის გარშემო ძალზე დიდი ხმაური ატყდა. მე კი მსურდა, ყველაფერს მშვიდ ატმოსფეროში ჩაევლო“, — განაცხადა ჯენიფერ ჰოკინსმა, რომელიც ამჟამად ტელეწამყვანად მუშაობს.

ნახჯომანი ძროხა

პოლონეთის ქალაქ ლობეზის მკვიდრ ქალბატონს, ზედმეტად ნერვიული ძროხის დასამშვიდებლად, მარიხუანა მოჰყავდა. სწორედ ასე ახსნა მან საკუთარი საქციელი, როდესაც პოლიციამ ნარკოტიკების კულტივაციის ბრალდება წაუყენა. როგორც ქალი ამბობს, ძროხა იმდენად „ცელქი და მშფოთვარე“ იყო, რომ ერთხელ ხელიც კი მოსტეხა ადამიანს, ამიტომ ურჩიეს, ძროხის საკვებში კანაფი შეერია. „ძროხა ცხვარივით წყნარი და თვინიერი გახდა“, — აღნიშნა 55 წლის პოლონელმა პანიმ. პოლიციის ინფორმაციით, ბაზარში შეძენილი თესლისგან აღმოცენებული სამმეტრიანი მცენარე ამ ჯიშის ყველაზე ძლიერმოქმედ ნაირსახეობას მიეკუთვნება. პოლონეთში ნარკოტიკების შენახვა დანაშაულად მიიჩნევა და თუ ქალბატონს ეს დაუმტკიცდა, მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ელის.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

2	4	3	8	9	5	7	6	1
5	1	8	3	7	6	4	2	9
9	6	7	4	1	2	8	3	5
8	2	4	7	3	9	5	1	6
6	3	1	5	2	8	9	7	4
7	5	9	6	4	1	2	8	3
4	9	2	1	6	7	3	5	8
3	8	6	2	5	4	1	9	7
1	7	5	9	8	3	6	4	2

2	3	5	1	8	6	9	4	7
8	6	7	4	9	2	3	1	5
4	9	1	7	3	5	2	8	6
7	1	4	9	2	8	5	6	3
3	5	2	6	4	7	8	9	1
9	8	6	5	1	3	4	7	2
1	7	8	2	5	9	6	3	4
6	2	3	8	7	4	1	5	9
5	4	9	3	6	1	7	2	8

7	4	2	5	8	6	9	3	1
9	3	6	2	1	4	5	8	7
8	5	1	3	9	7	6	4	2
5	9	4	1	3	2	7	6	8
2	1	3	7	6	8	4	5	9
6	7	8	9	4	5	1	2	3
4	8	7	6	2	9	3	1	5
3	2	5	4	7	1	8	9	6
1	6	9	8	5	3	2	7	4

* მარტივი

		7		9				4
		3	2	6			1	
4	2		1				3	9
2		8		7		5		
		1	5	8		6		
		9	3			4		8
9	8				1		5	6
	1			2	8	9		
6				3		1		

* * საშუალო

			6			7		
	3			1			6	
		8	2			9		
		6		9	1			3
	1		7				2	
4			8			5		
		1			8	4		
	2			7			8	
		4			9			

* * * რთული

		9						4
7			2				6	
	5				1			
3			5			1		
		1				5		
		2		6				7
			4				3	
	9				3			5
2						8		

ფოტოკუჩიოზები



Premier by Dead Sea Premier
ნილაბი ღამის ფეხია
Premier
MASK MIRACLE
ALL SKIN TYPES
by Dead Sea
ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ
ᲘᲝᲑᲝᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ
ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ
ტელ: (+995 32) 38 44 54
მობ: (+995 99) 54 66 66
შ.პ.ს. ი.ლ. ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ
www.il-premier.ge

b35/38